რამაზ სურმანიძე

ბევანიძეები

(ისტორიულ-გენეალოგიური ნარკვევები)

ბათუმი
2012 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბოლო წლებში ავტორმა ათეულობით ნაშრომი მიუძღვნა ქართული გვარების წარმომავლობას და საგვარეულოს მოწინავე წარმომადგენლების ცხოვრება-მოღვაწეობას.

წინამდებარე წიგნი ერთ-ერთი უძველესი ქართული გვარის ბეჟანიძეების ონომასტიკის პირველი ცდაა. წიგნში მკითხველი გაეცნობა ბეჟანიძეთა გვარის ცნობილ შვილებს, რომლებმაც ღირსეული კვალი დატოვეს ქვეყნისა და ერის ისტორიაში. მათ შორის ბევრი მათგანის ბიოგრაფია (განსაკუთრებით უცხოეთში მცხოვრებთა) ფართო საზოგადოებრიობისათვის უცნობია, ამიტომ ვფიქრობ მათი გაცნობა, ზოგადად თვით წიგნიც მკითხველთა ინტერესის საგანი გახდება.

რედაქტორი **ავთანდილ ბეჟანიძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზენდიდის ციხისა და მისი მფლობელი ბეშანიძეების გვარის ისტორიისათვის*

ბიზანტიის იმპერიისა და ტრაპიზონის სამეფოს დაცემამ დიდი საფრთხე შეუქმნა ისედაც რღვევის პროცესში მყოფ საქართველოს ფეოდალურ სახელმწიფოს, ამიერიდან ოსმალთა აგრესია უკვე საკუთრივ ქართული მიწებისაკენ წარმოიმართა, თუმცა დაპყრობითი პოლიტიკა განსაკუთრებით ძლიერდება მე-16 საუკუნიდან. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ქაიხოსრო ათაბაგის დროს (1500-1502) „იწყეს კირთება არზრუმ-ტრაპიზონის ფაშათა სათაბაგოსი და ჭანეთისა“.[1] ხოლო მისი მემკვიდრე მზეჭაბუკ დიდი (1502-1516) „დაეზავა ოსმალთა და აღუთქუა მორჩილება და მსახურება“, თუმცა „კუალად მძლავრთა ოსმალთა დაეწყო და ჰყო ქვეყანა მათგან უვნოდ“.[2]

1535 წელს მურჯახეთის ბრძოლაში ყვარყვარე ათაბაგის დამარცხებისა და დატყვევების შემდეგ სამხრეთ-დასავლეთი საქართველო იბერთა მეფე ბაგრატ III (1510-1565) და ქართლის მეფე ლუარსაბმა (1527-1556) გაინაწილეს. ამიერიდან სამცხე მთელი ათი წელი იმერეთისა და ქართლის სამეფოების შემადგენლობაში დარჩა.[3] 1545 წლის სოხოისტას ბრძოლის შემდეგ კი ოსმალებმა დაიჭირეს სამცხე-საათაბაგოს ციხეები და იქ მტკიცედ ჩადგნენ.[4] „ოსმალთა მოსცეს ათაბაგობა ქაიხოსროს და თვით წარვიდნენ გარნა ოსმალთა წესისა მათისამებრ იწყეს მძლავრებად ქუეყანათა“.[5]

უნდა ითქვას, რომ ოსმალთა საბოლოო წარმატებას ამიერკავკასიაში, ქართველთა წინააღმდეგობასთან ერთად, ირანელებთან ომიც მნიშვნელოვნად აფერხებდა. 1555 წლის ამა-

* თავი მომზადდა ისტორიკოს ირაკლი ბარამიძესთან ერთად. რ. ს.

სიის ზავით ირან-ოსმალეთმა საქართველო გაინაწილეს. სამხრეთ-საქართველოში მტკვრის აუზის რაიონები ირანს ერგო, ჭოროხისა კი ოსმალეთს ხვდა წილად. მიუხედავად ამისა, შავშეთი, აჭარა და სხვა ტერიტორიები ჯერ კიდევ დამოუკიდებლობას ინარჩუნებდნენ.[6] სხვა სიტუაციაა აჭარის ზღვისპირეთში. თურქი მოგზაური ევლია ჩელები ისტორიულ მასალაზე დაყრდნობით წერს, რომ სულეიმან კანუნის (1520-1566) დროს ტრაპიზონის ვილაეთის შემადგენლობაში შედიოდა: ქვემო ბათუმი, ზემო ბათუმი და გონიო.[7]

ჩვენთვის უცნობია რომელ ტერიტორიებს მოიცავდა „ზემო და ქვემო ბათუმი“, თუმცა ამ დროისათვის აჭარის დიდი ტერიტორია ოსმალებს რომ ჰქონდათ მიტაცებული, ეს დადასტურდა პროფ. ზაზა შაშიკაძის მიერ თურქეთის არქივში მიკვლეული საბუთით, რომელიც 1561 წლის ამბებს ეხება. მასში ნათქვამია, რომ ქართველი თავადი, სახელად ბეჟანი გამუსლიმანდა, სახელად მეჰმედი დაირქვა, ფიცი მიიღო, რის შემდეგ მას ფულიც აჩუქეს და აჭარის ხეობაც უბოძესო.[8] პროფ. რამაზ ხალვაშის აზრით, პიროვნება გვარად აბუსერისძე, ზენდიდელ ბეჟანიძეთა გვარის მამამთავრი და ზენდიდის ციხის აღმშენებელია.

განსხვავებული აზრი გამოთქვა პროფ. ბიჭიკო დიასამიძემ, რომელსაც ბეჟანიძეთა გვარი დიასამიძეთა განშტოებად მიაჩნია.[9]

ბეჟანიძეთა გვარის შესწავლისათვის ყველა ამ ცნობას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, რაც მომავალი მკვლევარებისაგან კიდევ უფრო დაწვრილებით განხილვას მოითხოვს.

საყურადღებოა, რომ ზ. შაშიკაძის დოკუმენტში მოხსენიებულია სოფელი ზენდიდი, სადაც იმ დროს, ე. ი. 1561 წ. 5 კომლი ცხოვრობდა.[10]

1578 წელს ჩილდირის ველზე ოსმალებსა და ქართველებს შორის გამართული გადამწყვეტი ბრძოლის შემდეგ აჭარის ბედი დიდი ხნით ოსმალეთს დაუკავშირდა. მხარე 1579 წელს ოსმალთა მიერ შექმნილი ჩილდირის ვილაეთის, იგივე ახალ-

ციხის საფაშოს ნაწილად იქცა, თუმცა აქ ოსმალთა პოზიციები მაინც შედარებით არამყარი იყო. 1595 წელს ოსმალებმა აღწერეს სამცხე-სათაბაგო და „გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთარი“ შეადგინეს. პროფ. მ. სვანიძის აზრით, „ოსმალებმა სულ ცოტა სამჯერ აღწერეს სამცხე სათაბაგო: პირველად მე-16 საუკუნის შუა წლებში, მეორედ 1566-1574 წლებში და მესამედ – 1595 წელს.“[11] პირველი აღწერის მასალები დიდხანს არ იყო მიკვლეული. ამდენად, ძნელდებოდა აჭარის მდგომარეობის სრულყოფილად გარკვევა. მართალია აჭარა ვერ მოხვდა „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში,“ მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მე-16 საუკუნის მიწურულშიც აჭარა იმუნიტეტითა თუ გარკვეული შეღავათებით სარგებლობს. სწორედ ასეთი მცდარი მოსაზრება გააბათილა პროფ. ზ. შაშიკაძის უახლესმა გამოკვლევებმა.

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ მოხსენიებულია აჭარის მირ-მირანი ახმედ-ფაშა (3.452), მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ აჭარაში მხოლოდ ახლა დაიწყო აღწერა. ზემოხსენებულ აჭარელ ახმედ-ფაშას სამცხეში ჰქონდა მიწის მფლობელობა, რის გამო სხვების მსგავსად 1500 ახჩით ისიც დაბეგრეს. თუმცა იმავე „გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთრის“ მიხედვით ირკვევა, რომ აჭარა ცალკე ლივა, ანუ სანჯაყი ყოფილა, რომელსაც ვინმე ახმედ ფაშა მართავდა.[12] ამაზე დაყრდნობით და იმის გათვალისწინებით, რომ აჭარის მოსაზღვრე ლივანა-შავშეთი ქართველ ფეოდალთა საკუთრებაში მყოფი სანჯაყებია (მ. სვანიძე), ა. ავალიანი გამოთქვამს ვარაუდს, რომ მათ მსგავსად „აჭარაშიც მფლობელობას ახორციელებდნენ იურთლუქის, ოჯაქლიქისა და მულქიეთის, ე. ი. საგვარეულო, სამემკვიდრეო და კერძო საკუთრების უფლებით“[13] (19,58-60). თანდათან კი აჭარელმა ფეოდალებმაც დაკარგეს მიწაზე კერძო საკუთრების უფლება და მხოლოდ საგვარეულო-სამემკვიდრეო მფლობელობის უფლება შეინარჩუნეს,[14] ამით დიდხანს, მე-19 საუკუნის 40-იან წლებამ-

დეც სამხედრო-ლენური სისტემის გაუქმებასთან დაკავშირებულ რეფორმებამდე, ე. წ. თანზიმათამდე სარგებლობდნენ. მართალია, ამის შემდეგ აქაურმა ბეგებმა (ფეოდალებმა) დაკარგეს მიწები და სანაცვლოდ პენსიები მიიღეს, მაგრამ თვით რუსეთთან შეერთებამდეც ხალხში ძველი ავტორიტეტი და ეკონომიკური ძლიერება კვლავაც შერჩენოდათ.[15] ოსმალეთმა აქ მთლიანად ვერ შეძლო თავისი სოციალურ-პოლიტიკური სისტემის გავრცელება და ეს კუთხე ავტონომიის უფლებით სარგებლობდა დღიდან ოსმალური გავლენის დამყარებისა. მართალია, 1705 წლიდან 1730 წლამდე გაგრძელდა აჭარის სოფლებისა და მოსახლეობის აღწერა,[16] რასაც კვლავ მოჰყვა მათი დაბეგრვა და აქ ოსმალური წეს-წყობილების დამყარების მცდელობა, მაგრამ აჭარაში გადასახადის აკრეფა მაინც არ მოხერხდა მოსახლეობის დიდი წინააღმდეგობისა და ხშირი აჯანყებების გამო. „აქ ოსმალთა ბატონობა ნომინალური იყო – აჭარის მოსახლეობა სულთანს გადასახადს არ უხდიდა და რეგულარულ სამხედრო სამსახურში არ გადიოდა, მხოლოდ ომის დროს აძლევდა მოლაშქრეებს“.[17] აჭარელთა თქმით: „1860 წლამდე ოსმალეთის მმართებლობა მამულში არ შეგვიშვია... ოსმალეთის მმართებლობა ჩვენზედ დიდ ძალას ვეღარ ხმარობდა და მშვიდობიანად გვექცეოდა, იმისთვის უფრო, რადგან რუსის მოსაზღვრე და ქართველთაგანები ვიყავით“.[18]

რაც შეეხება აჭარის ადგილს ოსმალეთის ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ დანაწილებაში: მე-16 ს-ს მიწურულს აჭარა ცალკე სანჯაყია.[19] მე-17 საუკუნის I ნახევარშიც ჩილდირის ეიალეთის შემადგენლობაში ცალკეა აჭარის სანჯაყი, ცალკე – მაჭახელი (აინი ალი, კოჩიბეი გორიჯელი, ალი ჩაუში, ევლია ჩელები).[20] ამავე პერიოდში ქათიბ ჩელები ტრაპიზონის ეიალეთში ასახელებს გონიოსა და ბათუმის სანჯაყებს.[21] მე-17 ს-ს ბოლოსა და მე-18 საუკუნის I მესამედისათვის აჭარის ტერიტორია ნაწილობრივ ჩილდირის ეიალეთის – ზემო და ქვემო აჭარის სანჯაყებშია მოქცეული, ბათუმის სანჯაყი კი

ტრაპიზონის ეიალეთში შედიოდა, მაგრამ ფორმალურად აქაური მოსახლეობა ჯერ კიდევ არავითარ ვალდებულებას სახელმწიფოს წინაშე არ ასრულებდა.

ვფიქრობთ, უინტერესო არ იქნება ქვემო აჭარის იმ სოფლების სია, რომლებიც 1705-1730 წწ. აღწერისას „ჩილდირის ეიალეთის ჯაბა-დავთარში“ მოხვდა, ესენია: აქუცა, ახო, ზვარე, ზუნდაგა, კვაშტა, მერისი, წონიარისი. როგორც ვხედავთ აქ აღარ იხსენიება ზენდიდი. როგორც ჩანს ის ხუთი კომლიც აიყარა და სოფელი დაცარიელდა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ზენდიდი ამ დროს ან უკვე აღწერილი იყო და სხვა დავთარში დააფიქსირეს, ან აღწერა აქ მოგვიანებით ჩატარდა. მე-18-19 საუკუნეებში ზემო აჭარის, ქვემო აჭარის და მაჭახლის სანჯაყები ახალციხის საფაშოს შემადგენლობაშია.[22] ბათუმის სანჯაყი და შესაძლოა, გონიო და ჩურუქსუც ტრაპიზონის ეიალეთშია.[23] მესხეთის ნაწილის რუსეთთან შეერთების შემდეგ დარჩენილი ქართული ოლქები ლაზისტანის (ტრაპიზონის ეიალეთი) და ჩილდირის (არზრუმის ეიალეთი) სანჯაყების შემადგენლობაში გაერთიანდა. ლაზისტანის სანჯაყი (ცენტრით ბათუმში) განსაკუთრებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა და უშუალოდ კონსტანტინეპოლს ექვემდებარებოდა. მასში შემავალ თერთმეტ ადმინისტრაციულ ერთეულს შორის იყო: ბათუმი, ჩურუქ-სუ, ზემო აჭარა, ქვემოაჭარა, მაჭახელი, გონიო.[24]

ზენდიდის ციხე

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ თავისი სტრატეგიული მდებარეობისა და მასშტაბების მიუხედავად ზენდიდის ციხეს მნიშვნელოვანი დატვირთვა საქართველოსათვის, თუ კონკრეტულად აჭარის რეგიონისათვის არ გააჩნდა და ქვეყნის ისტორიისათვის არც მეტ-ნაკლებად სერიოზული კვალი დაუმჩნევია. ყოველ შემთხვევაში ისტორიული წყაროები (როგორც ქარ-

თული, ისე უცხოური) სდუმან ამის შესახებ. მოგზაურ-მკვლევართა ჩანაწერებში (გ. ყაზბეგი, დ. ბაქრაძე, თ. სახოკია) ამ ციხის მიმართ განსაკუთრებული ინტერესიც არ ჩანს. უფრო მეტიც, არცერთი მათგანი არ ახსენებს ზენდიდის ციხეს. თუმცა ამას, გარკვეულიად, ახსნაც მოეძებნება: გიორგი ყაზბეგს ქვემო აჭარაში არ უმოგზაურია, ამიტომ ის არც ამ სოფელსა და ციხეს ასახელებს. დიმიტრი ბაქრაძე ციხის სანახავად არ ასულა, მაგრამ სოფელ არსენაულიდან კარგად დაუნახავს როგორც თავდგირიძეთა კვადრატული ციხე, ისე „ბეჟანოღლის ანუ ბეჟანიშვილის დიდი ორსართულიანი თეთრი სახლი“. მისივე სიტყვებით, კიდევ უფრო ზევით, „გულებისწყლის სათავეებთან, პირქუშად იდგა დაკბილული კლდის მსგავსი ძველებური ციხის ნანგრევები.[25] თედო სახოკია სინანულსაც გამოთქვამს, რომ ქედაში ყოფნისას პირადად ვერ მოახერხა ენახა ბეჟანიძეთა ოჯახი და ცოტა ხანს მათთან დარჩენილიყო.[26] ბუნებრივია, ამის გამო ციხეც ვერ დაათვალიერა. ალბათ ამიტომ ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში, სადაც სოფ. ზენდიდზეა საუბარი,[27] არაფერია ნათქვამი ისტორიული ციხის შესახებ. ამ მხრივ საყურადღებოა ასევე, რომ ი. სიხარულიძის მიერ სოფ. ზენდიდში დადასტურებულ 50 ტოპონიმს შორის არცერთი უკავშირდება ციხეს, თუ არ ჩავთვლით: ნაშენი (საძოვარი), ყორიათი (საძოვარი), ციხიაკილდე (ბუჩქნარი).[28] ნიშანდობლივი ფაქტია, რომ ამჟამად სოფ. ზენდიდის ერთ-ერთ უხუცესი მცხოვრებლისათვის დიდი ხნის მანძილზე, სიჭარმაგემდე ცნობილიც არ იყო, რომ სოფელს ციხე-სიმაგრე გააჩნდა. ეს ყოველივე ზენდიდის ციხის თითქოსდა ლოკალურ, ადგილობრივ მნიშვნელობაზე გაფიქრებინებს.

ზენდიდის ციხის აგების, მისი ინიციატორ-მშენებლისა თუ აგების თარიღის შესახებ საისტორიო წერილობით წყაროებში ინფორმაცია არაა. ამდენად შეუძლებელია კონკრეტულად რაიმეს თქმა. გვაქვს მხოლოდ გადმოცემები, დაცული ზ. ჭიჭინაძესთან და ხ. ახვლედიანთან. ზ. ჭიჭინაძე ზენდიდის

ბეჟანიძეების ციხე-სიმაგრის ნაშთები ს. ზენდიდში.

ციხეს „მოდი ნახე“-ს ეძახის (სხვათა შორის სოფლის უხუცესებისათვის ეს სახელი უცნობია). ბატონიშვილი ვახუშტი „მოდინახეს“ ციხეებს ასახელებს ქართლსა და იმერეთში, აჭარის „მოდინახეს“ შესახებ კი არაფერს ამბობს. თავის ერთ წიგნში ზ. ჭიჭინაძე წერს, რომ ციხე მე-18 საუკუნეშია აგებული ბეჟანიძეთა წინაპრების მიერ.[29] თუმცა 1911 წელს გამოცემულ წიგნში, მე-16 საუკუნის 70-იანი წლების ამბებთან დაკავშირებით, ახსენებს ზენდიდის „განთქმულ“ ციხეს, რომლის „კედლები მეტად სქელი და ყოვლათ უშიშარნი“ იყო და იქვე დასძენს, რომ ჯერ კიდევ თამარის დროს ეს ციხე „ნიშნათ ერთგულებისა“ ჩაბარდა ზენდიდის მებატონე თავადებს პირისფარეშისძეებს.[30] როგორც ჩანს, ამ ინფორმაციის გავლენით ხ. ახვლედიანი წერს: „გადმოცემით, ათაბაგები თავს აფარებდნენ ამ ციხეს, როდესაც მათ მტერი თავს დაესხმოდა. გადმოცემითვე, ამ ციხის თავები – უფროსები ყოფილან თამარის დროს განთქმული პირფარეშის ძენი. მე-12 საუკუნის შემდეგ მათ მიეცათ აჭარა და ზენდიდის ციხე“.[31]

ძნელი სათქმელია, თუ რას ეფუძნება ზემოაღნიშნული ცნობა. თამარის დროს ციხის არსებობაარც წერილობით, არც ნივთიერი მასალით არ დასტურდება. ჩანს, აქ უბრალოდ თამარის კულტის გავლენასთან გვაქვს საქმე და არა ობიექტურ რეალობასთან. ისტორიულ ჭეშმარიტებასთან კი უფრო ის გადმოცემაა მიახლოებული, რომელიც ციხის აშენებას მე-15-17 საუკუნეების მიჯნას უკავშირებს.

თამარ დედოფალი

საკითხავია, მაინც რა ძალამ ააშენა ეს ციხე აღნიშნულ პერიოდში და რას ემსახურებოდა იგი. როგორც ითქვა, ამ პერიოდისათვის უკვე ოსმალეთის გავლენა სუსტად, მაგრამ მაინც იგრძნობა რეგიონში, თუმცა, მე-17 ს-ის დამდეგისთვისაც კი, მიუხედავად აქ ოსმალური სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეულის – სანჯაყის არსებობისა, კუთხის ბატონ-პატრონებად ოსმალები არ გვევლინებიან. ამაზე შემდეგი გარემოებაც მიუთითებს: დაპყრობილ ქვეყანაში ოსმალები, ჩვეულებრივ, სტრატეგიულ მნიშვნელობის პუნქტებსა და ციხე-სიმაგრეებს სამხედრო გარნიზონებით ამაგრებდნენ, დანარჩენ სიმაგრეებს კი ხშირად სულთანის სპეციალური ბრძანებით ანგრევდნენ, იმ მიზნით, რომ, ჯერ ერთი, იქ არ დაებანდებინა ზედმეტი სამხედრო ძალები და, მეორე, ადგილობრივ მოსახლეობას არ ესარგებლა ამ ციხით და ჰქონოდა წინააღმდეგობის გაწევის საშუალება.[32] ასეთ სიტუაციაში ქვემო აჭარის სოფ. ზენდიდში სტრატეგიულად მოხერხებულ ადგილზე საშუალო სიდიდის ციხეს აგებენ. ზ. ჭიჭინაძის მიხედვით „მოდი ნახე“ მე-18 საუკუნესა და შემდ-

გომ პერიოდში სამცხიდან აჭარაში გადმოსახლებული ბეჟანიძეების წინაპართა აშენებულია. სხვა წყაროებისა თუ მასალის უქონლობის გამო, სამწუხაროდ მხოლოდ ვარაუდის დაშვება შეიძლება – კერძოდ, სამცხიდან ოსმალეთის აგრესიის შედეგად აჭარაში გადმოსული მსხვილი ფეოდალური საგვარეულო საკუთარი ძალის, ავტორიტეტისა და გავლენის საფუძველზე, ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად, ანტიოსმალური მოძრაობის სათავეში დგება და აჭარის მაგისტრალურ, საკვანძო გზასთან, სტრატეგიულად მნიშვნელოვან შემაღლებაზე ციხის აგების ინიციატორი ხდება. ალბათ ეს ციხე უნდა გამხდარიყო დასაყრდენი ოსმალთა აგრესიის შესაჩერებლად.

ზენდიდის ციხის ამშენებლის და ბეჟანიძეთა გვარის ფუძემდებლის შესწავლას ისტორიკოსმა რამაზ ხალვაშმა სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა. მკვლევარი ეყრდნობა ზაზა შაშიკაძის მიერ გამოვლენილ დოკუმენტს[33] და თვლის, რომ „აჭარაში ოსმალური მმართველობის დამყარების თარიღია 1561 წელი, როცა აჭარის ხეობა ჩამოერთვა ქრისტიან მმართველს, ბეჟანს და გადაეცა ისპირის მმართველს მემედ-ბეგს“. აჭარის მმართველის მიმართ ასეთი მკაცრი მოპყრობა მისი დაუმორჩილებლობითაა ახსნილი. ორი წლის შემდეგ ბეჟანი სტამბოლში ჩასულა, ისლამიც უღიარებია და სახელიც მეჰმედად შეუცვლია.

ბეჟანის ვინაობის დასაზუსტებლად რ. ხალვაშს მოაქვს „სამცხე-საათაბაგოში კათოლიკოზის სამწყსოთა, თავადთა და სოფელთა სია,“ რომელიც დიმიტრი ბაქრაძემ ასე ამოიკითხა: „დიასამიძეთა აქუს აბუსერის ძენი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა.“ რ. ხალვაში უფრო სარწმუნოდ მიიჩნევს ისიდორე დოლიძის მიერ ამოკითხულ ტექსტს:

„/8/ ღობიერნი, სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა, დიასამიძეთა აქუს.

/9/ აბუსერის ძენი, სასაფლაოთა მონასტრითა და კარის ეკლესიითა“ და დაასკვნის, რომ ისტორიულ ლიტერატურაში

დამკვიდრებული აზრი მე-14 საუკუნეში აბუსერის ძეთა გვარის დაქვეითებაზე არ არის სწორი. ეს გვარი ზეობას ინარჩუნებს მე-16 საუკუნის დამდეგს, როცა „დიასამიძენი განაგებენ ღობიერთა სამფლობელოს, ხოლო აბუსერის ძენი აჭარას.“ ამ აზრის გასამყარებლად მკვლევარს მოაქვს „კლარჯული სვინაქსარის“ მე-16 საუკუნით დათარიღებული აღაპები, სადაც გარდაცვლილი ბეჟან აბუსერის ძე და ჯერ კიდევ ცოცხალი მისი მეუღლე მზექალი მოიხსენიებიან. რ. ხალვაში სწორედ ამ ბეჟან აბუსერისძეს მიაწერს ზენდიდის ციხის მშენებლობას, რომელიც 1561 წელს დასრულებულაო. თვით ბეჟანს კი თვლის ბეჟანიძეთა გვარის მამამთავრად.

ზემოთ მოტანილი მოსაზრებები ძალზე საინტერესოა, ჩვენც დადასტურებულად მივიჩნევდით მეცნიერის ამ ვერსიებს, მაგრამ არის რამდენიმე დეტალი, რომელთა გარკვევის გარეშე ეს მოსაზრებები ვერ მიიღებს უცილობელი რეალობის სახეს:

1. როგორც დოკუმენტურად დადასტურებულია, სამცხე-საათაბაგოში და მათ შორის აჭარაშიც ოსმალო მოხელეებმა ჯერ კიდევ 1566 წლიდან დაიწყეს მოსახლეობის აღწერა, მაგრამ ამ მხარის ფაქტობრივი დაპყრობა გაცილებით გვიან, 1630 წლის შემდეგ დაიწყო და ამას რატომღაც უკავშირებენ ბექა ათაბაგს, რომელმაც უარყო ქრისტიანობა, აღიარა ისლამი და საფარ-ფაშად იწოდა. ამის მიუხედავად აჭარაში ცხოვრება კვლავ ძველი ინერციით გრძელდებოდა. იურიდიულად ოსმალური წეს-წყობილების დამყარება აქ დაიწყო 1705-1780 წლებში და ეს პროცესი დიდადაა დაკავშირებული სარწმუნოების შეცვლასთან, ეკლესია-მონასტრების რბევა-აოხრებასთან. ამდენად, 1561 წლისათვის ქრისტიან ბეჟანზე ხეობის ჩამორთმევა და აჭარაში „ოსმალური მმართველობის დამყარება“ ნაადრევი და ნაკლებად დამაჯერებელია.

2. მართალია, ისიდორე დოლიძე განსხვავებულად კითხულობს დიმიტრი ბაქრაძის მიერ აღმოჩენილ დოკუმენტს,[34] მაგრამ „აბუსერის ძენი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა,“ სულაც არ ნიშნავს, რომ ეს გვარი კვლავ დიდ-

ფეოდალთა სახელოს ინარჩუნებდა, მით უმეტეს, აჭარას ფლობდა, რადგანაც ამ წინადადებაში ეს მხარე საერთოდ არაა ნახსენები. ამ საკითხის ბუნდოვანობის ფონზე და მხოლოდ ვარაუდების არსებობისას შინაგანად ჩვენც გვჯერა, რომ აბუსერიძეთა დიდი გვარი (ერისთავთ-ერისთავები, ამირსპასალარები) ასე მყისიერად არ აღიგვებოდა და არ დაკნინდებოდა, მაგრამ ამ მოსაზრების დადასტურებას სხვა უფრო დამაჯერებელი საბუთები სჭირდება, თუმცა ზემოთ თქმულ ვარაუდებსაც აქვთ არსებობის იურიდიული უფლება.

აჭარის სიახლოვეს, სამცხეში ასეთ ფეოდალურ საგვარეულოს, რომელიც ოსმალებთან შეურიგებელი ბრძოლითაა ცნობილი, წარმოადგენდა დიასამიძეების საგვარეულო. შემთხვევითი არაა, რომ ზ. ჭიჭინაძე აღნიშნული ბეჟანიძეების (რომელთა ძველების მიერაც – მისივე თქმით, იყო აშენებული ზენდიდის ციხე) ძველ გვარად დიასამიძეს ასახელებს.[35] დღეს დიასამიძეების ციხედ არის ცნობილი ზენდიდის მეზობელი გულების მიუდგომელი ციხე (ესენი, სხვა მეზობელ ციხეებთან ერთად, ერთიანი საფორთიფიკაციო ჯაჭვის შემადგენელი ნაწილებია), რომელიც, სავარაუდოდ, დაახლოებით იმავე პერიოდისაა.

როგორც ჩანს, დიასამიძეებმა ერთხანს შეინარჩუნეს თავიანთი მდგომარეობა აჭარაში, შემდეგ კი თანდათან დათმეს პოზიციები. ამ საგვარეულოს ერთი შტო, ისევე, როგორც ოსმალთაგან დაპყრობილ სხვა ქართული ტერიტორიის მფლობელნი, ოსმალეთის სამსახურში ჩადგა, გამაჰმადიანდა და იურთლუკისა და ოჯაკლიკის (საგვარეულო-სამემკვიდრეო მფლობელობა) საფუძველზე შეინარჩუნა თავისი ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენა ოსმალთა ბატონობის დროსაც, რაც იყო ერთგვარი კომპრომისი. ზ. ჭიჭინაძის მიხედვით, მე-17 საუკუნის დამლევს, ერთ დიასამიძეთაგანს, რომელსაც ისლამი მიუღია, სახელად ბეჟანი რქმევია, „ამიტომაც ოსმალთაგან ამით დიასამიძეს მაგიერ ბეჟანოღლი სწოდებიათ, ოსმალურის სახელის „თულუმბაზადეს“36 დამატებით. დღეს ესენი იწოდებიან ბეჟანოღლი თულუმბაზადეთ.“ როგორც ჩანს, ბეჟანოღლებმა ამგვარი გზით

მოახერხეს ციხის შენარჩუნება, ოსმალთაგან ბეგობაც მიიღეს და ამიტომაც „მოდი ნახე“ ბეჟანიძეების საგვარეულო ციხედ აღიქმება.

შესაძლებელია სხვა ვარაუდის დაშვებაც. კერძოდ:მე-16 საუკუნის 70-იანი წლების შუა ხანებში შაჰ-თამაზმა, ირანის მბრძანებელმა დალაშქრა სამცხე. მიზეზი იყო ის, რომ საათა-ბაგოს ფაქტობრივმა მმართველმა დედისიმედმა (მისი მეუღლე გარდაცვლილია, ძე – ყვარყვარე კი მცირეწლოვანი იყო) მო-ტყუებით მოაკვლევინა სამცხის მსხვილი ფეოდალი, ირანის შაჰის ცოლისძმა, ვარაზ შალიკაშვილი, რითაც მისი სიძის რისხვა დაიმსახურა. „დედისიმედი და ძენი მისნი გარდაიხ-ვეწნენ აჭარას და მუნ განერნეს“ – წერს ვახუშტი.[37] ზ. ჭიჭინა-ძე აქ ვრცელ ამბავს ჩაურთავს, რომ, თითქოს, გამოქცეულებმა აჭარაში თავი სწორედ ზენდიდის ციხეს შეაფარეს, რომლის მფლობელმა დიასამიძე- პირფარეშის ძეებმა დიდი დახმარე-ბა აღმოუჩინეს მათ. „პირფარეშის ძენი მხნედ მოქმედებდნენ, ამათ შეკრიბეს მთელი აჭარის ვაჟკაცობა, ნამეტურ სახალხო გმირები და რჩევა ქმნეს ზენდიდში, რომ თუ შაჰ-თამაზი შემო-ვიდეს და გვეომოს, მაშინ ყველა ჩვენთაგანი მოკვდეს საქა-რთველოსთვისო. ყველამ ფიცი მისცეს, ვინც საქართველოს უღალატოს, ის შერცხვენილ იქნეს და შეჩვენებულიო.“[38] ამ გადმოცემის მიხედვით, ოსმალებმა აჭარაშიც ომი ჰქმნეს „მოს-წყდეს რამდენიმე ძმანი დიასამიძე – პირფარეშის ძეთა“, თუმცა საბოლოოდ სამცხე ოსმალებს დარჩათ.[39]

თუკი ეს გადმოცემა რაიმე ისტორიულ ჭეშმარიტებას ემყარება, მაშინ შეიძლება დავუშვათ, რომ ამ შემთხვევაში ზენდიდის ციხე პირველად იგერიებდა მტერს, ანუ სწორედ ირანელთაგან თავდასაცავად იქნა აგებული (იქნებ ოსმალთა მხარდაჭერითაც) და ხალხის მეხსიერებამაც პირველი ბრძო-ლის ეპიზოდი უკეთ შემოინახა.

1603-1612 წლებშიც და შემდეგაც, 30-იანი წლების ბო-ლომდე, შაჰ-აბაზ I-ის ირანმა კიდევ არაერთხელ დალაშქრა სამცხე და გარკვეული პერიოდულობით მისი შენარჩუნებაც

მოახერხა.[40] ბუნებრივია, არც ოსმალები თმობდნენ პოზიციებს, რის დასტურია ის, რომ ამ პერიოდში მათ ქ. ახალციხეში მაგარი ციხე აუგიათ და შიგ თავისი მეციხოვნეებიც ჩაუყენებიათ.[41] არაა გამორიცხული, რომ იმავე ოსმალების დასტურითა თუ უშუალო მონაწილეობით აჭარაში, კერძოდ ზენდიდში სწორედ მაშინ აშენებულიყო ციხე, რომელიც ერთი მხრივ, მათ სამსახურში ჩამდგარი ფეოდალური საგვარეულოს (დიასამიძე-ბეჟანიძე) სოციალურ-ეკონომიკურ დანიშნულებას (და შესაბამისად მასზე დაყრდნობით, რეგიონში ოსმალური გავლენის გაძლიერებას) მოემსახურებოდა, მეორე მხრივ კი, ირანელთა აგრესიის შემაკავშირებელ ფორპოსტად იქცეოდა.

ზემოთ მოყვანილ მასალებზე დაყრდნობით, შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ ზენდიდის ციხე აშენებულა მე-16 ს.-ის 70-იანი წლებისა და მე-17 ს.-ის 30-იან წლებს შორის პერიოდში. ასეთ ვარაუდს თითქოს გარკვეულად ამაგრებს ერთი ფაქტი. კერძოდ, დასაშვებია, რომ ზ. ჭიჭინაძესთან ციხის აღმშენებლად დასახელებული ახმედ ბეგი[42] და 1595 წლის „გურჯისტანის ვილაეთის დიდ დავთარში“ აჭარის მირ-მირანად, ანუ ბეგლარ-ბეგად მოხსენებული ახმედ-ფაშა[43] ერთი და იგივე პიროვნება იყოს. მარამ ყოველივე ეს მხოლოდ ვარაუდებია და კიდევ უფრო ღრმა შესწავლას მოითხოვს. ამ აზრის სასარგებლოდ ისიც მეტყველებს, რომ უკანასკნელი არქეოლოგიური გათხრების შედეგად მეცნიერებმა (შოთა მამულაძე, დავით მინდორაშვილი, მერაბ ხალვაში, ტარიელ ებრალიძე) ციხის მიმდებარე ტერიტორიაზე აღმოაჩინეს უძველესი (მე-9-10 ს.) ეკლესიის და სამაროვანის ნაშთები, გახსნეს საფლავი, სადაც აღმოჩნდა ქრისტიანული წესით დაკრძალული ადამიანი, რომელსაც ხელთ ჯვარი ეპყრა. ახალმა აღმოჩენამ მეცნიერები მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ამჟამინდელი ციხის ნანგრევების ადგილას იდგა ერთერთი ძველი ეკლესია, აქვე მდებარეობდა მიტოვებული სამაროვანი, რომელიც ამ ადგილების მფლობელებმა, როგორც მკვლევარები ფიქრობენ, მე-16-17 სს.-ში ციხის ასაშენებლად გამოიყენეს. როგორც ჩანს, კვლევა კვლავ უნდა გაგრძელდეს.

ვინ იყვნენ, საიდან მოვიდნენ „ბეჟანიძეთა წინაპრები“? ეს ძალზე რთული და დიდი საკითხია და სპეციალურ კვლევას საჭიროებს, მაგრამ მეცნიერთა ერთი ნაწილის მოსაზრების საფუძველზე შეგვიძლია გავაკეთოთ სავარაუდო დასკვნა. მე-14 საუკუნის შემდეგ აჭარის ერისთავთ-ერისთავების, აბუსერის ძეების კვალი აღარ ჩანს. ქართული ერთიანი სახელმწიფოს დაშლა-დანაწევრების კვალობაზე, როგორც ჩანს ერისთავთ-ერისთავის სახელო გაუქმდა, თვით აბუსერისძეებმაც დაკარგეს ძველი დიდება, ხოლო მათს სამფლობელოებს თანდათანობით დაეუფლა სამცხე-სათაბაგოში ცნობილი, არანაკლებ წარჩინებული გვარი დიასამიძე, ამაზე მეტყველებს ბაქრაძის მიერ მიკვლეული ზემოთხსენებული ხელნაწერი – სიგელი, სადაც პირდაპირ არის ნათქვამი: „დიასამიძეთა აქუს აბუსერისძენი სასაფლაოითა, მონასტრითა და კარის ეკლესიათა.“[44] სიგელის დაწერის ზუსტ თარიღს ავტორი არ ასახელებს, უბრალოდ მოიხსენიებს მე-11-15 საუკუნეების ამბებთან ერთად, რაც ერთხელ კიდევ გვიდასტურებს, რომ სიგელი შედგენილ უნდა იყოს მონღოლთა ბოლო შემოტევის დროს, როცა თითქმის მთლიანად მოიშალა ქართული სამეფოს და მისი შემადგენელი საერისთავო-სამთავროების ძლიერი სტრუქტურა. ამაში კი მე-14-15 საუკუნეების მიჯნა იგულისხმება.

დავუბრუნდეთ ზაქარია ჭიჭინაძის ჩანაწერებს, სადაც ბევრი რამ ზეპირსიტყვიერებიდანაა აღებული, ამდენად ისტორიული თარიღები ზოგჯერ არეულ-დარეულია, მაგრამ ჩვენთვის მთავარი ფაქტები საკმაოდ დამაჯერებლად და თანმიმდევრობითაა დალაგებული. კერძოდ, გვარის სამი შტოს (პირმსახურიძე-მსახურაძე, დიასამიძე, ბეჟანიძე) ტრანსფორმაცია დაკავებული თანამდებობის მიხედვით, კერძოდ თამარის პირფარეშების და პირფარეშისძეების, შემდეგ ერთი ბეჟან პირფარეშისძისაგან-ბეჟანიძეების, ბეჟანიშვილების (ოსმალობის დროს ბეჟანოღლის და თულუმბა-ზადეს) გვარის დაფუძნება და ა. შ. უფრო მეტიც, პირფარეშისძეებს ზ. ჭი-

დიმიტრი ბაქრაძე (1827-1890)

გიორგი ყაზბეგი (1839–1921)



ზაქარია ჭიჭინაძე (1854-1932) და **იოსებ იმედაშვილი (1876-1952)**

თედო სახოკია
(1868-1956)

ჭინაძე პირმსახურის-ძეებადაც მოიხსენიებს. მართალია, ის ვეღარ შეხვდა ამ გვარის მატარებლებს, ვერც მათს ადგილ-სამყოფელს გვისახელებს, მაგრამ მკვლევარის ამ ჩანაწერით ჩვენ გვიადვილდება საკითხის დაზუსტება. კერძოდ, გვარი პირმსახურისძე ოსმალთა დროს ნაწილობრივ ითარგმნა და პირსახუროღლის სახე მიიღო. ამ გვარის მატარებელთა საკ-მაოდ დიდი ჯგუფი ჭვანის ხეობაში დამკვიდრდა (შესაძლოა უფრო ადრე, ვიდრე ზენდიდში). პირმსახურისძეთა გვარის წარმომადგენლები ახლა მსახურაძის გვარს ატარებენ. ისინი

ცხოვრობენ ვარჯენაულში, გომარდულში, ბარათაულსა და ჭალაში (საყავრია). მათი ნამრავლი არიან ხელვაჩაურსა და სხვა რაიონებში გადმოსახლებული მსახურაძეები. მთლიანად საქართველოში მათი რიცხვი 150-მდე აღწევს, რომლებიც ძირითადად აჭარის რაიონებზე: შუახევზე, ხელვაჩაურსა და ქალაქ ბათუმზე ნაწილდება. საყურადღებოა, რომ მსახურაძეებს დღესაც აქვთ ნათესაობა ზენდიდელ ბეჟანიძეებთან და ეს ხსოვნა თაობიდან თაობას გადაეცემა.

ძველ ქართულ საისტორიო წყაროებში („ქართლის ცხოვრება“) ეს გვარი არ გვხვდება. ჩანს იგი ოსმალობის პერიოდში იღებს სათავეს (ოსმალურ სახელ „თულუმბაზადეს“ დღესაც ატარებს ბეჟანიძეთა ერთი შტო). ზ. ჭიჭინაძის აზრით ეს საგვარეულო სამცხელ დიასამიძეთა განაყოფია და დაწინაურებულ მდგომარეობას ქედაში აღწევს მე-17 საუკუნისათვის. ამ ასწლეულის დამლევისათვის ერთ მათგანს, ბეჟანს ისლამი მიუღია და ოსმალთაგან მისი მემკვიდრენი ბეჟანოღლებად (ბეჟანის შვილებად) წოდებულან.

საინტერესოა, რომ „ქართლის ცხოვრებაში,“ კერძოდ ბერი ეგნატაშვილ-თან, საკუთარი სახელი ბეჟანი მხოლოდ ერთხელ გვხვდება, და თანაც ზემოაღნიშნულთან ქრონოლოგიურად ახლო ეპოქაში. ეს ბეჟანი იყო გიორგი სააკაძის მხლებლის გორგასლის (სამწუხაროდ, გვარი არ სახელდება) შვილი. როცა გიორგისა და მის მხლებლებს ოსმალეთში თავის მოკვეთა გადაუწყვიტეს (1629 წ.), გორგასალმა მოისყიდა ჯალათი, თვითონ გასწირა თავი, შვილი ბეჟანი კი გადაარჩინა სიკვდილს.[45]

საკითხის კიდევ უფრო ნათლად წარმოსაჩენად და დასკვნების გასაკეთებლად აუცილებელია ბერი ეგნატაშვილის მონათხრობიდან ორი აბზაცის მთლიანად მოტანა:

„მოურავს უღალატა ვეზირმან დაპატიჟა და ღალატით მოკლა მოურავიცა და შვილებიცა და გამგებელი ქაიხოსრო და, რაც ჰყვანდა, ყოველივე ამოუწყვიტა. ერთი შვილი ახლდა თანა ავთანდილ, მოუკლეს იგიცა. მაშინ თან ახლდა გორგასალ და

შვილი მისი ბეჟან და წააყენეს ბეჟან სასიკუდილოდ. მაშინ შეეხუეწა და ქრთამი მისცა იასაულს, რომ მაგ ჩემს შვილს კი ნუ მოკლავ და მე მომკალიო, ჩემი თავი ანგარიშში გაგეთულებაო და მაგას ნუ მომიკლავო. მაშინ ისმინა მტარვალმან და არღარა მოუკლა შვილი, თვით გორგასალ მოკლა: თავი მოსჭრა, მიიტანა და ანგარიშში გააროინა. ბეჟან მორჩა და წარმოვიდა.

ხოლო ცოლი მოურავისა და შვილი მისი იორამ დარჩა არზრუმს ქუეყანასა, ხოლო ძენი მუხრანის ბატონის თეიმურაზისანი და ქაიხოსროსანი წარმოვიდნენ იმერეთიდამ, და მოვიდნენ მუხრანს, რა სცნა ბატონმან თეიმურაზ ამათი მოსვლა მუხრანს, დაუწყო მტრობა და არა გლახაკობითა.“[46] ვახუშტის თქმით, „თეიმურაზ მეფე მათ არ უტევდა მუხრანს, არამედ მისცა ძესა თვისსა დათუნას.“[47]

როგორც ამ ციტატიდან ჩანს, მოურავის მეუღლე და შვილი იორამი, თეიმურაზის შიშით, არზრუმს დარჩნენ, ხოლო იმერეთს გახიზნულმა თეიმურაზ და ქაიხოსრო მუხრან-ბატონის შვილებმა, მართალია, გაბედეს მუხრანს მოსვლა, მაგრამ თეიმურაზ მეფემ მათ მუხრანი აღარ მისცა, ამ სამფლობელოში თავისი შვილი დათუნა გააბატონა, მუხრანის კანონიერი პატრონები კი ღარიბ-გლახაკად იქცნენ.

გიორგი სააკაძე
(1580-1629)

როგორც ვხედავთ, დიდი მოურავის მომხრეებს და მის ერთგულ თანამებრძოლებს თეიმურაზ მეფე სასტიკად მოექცა, შესაძლოა, ზოგი ფიზიკურადაც მოსპო. საკითხავია, ასეთ პირობებში ბეჟან გორგასლის ძე, რომელიც მემატიანის თქმით, „მორჩა და წამოვიდა“, გაბედავდა სამცხეში დაბრუნებას? ჩვენი აზრით, ვერ გაბედავდა და მიაშურებდა იმ მხარეს, რომელსაც

კარგად იცნობდა და ამავე დროს მისთვის უსაფრთხოც იყო. თეიმურაზის მხრიდან მუქარის გარდა, ბეჟან გორგასლისძეს მეორე, შესაძლოა უფრო დიდი საფრთხე ემუქრებოდა. როგორც ცნობილია, გიორგი სააკაძემ და მისმა ყველა მხლებელმა ოსმალეთში აღიარეს ისლამი. ბუნებრივია, გამონაკლისი არც გორგასალი და ბეჟანი იქნებოდნენ. მაჰმადის რწმენაზე მოქცეულ ბეჟანს საფრთხე ქართული ეკლესიის მხრიდანაც ემუქრებოდა. ამიტომ მისი ახალი სამკვიდრებელი სხვა უსაფრთხო მხარე უნდა ყოფილიყო. ასეთ მხარედ მაშინ ითვლებოდა აჭარა, სადაც ის-ის იყო ფეხს იკიდებდა ისლამი. ამ მხარეს ბეჟან გორგასლისძე კარგად იცნობდა, რადგანაც გიორგი სააკაძე, თავის ერთგულ მხლებლებთან ერთად, ბაზალეთის ომის შემდეგ, ოსმალეთში სწორედ აჭარის გზით გადაიხვეწა, როგორც ამბობენ, ერთხანს ჭვანის ხეობაში, შალიკაშვილთა ციხეში (ოთალთა) დარჩა; არც ისაა გამორიცხული, რომ აქედან წასული დიდი მოურავის მომდევნო თავშესაფრად ს. ზენდიდი, ხოლო ციხე-კოშკებში თავშეფარება აუცილებელ ფაქტად მივიჩნიოთ.

ამგვარად, ბეჟან გორგასალის ძის ოსმალეთიდან საქართველოში დაბრუნების ერთადერთი სწორი და უხიფათო გზა მიდიოდა აჭარისაკენ, რომელსაც ის მეტნაკლებად იცნობდა. თუ ჩვენი მოსაზრება სწორია, მაშინ შესაძლოა ისიც ვივარაუდოთ, რომ ბეჟანი სამცხის რომელიღაც დიდგვაროვანი ოჯახის, შესაძლოა დიასამიძის შვილი იყოს. სხვათაშორის გიორგი სააკაძის თანამებრძოლები, ვინც მას ოსმალეთში გაჰყვა, იოსებ სააკაძის თქმით, არიან სამცხის თავადები: თანუნა დიასამიძე, ელიზბარ თაქთირიძე, პაპუნა ვაშაყაშვილი, როსტომ შალიკაშვილი, დაუთბეგ გოგორისშვილი, თამაზ ქარციძე და სხვა. ბუნებრივია, გაჩნდება კითხვა, თანუნა დიასამიძე როგორ შეიძლებოდა გამხდარიყო გორგასალ დიასამიძედ. როგორც ცნობილია, სახელი თანუნა პოეტმა იოსებ სააკაძემ მხატვრულ ნაწარმოებში გამოიყენა და არცაა გასაკვირი ეს მის მიერვე

შეცვლილი სავარაუდო ანთროპონიმი იყოს. მით უმეტეს, „დიდ-მოურავიანში“ ასეთი მეთოდი რამდენიმე პიროვნების მიმართ არის გამოყენებული. თუ ჩვენი ეს ვარაუდიც სწორია, მაშინ შეიძლება მიახლოებით დავასახელოთ ბეჟანის აჭარაში დამ-კვიდრების დროც. ესაა 1629 წელი, როცა დიდი მოურავის მხლებლები ამოხოცეს, ხოლო გადარჩენილებმა საიმედო ადგი-ლებს მიაშურეს.

თუ სინამდვილედ მივიჩნევთ, რომ გიორგი სააკაძის მხლე-ბელი გორგასალი და მისი შვილი ბეჟანი სამცხელი, ერთ დროს თამარის პირფარეშთა ოჯახის შთამომავალნი არიან (ზ. ჭიჭინაძე), მაშინ აჭარაში, კერძოდ ზენდიდში ციხის აშენე-ბა, თუ აღდგენა უნდა მიეწეროს ოსმალეთიდან დევნილ ბეჟან პირმსახურისძეს; მან სახელი გაითქვა, როგორც მამაცმა და მებრძოლმა მხედართმთავარმა, რომლის შთამომავალნი შემდ-გომში ბეჟანის ძეებად, ბეჟანიძეებად მოგვევლინენ, ე. ი. ბეჟან პირმსახურისძე გახდა ბეჟანიძეთა გვარის მამამთავარი.

ამგვარად, ნათელია, რომ დიდ მოურავს ოსმალეთში თან ახლდა ჩვენთვის საინტერესო ორი პიროვნება გორგასალი და ბეჟანი. მათი გვარები მხოლოდ სავარაუდოა. შეიძლება ვუწოდოთ პირმსახურისძეც და დიასამიძეც. ვარაუდის კიდევ უფრო დასაზუსტებლად აუცილებელია დიდი მოურავის ოსმა-ლეთში გადახვეწის ზოგიერთი დეტალის გარკვევა. ქართლი-დან გამოძევებულ და გზად მიმავალ გიორგი სააკაძეს როს-ტომ შალიკაშვილმა ურჩია დროებით დარჩენილიყო აჭარაში, სადაც როსტომს კარგი მამული ჰქონდა. პოეტი იოსებ სააკაძე თვით დიდ მოურავს ათქმევინებს:

„შალიკაშვილი როსტომ და ელიზბარ თაქთირიძეო,
ყაენთან სწორად ვიყავით, ერთი ძმა სხვა კი ვიძეო,
როსტომ თქვა: იცი, აჭარას კარგი მამული მიძეო,
იქ დადეგ, რადგან ქართლიდან ჯერხანად გამოიძეო.“[48]

ოთოლთას ციხე

ე. ი. აქ გიორგი სააკაძე ამბობს, რომ ყაენთან წასულს, თან ახლდნენ როსტომ შალიკაშვილი და ელიზბარ თაქთირიძე. ამათგან ერთი ძმადნაფიცი, ხოლო მეორე შვილობილი იყო, როსტომმა დიდ მოურავს უთხრა: აჭარაში კარგი მამული მაქვს, ამიტომ რადგანაც ქართლიდან დროებით გამოძევებული ხარ, იქ, აჭარაში დადექიო.

როგორც აღვნიშნეთ, გიორგი ერთხანს მართლაც დარჩა აჭარაში, მაგრამ დიდი ფიქრისა და განსჯის შემდეგ, გადაწყვიტა აქაურობასაც გასცლოდა, რადგანაც აჭარას და გონიოს ციხეს 1615 წლიდან ვიდრე 1625 წლამდე, ოსმალეთის სულთანის მხარდაჭერით, თავს აფარებდა თეიმურაზ მეფეც, მას ციხის მიმდებარე მიწებიც აჩუქეს და აქ მრავალი მომხრე ჰყავდა, რომელთაც ლტოლვილი მოურავისათვის შეეძლოთ უსიამოვნება მიეყენებინათ. აკი თურმე მეგობრებმაც ურჩიეს:

„მითხრეს, გონიოს რას ეძებ, შერთვია ზღვათა ქვიშებსა,
კაცს განუცდელსა სოფელი, იცით, რომ არა გაუშვებსა.“[49]

გონიოს ციხე

დღემდე დარჩენილია თქმულება, რომ გიორგი სააკაძის ზოგიერთი მხლებელი, კერძოდ, პაპუნა ვაშაყაშვილი, როსტომ შალიკაშვილი და თამაზ ქარციძე ჭვანის ხეობაში, ხოლო თანუნა დიასამიძე, ელიზბარ თაქთირიძე დადაუთ-ბეგ გოგორიშვილი ერთხანს ქვემო აჭარას დარჩნენ, შემდეგ კი 40 კაცი მოურავს გაჰყვა ოსმალეთში.

როგორც საისტორიო წყაროები გვაუწყებენ, თითქმის იმავე პერიოდში დიდგვაროვანი ფეოდალები სამცხეს მართლაც გაეცალნენ, ვახუშტის თქმით, „მესხი, ამილახორის შვილი, დიასამიძე, შალიკაშვილი და თაქთაქიშვილი (თაქთირიძე) შემდგომად თათრობისა ჩამოვიდნენ სამცხიდამ.“[50] მართალია, აქ დასახელებული არაა, ეს თავადები სად „ჩამოვიდნენ,“ მაგრამ ფაქტია, რომ მათ იქ აღარ ეცხოვრებოდათ და სხვაგან უნდა წასულიყვნენ. თაქთირიძეების (თავდგირიძეების), დიასამიძეებისა და შალიკაშვილებისათვის, როგორც ჩანს, ეს „სხვაგან“ აჭარა აღმოჩნდა.

ახლა რამდენიმე სიტყვა და ჩვენი ვარაუდი ზედწოდება „თულუმბა-ს“ სემანტიკაზე.

ბეჟანიძეთა ერთ ნაწილში გავრცელებულია აზრი, რომ „თულუმბა“ მოდის გარეგნულად ზორბა ადამიანის მეტსახელიდან. მეორენი ამას ოჯახის ერთ-ერთ ქალბატონს უკავშირებენ, მაგრამ ვერ ხსნიან რა კავშირი აქვს მეტსახელს ქალთან. ამგვარად, დღესდღეობით დაზუსტებული არა აქვთ გვარის თულუმბა-ბეჟანიძედ გაორმაგების მიზეზი.

გვარში დარჩენილი ცნობით, ტერმინი „თულუმბა“ დასაკრავთან, ჭიბონის მსგავს მუსიკალურ საგანთანაა დაკავშირებული. თითქოს გვარში იყო კაცი, რომელიც ამ ინსტრუმენტზე დაკვრით იყო ცნობილი. ძველ ქართულში მართლაც არის სიტყვა „თულო“, რომელიც საბას განმარტებით, „ფუნდრუკია ერთი“. აი, თვით ფუნდრუკი „არს ჭაბუკთამიერი მღერა, რბოლა, ხლდომა, ქვათა სრევა, მრავალრიგში სხვადასხვაობანი სიკისკასენი“.[51] ამგვარად, თულო არის ერთ-ერთი გასართობი „საკისკასო“ იარაღი, რომელიც თანდათანობით თულუმბად და ბეჟანიძეთა ზედწოდებად იქცა. ამ მოსაზრებას ამაგრებს აგრეთვე ქართულში დამკვიდრებული თურქული ტერმინი „თულუხი“, რომელიც დავით ჩუბინაშვილის განმარტებით, „წყლის საზიდი რუმბია“[52] (აქედან სიტყვა თულუხჩი). ყველა ეს ტერმინი (თულო, თულუხი) გაბერილ საგანთანაა დაკავშირებული

და გამორიცხული არაა, რომ ის გადატანითი მნიშვნელობით მოსულ, ზორბა ადამიანსაც ნიშნავდეს. მე თავს ვერ დავდებ ამ მოსაზრების სინამდვილეზე, მაგრამ ის ანგარიშგასაწევია.

ინტერესს იწვევს კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტ-ში ჩვენს მიერ მიკვლეული მე-17 საუკუნის ერთი საბუთი,[53] კონდაკი, რომელშიც ერთგან ჩაწერილია ანდერძი: „ღმერთო მოიხსენე ულუმპა და ბეჟან“. როგორც ვხედავთ ამ შემთხვევაში ულუმპა ქალის სახელია (ულუმპია, ოლიმპია), რომელიც ბერძნულიდან ნაწარმოებ ქართულ სახელს ჰგავს. ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ თულუმბა ულუმპას სახეცვალი ფორმაა? თუ ეს ასეა, მაშინ ჩვენი ვარაუდები კიდევ უფრო გაღმავდება, რადგანაც ამ ხელნაწერის მიხედვით:

1. „ულუმპა“ (ქალის სახელი) დაკავშირებულია ჩვენთვის საინტერესო მამაკაცის სახელთან – „ბეჟან“;
2. ხელნაწერი შედგენილია სწორედ იმ პერიოდში, საიდანაც ვვარაუდობთ ამ სახელისაგან გვარის, ბეჟანის ძის (ბეჟანიძის) წარმოშობას;
3. ერთმანეთს ემთხვევა, ერთის მხრივ, ბეჟანიძეთა ერთ ნაწილში არსებული თქმულება (თულუმბას ქალის სახელისაგან წარმომავლობაზე) და მეორეს მხრივ, მე-17 საუკუნის საბუთში მოხსენებული ქალის სახელი;
4. ულუმპა – თულუმბა მოხსენებულია ბეჟანთან ერთად, რომელიც შემდეგ სინთეზურ გვარად თულუმბა-ბეჟანიძედ იქცა;
5. ცნობილი ხდება, ჯერ ერთი, ბეჟანიძეთა გვარის მამამთავრის ბეჟან პირმსახურიძის მეუღლის სავარაუდო სახელი (ულუმპია), მეორეც, გვარი ბეჟანიძე და ზედწოდება თულუმბა ვარაუდით ნაწარმოებია ცოლ-ქმრის სახელებისაგან ერთსა და იმავე დროს, მე-17 ს.-ის პირველ ნახევარში.

მოტანილი ვარაუდები არ გვაძლევს უფლებას კატეგორიულად დავადასტუროთ ქალის სახელისა და ბეჟანიძეთა ზედწოდების იდენტურობა, მაგრამ გვარში არსებული ხსოვნა და

ამ საბუთის ანდერძ-მინაწერი, ვფიქრობთ, ანგარიშგასაწევია, ყოველ შემთხვევაში ძალაში რჩება მანამდე, სანამ ახალი, უფრო სარწმუნო არგუმენტი არ გამოჩნდება.

* * *

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ბეჟანიძეთა ერთ ნაწილში არსებობს გვარის წარმომავლობის მეორე, რადიკალურად განსხვავებული აზრი. ზენდიდელმა ლეილა ბეჟანიძემ, თბილისის უნივერსიტეტის აღზრდილმა, ფილოლოგმა და ჟურნალისტმა, გაგვაცნო ახმედ იუსუფის ძე ბეჟანიძის (1868-1948) ნაამბობი, რომელიც ჩაწერილია 1946 წ. 27/8.54 მისი თქმით, მათი წინაპარი თამარ მეფის კარზე იყო ბეჟანიძე, რომლისთვისაც ზენდიდის ციხე დედოფალს უჩუქებია. ამ ციხეს ისინი საუკუნეების მანძილზე იცავდნენ, მაგრამ სამცხიდან (ადიგენიდან) ლტოლვილ დიასამიძეებს უთხოვიათ ციხეში შეხიზვნა, თითქოს მათ მტერი მოსდევდათ. ბეჟანიძეებსაც შეუფარებიათ ისინი, მაგრამ ღამით, როცა ყველას ეძინა დიასამიძეებმა მოკლეს ციხის მცველები და ხელთ იგდეს გასაღებები. შემდეგ ციხეს მოადგნენ ოსმალები და დიასამიძეთა დახმარებით ციხე აიღესო. ჩვენი გენი ზენდიდის ბეჟანიძეები, იგივე პირფარეშისძენი, პირმსახურიშვილები, პირმსახურიძეები არიან. ჩვენ ნათესავები გვყავს ჩაქვში და აგრეთვე ჭვანაში, მსახურაძეებიო.

მეორე ინფორმატორი, ახმედ თეარის ძე ჩხეიძე, დაბადებული 1880 წელს (გარდაიცვალა 96 წლის ასაკში, 1976 წელს) თითქმის იმასვე ადასტურებს, რომ პირველად ზენდიდში ბეჟანიძეები მოვიდნენ, ხოლო მოგვიანებით დიასამიძეებმა ციხე მტერს ჩააგდებინეს ხელთ, თვითონ ბეჟანიძეთა მამულში გაბატონდნენო. აქაურებმა მუსლიმანობა იძულებით მიიღეს „მარა იცოდეთ, წყალს ადგილს შეუცვლი, იქეთ გადაადენ, აქეთ გადმოადენ, ბოლოს ის მაინც მის გზას მონახავს. ისეა

ადამიანიც, დადგება დრო და ყველა გახდება წინანდებურად ქრისტიანი. მე რასაც მოვესწარი, იმას ვემსახურე, თქვენ რასაც მოესწრებით იმას ემსახურეთ. ღმერთი ერთია, მისი ყველა სამსახური სასარგებლოა, მარა გულითნა იწამო, სიტყვით თქმა შედეგს არ მოგვცემს. იქიდანაც ხომ ჩანს, ბეჟანიძეების ციხეზე რომ ვლაპარაკობთ. იმ ციხის ახლოს საყდარი რომ იყო, იცით? იქ ლოცულობდნენ ის დალოცვილი პირსახუროღლები."[55]

ქალბატონი ლეილა ბეჟანიძე თავადაც მთლიანად იზიარებს ამ ორი ინფორმატორის აზრს და ეხება ბეჟანიძეთა დიდ უძრავ ქონებას, აგრეთვე გვარის გავლენას მთელს აჭარაში: „ზენდიდის ტყეებიდან, ქალასკურის მთიდან დაწყებული, ქედაში, გამოღმა ცენტრი მთლიანად, სოფელ გულების ბოლომდე და ძენწმანის ხიდამდე, ბეჟანიძეების მამულები იყო... ხინოსა და მათუმშიც ჰქონდათ მამულები ცხენების სადგომით. ქედა ოდითგან იყო სავაჭრო ცენტრი, ბეჟანიძეები კი იყვნენ ყველაფრის გამგებელნი. მტერი ვერაფერს გახდა, ვერ დაიმორჩილა ბეჟანიძეები, ვერ გაამუსლიმანა და თავი დაანება, მაგრამ ოსმალურ ადათ-წესებს მაინც აძლიერებდა – იძულებულნი შეიქმნებიან და თავად გამუსლიმანდებიანო. ასეც მოხდა. დრომ თავისი გაიტანა. ისინი გამუსლიმანდნენ, მაგრამ ენა შეინარჩუნეს და დიდხანს ქრისტიანობასაც ვერ შეელივნენ. თიხისაგან კეცს ან რაიმე ჭურჭელს რომ დაამზადებდნენ, ჩუქურთმებში ვაზს დახლართავდნენ და შიგ აუცილებლად ჯვარს ამოტვიფრავდნენ. ჩვენს ოჯახში შემორჩენილი ძველი ნივთებიდან საბჭოთა პერიოდში თითქმის ყველაფერი განადგურდა და დაიკარგა. მეხსიერებიდან არ ამომდის ხუთსანტიმეტრიანი ოქროს ჯვარი, თავისი ოცსანტიმეტრიანი ძეწკვით. მამა სალიხ ბეჟანიძე კომუნისტური პარტიის წევრი იყო. ერთ-ერთი პარტიული კრებიდან დაბრუნებულმა გამოიტანა სადღაც გადამალული ჯვარი და ბეჭედი და დედას შეეკითხა: „ამათ რა ვუყოთ"-ო. დედა შეშფოთდა და მცირე ფიქრის შემდეგ უპასუხა: „ჯვარი ეკლესიას ჩააბარე, მაგრამ ბეჭედს ვერ დავთმობ, მე მქონდეს, ვერ წამართ-

მევენ“-ო.“ კარგად ვიცი, რომ მამამ ჯვარი და საღვთო წიგნები ეკლესიას შესწირა, მაგრამ არ ვიცი რომელს, მაშინ მხოლოდ ბათუმის რუსული ეკლესია მოქმედებდა, ამიტომ ვფიქრობ, ჩვენი რელიკვიებიც იქ უნდა იყოს.“ ქალბატონმა ლეილამ მაჩვენა დედისაგან დანატოვარი ოქროს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია, „წმინდა გიორგი ამარცხებს ურჩხულს“ – მათლაც უძვირფასესი ნივთი, რაც კი ქრისტიანობის დაკარგვის შემდეგ შემორჩა აჭარას.[56]

ქალბატონ ლეილა ბეჟანიძის და მისი ინფორმატორების აზრი, ზენდიდის ციხისა და ბეჟანიძეთა გვარის ისტორიაზე, ჩვენ მკითხველის სამსჯავროზე გამოვიტანეთ მხოლოდ იმიტომ, რომ ასეთი მოსაზრებები არსებობს; ჩვენ მათს შეფასებასაც მკითხველს მივანდობთ, თუმცა აღვნიშნავთ, რომ ბეჟანიძეთა ნაწილის მოსაზრება განსხვავებული და ტრადიციულადაც დამკვიდრებულია.

ლეილა ბეჟანიძე
1986 წ.

დღეს ბეჟანიძეები სახლობენ ქედაში, ჭვანაში, ჩაქვსა და ქობულეთში. ეს უკანასკნელნი აღიარებენ თავიანთი ძველების გადმოცემას, რომ ყველანი საერთო სამკვიდრო მამულიდან – ქედიდან წამოვიდნენ.

ზენდიდის ბეჟანიძეები საკმაოდ გავლენიანი ხალხი ყოფილა. ამ გვარის წარმომადგენლების სიტყვით, ბეჟანიძეებს მამულები ჰქონიათ ქედის ცენტრში, გულებში, ვარჯანისში, ტყეები-ზენდიდში, საძოვრები – კელასკურში, სახლები – ქ. ბათუმში. როგორც ჩანს, თურქეთის მმართველობის ბოლო პერიოდში უფრო დაწინაურებულან ბათუმისა და ჩაქვის ბეჟანიძეები, რასაც აღიარებს ა. ფრენკელი.[57] სწორედ ამ შტოს ეკუთვნოდნენ ხუსეინ და ხასან ბეჟანიძეები, რომლებიც, სხვებთან ერთად,

1878 წლის ნოემბერში თბილისში მიწვეულ აჭარის დეპუტაციაში შედიოდნენ. საინტერესოა, რომ ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე, ფრანგი მოგზაური ჟან მურიე[58] და სხვ. ბათუმში არსებულ „თამარის ციხეს," რომელიც მან „ძველი სახლებისა თუ კოშკის ნანგრევებად" მიიჩნია, ბეჟანოღლების ანუ ბეჟანიშვილების საკუთრებად ასახელებს.

ჩვენ ქვემოთ ვიტყვით, როგორ დაისაკუთრა „თამარის ციხე" ბეჟანიძეთა გვარმა, მაგრამ ამ ციხის კედლებს შო-

თამარის ციხე ბათუმის მხრიდან. მოჩანს მოგვიანებით აშენებული ბეჟანიძეების სასახლე

რის მათ ხის სახლიც რომ ჰქონდათ ამაზე თვით დიმიტრი ბაქრაძეც მიუთითებს: „იქ, სადაც ყოროლის წყალი ზღვას შეერთვის, აღმართულია პატარა გორაკი, რომელზეც ახლა სარაიად წოდებული ბეჟანოღლის სახლი დგას. ხელოვნური გორაკია, რომელიც თამარ მეფემ გააკეთებინა იმ დროს, როცა

დიდი ლაშქრით ბრუნდებოდა ტრაპიზონიდან (1204 წ.). მასზე თამარმა მაშინვე ააგო ციხე, რომლის ნაშთი დღესაც ჩანს... ეს სახლი დგას მომცრო განმარტოებულ კონუსისებრ გორაკზე, რომელიც თითქოს ხელოვნურ ყორღანს ქმნის. იგი უკაცრიელი იყო, დანგრევის პირას მიწევნილი, მისი ზემო სართული ხისა იყო, ქვემო ქვისა, ვიწრო დერეფანი ბოსელში გადიოდა. სახლთან იდგა ძველი ქვითკირის გვირგვინიანი ჭა."[59] ამგვარად ბეჟანიძეებს ეს ადგილი არამარტო შეუძენიათ, არამედ ციხის ნანგრევებს შორის სახლიც აუშენებიათ, რაც მათს დიდ გავლენაზეც მიუთითებს.

ბეჟანიძეთა გვარმა თავისი ისტორიული მისია პირნათლად შეასრულა, რითაც ხალხის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

ბეჟანიძეთა გვარის ადგილი საქართველოს ისტორიაში

როგორც ცნობილია, ბეჟანიძეთა გვარი მე-16-17 საუკუნიდან საკმაოდ მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ქართველი ერის ისტორიაში. ამიტომ ბუნებრივია, რომ ამ გვარის წარმომავლობას, დაფუძნებას, ბუდე-ადგილებს თითქმის ყველა მეცნიერ-ისტორიკოსი და მოგზაური შეეხო. ბეჟანიძეებზე მასალები გამოაქვეყნეს დიმიტრი ბაქრაძემ, სერგეი მესხმა, პეტრე უმიკაშვილმა, ალექსანდრე ფრენკელმა, ზაქარია ჭიჭინაძემ, თედო სახოკიამ, დავით კლდიაშვილმა, აპოლონ წულაძემ, აგრეთვე კათოლიკე-ჟამთააღმწერლებმა და ჩვენი დროის მრავალმა მკვლევარმა.

ამის მიუხედავად, ბეჟანიძეთა შესახებ ჯერ კიდევ ბევრი რამ ბუნდოვანია. ამას აღრმავებს ისიც, რომ ახალციხის საფაშოს მაღალ პოსტებზე მოღვაწე თულუმბა-ბეჟანიძეების არც სახელები ვიცით და არც რომელიმე მათგანის ბიოგრაფია.

ბეჟანიძეთა წარჩინებული გვარის ზოგიერთი წარმომადგენლის ბიოგრაფიას მეტნაკლებად ვიცნობთ მე-19 ს.-ის პირველ ნახევრიდან. სანამ ცალკეული პიროვნების შესახებ ვიმსჯელებთ, აუცილებელია ვთქვათ, რომ ამ გვარის ბუდე-ადგილია სოფელი ზენდიდი. სწორედ ამ სოფლის და ქვემო აჭარის სხვა ადგილების მფლობელები იყვნენ ზენდიდელი ბეჟანიძეები, ხოლო ჩაქვის ფეოდალები, რომლებმაც დროთა მსვლელობაში თავიანთი შესაძლებლობებით, გავლენითა და ქონებით დიდად გაუსწრეს ზენდიდელებს, სწორედ მათი განაყოფი მოძმენი არიან. ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ, რომ აჭარაში ჩვენს დრომდე მოვიდა ბეჟანიძეთა გვარის ორი ძირითადი შტო: ზენდიდისა და ჩაქვისა.

ბოლო წლების გამოკვლევებმა ცხადჰყო, რომ ბეჟანიძეები ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში ცხოვრობდნენ სამცხე-ჯავახეთში. ისინი ბოლო დრომდე მიწებსაც ფლობდნენ. ერთ-ერთი მათგანია ალი-ფაშა ბეჟანიძე (მოკლეს 1797 წ.). ასევე ცნობილი ხდება, რომ სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტრის ერთ-ერთი მცველისა და მეურვის, წარმოშობით ახალციხელი სიმონ ზაზაძის დედა ბეჟანიძის ქალი ყოფილა(იხ. ქვემოთ). კომუნისტების მმართველობის დასაწყისში იხსენიება ერთ-ერთი ბეჟანიძე, რომელსაც მამული ს. ოშორაში (ახალქალაქის რაიონი) ჰქონია და მისი ოჯახი გლეხებს დაურბევიათ.

ყოველივე ზემოთქმული ხომ არ ნიშნავს, რომ <u>პირმსახურიძე-ბეჟანიძეთა ერთი შტო მესხეთში დარჩა და იქ განაგრძო თავისი გვარეულობა?</u>

ა) ზენდიდელი ბეჟანიძეები

ისტორიული ქრონოლოგიის დაცვის მიზნით ჩვენ, პირველ რიგში, ზენდიდელ ბეჟანიძეებზე ვისაუბრებთ, რადგანაც სწორედ ისინი ითვლებიან აჭარაში გვარის ფუძემდებლებად და მრავალ წყაროში თულუმბა-ბეჟანიძედ, თულუმბა-ზადედ, თულუმბა-ბეგებად არიან მოხსენიებულნი. ჩვენთვის მხოლოდ ზემოთქმული ვარაუდითაა ცნობილი, რას ნიშნავს ზედწოდება „თულუმბა," ის კი ვიცით, რომ ეს ზედწოდება მხოლოდ ზენდიდელ ბეგებს ჰქონდათ.

ბეჟანიძეთა დაწინაურება განსაკუთრებით საგრძნობია სამთუღიან ფაშად სელიმ ხიმშიაშვილის აღზევების შემდეგ.* 1803 წლის აპრილის დღიურებით ერთ-ერთი ბეჟანიძე-თულუმბა, სელიმ-ფაშის კარზე ქეჰად, (ადმინისტრაციული აპარატის უფროსად, მეორე კაცად, ომიანობის დროს ჯარის მთავარსარდლად) მოიხსენება. იმავე წლის 14 აპრილს მომხდურებს ახალციხიდან ნახირი გაუტაცნიათ, როცა მისი დაბრუნება ვერ შეძლეს, მეპატრონეებმა დახმარებისათვის სელიმ-ფაშას მიმართეს, მისი დავალებით ქეჰა-სარდალი ბეჟანიძე გამტაცებლებს დაედევნა და ნახირი დაატოვებინა.

1806 წლის 21 აპრილს სელიმ-ფაშა აჭარიდან დაბრუნებულა, მას თან ახლდა მისი სარდალი თულუმბა-ბეჟანიძე.

მომდევნო ჩანაწერები ფაშასა და ბეჟანიძეებს შორის ურთიერთობის გამწვავებას ეხება. ამასთან დაკავშირებით საკმაოდ დიდ შეუსაბამობას და ურთიერთგამომრიცხავ ცნობებს

---

* ოსმალეთში იმ დროს მიღებული იყო მოხელეთა რანგის სამი კატეგორია: ერთი, ორი ან სამი თუღი. თუღს უწოდებდნენ ცხენის ძუის კონით შემკულ მოოქროვილ ბურთულას, რომელიც ტარზე იყო დამაგრებული. ეს ალამის მსგავსი ნივთი მხლებლებს ფაშის ფეხდაფეხ მიჰქონდათ. ერთი თუღის მქონე ფაშა იყო მირლივა, სანჯაყ-ბეგი, სადროშოს მეთაური; ორისა – მირმირანი, ბეგლარ-ბეგი, ვალი, ვილაეთის გამგებელი. ხოლო სამთუღიანი ფაშა – ვეზირი, რომელიც ამავე დროს სულთანის საბჭოს წევრიც იყო.

სელიმ-ფაშა ხიმშიაშვილი

წავაწყდით, ერთგან, მიზეზის დაუსახელებლად, ნათქვამია, რომ სელიმ-ფაშამ აჭარელი (თულუმბა) სიკვდილით დაასჯევინაო.[60] (1806 წლის 23 აპრილის დღიური). დასჯის მიზეზი დასახელებული არაა.

მივყვეთ მოვლენების შემდგომ თანმიმდევრობას:

1808 წლის 12 აპრილს „სელიმ ფაშამ თავისი ქეჰა ციხეში ააწევინა და კიდევ დაახრჩობინაო“ – წერს იოანე ხუცესი.[61] მეორე მემატიანე სტეფანე ნავროზაშვილიც ადასტურებს ამ შემთხვევას და ზუსტად 1808 წლის 12 აპრილის დღიურში წერს: „წუხელის ქეჰა მოკლა ფაშამ,“ ხოლო 16 აპრილს „თულუმბაი ქეჰა გახადესო,“ – ამბობს იგი.[62]

ეს ჩანაწერები მკვლევარებმა სხვადასხვაგვარად ახსნეს. რაკი ქეჰას სიკვდილით დასჯაზე იყო ლაპარაკი, 1806 წლის ამბები ერთმანეთში აურიეს და 1808 წელს დასჯილი პიროვნებაც უეჭველად ბეჟანიძედ მიიჩნიეს, რასაც მოჰყვა მცდარი დასკვნები. როგორც ზემოთ დავინახეთ, ორივე მემატიანე ასახელებს წოდება „ქეჰა“-ს, მაგრამ არცერთ შემთხვევაში არაა ნახსენებული არც გვარი ბეჟანიძე და არც ზედწოდება თულუმბა. პირიქით, ორი დღის შემდეგ „თულუბაი ქეჰა გახდა.“ ერთი წლის შემდეგ 1809 წლის აპრილის დღიურში ვკითხულობთ, რომ „თულუმბა ქეჰას ოჯახლი (მეჯლისი რ. ს.) ზორბით აუდგა“ და მეორე დღეს კი „თულუმბა ჯარით ახალქალაქისაკენ წავიდაო“[63] ე. ი. თულუმბა-ბეჟანიძე კვლავ აგრძელებდა ქეჰას მოვალეობის შესრულებას.

აქ ორი მემატიანის ჩანაწერი თითქმის ემთხვევა ერთმანეთს, ამიტომ მათს სიმართლეში ეჭვის შეტანა უადგილოა;

ირკვევა, რომ 1808 წელს დასჯილია არა ბეჟანიძეთა გვარის წარმომადგენელი, არამედ სხვა ვინმე, ქეჰას მოვალეობის შემსრულებელი, რომლის ადგილი შემდეგ თულუმბა-ბეჟანიძემ დაიკავა.

სამართლიანობა მოითხოვს აქვე მოვიტანოთ ერთი ციტატა ცნობილი სახელმწიფო მოღვაწის, ხასან ლორთქიფანიძის* 39-გვერდიანი ჩანაწერიდან, რომელიც შესრულებულია რუსულ ენაზე 1931 წლის 8 ნოემბერს. ერთ ადგილას ავტორი ეხება სელიმ ხიმშიაშვილისა და ერთ-ერთი ბეჟანიძის ურთიერთობას, რაც მისი აზრით, სელიმ-ფაშისათვის ტრაგიკულად დამთავრდა: „ისტორიაში ცნობილია აჭარელთა აჯანყება, რომელიც თურქთა მიერ ხირხათის ალყით დასრულდა. ესაა ზემო აჭარის ციხე-სიმაგრე, სადაც თავისი ჯარით ჩაიკეტა აჭარის ბეგი, სელიმ ხიმშიაშვილი, რომელიც ქვემო აჭარელი მეორე ბეგის (ბეჟანიძის) ღალატით ტყვედ ჩაიგდეს და თავი მოჰკვეთეს.“[64] საიდან მოდის ასეთი მკაცრი დასკვნა?

ხასან ლორთქიფანიძე

სელიმის სიკვდილით დასჯიდან ორი კვირის შემდეგ გენერალი რტიშჩევი თ. ა. ვეიდემაიერს სწერდა: ბაბა-ფაშამ თავისი არმიიდან გამოჰყო „15 ათასი რჩეული კაცი და ხიხანზე გაგზავნა. ამ ჯარს რამდენიმე დღეს ბლოკადაში ჰყავდა

* ხასან ისმაილის ძე ლორთქიფანიძე (1888 -1938) დაიბადა ბათუმში. დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი (1913 წ.) დიდი პატრიოტს და კანონმცოდნეს მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის საქართველოს ფარგლებში აჭარის შენარჩუნებაში. მან შეიმუშავა ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტი და საარჩევნო კანონი. დააპატიმრეს 1937 წ. ივლისში და გაუსამართლებლად სიკვდილი მიუსაჯეს.

ციხე, მაგრამ შესაძლოა ისეთივე ბედი რგებოდა, როგორც სეკრასკირის მიერ ადრე გაგზავნილ ორ რაზმს, თუ არა ღალატი სელიმის უსაყვარლესი პიროვნებისა,რომელიც ფაშის განუსაზღვრელი ნდობით სარგებლობდა. მან კარები გააღო და სერასკირის ჯარს ციხე ჩააბარა თვით სელიმ-ფაშასთან ერთად."[65]

ხირხათის ციხის ალაყაფის კარების ღალატით გაღებაზე და სელიმის დატყვევებაზე იმასვე იმეორებს ამ თემით დაინტერესებული თითქმის ყველა ავტორი: დ. ბაქრაძე, გ. ყაზბეგი, თ.სახოკია, ა. სურგულაძე, ხ. ახვლედიანი, ვ. იაშვილი, შ. მეგრელიძე, ი. სიხარულიძე და სხვ. ისინი აღნიშნავენ, რომ ციხის კარები გააღო სელიმის ყველაზე მეტად დაახლოებულმა და საყვარელმა პიროვნებამო, მაგრამ არცერთი მათგანი გამცემის გვარს არ ასახელებს. თუ ხ. ლორთქიფანიძის ჩანაწერს და მომდევნო ავტორების ამ გამონათქვამს შევაჯერებთ, ეს უნდა ყოფილიყო სელიმ-ფაშის ქეჰა-მთავარსარდალი თულუმბა-ბეჟანიძე, მართლაც ყველაზე დაახლოებული და საყვარელი პიროვნება, მაგრამ ჯერჯერობით არცერთ ისტორიულ წყაროში ამის დამადასტურებელი ცნობა არ მოიპოვება, ამიტომ ბეჟანიძეზე ამ ცოდვის ხელაღებით აკიდება მიზანშეწონილად არ მიმაჩნია. ჩვენ ეს ვარაუდები აქ მოვიტანეთ მხოლოდ იმიტომ, რომ ყურადღების გარეშე არ დაგვეტოვებინა უკვე გამოქვეყნებული და ხელნაწერი მასალები და ამ საკითხებზე ჩვენი აზრიც გამოგვეთქვა.

პირველ რიგში ავღნიშნავთ, რომ ხიმშიაშვილთა და ბეჟანიძეთა ახლო ურთიერთობა დასტურდება არამარტო სახელმწიფო ასპარეზზე მოღვაწეობის დროს, არამედ ნათესაურ სფეროშიც. ამაზე მეტყველებს როგორც ძველი, ასევე მომდევნო ურთიერთობები. ამ მხრივ სელიმის სიკვდილით დასჯიდან, დაახლოებით სამი წლის შემდეგ, 1818 წელს სელიმის შვილის ახმედ-ბეგისა და ჩაქველი სეფერ-ბეგ ბეჟანიძის ქალის დუდი-

ხანუმის შეუღლებაც მეტყველებს. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ მომდევნო წლებშიც ეს მოყვრობა არაერთხელ განახლდა, ხოლო ხიმშიაშვილ-ბეჟანიძეთ საერთო მემკვიდრეები ჩვენი თანამედროვენიც არიან.

მკითხველს ერთხელ კიდევ შევახსენებთ, როგორ მზადდებოდა სელიმ-ფაშა ხიმშიაშვილის შეპყრობა და როგორ აღასრულეს მის მიმართ გამოტანილი განაჩენი.

სულთნისადმი ურჩობაში გამოაშკარავებული სელიმი 1815 წლის 8 მარტს ახალციხეს გაეცალა, აჭარას მიაშურა და ხირხათის ციხეში ჩაიკეტა. არზრუმის სერასკირმა, ბაბა-ფაშა ფეჰლევანმა ახალციხეში გამოგზავნა ეროვნებით სომეხი, არტაანის ბეგი, რომელსაც 29 მარტიდან მუსალიმობა (ფაშის მოადგილეობა), ფაქტობრივადახალციხის ფაშის მოვალეობის შესრულება დაეკისრა. მოსვლისთანავე ახალმა ბატონმა სელიმ ხიმშიაშვილის მომხრე ოთხი კაცი ჩამოახრჩო. იმავე წლის 18 აპრილს ახალციხეში სელიმ-ფაშის დასასჯელად ოსმალთა 15 000 კაციანი არმია შემოვიდა, რომელსაც სერასკირი მაჰმუდ თურანი მეთაურობდა. არტაან-ბეგის წაქეზებით დაიწყო ტერორი, რასაც რამდენიმე ქართველი ემსხვერპლა, მათ შორის ერთი შეგირდი სომეხთა ჰაიათამ ტყვიით მოკლა, მაგრამ დიდხანს არ შერჩა უდანაშაულო ბიჭის სისხლი. იმავე დღეს ოსტატებმა სომეხი მოკლეს, აშკარა იყო, რომ დიდი შეტაკებები მზადდებოდა, როგორც თვით ახალციხეში, ასევე აჭარის წინააღმდეგაც. ასეც მოხდა, 24 მაისს მაჰმუდ თურანის კორპუსი აჭარისაკენ დაიძრა.

ხირხათის ციხეში სელიმ-ფაშა თითქმის სამი თვე იყო ჩაკეტილი. როგორც ვარაუდობენ, მას აქ თან ახლდა 1 500 (ზოგი ცნობით 400 კაციანი არმია), ფაშის ოჯახის წევრები და ახლობლები. მათ აქ გმირულად მოიგერიეს ბაბა-ფაშის რაზმების შემოტევა, მაგრამ, ბუნებრივია, ციხეში ჩაკეტილთა დაპურება არც თუ ისე ადვილი იყო. როგორც ჩანს, მათ სურსათის მარაგიც ჰქონდათ, მაგრამ ბოლოს ისიც გაუთავდათ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხიხანის ციხე-კოშკი

ხედი ხიხანის ციხე-სიმაგრიდან

დიდი სიძნელეების გადალახვით ახერხებდნენ ციხეშისურსათის შეტანას. აჭარაში ყოფნისას ზაქარია ჭიჭინაძეს მოუთხრეს მირათის ხევის სოფელ დარჩიძეების მცხოვრებ დარჩიძეზე, რომელსაც ხირხათის ციხეში სიმინდი აუტანია, „რისთვისაც ორი ფული აჩუქა სელიმ-ფაშამო“.[66]

როგორც ჩანს, შემდგომში ციხის კედლებში შიმშილი იმდენად საშიში გახდა, რომ იქ შეფარებულების სიკვდილის საფრთხეც კი შეიქმნა, რის მიმართ გულგრილი ვერ იქნებოდა სელიმ-ფაშა. ამასთან დაკავშირებით ძალზე საყურადღებოა ერთი მონათხრობი, რომლის ხსოვნა დღესაც არის დარჩენილი ოსმალეთში მუჰაჯირად გადასული და შუახევის რაიონ სოფელ ჭალაში მცხოვრები ბუქალიშვილების (ჭაღალიძეების) ხსოვნაში. ჭალელმა ისმაილ ჭაღალიძემ 1962 წელს მიამბო: ჩემი დიდი ბაბუა, სახელად ბუქალი, ჩვენი გვარის ბუქალიშვილების (ბუქოღლი-ჭაღალიძეების) მამათავარი და სელიმ-ფაშის თანამებრძოლი და მედროშე იყო. მას ბუქალი ბაირაღტარადაც იხსენიებდნენ და თითქმის ყველა ლაშქრობის დროს თან ახლდა სელიმ-ფაშას, როგორც მისი ერთგული მსახური და მამაცი მეომარი. ხირხათის ციხეში ჩაკეტილ ფაშას არაფერი უჭირდა, რადგანაც დროდადრო ამისათვის საგანგებოდ მომზადებული მსახურები სურსათსანოვაგით ამარაგებდნენ, მაგრამ, როცა ბაბა-ფაშამ ციხეს ალყა შემოარტყა, შეუძლებელი გახდა გარედან შემოტანა და სურსათის მარაგი გათავდა. რამდენიმე ადამიანი შიმშილით გარდაიცვალა, სელიმ-ფაშამ ცოლი იხმო და განუცხადა: „ჯიბეში ფული აღარ დამრჩა, შენი ოქროს სამკაულები მომეცი, ვიცი, როგორც კი გავალ, ოსმალები ჯიბეებს გამიჩხრეკენ და ცარიელი რომ იქნება, დედას და შენს თავს შემიგინებენო.“ ელმას-ხანუმს ორი ბეჭედი გამოართვა, ამის შემდეგ ციხის ალაყაფთან მივიდა და თავის სარდალს თვითონვე გასცა ბრძანება, კარები გაეღო, რათა ღირსეულად ჩაბარებოდა მტერს და ამით თავისი 1 500 თანამოძმე

გადაერჩინა. სარდალმაც, რომელიც, ჩვენი ღრმა რწმენით თულუმბა-ბეჟანიძე იყო, შეასრულა თავგანწირული გმირის ბრძანება და კარები გააღო. სელიმ-ფაშა ოსმალთა ჯარს პირველი ჩაბარდა და სთხოვა, რომ მისი მხლებლებისათვის ხელი არ ეხლოთ. მართლაც მაშინ სელიმის გარდა არავინ დაღუპულა.

სოფელი ბაკო, სერიყანა ადგილი, სადაც 1815 წ. 3 ივნისს თავი მოკვეთეს სელიმ ხიმშიაშვილს

ვფიქრობთ, ეს ზეპირად ნათქვამი საკმაოდ საინტერესოა, განსაკუთრებით ბეჟანიძეებთან მიმართებაში, რადგანაც გარკვეულად აბათილებს მათზე გამოთქმულ საყვედურებს. სამწუხაროდ, ამ მონათხრობის ისტორიული საბუთით დადასტურება ჩვენ ვერ შევძელით. სამაგიეროდ ავტორმა, ისმაილ ბუქალიშვილმა – ჭაღალიძემ საჩუქრად გადმომცა მისი ოჯახის ძვირფასი რელიქვია – ბუქალი ბაირაღტარის პირადი ნივთი, ბზისაგან დამზადებული მათარის მსგავსი დენთის ჭურჭელი, რომელსაც მეომრები წელზე იკიდებდნენ.

ჩემს ოჯახში დღესაც ინახება ეს ნივთი, რომელზეც, ალბათ დიდ სელიმ-ფაშა ხიმშიაშვილსაც არაერთხელ შეუვლია თვალი.



სელიმ ხიმშიაშვილის თანამებრძოლის ბუქალი ბაირახტარის (ჭადალიძის) სათოფისწამლე.
1963 წ. გადმომცა ისმაილ ჭადალიძემ.

ახლა მკითხველის ყურადღებას შევაჩერებთ ერთ გადმოცემაზე, რომელიც 1986 წელს 80 წლის ბაკოელი შუქრი დუმბაძისაგან ჩაიწერა აბელ სურგულაძემ და, რომელშიც პირდაპირ მითითებულია სელიმ ფაშის გამცემზე და მის შემდგომ ბედზე: „ციხისთავს შარინ-ჩაუშს ეძახდნენ. ბაბა-ფაშა მას, თურმე, შეპირდა „სელიმის ადგილზე ბეგად დანიშვნას.“ ამით დახარბებულ ჩაუშს ღალატიც უკისრი, თუმცა შემდეგ სერასკირსაც აღარ შეუსრულებია თავისი სიტყვა, პატრონს თუ უღალატა არც ახალ პატრონს დააყრის ხეირსო, თითქოს უთქვამს ბაბა-ფაშას და შირინ-ჩაუშის სამაგალითოდ დასჯაც უბრძანებია. ხელ-ფეხ დაბორკილი მოღალატე ცალთვალა ჯორს გამოუბეს და „სერი-ყანიდან თავქვე დააქანეს. ბლებამდე კიდევ ისმოდა მისი ბღავილი, სერი-ყანის ბოლოს უკვე მკვდარი იყოო.“[67]

განსვენებული მეცნიერი აბელ სურგულაძე ამ ჩანაწერზე კომენტარს არ აკეთებს. თუ მოღალატე ციხისთავია და ეს შე-

საძლოა კიდეც ვირწმუნოთ, მაშინ მთავარსარდალი (ქეჰა) ამ ცოდვისაგან თავისუფალია. თუმცა დაეჭვება მაინც შეიძლება, რადგანაც სამი თვით სელიმთან ერთად ციხეში ჩაკეტილ შირინ-ჩაუშს არავითარი საშუალება არ ექნებოდა ბაბა-ფაშასთან მოლაპარაკებისა და პირობის მიღებისა, რომ სელიმის ადგილზე ბეგად დაინიშნებოდა.

მუთი-ბეგ ბეჟანიძე

კვლავ დავუბრუნდეთ ქვემო აჭარის ბეჟანიძეებს. მე-19 საუკუნის დასაწყისიდან ზენდიდელ ბეჟანიძეთა თვალსაჩინო წარმომადგენლებად ასახელებენ მუთი-ბეგს და მის ძმას სეფერ-ბეგ ბეჟანიძე-თულუმბა-ზადეებს.

მუთი-ბეგი თულუმბა-ახმედ-ბეგ ბეჟანიძის შვილი იყო. როგორც ჩანს, ის ერთ-ერთ დიდ და გავლენიან პირად ითვლებოდა ქვემო აჭარაში. მუთი-ბეგის დამსახურება განსაკუთრებულად აღნიშნულია რუსეთ-თურქეთის 1828-1829 წლების ომის დროს. ოსმალოს ხელისუფლებამ ის ახალციხის ერთ-ერთ სტარშინად დანიშნა. ფიქრობენ, რომ ახალციხის აღების დროს მუთი-ბეგი რუსებს ტყვედ ჩაუვარდა; ჩვენი დაკვირვებით, ის თავად ჩაბარდა, რადგანაც შემდეგაც საკუთ რი სურვილით კარგი სამსახური გაუწია რუსეთის სარდლობას. ამის შესახებ მოგვითხრობს სამხედრო ისტორიკოსი ვ. ა. პოტო: „ახალქალაქის ერთ-ერთმა სტარშინამ მუთი-ბეგმა, რომელიც ციხის აღების დროს ტყვედ ჩაიგდეს, საკუთარი ნებით სამსახური შესთავაზა. პასკევიჩის მიერ ნაფერები მკაცრი და ქედუხრელი მუსლიმანი მას მიენდო მთელი სულითა და გულით და ამჯერადაც მის ერთგულებაზე დამოკიდებული იყო ექსპედიციის წარმატება. მუთი-ბეგმა მშვენივრად იცოდა ეს ადგილები და მან რაზმი 2-3 კმ-ზე ჩრდილოეთიდან ციხეზე შემოვლითი გზით წაიყვანა სოფლებში წირასა და წყრუთში.“[68] ამგვარად,

მუთი-ბეგის დახმარებით პასკევიჩმა ციხე ალყაში მოაქცია და უკვე 1828 წლის 10 აგვისტოს მისი ჯარი ციხის გალავანთან იდგა, როგორც ძლევამოსილი და გამარჯვებული. თუმცა გენერალი ოსმალებისაგან წინააღმდეგობასა და სისხლისღვრასაც მოელოდა. ამიტომ პასკევიჩმა დახმარებისათვის კვლავ მუთი-ბეგს მიმართა, შესულიყო ციხეში და ოსმალო ფაშებისათვის გადაეცა, რომ წინააღმდეგობა უნაყოფო იქნება და თუ გაჯიუტდებიან, მათ თავზე გადაივლის შტურმის მთელი საშინელებაო. ფაშებმა მუთი-ბეგის ულტიმატუმი არ მიიღეს და რუს გენერალს მუქარითვე უპასუხეს. ამასობაში პასკევიჩმა დამატებითი ძალები მიიღო და 14 აგვისტოს ციხეზე იერიში მიიტანა. 15 აგვისტოს დილით ახალციხე დაეცა და რუსეთის ჯარის ხელში გადავიდა.

მუთი-ბეგის ამგვარ ნაბიჯს მომდევნო ისტორიულ მოვლენებშიც ვხვდებით. როგორც ცნობილია, მე-19 საუკუნის 30-იან წლებში შამილი მთელს სამუსლიმანო სამყაროში, მათ შორის აჭარაშიც, აგროვებდა მოხალისეებს. ხ. ახვლედიანის თქმით, მას აჭარაში წარმომადგენლობაც ჰყოლია, რომლებიც შამილის სამსახურში შესვლის შემდეგ მოსახლეობას საკმაოდ დიდ ანაზღაურებას ჰპირდებოდნენ: ქვეითებს – 150 ყურუშს, ცხენოსნებს – 200 ყურუშს, ბაირაღტრებს – 250 ყურუშს და აღებს – 300 ყურუშს.[69]

შამილის ძმისშვილი თუ დისშვილი (племяник),* რომელსაც სამხრეთ საქართველოში ჯარების (მოხალისეების) შეგროვება ჰქონდა დავალებული, ქედაში საგანგებოდ ჩამოსულა, შეხვედრია ამ მხარის ბეგს, ზენდიდელ მუთი-ბეგ თულუმბა-ოღლის (ბეჟანიძე) და შეუთავაზებია თავის სამფლობელოში მოხალისეთა შეგროვება, მაგრამ შორსმჭვრეტელი ბეჟანიძე ამ ანკესს არ წამოეგო და დიპლომატიური საუბრით სცადა მისი თა-

* ჩვენს ხელთ არსებული მასალებით შამილს ძმა არ ჰყავდა. მისი ერთადერთი დედმამიშვილი იყო და – ფატიმატი (რ. ს.)

ვიდან მოშორება: აჭარის ვალის (გუბერნატორის) გარეშე ამ საქმეში ჩემი ჩარევა კანონის დარღვევა იქნება, რადგანაც რუსეთთან ურთიერთობასაც გააუარესებს, ამიტომ თქვენს თხოვნას ვერ შევასრულებო. როგორც ჩანს, ამ პასუხმა შამილის პარლამენტიორი საკმაოდ გააღიზიანა, მან სახალხოდ დაწყევლა მუთი-ბეგი, ხოლო შემდეგ ტერორისტი მიუგზავნა და მოაწამვლინა (იქვე). ეს ამბავი 1844 ან 1845 წლებში უნდა მომხდარიყო, რაზეც მეტყველებს 1845 წლის 22 სექტემბერს შედგენილი ერთი რუსული დოკუმენტი, სადაც მუთი-ბეგი „აწ გარდაცვლილად“ არის მოხსენიებული, რაც მის ახლად-გარდაცვალებას უნდა ნიშნავდეს (покойый). გარდა ამისა, ამ საბუთით ირკვევა, რომ მისი დის შვილი ფერათ-ბეგი (შემდგომში ჩაქვის მეპატრონე) და შვილიშვილი დედე-ბეგი (ზენდიდელი) ბეჟანიძეები ამ დროსაც ახალქალაქში იყვნენ და აქტიურად მონაწილეობდნენ იქ განვითარებულ მოვლენებში. როგორც ამავე დოკუმენტიდან ხდება ცნობილი, შამილის ემისარს, აბასთუმანის მკვიდრს ალი-ნური-ოღლის, მუთი-ბეგის გარდა, წერილები მიუწერია ახალგაზრდა ბეჟანიძეების, ფერათ-ბეგისა და დედე-ბეგისათვის, რათა მათ ეცნობებინათ ახალციხეში განლაგებული რუსული ჯარის რაოდენობა და ხელი შეეწყოთ შამილის 40 000-იანი კორპუსისათვის ახალციხის მხარის გათ ვისუფლებაში. როგორც ირკვევა, ახალციხის მაზრის სამხედრო ნაწილის უფროსმა გენერალ-მაიორმა სეტკოვმა ამის შესახებ შეატყობინა ახალციხის მაზრის უფროსს, რომელმაც, თავის მხრივ, ამიერკავკასიის სამოქალაქო სამმართველოს უფროსს შემდეგი აცნობა: „1845 წლის 10 სექტემბერს არტაანის სანჯაყის მცხოვრებმა, ლეკმა ალი-ნური-ოღლიმ, რომელიც ამ მხარეში რუსების შემოსვლამდე აბასთუმანის უბნის სოფელ შურდოში ცხოვრობდა... აწ გარდაცვლილი მუთი-ბეგის შვილებს დედე-ბეგსა და ფერათ-ბეგს* ჩამოუტანა წერილი, რომლითაც თხოვდა ეცნობებინათ ახალციხეში ჩვენი ჯარების რიცხვი, აგრეთვე დახმარებოდნენ, რათა ადგილობრივ მოსახლეობას

ხელი შეეწყო საზღვარგარეთიდან შემოჭრილ ერთმორწმუნე ხალხისათვის ამ მხარის გათავისუფლებაში... გენერალ-მაიორი სეტკოვი მოითხოვს გავაგებინოთ, მართალია თუ არა ის ეჭვი, რადგანაც თუ ეს გამართლდება, მიწერ-მოწერის აღმოსაჩენად, აუცილებელია დედე-ბეგისა და ფერათ-ბეგის საცხოვრებელი ბინების გაჩხრეკა... ეს პიროვნებები აქ პატივისცემით სარგებლობენ, აქვთ სამხედრო წოდებები, დედე-ბეგს პორუჩიკის, ხოლო ფერათ-ბეგს პრაპორშჩიკის, ჩვენი ხელისუფლებისაგან ღებულობენ ანაზღაურებას, ამიტომ თუ საკმაო რწმუნებები არ გვექნება, შეუძლებელია უდანაშაულო ადამიანებს ბრალი დავდოთ... "[70]

საყურადღებოა, რომ ამ დოკუმენტის ასლს ადასტურებს და ხელს აწერს „ნადვორნი სოვეტნიკი ყიფიანი," რომელიც ჩემი ღრმა რწმენით, უნდა იყოს ცნობილი საზოგადო მოღვაწე დიმიტრი ყიფიანი, რომელიც 1845 წლის 25 აგვისტოდან მთავარმართებლობის კანცელარიის დირექტორად დანიშნეს.[71]

ჩვენ არ ვიცით, ცარიზმის მოხელეებმა ჩაატარეს თუ არა ბეჟანიძეების სახლების ჩხრეკა. ფაქტია, რომ ბეგებმა მიატოვეს რუსეთის სამხედრო სამსახური და დაბრუნდნენ აჭარაში, რომელიც ამ ამბების შემდეგ თითქმის მესამედი საუკუნე კვლავ ოსმალეთის ქვეშევრდომი იყო.

მუთი-ბეგ ბეჟანიძის პირადი ცხოვრებიდან ჩვენთვის ცნობილია ერთი ეპიზოდი რომელიც, ვფიქრობთ, მკითხველსაც დაინტერესებს, რადგანაც ის დაკავშირებულია იმდროინდელ მძიმე სოციალურ-პოლიტიკურ მდგომარეობასთან, ადათ-წესებსა და ტრადიციებთან.

როგორც ცნობილია, სამცხე-საათაბაგოში სელიმ-ფაშა ხიმშიაშვილის (1755-1815) მმართველობის დროს (1802-1815)

---

* შეცდომაა: ფერათ-ბეგი მუთი-ბეგის ძმისშვილია, ხოლო დედე-ბეგი – შვილიშვილი (რ. ს.)

ამ მხარეში მომრავლდა აჭარული ელემენტი, რომელთაც თითქმის ყველა მნიშვნელოვანი პოსტი ეკავათ. სელიმის სიკვდილით დასჯის შემდეგაც (3 ივნისი, 1815 წ.) ისინი ინარჩუნებდნენ პრივილეგიებს. მუთი-ბეგ ბეჟანიძეს, რომელიც, ჩვენი აზრით, სწორედ ის ქეჰა-სარდალი უნდა იყოს, რომელსაც სელიმმა ციხის კარები გააღებინა, სამფლობელოდ ახალქალაქი ერგო, თვითონვე განაგებდა ახალქალაქის ციხე-სიმაგრესაც.

1815 წელს ერთ-ერთი მორიგი თავდასხმის დროს ლეკებმა გორში მოიტაცეს ახალგაზრდა ქალი, რომელიც ახალქალაქში მუთი-ბეგს მიჰგვარეს. ქალს სამშობლოში დარჩა მეუღლე და ჩვილი ბავშვი. წარმოშობით ქართველმა ბეგმა ლამაზი ქართველი ქალი ცოლად შეირთო. დასაწყისში ოჯახის ახალი წევრი ძალზე განიცდიდა თავის მწარე ბედს, ენატრებოდა სამშობლო და ქმარ-შვილი, მაგრამ შემდეგ ყველაფერს შეეგუა. მით უმეტეს, რომ მდიდარი და ყოვლისშემძლე ბეგი ყოველმხრივ ცდილობდა ქალისათვის სასიამოვნო და მშვიდი ცხოვრება შეექმნა. ბეგმა ცოლს ნება დართო, დარჩენილიყო ქრისტიანად და ჰყოლოდა ქრისტიანი მოძღვარი. ასე გაგრძელდა თითქმის 14 წელი. რუსების მიერ ახალქალაქის აღების შემდეგ (1829 წ.), პირველმა ქმარმა, ქრისტიანული წესების მოშველიებით, მოითხოვა ცოლის დაბრუნება. ბეგი კი მუსულმანურ წესებს ჩაეჭიდა და არ სურდა მომჩივანის მოთხოვნის დაკმაყოფილება. მაშინ საქმის გადაწყვეტა მიანდვეს თვით ქალს, რომელიც უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა. ერთი მხრივ, გაიგო მდიდრული ცხოვრების გემო და გადაეჩვია ძველ ქმარს, რომლისგან სიღარიბის გარდა არაფერი ელოდა; მეორე მხრივ, როგორც ქრისტიანი, არ შეეძლო უარი ეთქვა შვილზე, უარეყო რწმენა და სამშობლოს ერთგულება. და აი, ქალმა თავისი ბედი გადასაწყვეტად მიანდო რუსეთის გენერალს, თავად ვასილ იოსების ძე ბებუთაშვილს (1791-1858), დარწმუნებულმა იმაში,

რომ ის უსამართლოდ არ მოიქცეოდა. ახლა მდგომარეობის მთელი სიმძიმე თავად ბაბუთაშვილზე გადავიდა, რომელზეც ყველა მუსლიმანის თვალ-ყური იყო მიპყრობილი. კანონი პირველი ქმრის მხარეზე იყო, მაგრამ ცოლის წართმევა საპატიო მუსლიმან ქართველზე, რომელმაც ახალციხის აღების დროს პასკევიჩს ძალზე დიდი სამსახური გაუწია, გენერალ ბაბუთაშვილისათვის დიდი სირცხვილი იქნებოდა. ეს სირცხვილი კი გამოიწვევდა არა მარტო დიდ გაუგებრობას, არამედ რუსეთის ხელისუფლებას რელიგიური მოსაზრებებით ნდობასაც დაუკარგავდა.

ვ. ბებუთაშვილმა გვერდი აუარა კანონიკურ უფლებებს და საზოგადოებრივი ცხოვრების ნიადაგზე დადგა. მისმა გამჭრიახობამ გავლენა მოახდინა მოდავე მხარეებზე და საქმეც მშვიდობიანად დამთავრდა: ქალი მუთი-ბეგს დარჩა, ხოლო პირველმა მეუღლემ ბეგისაგან მიიღო 30 მანეთი ვერცხლით და ქურთისტანის ნაცრისფერი ფაშატი.[72]

ასე დასრულდა ორი ქართული ოჯახის და ერთი ქართველი მანდილოსნის დრამატული ისტორია, რომელიც ათასჯერ იავარქმნილ საქართველოში ალბათ არაერთხელ განმეორდა.

მუთი-ბეგ თულუმბა-ბეჟანიძის ვაჟი ჰაჯი-ასლან-ბეგი თურქეთის არმიის გენერალი იყო. მონაწილეობდა ყირიმის 1853-1856 წლების საომარ კომპანიებში. ცოლად ჰყავდა ზერაბოსლელი ნიჟარაძის ქალი, უაღრესად განსწავლული და მწიგნობარი მანდილოსანი გულხანუმ ნიჟარაძე. მათ შეეძინათ ხუთი ვაჟი: დედე-ბეგი, ხემიდ-ბეგი (ორთავე უმემკვიდრეოდ გადაშენდნენ), ასლან-ბეგი, იბრაიმ-ბეგი (ორთავე დახვრიტეს 1937 წელს) და დევრიშ-ბეგი, რომლის მოკლე ბიოგრაფიას ქვემოთ შემოგთავაზებთ.

* * *

სეფერ-ბეგ ბეჟანიძე, როგორც ჩანს, ჩაქვში გვარის მამამთავრადაც ითვლებოდა. თ.კომახიძის ცნობით, მას ცოლად ჰყავდა ბათუმელი სანჯაყ-ბეგ აბაშიძეების ქალი, რომელსაც მზითვად ჩაქვის მამულები ერგო. ამ ქალისაგან სეფერ-ბეგს შეეძინა: ხემიდი, ფერათი, ხუსეინი, მემედი და დუდი ხანუმი, რომლებმაც ჩაქვში დასაბამი მისცეს ბეჟანიძეთა წარჩინებული გვარის დაფუძნებას. მათ შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ, ახლა კი თხრობას გავაგრძელებთ ზენდიდელ ბეჟანიძეებზე, რომელთა „ოჯახი განთქმულია შეძლებით, დარბაისლობით და განსაკუთრებით მშობლიური ენის ცოდნით.“[73]

ქედელი ბეჟანიძეების გავლენა ქვემო აჭარის მოსახლეობაზე საკმაოდ დიდი იყო. ეს პირველ რიგში იგრძნეს აქაურმა ბეგებმა თავდგირიძეებმა, რომლებმაც ბეჟანიძეები მთავარ კონკურენტებად მიიჩნიეს და შეეცადნენ შეემცირებინათ მათი გავლენა. ამ მიზეზით ორ გვარს შორის ხშირი იყო ქიშპი და მტრობა. ამით ისარგებლა ოსმალეთის მთავრობამ, ზემო აჭარის დამოუკიდებელი საკაიმაკამო 1820 წელს გააუქმა და მხარე ბათუმის კაიმაკამს დაუმორჩილა. თუმცა ეს დიდხანს არ გაგრძელებულა – 1873 წელს ქედაში კვლავ საკუთარი კაიმაკამი, ბეჟანიძე-თავდგირიძეთა საერთო მოყვარე და მეგობარი ხუსეინ-აღა სურმანიძე ჰყავდათ, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ამ გვარებს შორის მტრობაც დასრულდა.

ამ გვარის მოწინავე პირებმა ერთმანეთს შორის მოყვრობანათესაობა გააჩაღეს. სხვებზე აღარ შევაჩერებთ ყურადღებას: ცნობილი ალი-ფაშა თავდგირიძის პირველი ცოლი სწორედ ქობულეთელი ბეჟანიძის ქალი იყო. (მეორე მენაბდის ქალი, ხოლო მესამე ქაქუთელი ქარცივაძის ქალი).

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ბეჟანიძეთა გვარში მკაცრად იყო დაცული როგორც საცოლის, ისე სასიძოს შერჩევა. უმეტეს შემთხვევაში ისინი წარჩინებული გვარის შვილები იყვნენ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ახმედ-ფაშა ხიმშიაშვილს ცოლად დუდი-ხანუმ ბეჟანიძე ჰყავდა. ცნობილ ალი-ფაშა თავდგირიძესაც ცოლად ბეჟანიძის ქალიშვილი საადეთ-ხანუმი ჰყავდა. ნური-ბეგ ბეჟანიძის ქალიშვილი შოჰრეთი ჯელილ-ბეგ ხიმშიაშვილს მიათხოვეს. ჰაიდარ-ბეგ ბეჟანიძის ქალიშვილი შაესტერი იბრაიმ აბაშიძის მეუღლე იყო, ხოლო სურულ-ხანუმი ცოლად ჰყავდა ახმედ-ბეგ გვარიშვილს. ბეჟანიძეთა რძლების დიდი ნაწილიც ძველი თავადების შთამომავალნი იყვნენ: სეფერ-ბეგ ბეჟანიძის ცოლი – ბათუმის სანჯაყ-ბეგ აბაშიძის ქალიშვილი იყო. ხემიდ-ბეგ ბეჟანიძის – ხეფიზე-ხანუმ აბაშიძე, ასლან-ბეგ ბეჟანიძის – ჰედიე-ხანუმ ხიმშიაშვილი; მემედ-ბეგ ბეჟანიძის – თავდგირიძის ქალი; იბრაიმ-ბეგ ბეჟანიძის – ემინე-ხანუმ თავდგირიძე; დევრიშ-ბეგ ბეჟანიძის – სალიე-ხანუმ შერვაშიძე; შუქრი-ბეგ ბეჟანიძის – სემიე ხანუმ ხიმშიაშვილი, თენგიზ ბეჟანიძის – ჟუჟუნა სურმანიძე და ა.შ. ასეთი ქორწინებები იმდენად ხშირი იყო, რომ მათი სრულად ჩამოთვლა შეუძლებელია.

საადეთ შერიფის ასული ბეჟანიძე – ჯემალ ხიმშიაშვილის მეუღლე

ზენდიდელ ბეჟანიძეებს მოყვრობა შავშეთელ ხიმშიაშვილებთანაც ჰქონიათ. ამაზე მეტყველებს დიმიტრი ბაქრაძის ერთი ჩანაწერი. 1873 წლის 11 აგვისტოს არსენაულში სტუმრად ყოფნის და მასპინძელთან ბაასის დროს დ. ბაქრაძეს მოესმა სიმღერა, რომელიც ამ ორი გვარის დამოყვრების ნიშანი ყოფილა: „ ...ამ საუბრის დროს ქართული მაყრული მომესმა და მართლაც ზენდიდელი ბეგი თურმე შავშეთელი ბეგის ქალზე ქორწინდებოდა და შავშეთიდან მას სიმღერით მოაცილებდა

კარგა მოზრდილი მაყრიონი. აქ ბეგები ჩვეულებრივ ძველთა-განვე მხოლოდ ერთმანეთს უმოყვრდებიან.“[74]

ბეჟანიძეთა სახლში ქართული ენის შენახვა, წერა-კითხვის ცოდნა იმთავითვე აუცილებელ და საპატიო მოვალეობად ითვლებოდა. ამ საქმეში, როგორც აღვნიშნეთ, განსაკუთრებით აქტიურობდნენ ქალები, რომლებსაც ქრისტიანობის დროინდელი განათლება არასოდეს დავიწყებიათ და თავიანთ ცოდნას თაობიდან თაობას გადასცემდნენ, შვილებს თავადაც ასწავლიდნენ, ზოგჯერ კი ამ მიზნით საგანგებოდ მასწავლებელსაც ქირაობდნენ. ზ. ჭიჭინაძეს მოჰყავს აბდულ-ბეგის მაგალითი, რომელმაც უკვე „დაისწავლა ქართულ-რუსული წერა-კითხვა. აბდულ-ბეგ ბეჟანიძეს დღეს თავისს სახლში ქართველი მასწავლებელი ჰყავს დაჭერილი, მასწავლებელი მათ გვარის ყმაწვილებს წერა-კითხვას ასწავლისო.“[75]

ბეჟანიძეთა ზრუნვას ქართული სწავლა-განათლებისათვის ზ. ჭიჭინაძე სხვა ადგილასაც ეხება და კვლავ იმეორებს მათს თავადურ (პირფარეშის ძენი) წარმომავლობას ჯერ კიდევ თამარის დროიდან: „ამათ (ბეჟანიძეებს რ. ს.) უფრო ესმით, რომ ჩვენ შთამომავლობით ქართველები ვართ და არა მაჰმადიანიო. ჩვენში რომ სკოლები დაიხსნას, მაშინ ყველა კარგად გაიგებს თავის ვინაობასო. ქედაში ბევრმა დიდის თხოვნით და მუდარით ინატრა სკოლის დაარსება... ჩვენ მუდმივ ომებმა დაგვცა და გაგვაღატაკა და დღესაც ვერ მოვღონიერებულვართო.“[76]

თედო სახოკია ბეჟანიძეებს ქართულ თავადურ გვარს მიაკუთვნებს და აღნიშნავს, რომ, როგორც სხვაგან, აქაც ჩვენი ენის ბურჯებად მანდილოსნები ითვლებიან. მათ შორის არის დაცული ძველებური ქართული წერა. სამწუხაროდ პირადად ვერ მოვახერხეთ გვენახა ბეჟანიძეთა ოჯახი და ცოტა ხანს მაინც მათთან დავრჩენილიყავით.“[77] მიუხედავად ამისა, მოგზაურმა შეძლო მიეღო ქართული, ე. წ. „დედაბრული“ ხელნაწერის ნიმუში, რომელიც, ჩვენი აზრით, დევრიშ-ბეგ ბეჟანიძის დედას, ხინო-ზერაბოსელიდან გამოთხოვილ გულხა-



ხელნაწერი ასე იკითხება:

ანუ ამას მოგახსენებ ჩვენ რომ ქე თქუით ჩვენი ქება;
ბანუ ბიძას ჩუვენს უყვარვართ, უკეთესი არ იქნება;
განუ გური წელს უხმივართ, რომ არ წეუდეთ არ იქნება;
დონ დოდო თლათ უნდა დაუჯდეთ, თლათ ქვეყანა განათლდება.

ნუმ ნიჟარაძეს უნდა ეკუთვნოდეს. „დედაბრული“ ხელნაწერი საკმაოდ გავრცელებული იყო აჭარელ ქალებში. მისი თავისებურება ისაა, რომ ქართულ მხედრულ ასოებს დამატებული აქვს მცირე დეტალები, რითაც ის ძნელად წასაკითხი ხდება. მკვლევართა აზრით, ეს შეგნებულად კეთდებოდა, რათა არაკეთილმსურველთათვის შინაარსი საიდუმლოდ დარჩენილიყო. მკვლევართა მეორე ნაწილი უფრო შორს მიდის და თვლის, რომ ქართული დამწერლობის სამ ძირითად ტიპს (ასომთავრული, ნუსხახუცური, მხედრული) შეიძლება დაემატოს მეოთხე, აჭარაში გავრცელებული „დედაბრული“, რომლის შენახვა-დაცვაში სხვებთან ერთად, ბეჟანიძეთა საგვარეულოს მანდილოსნებს დიდი დამსახურება მიუძღვით: ალბათ სიმბოლურია, რომ ამ გვარის ღირსეული წარმომადგენელი ქალბატონები ყველა წყობილების დროს გამოირჩეოდნენ საზოგადოებრივი აქტიურობით.

დურსუნ ბეჟანიძე

რუსეთის ხელისუფლებაში ბეჟანიძეთა გვარი დიდი ნდობით სარგებლობდა. ისინი მონაწილეობდნენ მრავალი სადავო საკითხის გადაწყვეტაში, აგრეთვე სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პრობლემების მოწესრიგებაში.

900-იან წლებში აჭარაში მცხოვრებმა ძველი თავადური გვარის წარმომადგენლებმა, რომლებიც რუსეთის მმართველობის დროს არ სარგებლობდნენ ძველი პრივილეგიებით, შეეცადნენ აღედგინათ თავისი ძველი მდგომარეობა. ამ მიზნით განცხადებები შეიტანა 60-ზე მეტი გვარის წარმომადგენელმა. მეფის ხელისუფლება იძულებული გახდა თავისი ჩინოვნიკებისაგან შეედგინა სპეციალური წოდებრივი კომისია. გარდა ამისა, მაზრების მოწინავე ადამიანებისაგან შეიქმნა ნდობის ჯგუფები, რომლებიც საბუთების არქონის შემთხვევაში ადასტურებდნენ ან უარყოფდნენ ამა თუ იმ განმცხადებლის მოთხოვნას, ბეგის ან ადის წოდების აღდგენის თაობაზე. ქვემო აჭარის მაზრაში ამ ჯგუფის ხელმძღვანელი იყო ზენდიდელი დურსუნ-აღა ბეჟანიძე, რომელსაც ჯგუფში სხვადასხვა სოფლის 14 წარმომადგენელი ჰყავდა.[78]

საყურადღებოა, რომ დურსუნ-აღა ბეჟანიძე ერთ-ერთ საბუთში ბეგადაც მოიხსენიება. ირკვევა აგრეთვე, რომ ის სახელმწიფო სამსახურშიც იყო და მნიშვნელოვან დავალებებს ასრულებდა. ამის დამადასტურებელი დოკუმენტი 1909 წლის 2 აპრილს შედგენილია ოსმალურ ენაზე, ხოლო ხელს რუსულად აწერს კაპიტანი აბრამოვი:

„უღრმესი სალამი პატივცემულ დურსუნ-ბეგს!

პირველ რიგში მოგიკითხავთ, შემდეგ გაცნობებთ, რომ მაჭახლელი ყაჩაღი გაიქცა. ჩვენ აჭარისწყლის ხეობის სოფლებში მოვძებნეთ, მაგრამ შედეგი არ არის. გავალებთ, რომ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სასწრაფოდ ნაჩალნიკთან ერთად ჩახვიდეთ ჩაქვში და მონახოთ. შედეგები დაუყონებლივ გამაგებინეთ.

1909 წლის 2 აპრილი.
კაპიტანი აბრამოვი.*"



აბრამოვის წერილი დურსუნ-ბეგ ბეჟანიძისადმი. 1909 წ.

ჩვენთვის უცნობია, რომელ ყაჩაღზეა საუბარი. თუმცა ამ საბუთით ირკვევა, რომ ის მაჭახლელია და ჩაქვში ეგულებათ დამალული.ხოლო თვით დურსუნ-ბეგ ბეჟანიძე პოლიციის ან ჟანდარმერიის ჩინოვნიკი უნდა იყოს. დურსუნ-ბეგის სახელი ერთ უფრო ძველ საბუთშიც შეგვხდა. ეს დოკუმენტი იმითაცაა საინტერესო, რომ აქ სხვა პიროვნებები, კერძოდ ხამიდ-ბეგ და დედებეგ თულუმბაზადე ბეჟანიძეებიც იხსენებიან. წერილის ავტორი ვინმე ხუსეინის შვილი ყასუმია, ადრესატი კი ხემიდ ბეგია:

„ძვირფას ძმას, თულუმბა ზადე ხამდი-ეფენდი. დიდებულო ბეგო!

სალამს გიგზავნით თქვენ და თქვენს ლამაზ მეუღლეს. რაც აქედან წახვედით არც წერილი და არც სალამი არ გამოგ-

* თარგმანი ჩვენია. დადგინდა,რომ სერგეი ნიკოლოზის ძე აბრამოვი 1909 წ. ქვემო აჭარის (ქედის) ნაწილის უფროსია. (რ. ს.)

ზავნეთ, ამიტომ ამ წერილს სასწრაფოდ გწერთ. დურსუნ-ბეგს სალამი გადაეცით. უთხარით რვა წერილის გამომგზავნელ მევლუდ-აღას პასუხი გამოუგზავნონ. ეს წერილიც უპასუხოდ არ დატოვოთ. ოსმან-ეფენდი ახმედ-აღასთან დარჩა ბათაძეებში, კარგად არის. ჩვენც კარგად ვართ. ველი პასუხს.

ყასუმი ხუსეინის შვილი.

1894 წელი.[79]"

დურსუნ-ბეგის ვინაობას გარკვეულად ნათელს ფენს 1911-12 წლების წოდებრივი კომისიის საბუთები, სადაც ის სხვა პირებთან ერთად მოითხოვს თავადის წოდების აღდგენას. აქ მისი მამის სახელიც – „ბეგი-აღა" – მოიხსენი-ება.

* * *

1905 წლის აჯანყების ჩაქრობის შემდეგ, მოწინავე აჭარლებს შეუქმნიათ მუშათა არტელი, რომელშიც გაერთიანებული იყვნენ რეჯებ შაშიკაშვილი, ყადირ ეფენდი, ახმედ-ბეგ ბეჟანიძე, თევყიფ-ბეგ თავდგირიძე და ხასან შაშიკაშვილი. ისინი სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის მენშევიკურ ფრთას თანაუგრძნობდნენ.

რევოლუციის ჩაქრობის შემდეგ, მონაწილეთა მიმართ დაიწყო რეპრესიები. 1906 წლის 16 აგვისტოს ხელისუფლებამ პასუხისგებაში მისცა გამოსვლების მონაწილენი, მათ შორის ცნობილი რევოლუციონერები: მიხეილ დიმიტრის ძე ფიოდოროვი, **თევყიფ-ბეგ ბეჟანიძე**, ვარლამ ქრისტეფორეს ძე ბერძენიშვილი და სხვა.[80]

ზემოთქმულ არტელში მონაწილეობდა მეორე ჯგუფი: მემედ გოგიბერიძის, ჯემალ ნოდაიდელის, ისკენდერ ბეჟანიძის, სულეიმან მანელიშვილის, შაქირ ცეცხლაძის, ეზიზ კაიკაციშვილის, სულეიმან მეგრელიძის, სერათ ბაკურიძის, ასლან ბერიძის, ჯემალ სეიდიშვოლის, სერგო ყუფარაძის, ოსმან გურგენიძის და სხვათა შემადგენლობით, რომლებიც იმავე არ-

ტელში ირიცხებოდნენ, მაგრამ ბოლშევიკების მხარეზე იყვნენ. მათ ხელმძღვანელობდნენ მემედ-ბეგ და ზია-ბეგ აბაშიძეები. ამ ორ ჯგუფს შორის დაპირისპირება ძალზე გამწვავდა (მოკლეს ხასან შაშიკაშვილი), რის გამო არტელი დაიშალა.[81]

ჩვენთვის ძნელია დღეს იმის დადასტურება, რამდენად ასრულებდნენ ბეჟანიძეები სოციალ-დემოკრატებისათვის მხარდაჭერის მნიშვნელოვან ფუნქციას. იმის თქმა კი შეიძლება, რომ ისინი ყველა დროში აქტიურად მონაწილეობდნენ საზოგადოებრივ საქმიანობაში და თვითმპყრობელობის მოწინააღმდეგეთა რიგებში იყვნენ.

მარტო ის ფაქტი, რომ 1912 წლის არჩევნებში ბეჟანიძეთა გვარის ხუთი წარმომადგენელი: სეფერი, ნური, ოსმანი (ჩაქვი), ხუსეინი და მემედი (ზენდიდი) მონაწილეობდა, ბევრის მთქმელია. ხუსეინ-ბეგი 1921 წელს ფუხარა ხალხის წარმომადგენელი და რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარე იყო. ის აჭარის საბჭოების მეორე ყრილობის დელეგატადაც აირჩიეს.

ჩვენ ხელთა გვაქვს ერთი საბუთი, რომლითაც ცნობილი ხდება, რომ ბათუმში მცხოვრები წარჩინებული პირები და სახლთმფლობელები, თავიანთ პროგრესულ საქმიანობასთან ერთად, არაპირდაპირი გზით ხელს უშლიდნენ და ასუსტებდნენ ცარიზმის ხელისუფლების სამსახურებს. მოხსენიებულია სახლის მეპატრონეთა მთელი ჯგუფი (მათ შორის არიან ბეჟანიძეები), რომელიც უარს ამბობს თანხის გადახდაზე, რაც ერთგვარ შეთქმულების შთაბეჭდილებას ტოვებს.

1910 წელს ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის რომანოვსკი-რომანკოს დავალებით ქალაქის სახლმფლობელებს გარკვეული თანხა უნდა გადაეხადათ ქალაქის დაცვის სამსახურის შესანახად. ქალაქის 32 სახლმფლობელმა, მათ შორის ა. ს. ჭილაძემ, ო.სოგოიანმა, ნ.ბაკურაძემ, ერთ-ერთმა სანჯაყ-ბეგმა (გვარი და სახელი მითითებული არაა), თუფან-ბეგ შერვაშიძემ, ფერათ-ბეგ და მემედ-ბეგ ბეჟანიძეებმა საბოტაჟი განაცხადეს გადახდაზე, რის გამო მათ გუბერნატორმა ერთ-

პიროვნული გადაწყვეტილებით თითოეულ სამ მანეთზე თითო დღით[82] პატიმრობა მიუსაჯა.

კიდევ უფრო მეტად საინტერესოა აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში და სახელმწიფო არქივში დაცული საქმეები, ე. წ. ბათუმის ოლქის თავადაზნაურთა სიები, ოქმები, განცხადებები და საგანგებოდ შექმნილი კომისიის დასკვნები, რომლითაც 1912 წ. ბათუმის ოლქში (ზენდიდი, ჩაქვი, ქობულეთი, ჭვანა) მცხოვრებ ბეჟანიძეებს დაუდგინეს ან უარი უთხრეს პრივილეგირებულ წოდებაზე. ამ სიებში წარმოდგენილთაგან ზოგ მათგანს მიწერილი აქვს სამხედრო ხარისხი და ასაკი, ამიტომ ეს საბუთები მათი ბიოგრაფიების დაზუსტების საშუალებასაც იძლევა. ვფიქრობ, ამ სიის გამოქვეყნება მკითხველის ინტერესსაც გამოიწვევს:

ბეჟანიძეები, თავადები

ს. ზენდიდი (ქვემო აჭარის უბანი)

1. აბდულ მუთის ძე. 75 წლის. მილიციის პორუჩიკი
2. დევრიშ ჰაჯი-ასანის ძე, 37 წლის, მილიციის პრაპორშიკი.
3. იბრაიმ ჰაჯი-ასანის ძე, 45 წლის.
4. ხემიდ ჰაჯი-ასანის ძე.
5. დედე ჰაჯი-ასანის ძე.
6. ასლან- ჰაჯი-ასანის ძე, 19 წლის.
7. სულეიმან მემედის ძე, 62 წლის.
8. ბერი მემედის ძე.
9. ახმედ მემედის ძე, 37 წლის. მილიციის იუნკერი.
10. ნური იუსუფის ძე.
11. აბდულ სულეიმანის ძე.
12. ლიუტფი სულეიმანის ძე.
13. თევფიყ სულეიმანის ძე.
14. დურსუნ ბეგიაღის ძე.
15. რიზა სულეიმანის ძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ს. ჩაქვი (კინტრიშის უბანი)

1. ოსმან ხუსეინის ძე, 44 წლის.
2. ნური ხუსეინის ძე.
3. მემედ სეფერის ძე.
4. ჰაიდარ ფერათის ძე.
5. ჯელილ ფერათის ძე.
6. შერიფ ფერათის ძე.

აზნაურები

ს. ***დუზ-ჭვანა*** *(ზემო აჭარის უბანი)*

1. ისმაილ-აღა ალის ძე ბეჟანიძე

ს. **სამება** (კინტრიშის უბანი),

2. ხუსეინ,
3. ალი,
4. არიფ,
5. ოსმან,
6. ხულუს,
7. ისკენდერ ბეჟანიძეები

ს. ქობულეთი (კინტრიშის უბანი)

8. ხუსეინ ბეჟანიძე.[83]

ბათუმის ოლქის უცხოელთაგან გათავისუფლებისა და დამოუკიდებელ საქართველოსთან დაბრუნების შემდეგ, მწვავედ დადგა აჭარის ავტონომიის საკითხი. მემედ-ბეგ აბაშიძე, მის მიერვე შემუშავებული პროექტის საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან შესათანხმებლად, თბილისში ჩავიდა მეჯლისის წევრებთან, თავის ყველაზე მეტად სანდო და საქმის მცოდნე თანამებრძოლებთან ერთად. მათ შორის იყო სულეიმან-ბეგ ბეჟანიძე, აგრეთვე ხელილ-ბეგ (თუ ხაფიზ-ბეგ) სურმანიძე, მუსტაფა-აღა ჩიბურიძე და ჯემალ-ეფენდი ქიქავა. საქართველოს დეპეშათა სააგენტოს თანამშრომლებთან საუბარში ბეგ აბაშიძეს განუცხადებია: „დელეგაციის სამომავლო მიზანია

ცენტრალურ მთავრობასთან მოლაპარაკება აჭარის ადმინისტრაციული აპარატის მოწყობის შესახებ... დასასრულ, აჭარის წარმომადგენელმა იმედი გამოთქვა, რომ საქრისტიანო და სამუსლიმანო საქართველოს შორის სრული თანხმობა ჩამოვარდა და საქართველო და მასთან ერთად აჭარა აყვავდებაო".[84]

ახმედ-ბეგ ბეჟანიძე

ბეჟანიძეთა მოწინავე წარმომადგენლების პროგრესული მოღვაწეობა და მათი კავშირი ქართველ ინტელიგენციასთან მოხსენებული აქვს დავით კლდიაშვილსაც, მისი თქმით ბათუმში ქართველობას ჰქონდა ერთი ამორჩეული ადგილი, კერძოდ, ბათუმის ოლქის უფროსის თანაშემწის მელიტონ ლორთქიფანიძის ბინა: „საღამოობით მისას ვის არ ნახავდით! დიდად უყვარდათ ადგილობრივ მცხოვრებლებსაც და მის გარშემო იყრიდნენ თავს... ხშირი სტუმრები იყვნენ ტუფან-ბეგ შერვაშიძე-აჭარელი, ახმედ-ბეგ ბეჟანიძე, ფერათ-ბეგ ბეჟანიძე, სულეიმან-ბეგ ბეჟანიძე... და მრავალი სხვა. ამათ მოჰქონდათ აქ

დავით კლდიაშვილი
(1862-1931)

თუფან-ბეგ შერვაშიძე
(1846-1914)

თავისი მწუხარებაც და დალხინებაც. აქ ეძიებდნენ დარიგებას და გზის ჩვენებას გასაჭირში, რომელიც მძლავრად ჰქონდათ გარშემორტყმული.“[85]

დიდი მწერლის მიერ მოხსენიებული ახმედ-ბეგ ბეჟანიძე კიდევ არა-ერთხელ გამოჩნდება საქართველოს ისტორიის ფურცლებზე. 1916-17 წლებში ის ოზურგეთის დაცვის ოფიცერია.

1918 წლის 27 მაისს, თბილისში დამოუკიდებლობის გამოცხადების მეორე დღეს ბათუმიდან სპეციალური მატარებლით გაემგზავრა დელეგაცია, რომელიც ფოთში ჩავიდა და გერმანიის მთავრობასთან შეთანხმებით ხელი მოაწერა დროებით ხელშეკრულებას. საქართველოს მხრიდან ამ შეხვედრაში მონაწილეობდნენ ნოე რამიშვილი და აკაკი ჩხენკელი. ფოთში მათ დახვდათ პეტრე სურგულაძე და ივლიანე გოგოლაშვილი, რომელთაც მალე ნიკო ნიკოლაძეც შეუერთდა. გერმანიის მხრიდან მონაწილეობდა გრაფი შულენბურგი და კონსული ფოთში ანდერსი.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მთავარი მრჩეველი საგარეო პოლიტიკის საკითხებში, ზურაბ ავალიშვილი (1876-1944), რომელიც ამ დელეგაციაში მონაწილეობდა, წერს, რომ ფოთიდან გემით მგზავრობის დროს აკაკი ჩხენკელს ახლდა მისი ადიუტანტი „ახმედ-ბეგ ბეჟანიძე, მეტად შთამბეჭდავი გარეგნობის ოფიცერი, ქართველი მუსლიმანი.“ მისივე თქმით, „ეს კაცი იყო სცენა ნამდვილად ღირსი... კინემატოგრაფიის საკვირაო ქრონიკისა.“[86] ამას ამბობს არა უბრალო პუბლიცისტი, არამედ შეუმცდარი ალღოს მქონე პოლიტიკოსი და დამოუკიდებელი საქართველოს დიპლომატიის უშუალო შემოქმედი.

იმავე წლის დეკემბერში გაზეთ „ერთობაში“ გამოქვეყნდა სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის მოწოდება „ძმებო, მუსლიმანო ქართველებო!.“

მოწოდება საკმაოდ ვრცელია და მისი აქ მთლიანად მოტანა შეუძლებელია, ვიტყვით მხოლოდ, რომ ამ დროს კომიტეტის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მარცხნიდან: 1. ბესარიონ ნიჟარაძე, 4. ნიკო ნიკოლაძე,
5, ყადირ შერვაშიძე, 7. აკაკი ჩხენკელი,
8 ახმედ-ბეგ ბეჟანიძე (ა. ჩხენკელის ადიუტანტი),
10. ა. ჩხენკელის მეუღლე მაკრინე,
15. მიხაკო წერეთელი

1918 წ. სექტემბერი, ქ. ბერლინი.

ფოტო-დეტალი
მარცხნიდან მე-4 ახმედ-ბეგ ბეჟანიძე

თავმჯდომარე იყო მემედ-ბეგ აბაშიძე, წევრები: ყადირ-ბეგ შერვაშიძე, ახმედ თულუმბა-ზადე ბეჟანიძე, ჰაიდარ-ბეგ ბეჟანიძე, სულეიმან-ეფენდი დიასამიძე, იუსუფ-ეფენდი ქათამაძე, ჯემალ ნოღაიდელი, ხასია თხილაიშვილი და მუსლიმან ქართველთა ბატალიონის უფროსი ასლან-ბეგ აბაშიძე.[87]

ამგვარად, ახმედ-ბეგ ბეჟანიძე უნდა მოვიაზროთ არა უბრალოდ „აკაკი ჩხენკელის ადიუტანტ-კამერდინერი და შთამბეჭდავი ოფიცერი," არამედ, როგორც პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსული მოღვაწე, რომელსაც ადგილობრივ პატრიოტთა მაშინდელი თავკაცი და მედროშე მემდ-ბეგ აბაშიძე დიდ ნდობას უცხადებდა.

სამწუხაროდ ამ „შთამბეჭდავი ოფიცრის," ახმედ-ბეგ ბეჟანიძის შემდგომი ბედი ჩვენთვის უცნობია. ვიცით, რომ ის 1937 წელს ბათუმში დახვრიტეს.

ახმედ-ბეგ ბეჟანიძე უმემკვიდრეოდ გადაეგო.

სამაგიეროდ ახმედ-აღა პირმსახურისძე-ბეჟანიძეს დიდი შთამომავლობა დარჩა გთავაზობთ მათს ფოტოებს (იხ. ქვემოთ).

* * *

აჭარის ოსმალთაგან გათავისუფლების შემდეგ მხარეში სწრაფად იმძლავრა რუსულმა კაპიტალმა. საქართველოს ზღვისპირეთის აჭარის მონაკვეთით დაინტერესდნენ რუსი პლანტატორები, რომლებმაც ჩალის ფასად შეიძინეს ნოყიერი მიწები ჩაქველი მემამულე ბეჟანიძეებისაგან, რამაც მასობრივად მათი ქალაქში გადმოსახლება გამოიწვია. მიწის რეალიზაციით აღებული ფულით მათ ქალაქში შეიძინეს საცხოვრებელი სახლები, დუქნები და მაღაზიები; ჩაქვის მამულში თითქმის არცერთი ბეჟანიძე აღარ დარჩენილა.

ადგილობრივი მკვიდრი მიწათმფლობელების და გლეხების მიწების მისატაცებლად რუსეთის ხელისუფლება ზოგჯერ მზაკვრულ ხერხებსაც იყენებდა. 1898 წელს მათ გაავრცელეს ხმა, თითქოს შავი ზღვის სანაპირო ზოლში

გადაწყვეტილი ჰქონდათ სამხედრო რკინიგზის გაყვანა (ამ დროს სამოქალაქო რკინიგზა უკვე კარგა ხნის წინ მოქმედებდა). ამ მიზნით მათ დიდძალი მიწები აიღეს როგორც ბეჟანიძეების, ასევე აბაშიძეებისაგან. ფაქტობრივად ხელისუფლებამ მათ ეს მიწები ჩამოართვა და რაღაც მცირე „საჩუქრით“ გაისტუმრა. ამაზე საუბარია კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის ერთ-ერთ დოკუმენტში: „ბეჟანიძეების ოთხ ძმას მიეცათ დიდი ფულადი ჯილდო უსასყიდლოდ მიწის ვრცელი ნაკვეთის გაცემისათვის ბათუმის სამხედრო რკინიგზის გასაყვანად.“[88]

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, მოსალოდნელი რეპრესიებისა და რეკვიზიციის შიშით ზენდიდელმა ბეჟანიძეებმაც ქალაქს მოაშურეს. თავიანთი ჩაქველი მოძმეების მსგავსად, აქ შეიძინეს საცხოვრებელი ბინები და დუქნები. ზენდიდელთა ვარაუდი გამართლდა. პირველივე წლებიდან საბჭოთა ადმინისტრაციამ დაიწყო ბეჟანიძეთა უძრავ-მოძრავი ქონების კონფისკაცია, რაზეც ქვემოთ ვისაუბრებთ.

ბათუმში საკუთარი სახლების სიმრავლით განსაკუთრებით გამოირჩეოდა ჩაქველი მემედ-ბეგ ბეჟანიძის ვაჟი თევფიყ-ბეგი. მისი და სხვა ბეჟანიძეების საკუთარი სახლები არენდით ჰქონდათ აღებული „ევროპულ აბანოს“ (ქუთაისის ქუჩაზე) და ბეტონის საწარმოს (პეტერბურგის ქუჩაზე) მეპატრონეებს.[89]

ირკვევა, რომ თვით ზენდიდშიც ბეჟანიძეთა ორი შტო ცხოვრობდა. ჩვენთვის უცნობია ამ ორ გვარს შორის რა ნათესაური ურთიერთობა არსებობდა. ის კი დადასტურდა, რომ ერთი შტო თავადური წარმოშობისაა, რაც ბოლო წლებამდე ბეგის წოდებით გაგრძელდა, ხოლო მეორე აზნაურის ფენას მიეკუთვნებოდა და შესაბამისად აღის წოდებად გადაკეთდა, თუმცა ზოგი მათგანი ბეგის წოდებასაც ატარებდა. საინტერესოა, რომ დღემდე პირმსახურის ძის (პირსახუროღლის) გვარი სწორედ აზნაურებმა შეინარჩუნეს, რაც იმაზეც მეტყველებს, რომ ორივე შტოს ერთი ძირი აქვს, თუმცა ისინი იმდენად

დაშორდნენ ერთმანეთს, რომ მათ შორის ქორწინების შემთხვევებსაც ჰქონია ადგილი. ასე მაგ. ქიბარ-აღის შვილიშვილი (ისა-ბეგის ქალიშვილი) ყუდრეთ-ხანუმი ცოლად გაჰყვა ნიაზ-ბეგ ბეჟანიძეს.

ქალბატონ ყუდრეთის (დაბად. 1920 წ.) დახმარებით ჩვენ მიახლოებით დავადგინეთ ზენდიდელ ბეჟანიძეთა აზნაურული შტოს 5-6 თაობის გენეალოგიაც, აგრეთვე ზოგი ჩვენთვის უცნობი პიროვნების ვინაობა. გაირკვა 1937 წელს დახვრეტილი მურთაზ სეფერის ძე ბეჟანიძის (1879-1937) წარმომავლობა, სოფელ ჭალის მცხოვრებ ყუდრეთ ხანუმ სურმანიძის (თემურ-ფაშა ხიმშიაშვილის მეუღლის) მშობლების სახელ-გვარი (სელიმ-ბეგ სურმანიძე და სულთან-ხანუმ ალი-ბეგის ასული ბეჟანიძე) და ა. შ.



ახმედ-აღის შვილები: მამუდი, სელიმი, სულეიმანი, ჯემალი



შვილიშვილები: ალექსანდრე და იოსები

აბდულ-ბეგი

ზენდიდელ ბეჟანიძეთა შორის აბდულ-ბეგი ერთ-ერთი სასიამოვნო გამონაკლისია, რომლის ბიოგრაფია ჩვენთვის შედარებით კარგადაა ცნობილი.* ქუთაისის არქივში დაცულია მისი პირადი საქმე, ე. წ. „სრული ნამსახურობის სია,“[90] საიდანაც ცნობილი ხდება, რომ აბდულ-ბეგ მუთი-ბეგის ძე ბეჟანიძე დაიბადა 1837 წლის 20 მარტს, ბათუმის ოლქში, აჭარელი ბეგის ოჯახში. პირველდაწყებითი განათლება აბდულ-ბეგმა მიიღო ქედის სასოფლო სკოლაში, ხოლო შემდეგ სწავლა განაგრძო კონსტანტინეპოლში, სულთან-მეჰმედის სკოლაში.

1880 წლის 31 ივლისს, აჭარის გათავისუფლებიდან ორი წლის შემდეგ, რუსეთის ადმინისტრაციამ აბდულ-ბეგ ბეჟანიძე დანიშნა ბათუმის მილიციის პირველ ფეხოსანთა ასეულის უფროსის მოვალეობის შემსრულებლად. ერთი წლის შემდეგ მას მიენიჭა პრაპორშჩიკის წოდება და დაინიშნა ასეულის უფროსად, ხოლო 1891 წელს აბდულ-ბეგ ბეჟანიძეს მიენიჭა პოდპორუჩიკის წოდება. მისი თვიური ხელფასი 800 მანეთს შეადგენდა.

1893 წლის 6 იანვარს შედგენილი ამ „სიის“ მიხედვით აბდულ-ბეგ ბეჟანიძეს პირველი მეუღლის, უმიანისაგან 1876 წლის 8 მარტს შეეძინა შვილი, ქაზიმ-ბეგი. უმიან-ხანუმის გარდაცვალების შემდეგ, აბდულ-ბეგმა იქორწინა სოფელ ორცვას მცხოვრების, ლომან-ადა მოლა-ისმაილოღლის ქალიშვილზე, რუხსეთზე, რომლისგანაც 1881 წლის 11 იანვარს შეეძინა შვილი ხუსეინ-ბეგი.

ამ დროისათვის აბდულ-ბეგ ბეჟანიძეს სოფელ ზენდიდში ჰქონდა სახლი და კარ-მიდამო, საკმაოდ ბევრი სახნავ-სათესი სხვა სოფლებშიც.

---

* აბდულ-ბეგ ბეჟანიძეზე დამატებითი ცნობები იხ. თავში „ბეჟანიძეები ოსმალეთში“ (რ. ს.)

ბეჟანიძის სახლი დაბა ქედაში (ამჟამად საცხ. სახლი)

1890 წელს აბდულ-ბეგმა ქედის ცენტრში, მდინარის მარჯვენა სანაპიროზე ააშენა ორსართულიანი ქვითკირის სახლი, რომელსაც გაუკეთა წარწერა რუსულ-ქართულ ენაზე: „1890. აბდულ-ბეგ თულუმბა-ზადე ბეჟანიძე.“

ოსმალეთის მმართველობის დროს მონაწილეობდა რუსეთის საწინააღმდეგო ლაშქრობებში, მინიჭებული ჰქონდა ობერ-ოფიცრის წოდება და მიღებული ჰქონდა ოსმალეთის მთავრობის ჯილდოებიც, მე-5 ხარისხის ვერცხლის მედალი „მეჯიდიე.“

წარწერა აბდულ-ბეგის სახლზე ქედაში

აბდულ-ბეგ ბეჟანიძის მოღვაწეობიდან ერთ-ერთ მნიშვნელოვან ქველმოქმედებად მიმაჩნია ქედის მაზრაში გადაშენებულ ციციშვილთა ოჯახის აღდგენა.

როგორც ცნობილია, რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრების შემდეგ, პირველი მუჰაჯირობის დროს ციციშვილების ოჯახის ყველა წევრი სოფელ საღორეთიდან აიყარა და ოსმალეთში, კერძოდ ტრაპიზონში გადასახლდა. ქვემო აჭარაში ამ გვარის სახსენებელი აღარ დარჩა. ერთ-ერთი მათგანი, ხასანი თავის მშობლებთან ერთად ოსმალეთიდან აბდულ-ბეგ პირმსახურის ძეს (ბეჟანიძეს) გადმოუყვანია თავის მამულში, ზენდიდში დაუსახლებია და აქვე დაუქორწინებია სამნიძეების ქალზე ილდიზზე; აქედან მოგვიანებით ხასანის ოჯახი საღორეთში გადასულა და საკუთარ კარმიდამოში დაფუძნებულა.

ქართული წერა-კითხვა ხასან ციციშვილს (1886-1893) ჰაჯი ხასან-ბეგ ბეჟანიძის მეუღლემ, ქობულეთის რაიონის სოფელ ზერაბოსელიდან გამოთხოვილმა გულ-ხანუმ ნიჟარაძემ შეასწავლა. საყურადღებოა, რომ ხასან ციციშვილმა ისე კარგად აითვისა ქართული წერა-კითხვა, რომ გაზეთ „ივერიის“ კორესპონდენტი გახდა და რამდენიმე წერილი გამოაქვეყნა. მან მალე საქმიანი ურთიერთობა დაამყარა ქართველ მოღვაწეებთან და მწერლებთან: სოფრომ მგალობლიშვილთან, ანტონ ფურცელაძესთან, ზაქარია ჭიჭინაძესთან და სხვ.[91]

მადლიერი ხასან ციციშვილი თავის უფროს მეგობარს და მისი გვარის გამაცოცხლებელ აბდულ-ბეგ ბეჟანიძეს პატარა წერილსაც უძღვნის და ერთხელ კიდევ წარმოგვიჩენს ამ მოღვაწის იმ დროისათვის მეტად საჭირო საგანმანათლებლო საქმიანობას: „აჭარელმა ბეგმა აბდულ-ბეგ ბეჟანიძემ კარგა ხანია ცალკე მასწავლებელიც კი მოიწვია თავის შვილებისათვის და აგრეთვე სოფლის ყმაწვილებისათვის ქართულის წერა-კითხვის სასწავლებლად. მას წინათ იმავე ბეგმა მასწავლებლის თხოვნით ტფილისიდამ დაიბარა ქართულის წერა-კითხვის პირველსაკითხავი წიგნი „დედა-ენა“ ბატონის იაკობ გოგებაშვილისა.“[92]

ყველა ქართველი მოღვაწე, ვინც ხუსეინის მამას, აბდულ-ბეგ ბეჟანიძეს შეხვდა, მას ახასიათებს, როგორც განათლებულს,

კულტურულსა და გონებამახვილ თავადს. ზაქარია ჭიჭინაძის თქმით, ბეჟანიძეთა ოჯახში „თითქმის ყველამ დაისწავლა ქართულ-რუსული წერა-კითხვა: აბდულ-ბეგ ბეჟანიძეს დღეს თავის სახლში ქართველი მასწავლებელი ჰყავს დაჭერილი, მასწავლებელი მათ გვარის ყმაწვილებს წერა-კითხვას ასწავლისო.“[93]

სამწუხაროდ, აბდულ-ბეგ ბეჟანიძეზე მეტი არაფერი ვიცით. ჩვენთვის მხოლოდ ნაწილობრივ ცნობილია მისი მამის, მუთიბეგის ბიოგრაფია (იხ. ზემოთ), აგრეთვე აბდულ-ბეგის გარდაცვალების თარიღიც.

ხუსეინ-ბეგი

აბდულ ბეგის შვილთაგან ჩვენთვის მეტნაკლებად ცნობილია ხუსეინ-ბეგის ბიოგრაფია. იგი 1881 წლის 11 იანვარს დაიბადა. როგორც ირკვევა, მიიღო ოჯახური განათლება, თუმცა შესანიშნავად იცოდა ქართული წერა-კითხვა და თავისუფლად კითხულობდა ქართველ კლასიკოსთა ნაწარმოებებს, აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში და დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მოსახლეობაში.

ხუსეინ-ბეგ ბეჟანიძე შედიოდა აჭარის დეპუტაციის შემადგენლობაში, რომელიც 1916 წლის 2 მარტს თბილისში ჩავიდა, მეფისნაცვალს, დიდ მთავარს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე რომანოვს ეახლა და წარუდგინა აჭარის მოსახლეობის მოთხოვნები:

1. სამშობლოში დაბრუნდნენ მუჰაჯირები და გადასახლებულები;

2. იჯარით არ გაეცათ მიწა-წყალი მათ დაბრუნებამდე;

3. სამართალში მიცემულ მაჰმადიან ქართველებზე გაევრცელებინათ შეღავათები.

მეფისნაცვალმა მათ აღუთქვა დახმარება, რაც ნაწილობრივ შეასრულა კიდეც.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხუსეინ-ბეგი ოჯახთან ერთად
მარცხნიდან სხედან: შუშიკო, გულისერი, ხუსეინ-ბეგი, ნაიმე;
დგანან: ისკენდერი, თემური, შორეთი, გუგული.

ხუსეინ აბდულის ძე
ბეჟანიძე

გულისერ ხასანის
ასული ჭყონია-ბეჟანიძე,
ხუსეინის მეუღლე

სულეიმან-ბეგი

ზენდიდელ ბეჟანიძეთა შორის ერთ-ერთი ცნობილი და დიდი ავტორიტეტის მქონე პიროვნება სულეიმან-ბეგი იყო (დაბადებულია 1850 წელს). მის შესახებ წერენ დ. ბაქრაძე, ზ. ჭიჭინაძე, თ. სახოკია და სხვები, რომლებიც პირადად გაეცვნენ სულეიმან-ბეგს და მისგან მრავალი საინტერესო ცნობაც ჩაიწერეს.

ქდაში ყოფნისას დიმიტრი ბაქრაძეს მასპინძლობდა კაიმაკაიმი ხუსეინ-ადა სურმანიძე, რომელმაც ურჩია დაეთვალიერებინა ფერდობზე შეფენილი სოფელი ზენდიდი, სადაც თვალს იტაცებდა ბეჟანიძეთა დიდი ორსართულიანი თეთრი სახლი, აგრეთვე მის ზევით, გულებისწყლის სათავესთან პირქუშად მდგომი, დაკბილული კლდის მსგავსი ძველებური ციხის ნანგრევები, სადაც ცუდი ამინდების დროს მწყემსები და მონადირეები აფარებდნენ თავს.[94]



სულეიმან ბეჟანიძე

როგორც ვხედავთ, დ. ბაქრაძე ბეჟანიძეთა მხოლოდ ადგილსამყოფლსა და უძრავი ქონების აღწერას შეეხო. ის თითქმის არაფერს ამბობს ამ გვარის წარმომადგენლებზე, რაც მისმა მომდევნო მკვლევარებმა შეავსეს. ამ მხრივ განსაკუთრებული როლი ზაქარია ჭიჭინაძეს მიუძღვის. 1892 წლის ახლო ხანებში ზ. ჭიჭინაძემ გაიცნო სულეიმან-ბეგ თულუმბა-ზადე ბეჟანიძე (ქედის ბეჟანიძები სწორედ თულუმბა-ზადეს ტიტულს ატარებდნენ), ახალგაზრდა კაცი, რომელიც ქართულის გარდა რუსულ ენას და წერა-კითხვასაც ფლობდა და გრიგოლ გურიელთან ნათესაობდა (სამწუხაროდ ეს საინ-

ტერესო მომენტი ვერ დავაზუსტეთ). სულეიმანის ორი ძმა 1879 წლიდან სტამბოლის ლიცეუმში სწავლობდა. ჩვენი აზრით ესენი უნდა იყვნენ ახმედ-ბეგი და ბერი-ბეგი, რომლებსაც მემკვიდრე არ დარჩენიათ. სულეიმან-ბეგი აშკარა ქართული ორიენტაციის კაცი ყოფილა. მან ზ. ჭიჭინაძეს რამდენიმე ქართული ლექსი წაუკითხა და შეპირდა, რომ ქართული წიგნების გავრცელებაში დაეხმარებოდა. გარდა ამისა, გამოუთქვამს ადგილობრივი ბეგების სურვილი, ქედაში საბაღოსნო სკოლის გახსნისა, „რადგანაც აქ ხილი ძალიან მრავლობს. ქართველი მეფეების დროს აჭარაში ბევრი ხილი მოდიოდა, ვაზიც კარგი სცოდნია“-ო.[95]

ძალზე საინტერესოა სულეიმან-ბეგის საუბრის ის ნაწილი, სადაც ის ზ. ჭიჭინაძეს იმ დროისათვის არსებულ ვითარებას, მუჰაჯირობის მასშტაბებს და მოსახლეობის აღმსარებლობას შეეხება. ახალგაზრდა ბეგი შესანიშნავად ერკვევა მიმდინარე სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხებში და გულისტკივილით ამბობს, რომ აჭარის შემოერთება სიტყვით იქმნა და არა საქმით. მოძმეებმა ვითომც ერთმანეთი გაიცნეს, მაგრამ სინამდვილეში არ იცნობენ. ბეგი ზაქარიას ურჩევს: „თქვენ თუ რამ რჯულის საქმეზე მოსულხართ, გიჯობთ, რომ ჩუმათ იყოთ და არსად არაფერი სთქვათ, თორემ რაც დარჩნენ, ისინიც აიშლებიან... აჭარა ასი წელიწადი ებრძოდა თათარს გამუსლიმანებაზე,* ვიდრე ჩვენი მამა-პაპები გაუმუსლიმანებიათ და თქვენ აბა ათ წელიწადში რას გახდებითო... აჭარა ნებით არის გამუსლიმანებული და ნებითვე გაქრისტიანდება, ჯერეთ წიგნი გვასწავლეთ, გაგვიცანით და მერე სხვაფრივ იქნება საქმეო.“[96]

---

* ზ. ჭიჭინაძეს „გამუსლიმანების“ ნაცვლად ყველგან „გათათრება“ აქვს მოხსენიებული, რაზეც ადგილობრივ მკვიდრთაგან არაერთი მწარე შენიშვნა მიიღო. რ. ს.

სტამბოლის ლიცეუმში გაგზავნილი შვილიშვილების, ახმედის და ბერის სანახავად სულეიმან-ბეგ ბეჟანიძის დიდედა წასულა, თან შიშობდა, ვაითუ ბიჭებმა „ქართული აღარ იციან, მე ოსმალური არ მესმის და როგორღა უნდა ვილაპარაკოო.“ საბედნიეროდ, შვილიშვილებს ქართული არ დავიწყებიათ, მაგრამ, როგორც ზ. ჭიჭინაძე აღნიშნავს, იმათ არც კი სცოდნიათ, რომ ქართული ანბანიც არსებობდა. დიდედას ისინი ამაში დაურწმუნებია და უთქვამს, რომ მე თვითონ ვიცი ქართული ანბანის წერა და კითხვაო. გარდა ამისა, სტამბოლიდან შვილისათვის მიუწერია, ქართული ანბანი გამომიგზავნეო. შვილსაც არ დაუყოვნებია და ოთხი ცალი „დედა-ენა“ გაუგზავნია.

სულეიმან ბეჟანიძის პროგრესულ ორიენტაციაზე და საქართველოს თავისუფლებისა და ერთიანობისათვის ბრძოლაზე მეტყველებს ერთი დეპეშა, რომელზეც პირველი ხელს აწერს სულეიმან-ბეგ ბეჟანიძე, ამიტომ დეპეშა მისივე შედგენილ უნდა იყოს. იგი ბათუმიდან აკაკი ჩხენკელისათვის გაუგზავნიათ აჭარაში დამოუკიდებელი საქართველოს წესწყობილების დამყარებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, 1920 წლის ივლისის მეორე ნახევარში. დეპეშაში ნათქვამია: „ქვემო აჭარის მცხოვრებლები, აღფრთოვანებელი სამუსლიმანო და საქრისტიანო საქართველოს გაერთიანებით, უღრმესი პატივისცემით გულწრფელად გილოცავთ ამ დიად ფაქტს, მოხარული და ბედნიერი ვართ ჩვენი საერთო მიზნების განხორციელებით. ჩვენთვის დაუვიწყარია თქვენი მშობლიური, ჩვენდამი პატრონობა და ჩვენი ქვეყნის ცოლ-შვილის ნამუსის და ჩვენი არსებობის 1914 წ. რუსეთის ჯალათების განადგურებისაგან ხსნა. განმეორებით მადლობას შემოგწირავთ და გისურვებთ დღეგრძელობას. ვიმედოვნებთ, აწი არ დაგვივიწყებთ და კვლავ განაგრძობთ თქვენს ნაყოფიერ მუშაობას ჩვენთვის.“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სულეიმან ბეგ ბეჟანიძე;
ეუბ დიასამიძე;
თევფიკ-ბეგ თავაძე (თავდგირიძე?);
ხოჯა-აღა გულა ბაირახტარიშვილი (სოფ. მეძიბნა);
იმამ აღისშვილი ყედირ (სოფ. დოლოგანი);
კედიმ-აღა ცინცაძე (სოფ. მახუნცეთი);
გურჯი-ოღლი იბრაგიმ;
აბას სიბლაძე (სირაბიძე);
სულეიმან-ბეგ ბოლქვაძე.[97]

ზ. ჭიჭინაძე ეხება აჭარის 1845 წლის* აჯანყებას და ამბობს, რომ მაშინ ამორჩეულ მეთაურებს შორის იყვნენ ზენდიდელი ჰაჯი-ხასან ბეგ ბეჟანიძე, აგარელი დევაძეები, ორცველი შერვაშიძე და იმ დროის სხვა გამოცდილი აჭარელი ვაჟკაცები, რომლებმაც გაამაგრეს ციხე-კოშკები. მათ წინააღმდეგ ოსმალეთის მთავრობას 20 000 ჯარისკაცი ჩამოუყვანია, აუტეხია ზარბაზნების სროლა, მაგრამ ყვლგან მარცხდებოდნენ. რომ არა ხეირულა-ბეგ ჯაყელის ღალატი, მომხდური ვერაფერს გახდებოდა. ამ ვერაგობამ გადაწყვიტა აჭარელთა ბედი და ოსმალური წეს-წყობილების განმტკიცება აჭარაში.

ჩვენი აზრით, გამაგრებულ ციხე-სიმაგრეებში იგულისხმება ზენდიდის ციხეც, რომელიც, როგორც ჩანს, მაშინ ინარჩუნებდა აჭარისწყლის ხეობის დაცვის ერთ-ერთი ციტადელის მნიშვნელობას. გარდა ამისა, ამ აჯანყების თარიღი, 1844 წელი, უნდა იყოს ზენდიდის ციხის საომარი მიზნით უკანასკნელად გამოყენების დროც.

ზაქარია ჭიჭინაძე კარგად იცნობდა ქედის მოწინავე სასულიერო პირებს: ხასან-ეფენდი სურმანიძეს, ახმედ და ისმაილ ხალიფაშვილებს (ერთგან ესენიც სურმანიძედ ჰყავს მოხსენიებული),რომლებმაც შეიხ-ულ-ისლამისაგან მიიღეს

* უნდა იყოს 1844 წელი.



მუფთი ხასან სურმანიძე

იმის ნებართვა,რომ აჭარაში ლოცვა ქართულ ენაზე ჩაეტარებინათ. ისმაილ-ეფენდის ამისათვის ქართულ ენაზე ყურანის მსგავსი წიგნიც შეუდგენია, რომლის მიხედვით 1855 წლამდე ჯამე-მეჩეთებში ქადაგება ქართულ ენაზე ტარდებოდა. შემდეგ ეს აუკრძალავთ იმის შიშით, რომ რუსები შემოვლენ და როცა ჩვენს ქართულ ქადაგებას მოისმენენ, იტყვიან, ესენი ქართველები ყოფილანო და გაგვაქრისტიანებენო. ასეა თუ ისე, ქართული ენისა და მეტყველებისათვის ზრუნვა სხვადასხვა ფორმითა და მეთოდით მიმდინარეობდა და ამისათვის სპეციალური წიგნებიც არსებობდა. სხვათაშორის, ზ. ჭიჭინაძეს უთხრეს, რომ ზემოთ დასახელებული ქადაგების წიგნის ხელნაწერი აჭარაში კიდევ მოინახებაო. მას სწორედ სული (სულეიმან) ბეგ ბეჟანიძე შეპირდა, „ერთს ხელნაწერს გიშოვნით და ქართულად გადაგაწერინებთო.“[98] მან ეს პირობა შეასრულა თუ არა, ჩვენთვის უცნობია.

სულეიმან ბეგი სხვა მხრივაც მხარში ედგა ზ. ჭიჭინაძეს. მისი სარეკომენდაციო წერილით ზაქარია ჩავიდა მაჭახლის ხეობაში, გაეცნო აქაურ ბეგს, ქავისოღლის, აგრეთვე გვარიშვილებსა და ახმედ-აღა მისირ-ოღლი-კახიძეს, რომელმაც დიდი დახმარება აღმოუჩინა მოგზაურობის დროს. სტუმარი მათ უკითხავდა აჭარაში გაგონილ ლექსებს, მოლა ნასრედინის ზღაპრებსა და ანეკდოტებს, ზოგიერთს, კერძოდ დოღლიშვილების ბავშვებს, ქართული ანბანის შესწავლაც დააწყებინა.

სხვათაშორის, ხალხურ ლექსებს სულეიმან-ბეგიც კარგად იცნობდა, ზოგი ზეპირადაც სცოდნია. სწორედ მას მოუყოლია

ზ. ჭიჭინაძისათვის ქობულეთელი სევიე ზოიძის ლექსი. ამ ქალბატონს 9 ვაჟი ქობულეთის ბრძოლაში დაეღუპა და თითქოს ამასთან დაკავშირებით გამოუთქვამს ეს ლექსიც. იგი აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული ხალხური ლექსის ასოციაციას იწვევს, მაგრამ საინტერესოა, თუნდაც იმიტომ, რომ აქაურები იცნობდნენ ზოგად ქართულ ფოლკლორს;

როდესაც ვიყავ ვაჟკაცი,
დავკრიფე ია და ვარდი,
რაც შემესია მტერები
ქორულებ უყავ ნავარდი.
თავს ვეცი, ბოლოს გავარდი,
უყურებ ცუდსა სოფელსა,
ბოლო ჟამს როგორ დავარდი.[99]

სულეიმან-ბეგის ქველმოქმედებას ეხება აბდულ მიქელაძე. მისი თქმით, სულეიმან-ბეგ თულუმბა-ზადემ და ოსმან-ეფენდიმ (გეგიძემ, რ. ს.) 150 მანეთი შესწირეს ზენდიდში სკოლის ასაშენებლადო.[100]

სულეიმან-ბეგ ბეჟანიძის ნაყოფიერი და მამულიშვილური საქმიანობა გაგრძელდა მე-20 საუკუნის პირველ მეოთხედში, ხანდაზმულობის ასაკშიც. ცხოვრებაგამოვლილი და მომავლის საღად განმჭვრეტი პიროვნება იმთავითვე დადგა პროგრესულ ძალთა გვერდით და დიდი როლი შეასრულა, როგორც საქართველოს დამოუკიდებლობის, ასევე აჭარის უცხოელთაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

1918 წლის მარტ-აპრილში, ოსმალთაგან ბათუმის ოკუპაციის დროს, ქართველი პატრიოტები დაირაზმნენ მემედ-ბეგ აბაშიძის გარშემო და მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს უცხოელთა ბატონობას. „ქართველ მუსლიმანთა კომიტეტმა," რომლის აქტიური წევრი სულეიმან-ბეგ ბეჟანიძეც იყო, სრული დაუმორჩილებლობა გამოუცხადა საოკუპაციო ხელისუფლებას, ხოლო კომიტეტის თავმჯდომარემ მემედ-ბეგ აბაშიძემ

ფუად სულეიმანის ძე ბეჟანიძე (მარჯვნივ)

მათ გაბედულად განუცხადა: „თქვენ აქ სტუმრები ხართ, ჩვენ კი მასპინძლები, ამიტომ მოგესალმებით სტუმრებს და იმედი გვაქვს მოკლე დროში ბათუმსა და მის ოლქს დატოვებთო.“[101] წინააღმდეგობას სტუმრები არ ელოდნენ, ამიტომ მემედ აბაშიძე, ჯემალ ქიქავა, დაუთეფენდი სირაბიძე, სულეიმან ბეჟანიძე და ხასან ლორთქიფანიძე დააპატიმრეს და ტრაპიზონის ციხეში ჩასვეს.

ციხიდან თავდაღწეული და სამშობლოში დაბრუნებული სულეიმან-ბეგ ბეჟანიძე კვლავ ჩაება საზოგადოებრივ საქმიანობაში. 1919 წლის 30 აგვისტოს ის მონაწილეობდა ბათუმის ოლქის წარმომადგენელთა ყრილობის მომზადებაში. ყრილობამ აირჩია პრეზიდიუმი მემედ-ბეგ აბაშიძის მეთაურობით, თავმჯდომარის ამხანაგებად: ისკენდერ ცივაძე, სულეიმან ბეჟანიძე, ზია აბაშიძე, იზეთ ხალვაში, ისმაილ ჯოშხუნ-ზადე, მუსტაფ ჯიმშეროღლი, ჰაფიზ სურმანიძე, მდივნებად: თახსიმ ხიმშიაშვილი, ჯემალ ქიქავა, სულეიმან ვარშანიძე.[102]

აი ის, რაც ვიცით სულეიმან-ბეგ ბეჟანიძეზე, ჭეშმარიტ პატრიოტსა და მამულიშვილზე. სამწუხაროდ ჩვენს არქივებსა და გამოქვეყნებულ მასალებში მისი გარდაცვალების თარიღს ვერ მივაკვლიეთ. ვიცით, რომ ის დაკრძალულია ს. ზენდიდში. უცნობია ბიოგრაფიის სხვა დეტალებიც, რაც მომავალმა მკვლევარებმა უნდა მოიძიონ.

ანა-ელისაბედ ბეჟანიძე*

ბეჟანიძეთა გვარიდან გამოსულ მანდილოსანთა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ანა (მონაზვნობაში ელისაბედ) ბეჟანიძეს, წარმოშობით ბათუმელს, რომელსაც ახალციხეში მიუღია კათოლიკური სარწმუნოება და მონაზვნად აღკვეცილა.

სამწუხაროდ, ჩვენ ვერ დავადგინეთ ანა ბეჟანიძის წარმომავლობა, მისი ბათუმელი მშობლების ვინაობა.

სიმონ ზაზაძის დედა მარიამ ჩილინგარიშვილი გაუზრდია დეიდას ანა-ელისაბედ ბეჟანიძეს, წარმოშობით ბათუმელს, რომელსაც ახალციხეში მიუღია კათოლიკური სარწმუნოება. მის შესახებ სტატია გამოაქვეყნა ცნობილმა ჟურნალისტმა მარადი ანასაშვილმა. აქ კერძოდ ნათქვამია, „სიმონ ზაზაძის დედა ანა-ელისაბედ ბეჟანიძე დიდად განათლებული ქალბატონი, დედათა მონასტრის (სტამბოლის, რ. ს.) წინამძღვარი იყო. იგი ამავე დროს დედათა მონასტრის ეზოში არსებული ქართულ-ფრანგულ ქალთა სკოლის დირექტორიც გახლდათ. თეორიული საგნების გარდა, ასწავლიდნენ ქარგვას, აძლევდნენ სამედიცინო განათლებას. აქ ბევრი რეცეპტი და სამედიცინო ინსტრუმენტია დაცული.

დედათა მონასტრის წინამძღვარი ელისაბედ (ანა) ბეჟანიძე.
(შუშანა ფუტკარაძის წიგნიდან „სტამბოლის ქართული სავანე“).

---

* ანა ბეჟანიძე სავარაუდოდ ბათუმელია. ვინაიდან ბათუმში მცხოვრები თითქმის ყველა ბეჟანიძე წარმოშობით ს. ზენდიდიდანაა, ამიტომ ანაც ზენდიდელ ბეჟანიძეთა ჯგუფში შევიტანეთ (რ. ს.)

დედათა მონასტერს პანსიონატი ჰქონდა, აგრეთვე ბავშვთა ბაგა და ბაღი. დიდი ყურადღება ექცეოდა ღვთისმეტყველების შესწავლას.

ქალბატონ ანას გადაწყვეტილი ჰქონდა ახალციხეშიც გაეხსნა სკოლა. საარქივო მასალები გვაცნობენ, რომ ანა 1920 წელს საქართველოს დიპლომატიურ მისიას ქ. სტამბოლში სთხოვს საქართველოში გასამგზავრებელ ვიზას.

საკონსულო ნებას რთავს და იგი ორ მონაზონთან ერთად, საქართველოში მიემგზავრება. სკოლის გასახსნელად ყველაფერი მზად იყო. ახალციხეში მასწავლებლად სტამბოლში განათლებამიღებული მონაზვნები უნდა გაეგზავნათ. სამწუხაროდ საქართველოში ბოლშევიკების მოსვლამ ეს საქმე ჩაშალა.“[103]

ანა (ელისაბედ) ბეჟანიძე (ზის შუაში). პავლე ზაზაძისა და მარიამ ჩილინგარაშვილის ქორწილი (პირველი, მეორე).
(შუშანა ფუტკარაძის წიგნიდან „სტამბოლის ქართული სავანე“).

ამ ცნობას კიდევ უფრო აღრმავებს და აზუსტებს ცნობილი მეცნიერი შუშანა ფუტკარაძე, რომელმაც ჩვენს თანამედროვეთაგან ერთ-ერთმა პირველთაგანმა გაკვალა გზა სტამბოლის ქართულ სავანესთან და მის ერთგულ და თავდადებულ მსახურებთან. ქალბატონ შუშანას თქმით, ანა-ელისაბედ ბეჟანიძე, წარმოშობით ბათუმელი, სიმონ ზაზაძის არა დედა, არამედ მისი დედის მარიამ ჩილინგარაშვილის დეიდა და გამზრდელია. იგი 1920 წელს საქართველოში ჩამოსულა და მთავრობისათვის უთხოვია ახალციხეში ქალთა სასწავლებლის გახსნის ნებართვა, მაგრამ ამასობაში საქართველო ბოლშევიკებმა დაიპყრეს, ხოლო დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა ემიგრაციაში წავიდა და ანა ბეჟანიძის კეთილი განზრახვა ჩაიშალა. სამოციოდე წლის წინ სავანეში მონაზონი აღარ დარჩა. მონასტერი და მისი სასწავლებელი დაცარიელდა, ძველი შენობები დაინგრა. რომ არა სიმონ ზაზაძის დიდი ყურადღება, ამ მიდამოებში ქართველთა კვალი საერთოდ წაიშლებოდა.



პავლე ზაზაძე, მარი და ალექსანდრე ჩილინგარაშვილები (დედით ბეჟანიძეები).
(შუშანა ფუტკარაძის წიგნიდან „სტამბოლის ქართული სავანე“.)

ტრაგიკულად წარიმართა ანა ბეჟანიძის დის და სიძის ჩილინგარიშვილის ცხოვრება. ისინი ყაჩაღებმა ადაბაზარში გაძარცვის მიზნით დახოცეს. ობლად დარჩენილი მათი ბავშვები მარი და ალექსანდრა დედათა მონასტერში ანამ შეიფარა.

ანას უფროსი და ცოლად ჰყოლია ქუთაისში ცნობილი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის იოსებ ოცხელის ძმას, ხოლო მეორე და ანასთან ერთად მონაზვნად იყო აღკვეცილი. დებმა სასწავლებელში მიაღებინეს განათლება მარის და ალექსანდრას. მათი მეშვეობით გაიცნო პავლე ზაზაძემ მარი ჩალინგარაშვილი (დედით ბეჟანიძე) და ცოლად შეირთო. მათი შვილები იყვნენ სიმონი და ანიტა.[104]

დევრიშ-ბეგი

დევრიშ-ბეგ ბეჟანიძე ერთ-ერთი ნათელი და ცნობილი პიროვნებაა ზენდიდელ ბეჟანიძეთა ოჯახში. ის ჰაჯი-ასან-ბეგ ბეჟანიძის და ზერაბოსლელი გულ-ხანუმ ნიჟარაძის შვილია. მისი ძმები იყვნენ ასლან-ბეგი (1893-1937), იბრაიმ-ბეგი (1867-1937), დედე-ბეგი და ახმედ-ბეგი.

დევრიშ-ბეგ ბეჟანიძე

დევრიშ-ბეგს ცოლად ჰყავდა ქედის მაზრის უფროსის, იმ დროისათვის ცნობილი პიროვნების, თუფან-ბეგ შერვაშიძის (1848-1914) ქალიშვილი სალიე-ხანუმი (1869-1958), რომელთანაც შეეძინა 8 შვილი: ღალიბი, ნადია, სეფურე, მუსტაფი, ავნი, ხასანი, ფითნეთი და ენვერი. ამათგან უკანასკნელი ორი ბავშვობაში გარდაიცვალნენ, ხოლო სხვები ჩვენი თანამედროვენი იყვნენ, მიიღეს უმაღლესი განათლება და აქტიურად ჩაებნენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

სალიე-ხანუმ შერვაშიძე-ბეჟანიძისა თუფან-ბეგის ქალიშვილი და დევრიშ-ბეგის მეუღლე

დევრიშ-ბეგმა იურიდიული ფაკულტეტი სტამბოლის უნივერსიტეტში დაამთავრა, რუსული მმართველობის დროს მრავალი მადალი პოსტი ეკავა და დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ცარიზმის ადმინისტრაციაში. დევრიშ-ბეგ ბეჟანიძეს დიდი ღვაწლი მიუძღვის მუჰაჯირების გადასახლების შეჩერებასა და მათი მიწა-წყლის გადარჩენაში. როგორც ცნობილია, 1894 წელს მუჰაჯირების მიწები და სოფლები, კომლებითურთ, ჩარიცხეს სახელმწიფო ფონდში და ეს მიწები ცარიზმის მოხელეებსა და კაპიტალისტებს დაურიგეს. ამ მტრულ აქტებს ადგილობრივმა მამასახლისებმა ხელი არ მოაწერეს, რაზეც მათ აქეზებდა დევრიშ-ბეგ ბეჟანიძე, რომელიც ამ დროს მოწმეს როლში გამოდიოდა (ქუთაისის სახელობის სახ. არქივი. საგუბერნატორო მმართველობის საარქივო ფონდი № 14). 1903 წელს დევრიშ-ბეგმა ბიძაშვილებთან ერთად, გვარი თულუმბა-ზადე შეიცვალა ძველი თავადური გვარით – ბეჟანიძე, 1905-1907 წლებში კი თავის სიმამრთან, თუფან-ბეგთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა ბათუმის ოლქში მიწის რეფორმების გასატარებლად. იგი ერთხანს ქედის მაზრის უფროსი იყო, აჭარისწყლის მოსამართლის მოვალეობასაც ასრულებდა. საქართველოს დელეგაციასთან ერთად დევრიშ-ბეგი მონაწილეობდა რომანოვთა დინასტიის 300 -წლისთავის დღესასწაულში. 1914 წელს რუსეთის ხელისუფლებამ დევრიშ-ბეგ ბეჟანიძე განსაკუთრებული მისიით მიავლინა ოსმალეთში, როგორც თავისი სრულუფლებიანი წარმომადგენელი. ის ფა-

რულად მუჰაჯირთა სამშობლოში დასაბრუნებლადაც იღ-
წვოდა. ამ მისიას დიდი გამოხმაურება მოჰყვა. მოსახლეობის
დიდი ნაწილი აიყარა და სამშობლოში დაბრუნდა, რამაც
ოსმალეთის ხელისუფლების მხვრივ მწვავე რეაქცია გამოი-
წვია. დევრიშ-ბეგი ერთ-ერთმა მისმა თანამგზავრმა გასცა,
დააპატიმრეს და როგორც ოჯახში ფიქრობენ, 1916 წელს
საპყრობილეში გარდაიცვალაო.[105]

სინამდვილე კი სხვაგვარია. როგორც ცნობილია 1914 წლის
ოქტომბერში ოსმალეთში შეიქმნა საქართველოს დამოუკიდე-
ბლობის გაერთიანებული
კომიტეტი (გერმანიასთან
და ოსმალეთთან კავშირში),
რომელმაც თავის აქტიურ
წევრს, ლეო კერესელიძეს
დაავალა ქართული ლეგიო-
ნის შედგენა. ამ ლეგიონის
მთავარი ამოცანა იყო გერ-
მანელებთან და ოსმალებთან
ერთად ბრძოლა რუსეთის წი-
ნააღმდეგ. ლეგიონმა შეიმუშა-
ვა ე. წ. „ქართველთა ლეგიო-
ნის აფიცრებისათვის სავალ-
დებულო კანონი“. ამ კანონის
მე-3 მუხლით დადგენილია
ოფიცერთა შორის „უფროს-
უმცროსობა“, რომელიც ამავე
დროს წარმოადგენს თავისე-
ბურ საშტატო განრიგს და
თანამდებობრივ სიას. ერთერთი განაწესი ასე გამოიყურება:

დედე-ბეგ ბეჟანიძე

კაპიტანი მერკვილაძე
უფრ. ლ-ტი სურვილაძე
„ მარანელი

„ სეფერ აღა-ზადე
„ ჩახრუხაძე
„ ჩაჩავა
ლეიტ-ტი მანჯავიძე
„ ირემაძე
„ ჩევი-ოღლი
აფიცრის მოადგილე ბეჟანიძე
„ ჭყონია
„ ჩადუნელი
„ ჩხარტიშვილი
„ ნიკოლაიშვილი
„ წიკლაური [106]

საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დაცული საბუთებით დასტურდება, რომ ამ დროისთვის ოსმალთში, კერძოთ ტრაპიზონში არსებული ლეგიონი 800-დან 1500-მდე კაცს აერთიანებდა. ესენი, უპირატესად იყვნენ წარჩინებული გვარის მქონე მაჰმადიანი ქართველები: თავთგირიძები, ნაკაშიძები, სურმანიძები, ბეჟანიძეები, ხალვაშები და სხვ. აგრეთვე ქართველი მოხალისეები და ოფიცრები. ისინი სხვადასხვა გზით დაუსხლტდნენ ტყვეობას გერმანიის, ავსტრიისა და ოსმალეთის ბანაკებიდან, სადაც პირველი მსოფლიო ომის დროს ჩავარდნენ.[107]

სანამ ზემოთმოტანილ სიაში დასახელებული ზოგიერთი პიროვნების ვინაობას შევეხებოდთ, საჭიროა მცირეოდენი განმარტება. წოდება „აფიცრის მოადგილე“, დღევანდელი გაგებით უმცროს ლეიტენანტს უტოლდება. ამ თანამდებობაზე დასახელებული ბეჟანიძე ასლან-ბეგი ან დევრიშ-ბეგია, რომლებიც იმ დროს ოსმალეთში იყვნენ და როგორც აღვნიშნეთ, დევრიშ-ბეგი მუჰაჯირთა უკან დაბრუნების საქმით იყო დაკავებული; სწორედ მის ტრაპიზონში ყოფნას დაემთხვა ლეგიონის შექმნა, რომელშიც, ჩვენი ვარაუდით, დევრიშ-ბეგი უყოყმანოდ გაერთიანდა და იმთავითვე მისი ოფიცერი გახდა.

ქართველ ლეგიონერთა შედარებით ზუსტ სიებს მიაკვლია პროფესორმა შუშანა ფუტკარაძემ. ეს სიები ცალკე წიგნადაც გამოქვეყნდა. ერთ-ერთ სიაში მოხსენიებულია ასლან-ბეგ ბეჟანიძე, რომლის რაზმი ტრაპიზონში ყოფილა განლაგებული. თვით ასლან-ბეგი თვიურად ხელფასის სახით 320 მანეთს ღებულობდა.[108]

რაც შეეხება უფროს ლეიტენანტ სურვილაძეს, ჩვენი აზრით, აქ შეცდომა უნდა იყოს. ამ დროისათვის ლეგიონის ერთერთი აქტიური წევრი იყო ფეიზულა-ბეგ სურმანიძე (1881-1937), რომელმაც, ოდნავ მოგვიანებით, ქედაში და თავის ნათესაურ წრეში შეკრებილი 200 ახალგაზრდით ლეგიონი შეავსო. ამიტომ ვფიქრობ, რომ სურვილაძის მაგივრად (ასეთი გვარი არც არსებობს) სურმანიძე იგულისხმება.

ქართული ლეგიონი მალე კარგად გაწვრთნილ სამხედრო შენაერთად იქცა, რამაც სერიოზულად დააფრთხო ოსმალთის მთავრობა. 1916 წლის დამლევს თურქებმა გერმანიის მთავრობისაგან მოითხოვეს დაუყოვნებლივ დაეშალა ლეგიონი. ეს მართლაც ასე მოხდა, დარჩა 120 რჩეულ ოფიცერთა ჯგუფი, რომელიც რუმინეთში გადავიდა და 1918 წლის 25 მაისამდე დარჩა.109 დაშლილი ლეგიონის წევრების ნაწილს, რომლებსაც ოსმალეთის მთავრობა არაკეთილსაიმედოდ თვლიდა, დაუწესეს დევნა და შევიწროება. ზოგიერთი მათგანი ფიზიკურადაც გაანადგურეს. მათ შორის იყო დევრიშ-ბეგ ბჟანიძეც, რომელიც ჩვენი აზრით, სწორედ ასეთ ტერორს შეეწირა 1916 წლის დასასრულს.

მურთაზ-ბეგ ბეჟანიძე

რაც შეეხება მურთაზ-აღას, ის საკმაოდ მდიდარი პიროვნება ყოფილა, ამიტომ ხშირად ბეგადაც მოიხსენიებდნენ. მის საკუთრებაში იყო 3000 სული ცხვარი, რომლებიც ხემშილებზე ჰყავდა მოსავლელად მიბარებული. საყურადღებოა, რომ მურთაზ-ბეგი თავის სიმდიდრეს გაჭირვებულებსაც უნაწილებდა. მას 1912 წელს დაუმთავრებია რუსული სამხედრო სკოლა. ახალგაზრდა ოფიცერი რამდენიმე უცხო ენას ფლობდა. პირველი მსოფლიო ომის წინა ხანებში მურთაზ-ბეგმა აჭარისწყლის ხეობაში დამნაშავეთა 33 კაციანი ჯგუფი შეიპყრო, რისთვისაც სახელმწიფო ჯილდო მიუღია. შემდეგ, ჩვენთვის გაურკვეველი მიზეზით, მურთაზიც დაუპატიმრებიათ.

ბეჟანიძე მურთაზ სეფერის ძე (1879=1937

ჩვენი ღრმა რწმენით, მურთაზ სეფერის ძე ბეჟანიძეც ჩარიცხული იყო ტრაპიზონში შექმნილ ანტირუსულ ქართულ ლეგიონში. აქ მას უფროსი ლეიტენანტის სამხედრო ხარისხი ჰქონდა და სეფერ-აღა-ზადეს გვარით იცნობდნენ.* როგორც ჩანს, რუსეთის მთავრობამ სწორედ ეს არ აპატია თავის მოხელეს და ამის გამო დააპატიმრა კიდეც. მისი დედა ზექიე ჰაჯის ასული, ცხენით თბილისში ჩასულა და დიდკაცებს შეხვედრია, რომელთაც უსაყვედურა: თქვენთან სამსახურში

*აჭარელ ლეგიონერთა დიდი ნაწილი, ოსმალეთის ხელისუფლების ნდობის მოსაპოვებლად, ქართულ გვარ-სახელებს ოსმალურ ყაიდაზე იცვლიდა. ამ ხერხს მიმართავდნენ არამარტო მუსლიმანები, არამედ ქრისტიანებიც, თვით ლეო კერესელიძეს ისკენდერ-ბეგის, ნესტორ მაღალაშვილს – მურად-ბეგის, ხოლო მელიტონ ქარცივაძეს ოსმან-ბეგის სახელით იცნობდნენ. (რ. ს.)

მყოფი კაცი როგორ დაატუსაღეთო. შემცბარმა მოხელეებმა უთხრეს: თქვენ წაბრძანდით და სახლში დაგხვდებათო. წამოსულა ქალბატონი ზექიე და მურთაზი მართლაც სახლში დახვედრია, თუმცა უფრო სასტიკ რეპრესიებს იგი საბჭოთა პერიოდშიც ვერ ასცდა.

1937 წელს მურთაზის დასაპატიმრებლად 52 კაციან ჯგუფს სახლზე ალყა შემოურტყამს. დააპატიმრეს ღამის 3 საათზე, ოჯახიდან წაიღეს ყველაფერი მათ შორის უძველესი რელიკვია, ვერცხლის ქამარ-ხანჯალი.

მურთაზის შესახებ ოჯახმა დიდხანს არაფერი იცოდა, ამიტომ შვილმა, ხუსეინმა მ. კალინინისა და მ. ვოროშილოვის სახელზე გაგზავნა განცხადებები. ჯერ უპასუხეს, რომ დახურულ ბანკში მუშაობს რკინიგზის უფროსად, მაგრამ წერილის გამოგზავნის უფლება არ აქვსო. ამის შემდეგ კიდევ განვლო დრომ. 1956 წელს მურთაზის მეორე შვილი ოსმანი მოსკოვში ჩავიდა და კ. კოროშილოვის ნახვა მოახერხა. მისი დავალებით „გაურკვევიათ“ საქმე და ოჯახში გამოუგზავნიათ წერილი, თითქოს მურთაზ ბეჟანიძე 1944 წელს გარდაიცვალაო.

ბოლო წლებში გავარკვიე მურთაზის დაბადებისა და გარდაცვალების ნამდვილი თარიღი. ის დაიბადა 1879 წელს და სხვა 5 ბეჟანიძესთან ერთად 1937 წელს დახვრიტეს ქალაქ ბათუმში.[110,111]

* * *

საბჭოთა ხელისუფლება უნდობლად, ბოლოს მტრულადაც, ექცეოდა სხვა მაღალი ფენის, ძველ დიდგვაროვან ოჯახებს, როგორც მამაკაცებს, ასევე ქალებსაც. საზოგადოებრივ საქმიანობაში მათ ჩაბმას ერიდებოდა და, ალბათ, ეს იყო კომუნისტური იდეოლოგიის ერთ-ერთი დიდი შეცდომა. ახალმა მთავრობამ ჩამოიშორა მოსახლეობის მოწინავე ფენა, რო-

მელიც კულტურულად ჩამორჩენილ მხარეში ამინდს ქმნიდა და თანამედროვე ცხოვრების მაგალითებს იძლეოდა. ამის მიუხედავად, ამ ოჯახების მოწინავე წარმომადგენლები მაინც ჩნდებოდნენ საზოგადოებრივ ასპარეზზე. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ ქალები, რომელთა სახე, კარჩაკეტილობისა და რელიგიური ფანატიზმის ფონზე, განსაკუთრებით მკაფიოდ გამოჩნდა. ამ ფაქტს ვერ მალავდა მაშინდელი ოფიციოზი, გაზეთი „ფუხარა“: „ხანუმებიც გამოვიდნენ სოფლის საქმეებში მონაწილეობის მისაღებად. ეს უდიდესი მოვლენაა იმ მოვლენათა შორის, რომელსაც კი ადგილი ჰქონდა აჭარისტანის სინამდვილეში.[112]

ამ მოვლენების გმირთა შორის გამონაკლისს არც ბეჟანიძეების ოჯახებიდან გამოსული ხანუმები წარმოადგენდნენ. აქ დავასახელებთ ნადია ბეჟანიძეს, რომელიც 1925 წელს ნუნუ ბერიძესთან და ალთუნ შაშიკაშვილთან ერთად იყო ქალთა კომიტეტის წევრი და აქტიურად მონაწილეობდა კავკასიის მხარეთმცოდნეობის ყრილობის მუშაობაში, რომელიც ბათუმში გაიმართა.

ლამიე ბეჟანიძე

საზოგადოებრივი აქტიურობით გამოირჩოდა, ლამიე აბაშიძე-ბეჟანიძე. 1925 წელს აჭარელ ქალთა კლუბთან შეიქმნა რამდენიმე სექცია. საექიმო დახმარების სექციას ლაიმე ბეჟანიძე ხელმძღვანელობდა. ამ სექციამ აჭარელ ქალთათვის გახსნა ამბულატორია, რომელსაც ექიმი რაისა ბორისის ასული შიშლო-საბაშვილი (1867-1937) ჩაუყენეს სათავეში; თუ მანამდე ქალაქის სამეცნიერო დაწესებულებაში არც ერთ აჭარელ ქალს არ მოუმართავს, ქალთა ამბულატორიის გახსნიდან ერთ თვეში მან 200 ქალს გაუწია დახმარება. აქ სისტემატიურად ეწყობოდა ლექციები და საუბრები ქალისა და ბავშვის ჰიგიენაზე, გან-

საკუთებით მავნე ჩვევებზე, პირად ჰიგიენაზე, ჩაცმულობაზე, კვების წესებზე, ჩვილი ბავშვის მოვლაზე და ა.შ.[113]

ლამიე ბეჟანიძის ავტორიტეტზე ისიც მეტყველებს, რომ ალთუნ შაშიკაშვილის შემდეგ, ის ერთხანს კლუბსაც ხელმძღვანელობდა და ქალთა შორის მუშაობაზე ადგილობრივ გაზეთებში წერილებსაც აქვეყნებდა.

10 თებერვალს, სოფელ ქვემო ჯოჭოში, სადაც ყველაზე ძალუმად ბოგინობდა რელიგიური ფანატიზმი, ლამიე ბეჟანიძემ წაიკითხა მოხსენება „ქალი და არჩევნები“. კრებამ მიიღო დადგენილება, რომელშიც ნათქვამია: „მამაკაცების მხრივ ხელშეშლის მიუხედავად, აქტიურად ჩავებმებით არჩევნებში და საერთოდ ქალთა მუშაობაში. ამასთან ერთად მოვითხოვთ გაგვიხსნან ჭრა-კერვის და წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა“.[114]

ქალთა კლუბის მიზნებზე, ამოცანებსა და მის დიდ პოლიტიკურ-სოციალურ მნიშვნელობაზე წერდა კლარა ცეტკინი, რომელმაც ეს კლუბი 1924 წლის ოქტომბერში მოინახულა: „ქალთა კლუბი მაჰმადიანი ქალებისათვის შეხვედრების, კავშირურთიერთობისა და თათბირის ადგილია, ახალგაზრდებისათვის – პოლიტიკური სკოლა. კლუბის წევრებს აქ შეუძლიათ შეიძინონ ელემენტარული ცოდნა, წერა-კითხვიდან დაწყებული კომუნიზმის დებულებათა გაცნობიერებამდე, წინდების ამოკემსვიდან – ოსტატურ ქარგვამდე... მაჰმადიანი ქალისათვის კლუბი არის თავშესაფარი, სადაც შეიძლება მიხვიდე რჩევა-დარიგებისა და დახმარებისათვის, განსაკუთრებით ქორწინებისა და ოჯახური ურთიერთობის სხვადასხვა საკითხზე. აქ ძველი სამართალი და ადათი მკვეთრად ეჯახება კანონმდებლობას“.[115]

ნადია ბეჟანიძე

ნადია ბეჟანიძის საქმიანობა მარტო ამ კლუბით არ ამოიწურებოდა. ის სხვა მნიშვნელოვანი საკითხებითაც იყო დაკავებული. 1928 წელს ნადია აქტიურად მონაწილეობდა ადგილობრივი არჩევნების მომზადების, სააგიტაციო მუშაობის გაშლისა და თვით არჩევნების ჩატარების საქმეებში.

იმავე წლის 18 დეკემბერს ნადია ბეჟანიძე მონაწილეობდა ქედის მაზრის ჩადრახდილ ქალთა კონფერენციის მუშაობაში, სადაც მან გაბედულად განაცხადა, რომ ქალები აქტიურად ჩაერთვებიან, თუ ზოგიერთი ჩამორჩენილი ფანატიკოსი მამაკაცი ხელს არ შეუშლისო.



ნადიე დევრიშის ასული ბეჟანიძე

1929 წლის 8 მარტთან დაკავშირებით ქალთა კლუბთან არსებული პროფესიული სკოლა აჭარელ ქალთა სამწლიან ტექნიკუმად გადაკეთდა და პირველი ქალთა ნაკადიც მიიღო. 15 მოსწავლიდან 11 აჭარელი გოგონა იყო. ნადია ბეჟანიძეს კურსდამთავრებულთა პირველ გამოშვებაში ვხედავთ. მასთან ერთად ტექნიკუმი დაამთავრეს: გული ღლონტმა, აიშე და ხატიჯე ხახუტაიშვილებმა, შუქიე და ბაიჯე ინაიშვილებმა, სურიე გორგილაძემ, სანიე ემირიძემ, მერიემ მეგრელიძემ, ნაზიკო კომახიძემ და ჰურიე მჟავანაძემ.

1934 წლის 30 აპრილს აჭარის ცაკის დადგენილებით ქალთა ტექნიკუმს ნ. კრუპსკაიას სახელი ეწოდა; ლენინის მეუღლეს სასწავლებლის მსმენელებმა გაუგზავნეს მისასალმებელი წერილი: სხვებთან ერთად წერილს ხელს აწერს აიშე ბეჟანიძე.

იმავე წელს ნადია ბეჟანიძე ქალთა რჩეულ აქტივისტებს შორის მოიხსენიება. ის, როგორც თავისი საქმიანობით გამორჩეული და სხვებისათვის პირადი მაგალითის მიმცემი, დაასახელეს აჭარის საბჭოების მე-11 ყრილობის დელეგატად.[116]

ნადია ბეჟანიძეზე წერილი და მისი ფოტოსურათი გაზეთმა „საბჭოთა აჭარისტანმაც“ გამოაქვეყნა. აქ ნათქვამია, რომ ნადიდემ (ნადია) წარჩინებით დაამთავრა აჭარისტანის პედაგოგიური ტექნიკუმი და ქედის სკოლაში დაიწყო მასწავლებლობა. 1934 წელს წავიდა თავის სოფელ ზენდიდში და იქიდან ჩამოიყვანა 11 გოგონა, შეუქმნა მათ სწავლის პირობები, უზრუნველყო ბინით, გათბობით, განათებით, წიგნებით, რვეულებით, სასმელ-საჭმელით, ე. ი. ქველმოქმედმა ქალმა ამ გოგონების სრული მოვლა-პატრონობა იკისრა.

ქალები აქტიურობდნენ სამრეწველო საწარმოებშიც. 1931 წლისთვის აჭარის სამრეწველო დარგში მუშაობდა 2 700-ზე მეტი ქალი. მათ შორის იყო მინირე ბეჟანიძე, რომელიც შრომის დამკვრელის ნიშნით დააჯილდოეს. ფართოდ იყო გაშლილი შეჯიბრება სამკერვალო, წინდებისა და აბრეშუმის ფაბრიკებში, სადაც თავი ისახელა ნაიმე ბეჟანიძემ.[117]

დამკვრელ ქალთა მოძრაობა ფართოდ გაიშალა ქობულეთის რაონში. 1933 წელს მოწინავე კოლმეურნე ქალთა შორის სახელი გაითქვა მერიემ ბეჟანიძემ, რომელიც გეგმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებდა.

* * *

ბეჟანიძეთა რამდენიმე წარმომადგენელი აქტიურად მონაწილეობდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მუშაობაში. 1925 წელს დაარსდა გაზეთ „ფუხარას“ კორესპონდენტთა ბიურო, რომლის შემადგენლობაში, ალ. გაბუნიასთან, პ. ლორთქიფანიძესთან და შუქრი გოგიტიძესთან ერთად, იყო ისკენდერ

ბეჟანიძე. ამ ჯგუფმა დიდი როლი შეასრულა, როგორც გაზეთისათვის აქტიური მასალების მიწოდებაში, ასევე გაზეთის გავრცელებაში. 1928 წელს გაზეთის მე-200-ე ნომრის გამოსვლასთან დაკავშირებით ისკენდერ ბეჟანიძეს საპატიო სოფლკორის წოდება მიენიჭა.[118]

ხასან-ბეგი

ზენდიდელ თულუმბა-ზადე ბეჟანიძეთა გვარში ერთ-ერთი საინტერესო პიროვნება ხასან-ბეგ ბეჟანიძე იყო. ის დევრიშ ბეგის შვილია. დაიბადა 1900 წელს და ოჯახში წერა-კითხვის შესწავლის შემდეგ, მიიღო იმ დროისათვის საკმაოდ კვალიფიციური განათლება. სწავლობდა ბათუმში ვაჟთა კლასიკურ გიმნაზიაში.

ხასან-ბეგი შვილებთან ერთად

აჭარაში საქართველოს დემოკრატიული მთავრობის კანონების დამტკიცე-ბისთანავე, 1920 წლის 17 აგვისტოდან ხ. ბეჟანიძე, როგორც ენების მცოდნე, მუშაობდა ქ. ბათუმის უბნის მომრიგებელი მოსამართლის თარჯიმნად. ახალი წყობილების დამყარებასთან დაკავშირებული სირთულეების, საერთო ქაოსისა და განუკითხაობის პირობებში, სახალხო სასამართლოებს მრავალი მძიმე საკითხის გადაწყვეტა მოუხდათ. მეწარმე, ბინათმფლობელები და კაპიტალისტი, რომელთა დიდი ნაწილი არაქართველი იყო, ბათუმიდან უცხოეთში მიეშურებოდა, მათ ადგილებს უძრავ-მოძრავი ქონების კანონიერი მეპატრონეები იკავებდნენ. ხშირ შემთხვევაში სიტყვა „კანონიერი“ პირობითი იყო. ამიტომ გადამწყვეტი იყო სასამართლოს განაჩენი. ამ პირობებში თარჯიმანსაც ძალზე რთული საქმე ჰქონდა, მაგრამ ასაკის მიუხედავად ხასაბ ბეჟანიძე მოვალეობას კარგად ართმევდა თავს. მან მშობლიური ქართულის გარდა შესანიშნავად იცოდა რუსული და თურქული ენები და თვითონვე აფორმებდა მნიშვნელოვან სასამართლო დოკუმენტებს.



ხასან ბეჟანიძის საბუთი 1921 წ.

ჩვენ ხელთ გვაქვს 1921 წლის 11 მარტს აჭარის გასაბჭოებამდე გაცემული მოწმობა, რომელშიც ნათქვამია, რომ ხასან ბეჟანიძე საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში ასრულებდა თავის მოვალეობას კეთილსინდისიერად, ცნობას ხელს აწერენ ბათუმის მომრიგებელი მოსამართლე ახვლედიანი და მდივნის თანამდებობის აღმასრულებელი მ. კრავეიშვილი. ცნობა დადასტურებულია ბეჭდით,

რომელზეც გამოსახულია, „წმინდა გიორგი ამარცხებს ურჩხულს“.[119]

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ხასან ბეჟანიძე რევკომმა გაატარა რეგისტრაციაში და სამუშაოდ მიამაგრა ფინანსთა სახალხო კომისარიატს, რომელსაც დასაწყისში ცნობილი მოღვაწე მალაქია ტოროშელიძე თავკაცობდა. კომისარიატმა ხასან-ბეგი ლენინგრადის საფინანსო ინსტიტუტში მიავლინა ფინანსისტის სპეციალობის დასაუფლებლად. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, ოცდაათიან წლებში ხ. ბეჟანიძე კვლავ აჭარის ფინსახკომს დაუბრუნდა და წლების მანძილზე უფროსი ინსპექტორის თანამდებობა ეკავა.

თანამედროვეთა გადმოცემით ეს იყო უაღრესად მოწესრიგებული, გარეგნულად შემკული, ნამდვილი ძველი თავადიშვილისა და არისტოკრატის განსახიერება. სიცოცხლის ბოლო წლებში მუშაობდა ტყავნედლეულისა და მატყლის დამზადების სამმართველოში. გარდაიცვალა 49 წლის ასაკში. ხასან-ბეგს ცოლად ჰყავდა სანიე დიასამიძე, რომელიც სრულიად ახალგაზრდა, 1942 წელს, 23 წლის ასაკში გარდაიცვალა. დარჩათ ხუთი შვილი: ჟუჟუნა, ნანული, ქამილი, გუგული და მურმანი. ნანული და გუგული ადრე გარდაიცვალნენ. ამჟამად ცოცხალი აღარც ჟუჟუნა, ქამილი და მურმანი არიან, მაგრამ მათ ხსოვნას სათუთად ინახავს მათი ნამრავლი, ბეჟანიძეთა დიდებული გვარის ტრადიციების გამგრძელებელნი.

ხასან ბეჟანიძე და ნელი ყადირის ასული შერვაშიძე

ღალიბ-ბეგ ბეჟანიძე

ზენდიდელ ბეჟანიძეთა ერთი სახელოვანი წარმომადგენელი, დევრიშ-ბეგის ვაჟი, ღალიბი დაიბადა 1906 წელს სოფელ ზენდიდში. განათლებული ოჯახის შვილმა 11 წლის ასაკში დაამთავრა ქედის ორკლასიანი სასწავლებელი, ხოლო 1919 წელს შევიდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბათუმის სკოლაში, რომელიც 1921 წელს პირველ შრომის სკოლად გადაკეთდა. აქ ღალიბი 1923 წლამდე სწავლობდა.

1923 წელს ბათუმში გაიხსნა პედაგოგიური სასწავლებელი, რომელსაც სოფლის სკოლებისათვის მასწავლებლები უნდა მოემზადებინა. ამ სასწავლებელს აჭარისტანის პედაგოგიურ ინსტიტუტსაც ეძახდნენ და მას იმ დროისათვის საკმაოდ განათლებული, ბათუმის სათათბიროს ყოფილი ხმოსანი, შუქრი ვარშანიძე ხელმძღვანელობდა. სასწავლებელი ქალთა გიმნაზიის ყოფილ შენობაში (ახლანდელი №2 სკოლა) გაიხსნა. ღალიბ ბეჟანიძესთან ერთად აქ სწავლობდნენ: ჯემალ ნოღაიდელი, ზია (ვლადიმერ) ქემხაძე, ახმედ ტაბიძე, ხუსეინ ხინიკაძე, იბრაიმ მჟავანაძე, აგრეთვე, დირექტორის ქალიშვილები მუთებერ და სემაეთ ვარშანიძეები. მასწავლებლად მუშაობდნენ ცნობილი პედაგოგები: ნიკოლოზ ლორთქიფანიძე, ალექსანდრე გორგაძე, მელიტონ კუხიანიძე, დავით ჯავრიშვილი, იოსებ ხუსკივაძე, ვლადიმერ ილიუშინი, თამარ და გიორგი ჩხაიძეები.

1926 წელს ღალიბ ბეჟანიძემ დაამთავრა აჭარისტანის პედაგოგიური ინსტიტუტი და მუშაობას შეუდგა ქედის დაწყებითი სკოლის გამგე-მასწავლებლად. აქ მან ორი წელი იმუშავა, რის შემდეგ გადაწყვიტა სწავლის გაგრძელება, მაგრამ პედაგოგის სპეციალობას „უღალატა“ და თავის მომავალ პროფესიად მედიცინა აირჩია.

1928 წელს ღალიბ ბეჟანიძე ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე, რომელიც 1936 წელს დაამთავრა და როგორც მკურნალი ექიმი მობილი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზაციით გაიგზავნა მოსკოვ-ვოლგის არხის მშენებლობაზე მუშა-მოსამსახურეთა სამედიცინო სამსახურის უზრუნველ-საყოფად. შემდეგ გადავიდა ქ. სვერდლოვსკში; აქედან მალე დაბრუნდა მშობლიურ რაიონში, სადაც საქმიანობდა ჯერ სოფელ ოქტომ-ბრის, ხოლო შემდეგ ცხმორისის საექიმო უბნის გამგე-ექიმად.





ღალიბ ბეჟანიძის ღია წერილი ძმას ავნის.
1938 წ.

1939 წლიდან ღალიბ ბეჟანიძე ბათუმშია. მუშაობდა სასწრაფო დახმარების ექიმად, გოროდიკის (გრილუბანის) ამბულატორიის გამგედ, აგრეთვე პუშკინის ქუჩაზე მდებარე (ყოფილი ტუბდისპანსერი) პოლიკლინიკის ექიმად.

მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე ღალიბ ბეჟანიძე ჯარში გაიწვიეს, თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში გაიარა ხანმოკლე კურსები, რის შემდეგ გაგზავნეს მოქმედ არმიაში. მონაწილეობდა რუმინეთის, სამხრეთ სლავიის, უნგრეთის და ავსტრიის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში და მრავალ სხვა სამხედრო ოპერაციებში.

ღალიბ დევრიშის ძე ბეჟანიძე
სამხედრო ექიმი

გამარჯვების დღე ღალიბ ბეჟანიძემ ტრანსილვანიაში იზეიმა, მაგრამ სახლში ვერ დაბრუნდა, რადგანაც ერთხან მსახურობდა რუმინეთში, ხოლო 1945 წლის მეორე ნახევარში მისი ნაწილი შორეულ აღმოსავლეთში გადაისროლეს, მონაწილეობდა იაპონიასთან ომში, ხოლო შემდეგ სამსახური განაგრძო სახალინზე, ზღვისპირეთის მხარეში და ამურის ქალაქ ნიკოლაევში.

1953 წელს სამხედრო ექიმი ღალიბ ბეჟანიძე თავის ნაწილთან ერთად ბათუმში დააბრუნეს, ხოლო ერთი წლის შემდეგ ჯერ ქუთაისში, შემდეგ ახალქალაქში გადაიყვანეს. აქ მან 1957 წლის 1 აპრილამდე დაჰყო, მაგრამ ავად გახდა და დემობილიზაციით ისევ ბათუმში დაბრუნდა, სადაც დიდხანს არ უცოცხლია, იმავე წლის 30 დეკემბერს გარდაიცვალა.

ღალიბ ბეჟანიძეს, როგორც მამაც მებრძოლსა და გამოცდილ საველე ექიმს, ბუქარესტის, ბუდაპეშტის და ვენის

გათავისუფლებისათვის მიღებული ჰქონდა მედლები, წითელი ვარსკვლავის ორდენი და სხვა ჯილდოები.

ნაომარი და ნამოღვაწარი ღალიბ ბეჟანიძის ბიოგრაფიას გარკვეულწილად ავსებს მისი პირადი წრილები, რომლებიც სხვადასხვა დროს და-ძმებისათვის გამოუგზავნია. ერთ-ერთი ყველაზე ძველი ღია წრილით, 1938 წლის 27 ნოემბერს ძმას, ავნის ატყობინებს თავის ახალ ადგილსამყოფელს: ქალაქი რიბინსკი, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამედიცინო ნაწილი. სამწუხაროდ, მისი ადრინდელი მისამართი უცნობია. ამავე ბარათით ცნობილი ხდება ადრესატის, ავნი დევრიშის ძე ბეჟანიძის სამსახურის მისამართიც: ბათუმი, ლენინის ქუჩა, განათლბის სახალხო კომისარიატი.

მომდევნო წერილი 1945 წლის 24 აპრილითაა დათარიღებული, როცა ჯერ კიდევ მძვინვარებდა ომი, მაგრამ ამჯერად ჩვენი ჯარები აღმოსავლეთ ევროპას ათავისუფლებდნენ. ღალიბი კვლავ ბრძოლის შუაგულში იყო, მაგრამ აწუხებდა ოჯახის წევრების, დედის, და-ძმებისა და ახლო ნათესავების მდგომარეობა. როგორ არიან ნენეი, ნადიე, აინტერესებს მუსტაფის ამბავი, რომელიც ასევე ჯარში იყო, ზექერია-ბიძია (შერვაშიძე), ცუცა-ბიცოლა (ყადირ-ბეგ შერვაშიძის ქვრივი), მისი გოგონები გულიკო და ნელი. თქვენი უკანასკნელი წერილი 1944 წლის 16 აგვისტოს მივიღე, როცა რუმინეთის ფრონტის წინა ხაზზე, ქ. იასთან ვიყავი და ბლინდაჟში წავიკითხეო. შემდეგ ის ძმას ატყობინებს, რომ შემოიარა ევროპის მრავალი ქვეყანა და ქალაქები: ბუქარესტი, ტრანსილვანია, ბუდაპეშტი, ბელგრადი, სოფია. ახლა სწორედ ავსტრიაში ვარ მოწინავე ხაზზე და ქვემეხების ბათქა-ბუთქის და არტილერიის კანონადის ქვეშ ვწერ ამ წერილსო.

ომის დამთავრების შემდეგ, 1947 წლის 6 ივნისს ღალიბი წერილს უგზავნის თავის დას, ნადიეს. მაშინ ის ამურის ნიკოლაევსკში იმყოფებოდა. ატყობინებს იქაური ბუნების სიმკაცრეს, აგრეთვე იმას, რომ შვებულებაზე წარადგინა რაპორტი, მაგრამ ჯერ პასუხი არ მიუღია. ამ დროს ღ. ბეჟანიძე

სამხედრო ჰოსპიტლის თერაპიული განყოფილების უფროსი ორდინატორი იყო. სიხარულს გამოთქვამს, რომ ოჯახს შუძენია ძროხა, ზიანქარი-თხა, სასურველია წმინდანი-ცხვარის შეძენაო, ხუმრობს ღალიბი. ნიკოლაევსკის მედრესედან ბათუმის მედრესემდე ძალიან შორი გზაა, არ გეყოფა 30 კეცი მჭადი და 6 ოყა დო, გარდა ამისა, ბათუმიდან სახლში ამოსვლამდე კიდევ ერთი კეცი მჭადი დამჭირდება, ამდენ საგზალს აქ სად ვნახავო – აგრძელებს ხუმრობას ღალიბი.

ბოლო ბარათი 1950 წლის 29 მაისსაა დაწერილი და ავნის სახელზეა გამოგზავნილი. ირკვევა, რომ მუსტაფს გაუგზავნია დეპეში, რომლითაც ატყობინებს ხასანის ავადმყოფობას. ამ წერილში აღნიშნულია აგრეთვე, რომ 1948 წლიდან, ორი წელი, ღალიბი სახალინზე მსახურობდა, ხოლო ახლა ზღვისპირეთის მხარეში გადაიყვანეს, ატყობინებს იქაურ აუტანელ კლიმატს: როგორც ჩანს, ბრძოლებში და გამუდმებით აღმა-დაღმა ხეტიალში დაღლილ კაცს მშვიდი და დალაგებული ცხოვრების, სამშობლოს და ოჯახის ნატვრაც მოეძალა: „ძალიან მომეწყინა, მომბეზრდა თავი აქ ყოფნით, კიდევ სანამ ვიქნები არ ვიციო – სწერს ის ძმას. ალბათ სწორედ ასეთმა აუტანელმა ცხოვრებამ გატეხა ჯერ კიდევ ახალგაზრდა ღალიბ ბეჟანიძის ჯანმრთელობა და 51 წლის ასაკში გამოასალმა წუთისოფელს ისე, რომ საკუთარი ოჯახის შექმნაც კი ვეღარ შეძლო.[120]

ავნი ბეჟანიძე

ზენდიდელ ბეჟანიძეთა ზოგიერთმა წარმომადგენელმა საბჭოთა ხელისუფლების წლებშიც ისახელეს თავი. მათ შორის დავასახელებ დევრიშ-ბეგის შვილს, ღალიბის მომდევნო ძმას, ავნი ბეჟანიძეს, რომელიც სამაგალითო იყო, როგორც აჭარის მკვიდრთაგან ერთ-ერთი პირველი პედაგოგი და მხარეში განათლებისა და კულტურის დარგის თვალსაჩინო მოღვაწე.

ავნი ბეჟანიძე 1908 წლის 15 მაისს დაიბადა სოფელ ზენდიდში, პირველდაწყებითი განათლება ჯერ კიდევ სასკოლო ასაკამდე, ოჯახში მიიღო, სადაც ქართული წერა-კითხვის და წიგნის სიყვარულის დიდი ტრადიცია ჰქონდათ, 1917 წ. ის შეიყვანეს ქედის ორ-კლასიან სასწავლებელში, რომელიც 1920 წელს დაამთავრა.

ავნი ბეჟანიძე

1920 წელს ავნი ბეჟანიძე ბათუმში გადმოვიდა და სწავლა განაგრძო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სკოლაში, ხოლო ერთი წლის შემდეგ გადავიდა პირველ საბჭოთა სკოლაში.

1923 წელს ავნი ბეჟანიძე ახლად გახსნილ აჭარის პედაგოგიურ ტექნიკუმში (შემდგომში ინსტიტუტად გადაკეთდა) გადაიყვანეს, სადაც მისი უფროსი ძმა ღალიბ ბეჟანიძეც სწავლობდა. სასწავლებელს ტექნიკუმსაც ეძახდნენ, მაგრამ აქ ისწავლებოდა ისეთი საგნები და ხელმძღვანელობდნენ ისეთი სასწავლო პროგრამებით, რომლებიც არაფრით ჩამორჩებოდა უმაღლესი განათლების პროგრამებს. აღარ ჩამოვთვლი ყველა საწავლებლისათვის სავალდებულო საგნებს, დავასახელებთ მხოლოდ ზოგიერთს, რომლებიც აუცილებელი იყო მომავალ პედაგოგთა ფორმირებისათვის: პედაგოგიკა, სკოლამდელი აღზრდა, შრომის სკოლის ძირითადი პრინციპები, პედაგოგიკურ იდეათა ისტორია, სწავლების კომპლექსური სისტემა, განათლების საბჭოთა სისტემა, სასკოლო მეურნეობა, მასწავლებელთა თვითგანვითარება და ა. შ. ამავე სკოლაში მოსწავლეები ითვისებდნენ მშობლიური ენის, ბუნებისმეტყველებისა და ფიზიკის, მათემატიკის, საზოგადოე-

ბათმცოდნეობის და გეოგრაფიის სწავლების მეთოდიკებს. ინსტიტუტის პროგრამებში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა პრაქტიკულ საქმიანობასაც, რომელსაც მკაცრად აკონტროლებდა სპეციალური ჯგუფი.

1929 წელს ავნი ბეჟანიძემ დაამთავრა პედაგოგიური ინსტიტუტი და მიენიჭა საშუალო სკოლის მასწავლებლის კვალიფიკაცია, რომელიც მას 7-წლიან შრომის სკოლის ყველა ჯგუფში სწავლების უფლებას აძლევდა.121 21 წლის ახალგაზრდა პედაგოგი ქედის რაიონის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის მასწავლებლად დანიშნეს. მისი პირველი პედაგოგიური ნაბიჯები იმდენად წარმატებული და შესამჩნევი იყო, რომ ერთი წლის შემდეგ ქედის რაიონის განათლების განყოფილებაში ინსპექტორად გადაიყვანეს, ხოლო 1932 წელს აჭარის ასსრ განათლების სახალხო კომისარიატის მასიურ ღონისძიებათა სექტორის ინსპექტორად დააწინაურეს.

1934 წელს ავნი ბეჟანიძე კვლავ მშობლიურ რაიონს უბრუნდება და ქედის არასრული საშუალო სკოლის დირექტორად მუშაობს. აქ ის მხოლოდ ერთი სასწავლო წლის განმავლობაში დარჩა. კომისარიატს კვლავ დასჭირდა ახალგაზრდა, მობილური, ამასთან ერთად მცოდნე და თეორიულად კარგად მომზადებული სპეციალისტი, რის გამო ა. ბეჟანიძე კვლავ დაუბრუნეს განსახკომში, ამჯერად მოზრდილთა განათლების განყოფილების ინსპექტორის თანამდებობაზე.

1941 წლიდან ავნი ბეჟანიძეს ნიშნავენ ახლადჩამოყალიბებულ პოლიტგანმუშაობის მეთოდკაბინეტის ინსპექტორად. ხუთი წლის შემდეგ, მან ერთგვარად შეიცვალა სამუშაო პროფილი და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან ახლად ჩამოყალიბებულ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა სამმართველოს უფროს ინსპექტორად გადავიდა. აქედან დაწყებული სიცოცხლის ბოლომდე ა. ბეჟანიძე კულტურის ფრონტზე იღწვოდა. ჯერ ახლადორგანიზებული მოძრავი ბიბლიოთეკის გამგედ დანიშნეს, საიდანაც ბათუმის საქალაქო საბჭოს

კულტურის განყოფილების ინსპექტორად გადაიყვანეს. შემდეგ ავნი ბეჟანიძე მესამე საქალაქო ბიბლიოთეკის დარბაზის გამგე, მოგვიანებით კი ბავშვთა ბიბლიოთეკის დირექტორია.

ავნი ბეჟანიძის დამსახურება ახალგაზრდობიდანვე დაფასდა, 1946 წელს მას აჭარის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით აჯილდოებენ, 1971 წელს მისი დამსახურება ბათუმის პარტიული და საბჭოთა ორგანოების საიუბილეო საპატიო სიგელით აღნიშნა.

1967 წელს საბიბლიოთეკო საქმიანობაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის ავნი ბეჟანიძეს საქართველოს დამსახურებული ბიბლიოთეკარის საპატიო წოდება მიენიჭა.

ღვაწლმოსილი პედაგოგი და კულტურის დარგის წარჩინებული ადამიანი გარდაიცვალა 1989 წელს.


საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1967 წლის 22 ნოემბრის

ზრახანებულებით მოგანიჭათ თქვენ

ბ ე ჟ ა ნ ი ძ ე ს

ავნი ლევრიშის ძეს

~~საბიბლიოთეკო საქმის დარგში ხანგრძ-~~
~~ლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის~~

საქართველოს ს ს რ
ღვაწლმოსილი ბიბლიოთეკარის

საპატიო წოდება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე:
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი:

თბილისი

ბიბლიოთეკარის საპატიო წოდების სიგელი, გაცემული ავნი ბეჟანიძეზე. 1967 წ.

მუსტაფ ბეჟანიძე

ჩვენს დროში მოღვაწე ბეჟანიძეთა შორის გამოირჩეოდა დევრიშ-ბეგის მომდევნო შვილი მუსტაფ ბეჟანიძე, რომელიც 1912 წელს დაიბადა ზენდიდში. მუსტაფი მიეკუთვნება იმ პლეადას, რომელმაც ცხოვრების ძირითადი ნაწილი საბჭოთა ხელისუფლების წლებში გაატარა, სწავლობდა საბჭოთა სკოლაში, მაგრამ პარალელურად მედრესეშიც დადიოდა. მაშინ ასეთი იყო

ბეჟანიძე-შერვაშიძეთა ოჯახი

დგას პირველი მუსტაფ-ბეგ ბეჟანიძე
გვერდით სხედან: ავნი-ბეგ ბეჟანიძე, ზექერია-ბეგ შერვაშიძე
დგას უსუფ-ბეგ ბეჟანიძე (იბრაიმის და ხასანის მამა)
მათ წინ ზის ნადია ბეჟანიძე (საქ. დამს. მასწავლებელი)
სალიე-ხანუმ შერვაშიძე-ბეჟანიძე, ნელი შერვაშიძე
ნადიას წინ ზის ჟუჟუნა ბეჟანიძე, გულნარა, დალი სურმანიძე
ნაილე ხალვაში (ავნის მეუღლე)
წინ სხედან: თამაზ ძიძიშვილი, იბრაიმ იუსუფის ძე ბეჟანიძე,
იბრაიმ შაშიკაძე.

წესი. 14 წლის მუსტაფი ბათუმში ჩამოიყვანეს, სადაც ახლად გახსნილ ინდუსტრიულ ტექნიკუმში ჩაირიცხა. ეს ერთადერთი ტექნიკური სასწავლებელი იყო აჭარაში, რომელმაც მრავალი ინჟინერ-ტექნიკოსი გამოუშვა. ამათგან ბევრი იყო მაღალკვალიფიციური ინჟინერი, რომელთა ნახელავი ნაგებობები დღესაც ამშვენებს ჩვენს ქალაქს.

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მუსტაფ ბეჟანიძე ერთხანს ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში მუშაობდა, ხოლო 1932 წელს ის სწავლის გასაგრძელებლად მოსკოვში წავიდა და ჩაირიცხა სამთო აკადემიაში, მაგრამ ეკონომიური სიძნელეების გამო ვერ შეძლო მოსკოვში დარჩენა, რის გამოც საბუთები გამოიტანა და სწავლა განაგრძო ბაქოს ნავთობის ინსტიტუტში, სადაც იმ დროს მისი ბიძაშვილები, შუქრიე-ხანუმი და აქიფე-ხანუმი ცხოვრობდნენ.

1938 წელს მუსტაფ ბეჟანიძემ დაამთავრა ინსტიტუტი და სამუშაოდ დაბრუნდა ბათუმში, სადაც კვლავ ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში დაიწყო საქმიანობა. სამი წლის შემდეგ ის მობილიზაციით გაუშვეს ქალაქ ორსკის ნავთობგადამამუშავებელ კომბინატში სამუშაოდ. აქ მას ომმა მოუსწრო, მაგრამ როგორც საჭირო და კვალიფიციური სპეციალისტი, ერთხანს მოქმედ ნაწილში არ გაუწვევიათ.



მუსტაფ ბეჟანიძე

1943 წელს მუსტაფ ბეჟანიძეს მაინც მოუხდა მონაწილეობა საომარ პროცესებში. ომის დამთავრების შემდეგ ის ბათუმში ჩამოვიდა და კვლავ თავის მშობლიურ ნავთობგადამამუშავებელ ქარხანას დაუბრუნდა. უმაღ-

ლესი კლასის, მაღალკვალიფიციური სპეციალისტი წლების განმავლობაში ასრულებდა ქარხანის მთავარი ინჟინრის მოვალეობას და, როგორც მაშინ ამბობდნენ, ქართული მრეწველობის ამ უდიდესი და უმნიშვნელოვანესი ფლაგმანის ნამდვილი საყრდენი, ხერხემალი იყო. მისი ხელმძღვანელობით აქ დაინერგა მრავალი ახალი ტექნოლოგიური პროცესი, რომელიც დიდ მოგებას აძლევდა საწარმოს. აქ მუსტაფ ბეჟანიძემ 1988 წლამდე დაჰყო.

მუსტაფ ბეჟანიძეს მთავრობის მრავალი ჯილდო ჰქონდა მიღებული, ხოლო 1982 წელს საქართველოს დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდება მიენიჭა. გარდაიცვალა 1997 წელს.[122]

მუსტაფ ბეჟანიძის მეუღლე ანტონინა გრებენკინა

მუსტაფ ბეჟანიძემ სანიმუშო ოჯახი დატოვა. მისი მეუღლე ანტონინა გრებენკინა (1917-1989), შესანიშნავი მეოჯახე და კარგი შვილების აღმზრდელი დედა იყო. მუსტაფის შვილმა ასიამ მოსკოვში დაამთავრა სახალხო მეურნეობის ინსტიტუტი, არის ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი, ცხოვრობს და მოღვაწეობს მოსკოვში.

მეორე და მესამე ქალიშვილებმა ზაირამ და ტატიანამ იგივე ინსტიტუტი დაამთავრეს, დაბრუნდნენ ბათუმში და ამჟამად მშობლიურ ქალაქში ცხოვრობენ.

შუქრი და თენგიზ ბეჟანიძეები

ზენდიდელ ბეჟანიძეთა, კერძოდ ასლან-ბეგის შტოს მიეკუთვნებოდა შუქრი-ბეგ ბეჟანიძე, რომელიც 1937 წლის პოლიტიკურ რეპრესიებს გადაურჩა, მაგრამ ციხე და პატიმრობა მაინც არ აცდა.

შუქრი ასლანის ძე ბეჟანიძე 1915 წელს დაიბადა ქედის მაზრის სოფელ ზენდიდში. შინაური განათლების მიღების შემდეგ, 1930 წელს, სწავლა განაგრძო ბათუმში ახლადგახსნილ ინდუსტრიულ ტექნიკუმში, სადაც მიიღო ინჟინერ-ეკონომისტის პროფესია.

1936 წელს ახალგაზრდა სპეციალისტი ქედის რაიონის განათლების განყოფილების ეკონომისტად დანიშნეს, ხოლო 1942 წელს სამუშაოდ გადავიდა ხულოს რაიონში, სადაც განათლების განყოფილების მთავარ ბუღალტრად მიიწვიეს. აქ მან გაიცნო მედიცინის და, ზაბით-ბეგ ხიმშიაშვილის ქალიშვილი სემიე (1920-1985) და მათ აქვე შექმნეს მშვენიერი ოჯახი.

1937 წელს რეპრესიებს გადარჩენილი შუქრი ხულოშიც აგენტთა მეთვალყურეობის ქვეშ აღმოჩნდა. ის მათ რაიმე საბაბს არ აძლევდა, მაგრამ წარჩინებული თავადური გვარიდან გამოსული ქალის შერთვა ამ დროს ძალზე სარისკო იყო. თუმცა უშიშროების ორგანოები ამ მიზეზით შუქრი ბეჟანიძის შევიწროებას, როგორც ჩანს, მიზანშეწონილად არ თვლიდნენ და სხვა, კიდევ უფრო სერიოზულ არგუმენტს ელოდნენ.

შუაში შუქრი ბეგ-ბეჟანიძე 1948 წ.

როგორც ცნობილია, 40-იან წლებში საქართველოს რაიონებში, მათ შორის ხულოშიც, იგრძნობოდა ეკონომისტებისა და კვალი-

ფიციური ბუღალტრების ნაკლებობა. მათი დიდი ნაწილი შეთავსებით მუშაობდა. შუქრი ბეჟანიძეც რამდენიმე სკოლაში მიიწვიეს შეთავსებით სამუშაოდ და ის, მიუხედავად დიდი გადატვირთვისა, გროშების ფასად პატიოსნად ასრულებდა მეტად რთულ და მძიმე საქმეს. რამდენიმე ადგილას ხელფასის მიღება საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ შუქრი ბეჟანიძე 1950 წელს დაეპატიმრებინათ. მაშინდელი კანონების მიხედვით მას 17 წლით გადასახლება მიუსაჯეს.

სემიე ხიმშიაშვილი შვილთან თენგიზ ბეჟანიძესთან ერთად. 1956 წ.

1957 წელს, როცა გახშირდა პოლიტიკური საბაბით დაპატიმრებულთა გათავისუფლება და მათი რეაბილიტაცია, შუქრი ბეჟანიძემაც თავი დააღწია საპყრობილეს და ბათუმში დაბრუნდა, იმავე წელს ის აჭარკოოპკავშირში ეკონომისტად

მიიწვიეს, ხოლო სამი წლის შემდეგ, 1960 წელს, სამუშაოდ გადავიდა მახინჯაურში, ფისენკოს აგარაკზე განლაგებულ ფსიქიატრიული სასნეულოს მთავარ ბუღალტრად.

შუქრი-ბეგ ბეჟანიძე გამოირჩეოდა არამატო თავისი საქმის ღრმა ცოდნით, არამედ გარეგნობით, არისტოკრატული მიხვრა-მოხვრით და თავადური ქცევებით. მან თავისი ცხოვრება პატიოსან შრომაში გაატარა, მაგრამ ციხემ და გადასახლებამ თავისი გაიტანა და ჯერ კიდევ ახალგაზრდა, 53 წლის ასაკში, 1969 წელს გარდაიცვალა.

ბათუმის ინტელიგენცია და მრავალრიცხოვანი პაციენტები კარგად იცნობენ და პატივისცემითაც მოიხსენებენ საკმაოდ გამოცდილ ექიმ-უროლოგს, შუქრი-ბეგის შვილს, თენგიზ ბეჟანიძეს (დაბად. 1945 წ.), რომელმაც ცხოვრების საკმაოდ მრავალფეროვანი გზა განვლო. დედით ხიმშიაშვილი და მამით ბეჟანიძე ღირსეულად აგრძელებს ამ ორი დიდებული ქართული გვარის ტრადიციებს.

თენგიზ ბეჟანიძემ ბავშვობა ხულოში, დედულეთში გაატარა. სწავლობდა სკოლა-ინტერნატში. ახლაც დიდი პატივისცემით იხსენებს თავის მასწავლებლებს, ცნობილ პედაგოგებს: მემედ ჯორბენაძეს, ესმა დავითაძეს, ალექსანდრე ქათამაძეს, ვენერა გოლიაძეს, ლუთბიე ნიჟარაძეს.

სწავლასთან ერთად თენგიზ ბეჟანიძე სპორტით იყო გატაცებული, განსაკუთრებით ფეხბურთი უყვარდა. სწორედ სპორტის ამ სახეობაში გამოვლენილმა ნიჭმა ის ჯერ აჭარის, ხოლო შემდეგ საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში მოახვედრა. სამწუხაროდ მძიმე სპორტული ტრავმა მიიღო და ახლა მხოლოდ სწავლაზე უნდა ეფიქრა, თანაც მის გულთან ძალაუნებურად მედიცინა მივიდა. მომავალი პროფესიის არჩევაში დაეხმარა დედა, დიდი სელიმ-ფაშის პირდაპირი შთამომავალი ქალბატონი სემიე, რომელიც 40 წელი მშობლიურ ხულოს სამშობიარო სახლში ასრულებდა ამქმელის უკეთილმშობილეს მოვალეობას. თავის დროზე ამ ქალბატონმაც იწვ-

ნია სუსხი, სემიე ორჯერ გარიცხეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტიდან მხოლოდ იმიტომ, რომ ცნობილი ზაბით-ბეგ ხიმშიაშვილის ქალი იყო. თავგზააბნეულ გოგონას მემედ-ბეგ აბაშიძე გამოესარჩლა და სამედიცინო სასწავლებელში ჩარიცხა იმ პირობით, რომ შემდეგ სწავლას ინსტიტუტში გააგრძელებდა, მაგრამ 30-იანი წლების რეპრესიებმა ყველაფერი თავდაყირა დააყენა, სემიემ მხოლოდ საშუალო სპეციალობა მიიღო, თუმცა ამითაც იმდენი მადლი მოიგო, იმდენი თაყვანისმცემელი გაიჩინა, რომ გული არსოდეს დაწყვეტია.

სემიე ხიმშიაშვილი-ბეჟანიძე და ქეთევან ჯანდიერი

ნაკლი, რაც დედას გულში ჰქონდა, შვილს უნდა გაემრთლებინა და ასეც მოხდა. თენგიზმა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი დაამთავრა, პრაქტიკული ჩვევებიც დედაქალაქის სახელგანთქმულ მეცნიერებთან მიიღო. ამ მხრივ ის განსაკუთრებული სიყვარულით იგონებს აკადემიკოს

ეგნატე ფიფიას, რომლის სკოლამ მრავალი ქართველი სპეციალისტი აღზარდა. ასევე დიდად ემადლიერება ექიმ ჭოლა კილაძეს, რომელმაც აზიარა ექიმ-ურولოგის დამოუკიდებელ საქმიანობას: „ექიმად ჩამოყალიბებაში დიდად დავალებული ვარ ჭოლა კილაძისაგან. ამ უაღრესად ინტელიგენტმა კაცმა ავადმყოფებთან ურთიერთობის განსაკუთრებული მანერა გადმომცა, შვილივით მექცეოდა. მისგან დავრწმუნდი, რას ნიშნავს ექიმის სიტყვის ძალა ავადმყოფის განკურნების დროს.“[123]

თენგიზ ბეჟანიძე ამაყობს, რომ მეუღლეც წარჩინებული გვარის შვილია: „მამაჩემი და ჩემი მომავალი მეუღლის მამა მეგობრები იყვნენ. სწორედ მათი უშუალო ხელშეწყობით შეიქმნა ჩემი პატარა ოჯახი, წლებს ვითვლით მე და ჩემი მეუღლე ჟუჟუნა სურმანიძე.“

თენგიზ ბეჟანიძე მეუღლესთან ჟუჟუნა სურმანიძესთან და შვილებთან (ნესტანი, ლემანი) ერთად. 1975 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შვილებიც სასახელო ჰყავთ, ისინიც ნაყოფიერად აგრძელებენ ბებიას ანდერძს: ნესტანი – ექიმი-ლაბორანტია, ხოლო ლემანი კრასნოდარის სამედიცინო აკადემიის დამთავრების შემდეგ, იქვე დარჩა, ამჟამად ექიმ მეან-გინეკოლოგად მუშაობს ჩარკვიანის სახ. სამშობიარო სახლში.

ბათუმის ქუჩებში ხშირად შეხვდებოდით ჩქარი ნაბიჯებით მოსეირნე ორ მეგობარს, ცნობილ ექიმ-უროლოგს თენგიზ ბეჟანიძეს და ასევე ცნობილ ექიმ-ენდოსკოპისტს, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატს ზურაბ დიასამიძეს,* ჭეშმარიტ მკურნალებს, რომლებმაც მრავალი ადამიანი გადაარჩინეს, მრავალი ჯანმრთელი კი მათი იმედით ცოცხლობს.

რამიზ-ბეგი

ასლან-ბეგ ბეჟანიძის შვილი რამიზ-ბეგი 1925 წელს დაიბადა სოფელ ზენდიდში. 12წლისა იყო, როცა მამა დააპატიმრეს, ოჯახმა დღესაც არ იცის, რა სასჯელი მიიღო, სად აღესრულა და სად განისვენებს.

რამიზის დედა ფადიმე ჯაბნიძე-ბეჟანიძისა (1893-1970) მშვენიერი ქალბატონი, ამავე დროს მამაცი და გონებამახვილი ქალი ყოფილა. მან მოხერხებულად დააღწია თავი ჩეკისტების დევნას, მიიმალა, შვილებიც საიმედო ადგილას გახიზნა და სახლში მხოლოდ მას შემდეგ დაბრუნდა, როცა რეპრესიების ტალღა ოდნავ მიწყნარდა.

რამიზი ჩვეულებრივ სოფლის ბავშვებთან ერთად იზრდებოდა, მაგრამ მათგან გამოირჩეოდა აღზრდით, ჭკუა-გონებით, მებრძოლი ხასიათით, გარეგნობით. მას და მის წინაპრებს გამორჩეულად თეთრი კანი და გრძელი ჩამოქნილი თითები ჰქონიათ, ყველას წაბლისფრი თმა ამშვენებდა.

---

* სამწუხაროდ, ამ ფრაზის ჩაწერიდან რამდენიმე დღის შემდეგ ზურაბ დიასამიძე მოულოდნელად გარდაიცვალა. რ. ს.

1942-1944 წლებში რამიზ ბეჟანიძე ბათუმის საფინანსო-ეკონომიკურ სასწავლებელში სწავლობდა, რომლის დამთავრების შემდეგ ქედის განათლების განყოფილების მთავარ ბუღალტრად დანიშნეს. აქ მან თავი გამოიჩინა, როგორც შრომისმოყვარე, თავისი საქმის კარგად მცოდნე, მოწესრიგებულმა ადამიანმა, რომელსაც თანამშრომლები დიდი პატივისცემით და მოკრძალებით ეპყრობოდნენ. მისი თვისებები: კულტურა, მიმართვა, თავდაჭრილობა, მანერები, იუმორის გრძნობა, სიტყვის კაცობა ყველასათვის სამაგალითო იყო. გარეგნობით ხომ ყველას გულს იპყრობდა.

რამიზ ბეჟანიძის მეუღლე დარეჯან მურვანიძე და ქალი იზოლდა, ზენდიდის ციხის კედლებთან. 1949 წ.

1947 წელს რამიზ ბეჟანიძემ იქორწინა დარეჯან მარკოზის ასულ მურვანიძეზე, რომლისგანაც შეეძინა ქალიშვილი იზოლდა. თავის ასულში ბედნიერი მამა მთელს თავის სიყვარულს აქსოვდა. სამწუხაროდ, ეს ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა, აქაც განმეორდა ჩვენს მიერ ზემოთ, შუქრი ბეჟანიძის ბიოგრაფიაში აღწერილი ისტორია.

1951 წელს რამიზი დააპატიმრეს და 20 წლით სვერდლოვსკში (ეკატერინბურგი) გადაასახლეს. ასეთი მკაცრი სასჯელის მიზეზი იყო სახელმწიფო თანხების გამოგონილი გაფლანგვა. ფაქტობრივად, ახალგაზრდა კაცის ბედი მისმა მაღალმა წარმომადგენლობამ და გვარმა გადაწყვიტა. ბეჟანიძეთა სამაგალითო ოჯახში აღზრდილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რამიზ ბეჟანიძე (ქუდით) გადასახლებაში. ქ. სვერდლოვსკი. 1960 წ.

რამიზი გადასახლებაშიც ინარჩუნებდა საუკეთესო თვისებებს, ნებისყოფის სიმტკიცეს და არისტოკრატულობას, რამაც ამ მძიმე პირობებშიც გაუჩინა მეგობრული წრე, რომლებიც უადვილებდნენ ცხოვრებას. სწორედ ასეთმა მხარდაჭერამ შეაძლებინა გადასახლებულ და განწირულ კაცს იქედანაც დახმარებოდა ოჯახს, გამოეგზავნა ფული და ამანათები. მხოლოდ 9 წლის შემდეგ ამნისტიით მოხერხდა რამიზის სამშობლოში დაბრუნება.კვლავ მხნედ და მომავლის დიდი რწმენით თავიდან დაიწყო ცხოვრება, სამსახური ბათუმის „მთავარბაკალეის“ სამმართველოში მისცეს, ეკონომისტის თანამდებობაზე შეუდგა საქმიანობას.

1961 წელს მეორეჯერ იქორწინა ლუბა კრავჩენკოზე, ცნობილი საერო ექიმის ქალიშვილზე, რომლის მამამ სამუელ იაკობის ძე კრავჩენკომ 1932 წელს, განკულაკების შემდეგ, შიმშილისაგან ოჯახის გადარჩენის მიზნით თავი ბათუმს შემოაფარა. 1962 წელს რამიზს შეეძინა ვაჟი, რომელსაც პაპის, ასლანის სახელი დაარქვეს.

რამიზ ბეჟანიძის მეორე ცოლი ლუბა კრავჩენკო და შვილები: მარინა და ასლანი

ცხოვრება ისეთივე სიყვარულით, ენთუზიაზმით, მომავლისადმი დიდი რწმენით აეწყო. რამიზმა შეძლო ყველაფერი დავიწყებისათვის მიეცა და შვილების მომავალზე ეზრუნა, ყველას უწილადა მამობრივი ამაგი, სული და ქონება, მაგრამ გადასახლებამ და იმდროინდელმა თვალთვალმა თავისი გაიტანა, 1991 წელს 66 წლის ასაკში გარდაიცვალა. დაკრძალულია სოფელ ზენდიდში, ბეჟანიძეთა საგვარეულო სასაფლაოზე.

დღეს რამიზის კეთილ საქმეებს მისივე თვისებებით აღჭურვილი შესანიშნავი ინტელიგენტი შვილები: იზოლდა, მარინა და ასლანი აგრძელებენ.

ბესიკ ბეჟანიძე

ზენდიდელ ბეჟანიძეთა უსეინ-აღის შტოს მიეკუთვნება შორეული ნაოსნობის კაპიტანი, ბესიკ მახმუდის ძე ბეჟანიძე, რომელმაც საკმაოდ საინტერესო გზა განვლო რიგით მატროსიდან კაპიტნობამდე და ღირსეული კვალი დატოვა საქართველოს ზღვაოსნობის ისტორიაში.

ბესიკ ბეჟანიძე დაიბადა 1942 წლის 16 მარტს ქედის რაიონის სოფელ ზენდიდში. 1960 წელს დაამთავრა მეჯინისწყლის საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო ბათუმის საზღვაოსნო სასწავლებელში გემთწამყვანის ფაკულტეტზე.

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ განაწილებით წავიდა ნოვოროსიისკის საზღვაო სანაოსნოში, სადაც 1965 წლიდან შეუდგა საქმიანობას, თბომავლებზე „როსტოვი," „ლებედინი" და „სამარყანდი," ჯერ მატროსის, შემდეგ კაპიტნის მეოთხე და მეორე თანაშემწედ.

1969 წლიდან, როცა ძალებს იკრებდა ახლადჩამოყალიბებული საქართველოს საზღვაო სანაოსნო, ბესიკ ბეჟანიძე ბათუმში ჩამოვიდა. ის დანიშნეს თბომავალ „ენგელსზე." ამის შემდეგ ბ. ბეჟანიძის სამსახურებრივი კარიერა კვლავ აღმავლობით წავიდა, იმავე გემზე კაპიტნის უფროს თანაშემწედ დააწინაურეს, შემდეგ მუშაობდა თბომავლებზე: „გორი," „ზაქარია ფალიაშვილი" და „ნიკოლოზ ბარათაშვილი." ამავე პერიოდში დაამთავრა ოდესის საზღვაო საინჟინრო უმაღლესი სასწავლებელი.

დიდი ქართველი რომანტიკოსი პოეტის სახელობის გემი ბესიკ ბეჟანიძისათვის ფეხბედნიერი აღმოჩნდა. 16 წლის განმავლობაში 1978-94 წლებში სერავდა მსოფლიოს ზღვებსა და ოკეანეებს თბომავალი „ნიკოლოზ ბარათაშვილი," მისი მესაჭე კი იყო შორეული ნაოსნობის კაპიტანი, ზენდიდელ ბეჟანიძეთა გვარის ღირსეული შთამომავალი, ბესიკ ბეჟანიძე.

ქვეყანაში შექმნილი მძიმე ვითარება განსაკუთრებით დააჩნდა საქართველოს საზღვაო სანაოსნოს. ბ. ბეჟანიძე, ჯერ

ბესიკ ბეჟანიძე

კიდევ ძალისა და ენერგიის მქონე ვაჟკაცი, იძულებული გახდა ჩამოშორებოდა თავის საყვარელ საქმეს, თუმცა მეზღვაურებთან არ დაუკარგავს ყოველდღიური კონტაქტი. 1994 წლიდან ბ. ბეჟანიძე საქართველოს საზღვაო სანაოსნოს კაპიტან-დამრიგებელია. პარალელურად მუშაობს შპს „იბერია შიპინგში“ ნაოსნობის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის პასუხისმგებელ თანამდებობაზე, კითხულობს ლექციებს ბათუმის საზღვაო აკადემიაში.

ასეთია სახელოვანი მეზღვაურის ბიოგრაფიის სქემატური ფურცლები, მაგრამ თუ ოდნავ ღრმად გავეცნობით ბ. ბეჟანიძის საზღვაო ცხოვრებას, დავრწმუნდებით, რა გმირული და სიმამაცით აღსავსე იყო მისი საქმიანობა. საკმარისია ითქვას, რომ მისი არაერთი რეისი გადიოდა საომარი მოქმედების ზონებში, ისეთ ცხელ წერტილებში, როგორიც იყო ეგვიპტე, ვიეტნამი, ნიკარაგუა, იუგოსლავია. ბესიკ ბეჟანიძის თბომავალს გავლა უხდებოდა ჭურვების განუწყვეტელი აფეთქებისა და საჰაერო ბომბარდირების ზონებში. მიუხედავად ამისა, მას არასოდეს უთქვამს უარი ცურვაზე და არც არასოდეს შეცვლია გეზი.

სწორედ ამ გმირობისა და მამაცური შრომის შედეგია, რომ მას გამოუცხადეს არაერთი მადლობა. მადლიერმა ვიეტნამელმა ხალხმა კი მისი დამსახურება რესპუბლიკის მთავრობის უმაღლესი ჯილდოთი, „მეგობრობის მედლის“ გადაცემით აღნიშნა.

საქართველოს 1995 წლის 17 ოქტომბრის კანონის „ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანების შესახებ,“ საფუძველზე ქვეყნის თავდაცვის სამინისტროს მიერ შედგენილ სიაში ბესიკ ბეჟანიძე შეტანილია ორი სხვა სახელმწიფოთა ტერი-

ტორიაზე საბრძოლო მოქმედების ვეტერანად (ვიეტნამი. 1967 წლის ივლის-აგვისტო, პორტი ხაიფონი).

ბესიკ ბეჟანიძემ სამაგალითო ოჯახი შექმნა.მეუღლე ნარგიზ მირიანის ასული სტამბოლიშვილი პედაგოგია და რუსულ ენას ასწავლიდა ხელვაჩაურის საშუალო სკოლაში. ქალიშვილმა ირმამ წარმატებით დაამთავრა მოსკოვის პიროგოვის სახელობის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ამჟამად ბათუმის სამხდრო ჰოსპიტლის ექიმი-თერაპევტია. მეორე ქალიშვილმა ინდირამ დედის პროფესია აირჩია. დაამთავრა მოსკოვის ექსპერიმენტული პედაგოგიური სახელმწიფო უნივერსიტეტი, მიიღო ინგლისური ენისა და ლიტერატურის სპეციალობა და ამჟამად აჭარის ტელერადიომაუწყებლობის კორესპონდენტია; მამის კვალს გაჰყვა ვაჟი თენგიზი. მან წარჩინებით დაამთავრა ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია და მუშაობს ბათუმის საზღვაო-სავაჭრო ნავსადგურში კატარღა „ცისკარა“-ს კაპიტნის უფროს თანაშემწედ. ჰყავს მეუღლე და შვილი.

რეზო ბეჟანიძე

ბათუმში კარგად იცნობენ სახელმწიფო მოხელეს რეზო მიხეილის ძე ბეჟანიძეს, რომელიც ბოლო ათი წლის განმავლობაში აჭარის საბაჟო სისტემაში საქმიანობდა.

რეზო ბეჟანიძე დაიბადა 1948 წელს ბათუმის რაიონის სოფელ ადლიაში, აქვე დაამთავრა 8-წლიანი სკოლა, საშუალო განათლება კი 1967 წელს მიიღო ხელვაჩაურის საშუალო სკოლაში.

1971 წლიდან რ. ბეჟანიძე დამოუკიდებელ შრომით საქმიანობას იწყებს ხელვაჩაურის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის ხის დამამუშავებელ საამქროში, ორი წლის შემდეგ კი გადადის ამავე რაიონის სატყეო მეურნეობაში.

1975 წლიდან რ. ბეჟანიძე აჭარის ავტოტექმომსახურების აღმრიცხველია, ხოლო სამი წლის შემდეგ იქვე გასაღებისა

რეზო ბეჟანიძე

და მომარაგების უფროსად აწინაურებენ.

1981 წელს რ. ბეჟანიძემ სწავლა განაგრძო ბათუმის საბჭოთა ვაჭრობის ტექნიკუმში, რომელიც 1983 წელს დაამთავრა და მიენიჭა საქონელმცოდნის სპეციალობა.

1991-1996 წლებში სწავლობდა აჭარის კოოპერაციულ ინსტიტუტში, რომლის დამთავრების შემდეგ მიიღო ეკონომიკისა და მართვის სპეციალისტის კვალიფიკაცია. 1992 წლიდან რ. ბეჟანიძე ბათუმის საბაჟოს სისტემაშია, მუშაობდა სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობებზე. 2001 წელს წარმოებისაგან მოუწყვეტლივ დაამთავრა ბათუმის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, პარალელურად მიიღო საბაჟო საქმის ორგანიზატორის კვალიფიკაცია.

რეზო ბეჟანიძე მუშაობდა აჭარის საბაჟო დეპარტამენტის საგუშაგო „ბათუმის ნავსადგურის“ უფროსის მოადგილედ.

რ. ბეჟანიძეს ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

ბ) ზენდიდელი ბეჟანიძეები ოსმალეთში.*

ბეჟანიძეთა გვარის ისტორიიდან ბევრი რამ უცნობია. ამის მიზეზი კი ისაა, რომ საბჭოთა რეპრესიებს, ადამიანთა სიცოცხლის გარდა, მრავალი საბუთი და პირადი ნივთები შეეწირა. არქივებმა კი ძალზე ძუნწი ცნობები შემოგვინახა. ამ ნაკლს

* ეს სათაური პირობითია, რადგანაც აქ მოხსენებული ზოგი ბეჟანიძე ცხოვრობდა აჭარაში, მაგრამ მოდვაწეობის დიდი ნაწილი ოსმალეთის ქვეშევრდომობაში გაატარა (რ.ს.)

ერთგვარად ავსებს ოსმალეთში გადახვეწილი ბეჟანიძეების ისტორია, ცალკეული პიროვნების ბიოგრაფია, მათს ოჯახებში შემორჩენილი დოკუმენტები და ფოტოსურათები.

ჩვენ ზემოთ სელიმ-ფაშა ხიმშიაშვილთან მიმართებაში არაერთხელ ვახსენეთ ბეჟანიძეთა (თულუმბა-ზადეთა) რამდენიმე წარმომადგენელი. როგორც ირკვევა, ახალციხის საფაშოში ბეჟანიძეები მანამდეც მსახურობდნენ და საკმაოდ მაღალი პოსტები ეკავათ. ვიცოდით ზოგი მათგანის გვარ-სახელი, მაგრამ მათი ვინაობა, საქმიანობა და აჭარის ბეჟანიძეებთან ნათესაური კავშირი ჩვენთვის უცნობი იყო. ოსმალეთის იმპერიაში მოღვაწე ბეჟანიძეთა შესახებ საინტერესო მასალები გამოქვეყნდა მურატ კასაპის წიგნში „ქართველები ოსმალეთში“.124 საყურადღებოა, რომ სხვა ქართველებისაგან განსხვავებით, წიგნში ბეჟანიძეები (თავდგირიძეები, ხიმშიაშვილები, აბაშიძეები) ქართული გვარით იხსენიებიან (ზოგჯერ ბეჟანოღლით). უფრო მეტიც, ზოგი მათგანის გვარს თან ერთვის ზედწოდება „თულუმბა“ და მათი სოფლის სახელი (ზენდიდი), რაც იმაზე მეტყველებს, რომ უცილობლად საქმე გვაქვს ზენდიდელ ბეჟანიძეებთან ან მათს ჩაქველ განაყოფებთან და პირმსახურისშვილებთან.

ჩვენს ხელთ არსებულ მასალებში ბეჟანიძეთა ყველაზე ძველი წარმომადგენელია ალი-ფაშა, რომლის მოკლე ბიოგრაფიას, აგრეთვე სხვა ბეჟანიძეებისას, აქვე ვთავაზობთ მკითხველს.

ალი-ფაშა ბეჟანიძე

ჩვენს ხელთ არსებულ მასალებში ამ გვარიდან ყველაზე ძველი პიროვნება ალი-ფაშა ბეჟანიძეა. მის შესახებ მოკლე ბიოგრაფიაში ვკითხულიბთ: დაიბადა აჭარაში. ბეჟანოღლის (ბეჟანიძეების) წარმომავლობისაა. მიიღო სამხედრო განათლება. პენსიაზე გასვლის შემდეგ გადაიყვანეს ხელმწიფის დაცვაში. 1785 წელს, ანაპის დაცვის უფროსის ფერაჰ ალი-ფაშის გარ-

დაცვალების შემდეგ, დააწინაურეს სოღუჯაკისა და ანაპის დაცვის უფროსად. ანაპაში არეულობებისა და ხალხის უკმაყოფილების გამო ალი-ფაშა სტამბოლში დაბრუნდა. ერთხანს სინოპში დარჩა, ხოლო სელიმ III სულთნობის დროს ტრაპიზონის გუბერნატორი გახდა. 1796 წელს კვლავ ხელმწიფის დაცვაში დანიშნეს. 1797 წელს გარდაიცვალა. ყავდა სამი ვაჟი: სულეიმანი, ხუსეინი, მურადი და 2 ქალიშვილი: ფატიმა და ხატიჯე.[125]

როგორც ვხედავთ, ავტორს მოაქვს ალი-ფაშა ბეჟანიძის ბიოგრაფიის ძირითადი დეტალები, მაგრამ მისთვის უცნობია ამ პიროვნების გარდაცვალების მიზეზი. ამის ცოდნა კი აუცილებელია, რადგანაც თუ მიზეზს დავადგენთ, საშუალება გვეძლევა გავიგოთ, რომ ალი-ფაშა ბეჟანიძეს კიდევ უფრო მაღალი თანამდებობა ეკავა.

ზენდიდელ ბეჟანიძეებზე, კერძოდ ალი-ფაშაზე ძველი და სანდო ცნობები შემორჩა ე. წ. „ახალციხურ ქრონიკებს," სადაც თულუმბა-ზადე-ბეჟანიძეები მოხსენიებულნი არიან, როგორც ახალციხის ფაშებთან დაახლოებული პირები და დიდმოხელეები.

1797 წლის 3 ენკენისთვის (სექტემბრის) დღიურში იოანე ხუცესს ჩაუწერია:

„3 ენკენისთვე 1797 წლისა. ფაშა ბეჟანოღლი ფაშასთან (ზაბით-ფაშა რ. ს.) წავიდა მეიდანს მისაგებებლად. სარი ქეჰა* მოჰკლა ზაბით-ფაშამ** თავისი ჰარიბაჯის ხელითა." ეს მოხდა იმავე წლის 17 ენკენისთვეს.[126]

იმასვე იმეორებს სტეფანე ნავროზაშვილიც თავის „ქრონიკა"-ში: „ენკენისთვეში... სარი ქეჰა მოკლა საბით-ფაშამ."

---

* სარი – სამხედრო, ქეჰა, – მოადგილე, ამ შეთხვევაში საუბარია ფაშის მოადგილეზე სამხედრო დარგში.

** მეჰმეტ ზაბით-ფაშა ჰასან-ფაშის შვილი და ისაკ-ფაშის ძმაა. 1797 წ. ჩილდირის ვალი და ვეზირი გახდა. 1801 წ. ერზურუმის, 1802 წ. მარაშის ვალია. გარდაიცვალა 1810 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ „ფაშა ბეჟანოღლი" და „სარი ქეჰა" იგივე მურად კასაპის წიგნში ნახსენები ალი-ფაშა ბეჟანიძეა, რადგანაც გარდაცვალების თარიღები ერთმანეთს ემთხვევა. ამგვარად, ნათელი ხდება, რომ ალი-ფაშა ბეჟანიძე, რომელსაც ახალციხის ფაშის კარზე სარი-ქეჰას მაღალი თანამდებობა ეკავა, 1797 სექტემბერს სიკვდილით დასაჯა ზაბით-ფაშა ჯაყელმა. სასტიკი განაჩენის საბაბი კი ჩვენთვის უცნობია.

აბდულაჰ აბაჰ-ბეი (ბეჟანიძე)*

დაიბადა ბათუმის ოლქში შემავალ ს. ზენდიდში 1834 წელს, ბერ-ჰუდაროღლი, მუსტაფა – მევთუ-ბეი თულუმბა-ზადეს ოჯახში. ჩვენი აზრით, ეს მუსტაფა-მევთუ-ბეი და ზემოთ რამდენჯერმე ნახსენები მუთი-ბეგი ერთი და იგივე პიროვნებაა, რადგანაც ერთგან მუსტაფას თან ერთვის მეორე სახელი მევთუ, რაც მუთი-ს უნდა ნიშნავდეს. მუთი აბდულას მამა, შესაძლოა მისი ოჯახის მამამთავარიც იყოს.

აბდულას პირველდაწყებითი განათლება ქედის სასულიერო სასწავლებელში მიუღია. ჩვენთვის უცნობია, იმ დროს ეს სასწავლებელი რა პროგრამებით ხელმძღვანელობდა და აქ რომელ საგნებს ასწავლიდნენ, თუმცა 1855 წელს, ყირიმის ომის დროს, 16 წლის აბდულ ბეჟანიძე არმიაში მწერლად მსახურობს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ქედის სასწავლებელში მოსწავლეები ეუფლებოდნენ, როგორც თურქულ, ასევე სხვა უცხო ენებსაც.

ომის დამთავრების შემდეგ 1862 წლამდე აბდულა ბეჟანიძე ლაზეთის სანჯაყის მაჭახლის კაზის გამგებელია, შემდეგ იგი ქვემო აჭარის კაზის სამმართველოში გადაიყვანეს და მმართველის მოადგილედ დანიშნეს.

---

* აბდულ-ბეგ ბეჟანიძეზე იხ. ზემოთ მისი ბიოგრაფია, რომელიც რუსულ წყაროებზე დაყრდნობით შევადგინე (რ.ს.)

1867 წელს აბდულა ბეჟანიძე ლაზეთის სანჯაყის მეჯლისის წევრად აირჩიეს და შეიყვანეს ბათუმისა და ყარსის საგანგებო კომისიაში, რომელსაც სხვადასხვა საქმეების შესწავლა ევალებოდა.

1873 წელს აბდულა ბეჟანიძე ქვემო აჭარის სატყეო სამმართველოს უფროსია, ამავე დროს განაგრძობს საქმიანობას საგანგებო კომისიაში, ხოლო 1876-77 წლებში იგი აჭარის კაზის მომარაგების განყოფილების უფროსია.

რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრების შემდეგ, 1879 წელს ა. ბეჟანიძე მურღულის კაიმაკამის თანაშემწედ გადაიყვანეს.[127]

როგორც ჩანს, ყველა თანამდებობაზე აბდულამ თავი გამოიჩინა საქმის ცოდნითა და ობიექტურობით, რაზეც მეტყველებს ოსმალეთის მთავრობის მხრიდან მისი წახალისება – მეოთხე და მეხუთე ხარისხის მეჯიდიეს ორდენით დაჯილდოება.

როგორც წიგნის ავტორი მ. კასაპი წერს, აბდულა ბეჟანიძე ყოველთვის სიამაყით აღნიშნავდა, რომ იგი ქართულ ენასა და წერა კითხვას ფლობდა (ზენდიდის ბეჟანიძეთა განათლებული ოჯახის შვილი იყო). გამორჩეულნი ყოფილან მისი ძმებიც: დედეგეგი, რომელიც ყირიმის ომში დაიღუპა და ხასან-ბეგი (ამ ომში დაიჭრა). 1906 წელს აბდულა ბეჟანიძე ტრაპიზონის ვილაეთის ერთ-ერთი ნაჰიეს მმართველად დანიშნეს. მან თავისი ქონება სამხედრო ყაზარმისა და სალოცავის აშენებას მოახმარა. იგი ბათუმიდან თურქეთში მიემგზავრებოდა და გზაში გარდაიცვალა. 1910 წელს მისმა ახლობლებმა რუსეთის ხელისუფლებას თხოვნით მიმართეს დაებრუნებინა გარდაცვლილის უძრავ-მოძრავი ქონება. რა ბედი ეწია ამ თხოვნას უცნობია.

ხასან-ბეგ თულუმბაზადე (ბეჟანიძე)

დაბადების დრო და ადგილი უცნობია. როგორც ქართველთა უმრავლესობა, ხასან-ბეგიც აჭარელად მოიხსენიება. მას ბათუმის ოსმალურ არმიაში ასმეთაურის წოდება მიანიჭეს.

როგორც თურქული წყაროდან ირკვევა, ხასან-ბეგ ბეჟანიძე მონაწილეობდა სელიმ-ბეგ (II) ხიმშიაშვილის ქართულ მოძრაობაში, რომლმაც 1844 წელს თავის ირგვლივ შემოიკრიბა 10 000 მამაცი მებრძოლი და იმდენად გაძლიერდა, რომ დიდი თავსატეხი გაუჩინა ოსმალეთის მთავრობას.

სელიმ II ხიმშიაშვილმა მარცხი განიცადა, რის შემდგ ხასან-ბეგ ბეჟანიძე სახლში (ზენდიდში) დაბრუნდა.

ხასან-რიზა-ფაშა ბეჟანიძე

1855 წელს აბდულ-ჰამიდ ბეისთან და ქობულეთელ ხასან-ბეგ თავდგირიძესთან ერთად მონაწილეობდა ყირიმის ბრძოლაში. ისინი რუსების ხელით დაიღუპნენ, რაზეც უცნობ ავტორს ლექსი შეუთხზავს. ქვემოთ გთავაზობთ ლექსის პროზაულ თარგმანს: მისი (ხასან-ბეგის რ. ს.) გმირობა ლეგენდად დარჩა. უბრალო მოქალაქიდან იგი სახელმწიფო მოხელედ იქცა, ბათუმიდან ლტოლვილმა ურჯულომ* თავისი საქმით სახელი გაითქვა და ხალხში გამორჩეული ადგილი დაიკავა. იგი კანონის წინაშე უკან არასოდეს იხევდა, იყო მამაცი, ნებისმიერ შიშს წყალს გაატანდა, უხამსობას და უხეშობას აცამტვერებდა და ბრძოლის დროს ყოველგვარ შფოთს თავიდან იცილებდა. იგი თავისი სულის სიმშვიდეს ბრძოლებში პოულობდა. მას თავის მეგობარ ალისთან ერთად იცნობდნენ მტკიცე ხასიათით.

---

* ლექსის ავტორი ხასან-ბეგ ბეჟანიძის მიმართ არ იშურებს საქებარ სიტყვებს, მაგრამ მას „ურჯულოდ“ მოიხსენიებს, რაც იმაზე უნდა მეტყველებდეს, რომ იგი დაუფარავად იყო ჩაბმული ანტიოსმალურ საქმიანობაში და ახლო ურთიერთობა ჰქონდა პროქართულ ძალებთან (რ. ს.)

სამივე (ხასან-ბეგ ბეჟანიძე, ალი და ხასან-ბეგ თავდგირიძეები, რ. ს.) გმირულად ეწამა, მაგრამ თავის რაზმთან ერთად ბრძოლისას თან გაიყოლიეს 250-მდე რუსი მებრძოლი და გენერალი.

ბრძოლებში განთქმულმა ხასან-ბეგმა მთავარსარდლის წოდება მიიღო, იგი მრავალი ორდენითა და მედლით დააჯილდოეს.[128]

მურად-ჰამდი-ბეგი (ბეჟანიძე)

ბეჟანიძეთა გვარის სხვა წარმომადგენლებთან შედარებით მ. კასაპის წიგნში საკმაოდ ვრცლადაა წარმოდგენილი მურად ჰამდი-ბეგის ბიოგრაფია. იგი 1849 წელს ბათუმში დაიბადა, არის ალი-ფაშას შვილი-შვილი და აბდულ-ჰამიდ-ბეგის ვაჟიშვილი.* სწავლობდა ბათუმის სასულიერო სასწავლებელში, გარდა ამისა იგი ოჯახში მოწვეული სახელგანთქმული მასწავლებლისაგან ღებულობდა დარიგებებს და ჩვევებს.

მურად ჰამდი ბეი
აბდულჰამიდის ძე ბეჟანიძე

1866 წელს მურად-ბეგი სტაჟიორია, ერთდროულად მუშაობდა ლაზისტანის სანჯაყის საგანმანათლებლო ცენტრ „თაჰრირათ კალემ“-ში, რომელიც ბათუმში იყო განლაგებული.

1873 წელს მურად-ბეგი ბათუმის მთავრობაში დანიშნეს და საპატიო ტიტულიც მიანიჭეს. ერთი წლის შემდეგ ლაზისტანის სანჯაყის, ჰამშინის ნაჰიეს ხელმძღ-

* მამის, აბდულ-ჰამიდის ბიოგრაფია იხ. ქვემოთ (რ. ს.)

ვანელად გადაიყვანეს, ხოლო 1875 წელს თავისი მშობლიური ქვემო აჭარის ნაჰიეს მმართველია.

1877 წელს, როცა უკვე დაიწყო რუსეთ-თურქეთის ომი, მურად-ბეგ ბეჟანიძე მისი სურვილის გარეშე არჰავეს გამგებლად დანიშნეს, მაგრამ იგი სამუშაოზე არ გამოცხადდა, ამიტომ თანამდებობიდან გადააყენეს და არმიაში გაიწვიეს. ომის დამთავრების შემდეგ მას ოფიცრის მაღალი წოდება მიანიჭეს.

1882 წლიდან იწყება მურად-ბეგ ბეჟანიძის იერარქიული წინსვლა. იგი ჯერ ერბას კაიმაკამად, ხოლო 1888 წელს სივაშის კაიმაკამად დანიშნეს. ერთი წლის შემდგ ნიქსარის კაზას კაიმაკამია, მან ამ დროს მთავრობის ჯილდო, მეოთხე ხარისხის ღირსების ორდენი მიიღო.

1892 წელს მურად-ბეგ ბეჟანიძე ერბას კაზის მეთაურად დანიშნეს, სადაც სათავეში ჩაუდგა სახალხო მოძრაობას. ირგვლივ შემოიკრიბა სამხედროები, ჩამოაყალიბა საბაჟო სამსახური და მოკლე დროში დიდ წარმატებებს მიაღწია.

მომდევნო წელს მურად-ბეგ ბეჟანიძეს, მისი სურვილის საწინააღმდეგოდ, მილასის კაიმაკამად ვხედავთ (როგორც ჩანს, ხელისუფლებას არ მოეწონა მისი აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობა რ. ს.). აქ ყოფნისას გოლუქის რაიონში სამლოცველო და კარაკოლჰანე ააშენა, მაგრამ დიდხანს არც აქ დატოვეს და ინეგოლის კაიმაკამად გადაიყვანეს.

შედარებით დიდი დრო 1899-1907 წწ. მურად-ბეგ ბეჟანიძემ ატრანუსის (ორჰანგაზის) კაიმაკამად გაატარა. საქმიანობაში მას დიდად შველოდა ქართული ენის ცოდნა, რადგანაც თითქმის მთელი თავისი მოღვაწეობა ქართველი მუჰაჯირებით დასახლებულ ოლქებში განვლო. თუმცა მისი ასეთი მოღვაწეობა არ შედიოდა ხელისუფლების ინტერესებში, ამიტომ იგი ბათუმში გაასახლეს და ლიმანის (ბათუმის ყურე) რაიონში ცხოვრობდა.

თუ მურად-ბეგ ბეჟანიძის ბიოგრაფიიდან ოდნავ უკან დავბრუნდებით, ვნახავთ, რომ ის 1894 წლიდან აქტიურად მონაწილეობს ბათუმის მიდამოებში აფხაზ მუჰაჯირთა დამკვიდრებაში. ბათუმის ნურიეს რაიონში აფხაზური დასახლების წარმოქმნა

მურად-ბეგ ბეჟანიძის დამსახურებაა. ბათუმში მურად-ბეგმა ააშენა აგრეთვე ყაზარმა, სასამართლო, ფოსტა, სასულიერო სასწავლებელი, მოსამართლეებისა და სასულიერო პირებისათვის საერთო საცხოვრებელი.

1915 წელს უკვე საკმაოდ ხანდაზმული მურად-ბეგი, ალი-ჰაიდარ-ბეგთან, მეჰმედ-ჯემილ-ბეგთან და ჰასან-ფაშის ვაჟთან ჰაჯი-ახმედთან ერთად კიდევ ერთ ბრძოლაში მონაწილეობს. ამ ომის შემდეგ ისინი ბათუმიდან წავიდნენ და მათ მიერვე დაარსებულ სოფელ ინეგოლთან ახლოს დასახლდნენ. მურად-ბეგ ბეჟანიძის გარდაცვალების თარიღი უცნობია. ვიცით მხოლოდ, რომ იგი ბაღდადიდან თუ შამიდან მომავალი გზაში გარდაიცვალა.[129]

აბდულ-ჰამიდ-ბეგ ბეჟანიძე

წარმოშობით აჭარელი ბეჟანოღლი ალი-ფაშას შვილიშვილის, სეფერ-ბეგის ვაჟიშვილია. სეფერ-ბეგი 1843 წელს ბათუმში გარდაიცვალა. მას აბდულ-ჰამიდის გარდა ჰყავდა ვაჟები: ფერათი, ხუსეინი და მეჰმედი.

ბათუმელ ბეჟანიძეთა დინასტიის ოჯახიდან დარჩენილი აბდულჰამიდ-ბეგი ხელმძღვანელობდა ისტამბული-ამირას. იგი 1855 წელს, ყირიმის ომის დროს, შეკვეთილთან დაიღუპა.

აბდულ-ჰამიდ-ბეგ ბეჟანიძემ სახელი მოიხვეჭა გამბედაობით, სიმამაცითა და კეთილშობილებით. მისი დაღუპვის შემდეგ დაობლდა 4 მცირეწლოვანი: შვიდი წლის ხასანი, ხუთი წლის მურადი, სამი წლის ჰაიდარი და ორი წლის ესმიჰანი. ამ ბავშვებს და მათს დედას აიშე-ხანუმს სახელმწიფომ პენსია დაუნიშნა.

აბდულ-ჰამიდ-ბეგთან ერთად დაიღუპნენ: ქობულეთელი ხასან-ბეგი, დედე-აღა, ქიბარ-აღა და ასლან-აღა, რომელთა ოჯახებს ასევე დაენიშნათ პენსია.

რუსეთ-თურქეთის 1877-78 წწ. ომის დროს აბდულ-ჰამიდ ბეჟანიძის მეუღლე და ბავშვები ანატოლიაში გადასახლდნენ.

ასეთია ძუნწი ცნობები აბდულ-ჰამიდ-ბეგ ბეჟანიძეზე. თუმცა კარგია, რომ წიგნში დასახელებულია მისი ოჯახის ყველა წევრის სახელი, რაც საშუალებას მოგვცემს გამოვიკვლიოთ ბეჟანიძეთა მომდევნო თაობის ცხოვრება და საქმიანობა.130

შევქეთ-ბეგი (ბეჟანიძე)

ბათუმელ ბეჟანიძეთა ძველი გვარის წარმომადგენელია შევქეთ-ბეგი. იგი ალი-ფაშა ბეჟანიძის შვილიშვილის, მეჰმედ-ბეგის ვაჟია. 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ მისი ოჯახი ტრაპიზონში დასახლდა.

შევქეთ-ბეგ ბეჟანიძემ აჭარა-ქობულეთში შეკრიბა ახალგაზრდა მოხალისეთა ჯგუფები, რომლებიც რუსებს ებრძოდნენ, როგორც საქართველოში, ისე ბალკანეთის ქვეყნებში. მისი ბრძოლა და შემართება იმ დროისათვის სამაგალითო იყო. ახალგაზრდა პატრიოტი მუდამ მზად იყო თავისი მოკრძალებული ძალა დაეპირისპირებინა, როგორც ჩრდილოეთის, ისე სამხრეთის ყოვლისმძლე იმპერიებისათვის.

რუსების წინააღმდეგ საომარ მოქმედებებში მას ჰყავდა მეგობარი, სახელად ასლანი, რომელსაც დევნიდა რუსეთის ხელისუფლება. ასლანმა მთებს შეაფარა თავი, მაგრამ შეიპყრეს და ციმბირში გადაასახლეს. აქ მას მიუჩინეს ფარული მეთვალყურე რუსი, შემდეგ იგი ასლანს „დაუმეგობრდა," მაგრამ, როგორც კი დრო იხელთა მაშინვე გამოასალმა სიცოცხლეს და დღესაც არავინ იცის სად განისვენებს ეს ჭაბუკი.

1914-15 წლების მსოფლიო ომის შემდეგ, როცა ბათუმში შემოვიდა ოსმალეთის ჯარი, შევქეთ-ბეგი შეიპყრეს, რუსების სასარგებლოდ მომუშავე გამცემის ბრალდებით ლინჩის წესით გაასამართლეს და მოკლეს.

შევქეთ-ბეგ ბეჟანიძეს ჰყავდა ძმა ჯემალ-ბეგი, არტილერიის ქვედანაყოფის მეთაური, რომელიც 1934 წელს ანკარაში გარდაიცვალა.[131]

თურქეთში გადასახლებულ ზენდიდელ ბეჭანიძეთა გენეალოგია

წყარო: ქართველები ოსმალეთში.
ავტორი: მურად კასაპი. 2010 წ.
შეადგინა რამაზ სურმანიძემ, 3 თებერვალი, 2011 წ.



გ) ჩაქველი ბეჟანიძეები

ისტორიულ წყაროებში ზენდიდლი ბეჟანიძეების პარალელურად საინტერესო ცნობები გვხვდება ჩაქველ ბეჟანიძეთა შესახებ. ისინი თითქმის ყოველთვის გურიელების მოყვრებად მოიხსენიებიან.

ბეჟანიძეების სახლი ჩაქვისთავში

მ-19 საუკუნის დასაწყისში გურიელთა სახლში ნათლად გამოიკვეთა ქაიხოსრო გურიელი, რომელიც ადრე სოლომონ პირველისა და ერეკლე მეორეს მიმდევარი იყო. სწორედ მისი ნიჭისა და უნარის წყალობით გურიის სამთავროსა და ოსმალეთის ხელისუფლებას შორის, სადაც სულთანის კარზე განსაკუთრებული გავლენით სარგებლობდა აბდულ-ჰამიდ I-ის ქართველი მეუღლე აიე-ვალიდე სულთანი (1766-1817) დიდხანს რაიმე უთანხმოება არ ყოფილა. ქაიხოსროს მთავარი სიძნელე

შინაური აშლილობა იყო. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა მისი ძმა, მთავრად ნამყოფი ვახტანგი, რომელიც 1803 წელს ქაიხოსრომ შეიპყრო, მაგრამ საქმეში სოლომონ მეორე ჩაერია და გაათავისუფლებინა.

ქაიხოსრომ ვახტანგი სამთავროში მაინც არ გააჩერა და თავის მეგობარს, ჩაქვის მებატონეს, სეფერ-ბეგ ბეჟანიძეს გადასცა, რათა მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ ჰყოლოდა. აქედან ვახტანგი მისმა მომხრეებმა გააპარეს ჯერ აჭარაში, შემდეგ ახალციხეში გადაიყვანეს და სელიმ-ფაშა ხიმშიაშვილს მიჰგვარეს. ქაიხოსროსთან კეთილ დამოკიდებულებაში მყოფმა სელიმ-ფაშამ, რომელსაც ჩაქველ ბეჟანიძეებთანაც საუკეთესო ურთიერთობა ჰქონდა, ვახტანგი ციხეში ჩასვა.[132]

ამჯერად მეამბოხე გურიელს ახალციხელი მოქალაქე და მღვდლები გამოესარჩლნენ და ციხიდან გააპარეს. ამ საქმეში ხელის შემწყობი ვინმე დესპოტი და ორი ხუცესი, გრიგოლი და ბასილი სელიმ-ფაშამ ღალატისათვის სიკვდილით დასაჯა. ეს მოხდა 1804 წლის 10 ივლისს „დათიათ ივანეს ეზოში.“[133] ვახტანგი ისევ შეიპყრეს და კვლავ დილეგში დააბრუნეს.

1804 წელს ციციანოვისა და სოლომონ მეორის თხოვნით, რაშიც ქობულეთის გამგებლის მაქსიმე-სულეიმან-ფაშა თავდგირიძის და ჩაქვის მებატონის სეფერ-ბეგ ბეჟანიძის სურვილიც იყო გარეული, სელიმ-ფაშამ გაათავისუფლა ვახტანგ გურიელი, რომელიც ქაიხოსრომაც შეიწყალა და თავისი ყმა-მამული დაუბრუნა.

ბეჟანიძეთა გვარზე საინტერესო ცნობები დაგვიტოვა ა. ს. ფრენკელმა. სხვა მოგზაურებისა და ორიენტალისტებისაგან განსხვავებით, მან შეაგროვა ჩაქველ ბეჟანიძეთა საგვარეულოზე საკმაოდ სრულყოფილი ცნობები, რომელთა მიხედვით შესაძლო ხდება გვარის ამ შტოს გენეალოგიური ხის შედგენა. ამ საკითხზე საფუძვლიანად იშრომა თეიმურაზ კომახიძემ, რომელმაც ისტორიულ დოკუმენტებთან ხანდაზმულთა მონათხრობიც შეაჯერა და გაასწორა ა. ფრენკელის მიერ დაშვებული ზოგი უზუსტობა.

თავისი ნათესავების, აბაშიძეების გვარის მსგავსად, ბეჟანიძეებიც რუსეთის მხარეს დადგნენ და ბათუმის ოლქში ისინი ერთ-ერთ საუკეთესო წარმომადგენლებად ითვლებიანო, ამბობს ა. ფრენკელი. მათ აქვთ საკმაოდ დიდი მატერიალური საშუალებები: მიწები, ტყეები, ბაღები, სახლები და დუქნები და გავლენიან პირებად ითვლებიან ჩაქვსა და ბათუმში. მათ გვარში ბევრია განათლებული და განვითარებული პიროვნება და, რაც მთავარია, ამათგან არავინაა შემჩნეული ცუდ საქციელში, განსხვავებით ზოგიერთი სხვა ბეგებისაგან, რომლებიც ოსმალეთში ბავშვების გაყიდვასაც არ თაკილობდნენ.

ბეჟანიძეთა გვარში უფროსები არიან ხუსეინ-ბეგი, ფერათ-ბეგი და მამედ-ბეგი. ხუსეინ-ბეგს ჰყავს მცირეწლოვანი ვაჟი ოსმან-ბეგი, მისი ძმა ფერათ-ბეგი უკვე ასაკოვანია, მამაცი გამომეტყველებით, იცვამს მტრედისფერ ეროვნულ ტანსაცმელს,

ჯელილ-ბეგ ბეჟანიძე

შერიფ-ბეგ ბეჟანიძე

ატარებს იარაღს. ყირიმის ომის დროს ფერათ-ბეგი მეთაურობდა ქობულეთლებს რუსების წინააღმდეგ; აქვს ჯილდო, მეოთხე ხარისხის „მეჯიდიე," თავისი უფლებები გადააბარა ხუსეინ-ბეგს. ფერათ-ბეგს შვილები არა ყავსო, ამბობს ა. ფრენკელი, რაც შემდგომი კვლევებით მცდარი აღმოჩნდა. მისი შვილების ჯელილ-ბეგის და შერიფ-ბეგის ფოტოსურათებს აქვე ვთავაზობთ მკითხველს.

მეოთხე ძმა იყო ხამიდ-ბეგი, რომელიც 1854 წელს დაიღუპა რუსების წინააღმდეგ ბრძოლაში. ყველა მისი თანამედროვის თქმით, ხამიდ-ბეგი ქობულეთლებს შორის იყო ერთი ძალზე გონებანათელი პიროვნება. ის გმირობითაც გამოირჩეოდა და არასოდეს იყო ცივილიზაციის მტერი,მისი შვილები: ხასან-ბეგი, მურად-ბეგი და ჰაიდარ-ბეგი კარგად განათლებულებიც არიან. ხასან-ბეგი ოსმალეთის მილიციის მაიორია, ჰყავს შვილი ხამიდი, დანარჩენ ძმებს ვაჟები არა ჰყავთ. ა. ფრენკელი ჰაიდარ-ბეგს ახასიათებს, როგორც ბეჟანიძეებს შორის ყველაზე მეტად წიგნიერ პიროვნებას.[134]

ფერათ-ბეგ ბეჟანიძის ყოფილი საცხოვრებელი სახლი დაბა ჩაქვში. აშენებული 1872 წელს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩაქველი ბეჟანიძეების მამამთავრად სეფერ-ბეგი ითვლება. თ. კომახიძის ცნობით, მან ჯერ კიდევ ზენდიდში ყოფნისას ცოლად შეირთო ბათუმის სანჯაყ-ბეგების ქალი, რომელსაც მზითვად მისცეს ჩაქვის მამული. ასე დამკვიდრდნენ ბეჟანიძეები ჩაქვში. სეფერ-ბეგს აბაშიძის ქალისაგან შეეძინა: ხემიდი, ფერათი, ხუსეინი, მემედი და დუდიხანუმი.

ჩაქვში ბეჟანიძეთა მამამთავარზე და ამ გვარის იქ დამკვიდრებაზე განსხვავებულ ცნობას გვაწვდის ბათუმელი იუსუფ-ბეგ ალის-ძე აბაშიძე. მისი თქმით ბეჟანიძეები საქრისტიანო საქართველოდან ჩამოსულან ბათუმში და სანჯაყ-ბეგ აბაშიძისათვის მფარველობა უთხოვიათ. სანჯაყ-ბეგს შეუწყნარებია ეს თხოვნა და ბეჟანიძეები ჩაქვში დაუსახლებია. მემედ-ბეგ აბაშიძეს (მეორეს) ანდერძი დაუტოვებია, რომ მისი სიკვდილის შემდეგ მცირეწლოვანი შვილის, 5 წლის იუსუფ-ბეგისათვის

იუსუფ-ბეგ აბაშიძე (მარჯვნიდან პირველი) ალექსანდრე თიროშვილი, რამაზ და ზურიკო სურმანიძეები

რეგენტად (მეურვედ) სეფერ-ბეგ ბეჟანიძე დაენიშნათ. ასეც მოხდა. როცა იუსუფ აბაშიძე წამოიზარდა, გაუგრძელებია სანჯაყ-ბეგობა; მოგვიანებით მას თავისი ქალიშვილი ჰაფიზ-ხანუმი სეფერ-ბეგ ბეჟანიძის ვაჟის ხემიდ-ბეგისათვის მიუთხოვებია, მზითვად კი თამარის ციხე (ყოროლისწყლის შესართავთან) მიუკუთვნებია. ეს ციხე შემდეგ ხემიდ-ბეგის შვილებს ბაგრატიონებისათვის მიუყიდიათ.[135]

იუსუფ-ბეგი ტრაპიზონის ვალის მიუწვევია და იქ მოუწამლავთ, მაგრამ ბათუმში ცოცხალს ჩამოუღწევია და გარდაცვლილა. ავტორის ცნობით, ოსმალეთის დიდმოხელემ ეს ჩაიდინა იუსუფ-ბეგის ქართული ორიენტაციისა და დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვის გამო.

იუსუფ-ბეგის გარდაცვალების შემდგ დარჩნენ შვილები: ემინი, სალიხი, იბრაიმი და ახმედი; მათი მცირეწლოვანობის გამო სანჯაყ-ბეგის მოვალეობას კვლავ ბეჟანიძე, ამჯერად სეფერ-ბეგის ვაჟი ხემიდ-ბეგი ასრულებდა.

როგორც ჩანს, ხემიდ-ბეგის „რეგენტობის“ შემდეგ ბეჟანიძეებმა გადაწყვიტეს სანჯაყ-ბეგ აბაშიძეების სახელოს დაუფლება და ამას მიაღწიეს კიდეც. თურქ ისტორიკოსს, კალფოღლის ხელთ ჩაუვარდა პერგამენტზე დაწერილი ორი არშინის სიგრძის და ერთი არშინის სიგანის ოქროს ვარაყიანი ფირმანი, რომელიც შედგენილია 1826 წელს და დადასტურებულია სულთნის ბეჭდით. ამ ფირმანის მიხედვით ბათუმის შემოსავლის ყველა წყარო ეკუთვნოდათ ბეჟანიძეებს, რომლებიც სულთანს წლიურად უხდიდნენ ორასი ათას პიასტრს.*[136]

სრულწლოვანობის მიღწევისთანავე სანჯაყ-ბეგობა კანონიერად ხელთ აიღო ემინ-ბეგ აბაშიძემ, მაგრამ ბეჟანიძეებმა წინააღმდგობა გაუწიეს და დააპირეს ამ მაღალი ტიტულის მითვისება. ემინ-ბეგმა სტამბოლს იჩივლა, რის შემდეგ ის

* პიასტრი თურქული ფულის ძველი ერთეულია (საფრანგეთიდან გავრცელდა), 1 პიასტრი უდრიდა ინგლისურ გირვანქა სტერლინგს (რ. ს.)

სანჯაყ-ბეგად დაამტკიცეს, მაგრამ მისი ოსმალეთში ყოფნისას ბეჟანიძეებმა გაანადგურეს აბაშიძეთა სამი სასახლე კახაბერში და ამოწყვიტეს მათი არაბი მსახურები. დაბრუნებულ ემინ-ბეგსა და ბეჟანიძეებს შორის შეიარაღებული შეტაკებაც მომხდარა, რომლის დროს აბაშიძემ გაიმარჯვა. ამ ბრძოლას მემედ-აღა ჭყონიამ ლექსი მიუძღვნა, რისთვისაც ემინ-ბეგისაგან საჩუქრად საათი მიიღო.

1860 წელს სულთანმა აბდულ-მეჯიდ I-მა თავისი ფირმანით ბეჟანიძეებს მოუხსნა პენსია და დაუნიშნა იუსუფ-ბეგ აბაშიძის შვილებს: ემინ, სალიხ, ხუსეინ, იბრაჰიმ და ახმედ აბაშიძეებს, რადგანაც „სეფერ-ბეგ ბეჟანიძის შვილები არასწორად იყვნენ მიკუთვნებული სანჯაყ-ბეგის გვარეულობაზე“-ო, გვაუწყებს იუსუფ-ბეგ ალის ძე აბაშიძე და იმოწმებს ბათუმის ნოტარიუსის მიერ 1914 წლის 10 თებერვალს გაცემულ ცნობას, ბათუმელი ბეგების, აბაშიძეების სიას და იქვე შდგენილ ძველი ოსმალური ბარათების მოკლე ამონაწერს. ეს დოკუმენტები მთლიანად გაიზიარა აგრეთვე ხ. ა. ახვლედიანმა.137

მართალია, ეს ორი ცნობა ერთმანეთისაგან განსხვავდრბა, მაგრამ ძირითადი შინაარსი მაინც ერთგვაროვანია. კერძოდ, დადასტურებულია, რომ აბაშიძეებმა ჩაქვის მამულები მზითვად მისცეს თავიანთ ქალს; იგი გათხოვდა ბეჟანიძეზე, რომელიც იქვე დამკვიდრდა და დასაბამი მისცა ამ გვარს ჩაქვში.

შემდგომ წლებში მომხდარ შეხლა-შემოხლას კი უფრო მერკანტილური მოტივები ჰქონდა, მაგრამ ესეც დროებითი იყო. ამ ორ გვარს შორის კვლავ ახალი მოყვრობა გაჩაღდა, კვლავ იმძლავრა ნათესაობამ, რაც დღემდე გრძელდება.

თევფიყ-ბეგ ბეჟანიძე

ჩაქველი თევფიყ-ბეგ ბეჟანიძის ცხოვრება-მოღვაწეობაზე დოკუმენტები თითქმის არ გაგვაჩნია, ამიტომ მის შესახებ მოძიებული ყველა საბუთი, დიდი და პატარა, ძალზე მნიშვნელოვანი და ყურადსაღებია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩაქველ ბეჟანიძეთა გვარში გამორჩეული ადგილი ეკავათ სამ ძმას: ხუსეინს, ფერათსა და მემედს. თევფიყ-ბეგი და შევქეთ-ბეგი მემედ-ბეგის შვილები არიან. 1899 წლის მონაცემებით, ბათუმში ფრანგების (ახლანდელი ფარნავაზ მეფის) ქუჩის შესახვევში მათ ჰქონდათ ერთსართულიანი ქვითკირის დუქნები, საწყობები და 200 კვადრატულ საჟენამდე მიწის ნაკვეთი.

ბათუმში საკუთარი სახლების სიმრავლით განსაკუთრებით გამოირჩეოდა ჩაქველი მემედ-ბეგის ვაჟი თევფიყ-ბეგი. არასრული ცნობებით, მას ბათუმში ჰქონდა სულ ცოტა ხუთი სახლი, რომლებიც არენდით ჰქონდათ აღებული: სასტუმრო "გერმანია, რუსული სადაზღვევო საზოგადოება და გემების გაქირავების ბიურო," რომელსაც მელიტონ სამსონის ძე ანჯაფარიძე ხელმძღვანელობდა (ფარნავაზ მეფის ქუჩა), მისივე სახლში გიორგის (ახლანდელი ზუბალაშვილის) ქუჩაზე აბდულ შირინ-ოღლის ხე-ტყის საწყობი ჰქონდა გამართული, ხოლო სანაპიროს ქუჩაზე არსებულ შენობაში ჰაკიეს და 0 -ის სანაოსნო იყო განლაგებული.

სერგო ყუფარაძის ცნობით, იმ დროს აჭარის მაზრებსა და სოფლებში ხალხის მესაიდუმლედ, წინამძღოლად, ათისთავებად, ასისთავებად ითვლებოდნენ ჩაქველი მემედ და თევფიყ ბეჟანიძეები, აგრეთვე ქედელი დელი-ბილთოღლი მურთაზი და თულუმბა ხემიდი.138 მემედი და თევფიყი მამაშვილი არიან, ქედელი მურთაზი სეფერ-აღა ბეჟანიძის შვილია, ხოლო ხემიდ-ბეგი ჰაჯი-ასან ბეგ თულუმბა – ბეჟანიძის შვილია. 1923 წელს მას ბოლშევიკთა რეპრესია დაემუქრა

(გადასახლება მიუსაჯეს), თურქეთში გაიქცა და უკან აღარ მობრუნებულა.

დიდი ინტერესი გამოიწვია ნიკო მარის ერთმა ჩანაწერმა, რომელიც პროფესორმა მიხეილ ქამადაძემ მომაწოდა. ამ ჩანაწერით ირკვევა, რომ 1910 წლის 1 სექტემბერს ლაზეთში მოგზაურობის დროს, ათინაში, თბომავალ „ტრაპიზონის" აგენტის ყავახანაში ნიკო მარი შეხვედრია თევფიყ-ბეგ ბეჟანიძეს და სხვა პირებს. ირკვევა,რომ ისინი რუსეთის ხელისუფლებისაგან გაძევებული ემიგრანტები იყვნენ. ცარიზმის მესვეურებს თავად თევფიყ-ბეგი ჩვენთვის უცნობი მიზეზით, რუსეთისათვის საშიშ პიროვნებად მიუჩნევიათ, ამიტომ მას თავი ოსმალეთისათვის შეუფარებია. ნიკო მარი ყურადღებას აქცევს ბეჟანიძის გარეგნობას და მას საფრანგეთის სამხრეთ პროვინციის ლიტერატურულ ტიპს ადარებს:

„ათინაში ღამე მოვედით... თბომავალ „ტრაპიზონის" აგენტის ნომრებიან ყავახანაში გავჩერდით. აქ დაგვხვდა ემიგრანტთა კოლონია: ქართველ-მუსულმანი, რუსეთიდან გამოქცეული თევფიყ-ბეგ ბეჟანიძე, ბერძენი ექიმი ათანასიადესი, სომეხი ფერშალი.

თევფიყ-ბეგი ბათუმის ოლქის ქართველ-მუსულმანთაგანია, ის საფრანგეთის სამხრეთ პროვინციის ლიტერატურაში უკვდავყოფილ ტიპს გვაგონებს. თევფიყ-ბეგის პოლიტიკური გმირობა, მისივე აღწერით დაეჭვების გარეშე ტოვებს სამხრეთული ხასიათის მქონე კაცის შთაბეჭდილებას. სრული ჭეშმარიტებაა, რომ ეს მამაცი გმირი თავისი მონათხრობით მისივე ბედის პასუხისმგებელია: ის,თავისი სატყვებით,რუსეთისათვის საშიშ მოღვაწედაა ცნობილი.ჩვენ თევფიყ-ბეგმა გაგვიწია შესაძლო დახმარება, გარდა ამისა ცდილობდა ჩვენთვის ხელი შეეწყო ათინაში დაბინავების პირველ,ძალზე მძიმე წუთებში".[139]

თევფიყ-ბეგ ბეჟანიძის ოსმალეთში გაქცევის მიზეზი, ჩვენი აზრით, უნდა იყოს მისი აქტიური მონაწილეობა სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მენშევიკურ ფრთაში (იხ. ზე-

მოთ), რეპრესიების მიზეზი შეიძლება ყოფილიყო აგრეთვე რუსეთის ხელისუფლების სურვილი, ხელში ჩაეგდო ჩაქველ ბეჟანიძეთა, მათ შორის თევფიყ-ბეგის ნაყოფიერი მიწები.

ჩვენს მოსაზრებას გარკვეულად ამაგრებს ერთი მეტად საინტერესო ცნობა: თევფიყ-ბეგ ბეჟანიძე, თავისი ძმის შევქეთისაგან განსხვავებით, რომელმაც საკუთარი მამულები გაყიდა (რა თქმა უნდა რუსებზე რ. ს.) და ტრაპიზონში გადავიდა, უცხოეთში არ წასულა და „საცხოვრებლად აჭარაში დარჩა. იგი აქვე დაქორწინდა, ცოლად შეირთო ხალვაშის ქალი. თევფიყი აღებ-მიცემობას ეწეოდა. იგი სავაჭროდ და სარეალიზაციოდ თურქეთიდან ეზიდებოდა სხვადასხვა სახის საქონელს და აჭარაში ასაღებდა. ერთჯერ, თურქეთიდან წამოსული რუსმა ჯარისკაცებმა მოკლეს. ეს იყო 1911 წელს. თევფიყს შთამომავლობა არ დარჩენია.“[140]

ამგვარად შევქეთ-ბეგ ბეჟანიძემ რუს მოხელეთათვის ხელსაყრელ ფასებში გაყიდა თავისი საუკეთესო მამულები ჩაქვში. მისმა ძმამ თევფიყ-ბეგ ბეჟანიძემ კი მიუღებლად მიიჩნია მამულების გაყიდვა,რის გამო ის ჯერ რუსეთის მთავრობისათვის საშიშ პოლიტიკოსად მონათლეს,ხოლო შემდეგ სიცოცხლეს გამოასალმეს.

საყურადღებოა,რომ თევფიყ-ბეგ ბეჟანიძე თავისი ქველმოქმედებითაც გამოირჩეოდა.მას ქობულეთში სკოლის გასახსნელად 200 მანეთი შეუწირავს და ზაქარია ჭიჭინაძისთვის უთქვამს,რომ გადავწყვიტეთ სკოლას “შემდეგაც არ მოვაკლოთ ზრუნვა,ოღონდ კი ჩვენს ბავშვებს ქართულსა და რუსულს ასწავლიდნენო”.[141]

დუდი-ხანუმ ბეჟანიძე

დუდი-ხანუმ ბეჟანიძე-ხიმშიაშვილის ცხოვრება-მოღვაწეობაზე ჩვენმა ისტორიოგრაფიამ ჯერ-ჯერობით ცოტა რამ იცის: მართალია, ისტორიკოსი შამშე მეგრელიძე თავის ნაშრომებში შეეხო ამ პიროვნების მოღვაწეობას, მაგრამ მისი ნარკვევი დუდი-ხანუმის ცხოვრების ძალზე ხანმოკლე პერიოდს, დაახლოებით 10 წელს მოიცავს და სრულად ვერ ასახავს ამ დიდებული მანდილოსნის ბიოგრაფიას. დუდი-ხანუმის შესახებ რამდენიმე ვრცელი ნაშრომი გამოაქვეყნეს პროფესორებმა შუშანა ფუტკარაძემ და თეიმურაზ კომახიძემ, მაგრამ ამ პიროვნების ბიოგრაფიის მრავალი მომენტი ჯერჯერობით კვლავ უცნობი რჩება. ჩვენ არ ვიცით დუდი-ხანუმის დაბადება-გარდაცვალების ზუსტი თარიღები. არ ვიცით სად აღესრულა, სად არის მისი საფლავი და ა.შ. სამწუხაროდ,

დუდი-ხანუმ ბეჟანიძე-ხიმშიაშვილისა.
ნახ. გურამ ფუტკარაძისა.

წინამორბედი ავტორების მსგავსად, ამ კითხვებზე ვერც ჩვენ ვიძლევით ამომწურავ პასუხებს, მაგრამ შევეცდებით დუდი-ხანუმ ბეჟანიძის ბიოგრაფია ცოტა ახლებურად, ახალ მასალებზე დაყრდნობითა და გაანალიზებით გავაშუქოთ და ზოგი ვარაუდიც გამოვთქვათ.

დუდი-ხანუმი ჩაქველი დიდგვაროვანი ფეოდალური ოჯახიდან იყო,ჩვენთვის ცნობილი, ერთ-ერთი ძველი ჩაქველი თავადის, სეფერ-ბეგ ბეჟანიძის ასული. დუდი-ხანუმის ძმა ხუსეინ-ბეგი 1883 წლის მარტში გარდაიცვალა. ნეკროლოგის ავტორი პეტრე უმიკაშვილი წერს, რომ ხუსეინ-ბეგ ბეჟანიძე იყო „უფროსი ბეგი, წლოვანობით სამოც წელს გადაცილებული.“[142] მგვარად ხუსეინის დაბადების თარიღი 1823 წელზე უფრო ადრეა საძიებელი. მიახლოებითი თარიღის დასადგენად გარკვეულწილად გვეხმარება თვით დუდი-ხანუმის ბიოგრაფიაც.ამ ქალბატონს 1829 წელს შეეძინა შერიფ-ბეგი,როგორც ისტორიული წყაროებით დასტურდება, ამ დროისათვის ახმედს ჰყავდა სრულწლოვანი ვაჟები ასლანი და კაფუჯი, რომელთა მძევლად გაგზავნას რუსეთის ხელისუფლება 1829 წელს მოითხოვდა. თუ ვივარაუდებთ, რომ ერთ-ერთი ვაჟი ამ დროს იყო მინიმუმ 15 წლისა, მაშინ საფიქრებელია, რომ ის ახმედ-ფაშას დაახლოებით 1815 წელს შეეძინა, დუდი-ხანუმი კი დაბადებული უნდა იყოს ასევე 15-20 წლის წინ, 1795-1800 წლებს შორის. საყურადღებოა, რომ შერიფ-ბეგს ჰყავდა აგრეთვე დები: ფატმა და დილდარი. ფატმა ლივანის ბეგზე იყო გათხოვილი. მის ვაჟს 1874 წელს ართვინში შეხვდა გიორგი ყაზბეგი. ბეგის გარდაცვალების,თუ მასთან გაყრის გამო, ფატმა-ხანუმი მშობლიურ ნიგაზეულში დაბრუნდა და მეორედ აქ გათხოვდა. არ არის ცნობილი მისი მეორე მეუღლის გვარი (ვარაუდით კეკელიძე), მაგრამ ფიქრობენ,რომ ამის მიუხედავად მისი მომდევნო თაობა დედის, ხიმშიაშვილის გვარზე გაფორმდა და დღევანდელი ნიგაზეულელი ხიმშიაშვილების ნაწილი სწორედ ამ ქალბატონის ფატმა-ხანუმ ხიმშიაშვილის შთამომავლები არიანო.

დუდი-ხანუმის სავარაუდო ასაკის დასადგენად მნიშვნელობა აქვს მისი მეუღლის,ახმედ-ფაშის ასაკსაც,რაც ჩვენთვის ზუსტადაა ცნობილი. დედამ, ელმას-ხანუმ სურმანიძემ და სელიმ-ბეგ ხიმშიაშვილმა 1780 წელს იქორწინეს და ერთი წლის შემდეგ,1781 წელს შეეძინათ პირველი შვილი ახმედი, მეორე შვილი აბდი-ბეგი 1789 წელს დაიბადა, ხოლო ახალქალაქის აღებისას დაღუპული ფარხად-ბეგის, აგრეთვე ქორხუსეინისა და დურსუნ-ბეგის დაბადების თარიღები ჩვენთვის უცნობია. მათ გარდა სელიმ ფაშას ჰყოლია ერთი ქალიშვილი იხსანი,რომელიც ფოცხოვის ბეგზე ათაბაგზე ყოფილა გათხოვილი. ამგვარად, თუ ჩვენი ვარაუდები სინამდვილესთან ახლოსაა, ახმედ-ფაშას დუდი-ხანუმი შეურთავს საკმაოდ ხანდაზმულ, დაახლოებით 35-40 წლის ასაკში, როცა მისი მეუღლე მხოლოდ 15-20 წლისა იყო.

1815 წელს, სელიმ-ფაშის სიკვდილით დასჯის შემდეგ, ახმედი და აბდი გურიაში, თავიანთ მოყვრებთან გურიელებთან გაიხიზნენ. სამი წლის შემდეგ ისინი აჭარაში დაბრუნდნენ. სულთანმა მაჰმუდ II-მ ახმედი სტამბულში იხმო და 1818 წელს აჭარის მმართველად დაამტკიცა. ამით ერთგვარად ცხადი ხდება მოარული აზრი იმის შესახებ, რომ დედით ქართველ მაჰმუდ II-ს მართლაც არ სურდა სელიმის სიკვდილით დასჯა (მისი ცოცხლად მიგვრის ფირმანი ბაბა ფაშის აგენტებს ფურტიოში ჩაუვარდათ ხელთ, მაგრამ დამალეს). ახმედ ბეგმა ხულოში იმ ადგილას დაიდო ბინა, სადაც ძველი ეკლესია იდგა და აღმშენებლობას მიჰყო ხელი. გამორიცხული არაა, რომ სწორედ ამ დროისათვის შეირთო მან დუდი-ხანუმი. არც ისაა გამორიცხული, რომ ამ მოყვრობით დაინტერესებული ყოფილიყვნენ დუდი-ხანუმის ბიძები, სანჯაყ-ბეგ აბაშიძეები, აგრეთვე გურიელებიც.

სულთანის ხელდასმით აღზევებულ ახმედ-ბეგს ყველგან თან სდევდა სიკვდილით დასჯილი მამის სახე, მკვლელების მიმართ შურისძიების გრძნობა ახრჩობდა,მაგრამ ცდილობდა

სულთანის წინაშე პირნათელი ყოფილიყო,თუმცა იმასაც კარგად გრძნობდა, მის თვალწინ ზედიზედ როგორ გაუქმდა ქართლ-კახეთის და იმერეთის სამეფოები. ღვივდებოდა რუსული წესწყობილების დამყარება გურია-სამეგრელოსა და სვანეთში. ასეთ ვითარებაში გამორიცხული არ იყო ძველი ქართული პროვინციების, მესხეთ-ჯავახეთის, შავშეთ-არტანიისა და აჭარის რუსთა მფლობელობაში გადასვლა. ამიტომ შორსმჭვრეტელმა ხიმშიაშვილმა ფარულად რუსეთის ხელისუფლებასთანაც გააბა ურთიერთობა. რუსი მოხელეებიც ცდილობდნენ ახმედ-ფაშასთან კარგი ურთერთობა ჰქონოდათ,მაგრამ მისი ქართველ დიდებულებთან, კერძოდ გურიის დედოფალთან და მემკვიდრე მამია გურიელთან ახლობლობა ხელს არ აძლევდათ, რადგანაც გურიის სამთავროს გაუქმების შემთხვევაში, საკუთრივ გურიელების გარდა,ოსმალეთს ახმედ-ფაშა ხიმშიაშვილის სახით კიდევ ერთი სერიოზული მტერი გაუჩნდებოდა. ამოქმედდა ჩვეული ინტრიგები და პროვოკაციები,რასაც პირადად კავკასიის მეფისნაცვალი ხელმძღვანელობდა. საბოლოოდ მიაღწიეს იმას,რომ ახმედის ძმის, აბდი-ბეგის მეუღლე კესარია გურიაში ძმასთან,მამიასთან გაიწვიეს, ვითომც და დროებით, ხოლო შემდეგ უარი განაცხადეს მის აჭარაში დაბრუნებაზე. ამ ფაქტმა იმდნად შეურაცხყო აჭარის მმართველი და მთლიანად მოსახლეობა, რომ ისინი 1819 წელს თავს დაესხნენ გურიას. გაიმართა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. თავდამსხმელები უკუაქციეს, მაგრამ რუსეთის მმართველობამ თავისი მიზანი აღასრულა, დანა-სისხლად გადაკიდა ორი მეზობლი მხარე და სისხლით ნათესავები, ისინი დაჰყო, რათა თავისუფლად ებატონა.

ახმედ-ფაშის განზრახვას, ურთიერთობა დაემყარებინა რუსეთის ხელისუფლებასთან, რუსი ჩინოვნიკებიც კარგად შეხვდნენ, რადგანაც ამაში ცარიზმის დამპყრობლური პოლიტიკის მხარდაჭერას ხედავდნენ. მასთან კავშირის დამყარება დააკისრეს ახალციხის გარნიზონის უფროსს, გენერალ ვასილ იოსების ძე

ვასილ ბებუთოვი

ბებუთოვს, ეროვნებით სომეხს, საკმაოდ გამოცდილ სარდალსა და დიპლომატს.* ის ახმედ ბეგთან მოლაპარაკებას ახალციხელი მეფისაშვილის მეშვეობით მართავდა. შეთანხმდნენ, რომ ახმედ ფაშა რუსეთს უბრძოლველად დაუთმობდა თავის სამფლობლო აჭარას და გახდებოდა რუსეთის ქვეშევრდომი, სამაგიეროდ მას ჰპირდებოდნენ გენერლის ჩინს, სტანისლავის ლენტს და წელიწადში ათიათას მანეთ პენსიას. მოლაპარაკება თითქმის დამთავრებული იყო; ამ მშვიდობიან გადაწყვეტილებას მოსახლეობაც სიხარულით შეხვდა, როცა,თითქოსდა მოლაპარაკებებით უკმაყოფილო პასკევიჩმა გენერალი ბებუთოვი სომხეთში, სამხედრო ოლქის უფროსად გადაიყვანა, ხოლო მის ნაცვლად ახალციხეში გენერალი ოსტენ-საკენი დანიშნა.

---

* ნიშანდობლივია, რომ მის მამას, იოსებ ბებუთაშვილს (1760-1822) ერეკლე მეორის კარზე მიშკარბაშის (მონადირეთუხუცესის) თანამდებობა ეკავა და იოსებ მიშკარბაშის სახელით იცნობდნენ. მის სახელთან დაკავშირებულია სამეფო კარზე დახლართული ინტრიგები, რასაც სოლომონ ლიონიძის განდევნა და მეფე-უფლისწულებთან ურთიერთობის გამწვავება მოჰყვა. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ იოსებ მიშკარბაშ-ბებუთაშვილს კარგი ურთიერთობა ჰქონდა სელიმ-ფაშა ხიმშიაშვილთან, ამაზე მათი კეთილგანწყობილი წერილებიც მეტყველებს და ისიც დასტურდება, რომ ისინი ერთმანეთს კარგად იცნობდნენ. სწორედ ამ იოსებ ბებუთაშვილის შვილია გენერალი ვასილ ბებუთოვი (1791-1858), რომელიც ასევე ახლო ურთიერთობაში იყო სელიმის შვილთან ახმედ ფაშა ხიმშიაშვილთან (1781-1836).

დიმიტრი ეროფის ძე ოსტენ-საკენი (1790-1881) ბალტიისპირელ თავად-აზნაურთა გვარიდან გამოსული სამხედრო მოღვაწე და ფრანგებთან, სპარსელებთან და ოსმალებთან ბრძოლების მონაწილე გენერალი იყო. მოღვაწეობის ბოლო წლებში მონაწილეობდა დუნაის საბრძოლო ოპერაციებში, შემდეგ სევასტოპოლის დაცვაში. გამოირჩეოდა თავზეხელაღებული შეუპოვრობითა და თავდაჯერებულობით,რასაც ზოგჯერ მარცხი მოსდევდა. მისი დანიშვნით ახმედ-ფაშა საგონებელში ჩავარდა. ის ენდობოდა და პატივს სცემდა ბებუთოვს, მაგრამ მისთვის სრულიად უცხო იყო ახალციხის გარნიზონის ახალი უფროსი, რომელსაც არც პირადად იცნობდა, არც ენდობოდა და, რაც მთავარია, მას არავითარ რეკომენდაციას არ უწევდა ახმედ-ფაშის მეგობარი და ბებუთოვთან შუამავალი, მეფისაშვილი. ამას ისიც დაემატა, რომ 1829 წლის 4 აგვისტოს ოსტენ-საკენმა ახმედ-ფაშას გამოუგზავნა არა მეგობრული, არამედ მუქარითა და ულტიმატუმებით აღსავსე ბარათი: „თქვენი წერილი მე მივიღე პორუჩიკ თურქესტანსკის ხელით, არც თქვენ, არც თქვენი შვილი (რომელი? რ. ს.), არც თქვენი ბიძა სულეიმან-აღა (ახმედ-ფაშის დედის ძმა, რ. ს.), ჩემთან არ გამოცხადდით, რათა მორჩილება გამოგეცხადებინათ. თურქებზე ჩვენი დიდი ხელმწიფის გამარჯვების შემდეგ, რუსეთის მმართველობისათვის დამამცირებელი იქნებოდა რბილი მოქმედება და დაპირისპირებით დაკმაყოფილება. თქვენ მწერთ, რომ თქვენს წინააღმდეგ ამბოხებულია ქვემო აჭარა, ამაზე მე გიპასუხებთ, რომ თუ ოთხ დღეში თქვენ, ან თქვენი შვილი ჩემთან არ გამოცხადებით, მე ვალდებული ვიქნები ჯარით შევიდე აჭარაში, რათა დაგეხმაროთ ან დაგსაჯოთ. თქვენი ქცევა გადაწყვეტს რა ზომებს მივიღებთ.“[143] ამ ქედმაღლურმა წერილმა აღაშფოთა არამარტო ახმედ-ფაშა, არამედ თვით კავკასიის მთავარმართებელი პასკევიჩი, რომელმაც გენერალს მისწერა: „აჭარის ფაშისადმი გაგზავნილი თქვენი წერილი ისეა შედგენილი, რომ ახმედ-ბეგს ჩვენდამი რაიმე კარგი გან-

წყობაც რომ ჰქონოდა, იძულებული იქნებოდა ის შეეცვალა, რადგანაც წერილი სავსეა გესლიანი გამოთქმებით და მედიდური ტონით, რომლითაც ხელქვეითს მიმართავენ. მოლაპარაკება იმას ნიშნავს, რომ გადაწყდეს ჩვენს წინადადებას ეთანხმებიან, თუ უარყოფენ."

მთავარმართებელი ოსტენ-საკენს კატეგორიულად უკრძალავდა აჭარაზე გალაშქრების მზადებას, ავალებდა ახმედ-ბეგის პასუხისათვის დალოდებას და იარაღისათვის მიემართა მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, თანაც გურიის რაზმის მეთაურთან, გესესთან შეთანხმებით, რათა შეტევა ორივე მხრიდან განხორციელებულიყო.

ამ წერილმა ოსტენ-საკენს ახალციხეში ვერ მოუსწრო და თავხედმა გენერალმა ჩაიდინა ის, რაც არასოდეს არცერთ აგრესორს, მათ შორის ოსმალო სარდლებსაც, კი არ უკადრებიათ. აჭარაში სალაშქროდ წამოვიდა გენერალ გესესთან შეუთანხმებლად ისე, რომ ანგარიში არ გაუწევია, რა შეხვდებოდა ამ გზაზე: უღრანი ტყეები, ყაფარი კლდეები, უფსკრულები და, რაც მთავარია, საკუთარი მიწის დასაცავად ხმალშემართული და თავგანწირული მოსახლეობა. ეს მოვლენები უშუალოდ უკავშირდება დუდი-ხანუმის ბიოგრაფიას, ამიტომ ამ თემაზე, ქვემოთაც დაწვრილებით შევჩერდები. ოსტენ-საკენმა არც იმას გაუწია ანგარიში, რომ მის განკარგულბაში მყოფი ეგერის, ტარუტინისა და ბოროდინოს პოლკები არა თუ ცუდად ფლობდნენ მთის პირობებში ბრძოლის გამოცდილებას, არამედ მათ ამ პირობებში საომარ ოპერაციებში მონაწილეობა საერთოდ არ ჰქონდათ მიღებული.

ოსტენ-საკენს არც აჭარაში მიმავალი გზების სირთულე ჰქონდა წარმოდგენილი, რის გამო მრავალი ორთვალა თავისი ტვირთითა და დაჭრილებით ახმედ-ბეგის რაზმებმა ჩაიგდეს ხელთ.მოგვიანებით ყოველივე ამაში თვითონაც დარწმუნდა „მამაცი" სარდალი, მის ერთ-ერთ წერილში ამის გამო შემდეგ

სინანულიც გაჟღერდება და საერთოდ აღარაფერია ნათქვამი ახმედ-ბეგის დამორჩილებასა და დასჯაზე.

აჭარაში შემოსული ოსტენ-საკენი ელოდა პირველ გასროლას, რომ იერიშზე გადასულიყო, მაგრამ აქ მას სრული სიწყნარე, რაღაც იდუმალებით აღსავსე სიჩუმე დახვდა. სოფლებში არავითარი მოძრაობა, სიცოცხლის არავითარი ნიშანი არ იგრძნობოდა, არავითარი ხმა არ ისმოდა. არმიას დახვდა ცარიელი სოფლები და სახლ-კარი, მაგრამ ვერც ამან შეაჩერა აგრესია. დაიწყო სოფლების გადაწვა-განადგურება. მოსახლეობასთან ანგარიშსწორების შესაძლებლობასმოკლებულმა გენერალმა მათი ქონების განადგურებით სცადა მოეკლა ჟინი. მთლიანად განადგურდა: დანისპარაული, რიყეთი, ბეღლეთი და სხვ., სოფლები, მოგვიანებით ბაკო და დარჩიძეები.

ახმედ-ბეგი რუსეთის ჯარისაგან კარგს არაფერს ელოდა, მაგრამ თუ ასე ბარბაროსულად გაანადგურებდნენ სოფლებს, ამას მართლაც ვერ წარმოიდგენდა. აღშფოთდა აჭარის მოსახლეობაც, რომელიც რუსებთან მოლაპარაკებით მფარველსა და მხარდამჭერს ელოდნენ, ამიტომ შურისძიების გრძნობა კიდევ უფრო გაღვივდა. სწორედ ამ დროს აჭარის მმართველის მოვალეობა იკისრა დედოფალმა დუდი-ხანუმ ბეჟანიძემ, რადგანაც ახმედ-ბეგი მართლაც ქვემო აჭარაში იმყოფებოდა და საქმის ვითარება დაწვრილებით არ იცოდა. დუდი-ხანუმმა, რომელსაც რუსეთის სამხედრო ისტორიკოსი ვ. ა. პოტო ახასიათებს, როგორც „ჭკვიანსა და ხალხში დიდი გავლენის მქონეს,“ ოსტენ-საკენს გაუგზავნა წერილი. ის პირობას აძლევდა რუსეთის გენერალს, რომ მისი მეუღლე ყველა მოთხოვნას შეასრულებდა, ახმედ-ბეგის გამოუცხადებლობის მიზეზი მისი ქვემო აჭარაში ყოფნა იყო და ა. შ. გენერალი ჯიუტად პასუხობდა, რომ მოლაპარაკებას ახმედ-ბეგთან დაიწყებს მხოლოდ რუსეთის ბანაკში მისი გამოცხადების შემდეგ. ამ დროს ის აგრძელებდა სოფლების გადაწვას. დუდი-ხანუმის დავალებით სოფელ ჩალმურში (შურმულში, რ. ს.) ოსტენ-საკენს დახვდა

რამდენიმე მხედარი და ფეხოსანი, ახმედ-ბეგის ხაზინადარის, მემი-აღის მეთაურობით. მათ გენერალს აცნობეს, რომ ახმედ-ბეგის მოსვლამდე აჭარლები არავითარ წინააღმდეგობას არ გაუწევენ, მაგრამ მოსახლეობა განცვიფრებულია სოფლების განადგურებით, როცა აჭარის მმართველი რუსეთის სარდლობასთან მოლაპარაკებებს ეწევა. ამ მშვიდობიანმა ტონმა ვერ მოულბო გული გენერალს, პირიქით, ჩაიდინა მისი თანამდებობისათვის სრულიად შეუფერებელი საქციელი – ცეცხლი გაუხსნა მშვიდობიან წარმომადგენლებს. მემი-აღა თავის დაცვით უკუიქცა. თვით მემი-აღის სახლი ჩალმურში, დაანგრიეს, სოფელი გაძარცვეს.

„მეორე დღეს ახმედ-ფაშის ვაჟებმა რამდენიმე ათეული მებრძოლით შეუტიეს მომხდურებს მათ რეზიდენციამდე მისასვლელ ხეობაში, მაგრამ ტარუტინის პოლკის ასეულმა, რომელიც მთების შემოვლით მიდიოდა, ისინი აიძულა უკან დაეხიათ და გზა გაეთავისუფლებინათ“ – სწერს ვ. ა. პოტო.144 ამგვარად დუდი-ხანუმისა და მემი-აღის მშვიდობიანი მოლაპარაკების მცდელობაც ჩაიშალა. ამის შემდეგ დედოფალმა საკუთარი შვილები დააყენა ხულოს მისადგომების დასაცავად, მაგრამ მცირე რაზმებმა დიდი რეგულარული ჯარის შემოტევას ვერ გაუძლო და უკან დაიხია. ჩვენთვის, ამ ისტორიული ფაქტების გარდა, დიდი ინტერესს იწვევს „ახმედ-ფაშის ვაჟები,“ რომელთა შესახებ არაფერი ვიცოდით, რადგანაც ეს მოვლენები ხდება მაშინ, როცა შერიფ-ბეგი ჯერ დაბადებულიც არაა.*

გონიერი დუდი-ხანუმი კვლავ ცდილობს ურთიერთობა რუსებთან მშვიდობიანად მოაგვაროს, რათა ხულოს ააცილოს

*ჩვენ მოგვიანებით დავადგინეთ, რომ ახმედ-ფაშას ამ დროს ჰყავდა ორი ვაჟი: ასლან-ბეგი, რომელიც 1854 წელს მოკლეს სევასტოპოლის აღებისას და კაპუჩი-ბეგი, აგრეთვე ორი ქალი: ფატმა ხანუმი და დილდარ-ხანუმი. გასარკვევია მათი დედის ვინაობა (სხვა მეუღლისაგან, თუ დუდი-ხანუმისაგან შეეძინა ეს შვილები). შერიფ-ბეგი კი ნამდვილად დუდი-ხანუმის შვილია.

განადგურება, მან სასწრაფოდ შიკრიკი გაუგზავნა ოსტენ-საკენს და გაატანა სასახლის გასაღები. ამასთან ერთად, გენერალს მისწერა, რომ ქმრის ადგილზე არყოფნის გამო სახლში ვეღარ დარჩება, საკადრისად ვერ უმასპინძლებს რუსეთის გენერალს და მთებში იხიზნება.

ოსტენ-საკენს კიდევ ჰქონდა საშუალება ქალბატონის ტაქტიან წინადადებაზე რაინდულად ეპასუხნა, ამ მდგომარეობიდან ღირსეულად გამოსულიყო, გამოეცხადებინა საბრძოლო მოქმედების შეწყვეტა და უკან გაბრუნებულიყო, დაეკმაყოფილებინა დედოფლის თხოვნა და დაეჯერებინა მისი დაპირება, მაგრამ მან ეს არ გააკეთა, გააგრძელა ლაშქრობა.

რამდენიმე საათში მის თვალწინ ლამაზ ველზე გადაიშალა დიდი სოფელი ხულო, აჭარის ბეგების რეზიდენცია. ჯარმა ეს პუნქტი უბრძოლველად დაიკავა, მაგრამ ამასთან ერთად, აღმოჩნდა უკვე მტრულად განწყობილი მოსახლეობის გარემოცვაში. დუდი-ხანუმმა ხულოს მთელი სიმდიდრის გატანა მოასწრო. რუსებმა აქ ნახეს მხოლოდ ერთი სპილენძის ზარბაზანი და მცირე ოდენობით დენთი. ახმედ-ბეგის სასახლე მთლიანად არეულ-დარეული იყო, რაც დუდი-ხანუმის ნაჩქარევ გახიზვნაზე მეტყველებდა. საკენმა ხულოში მცველები ჩააყენა და ახმედ-ბეგს კვლავ მისწერა წერილი დამორჩილებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში რეზიდენციის განადგურებით იმუქრებოდა, თუმცა ცუდს რომ სჩადიოდა თავადაც კარგად უწყოდა. ახმედ-ბეგმა უპასუხა, რომ განზრახული აქვს რუსეთის ხელმწიფის მფარველობაში შესვლა, ამ მიზნით მან ღიად დატოვა ახალციხიდან მომავალი გზა, მაგრამ, როცა რუსეთის არმია დაუპატიჟებლად შემოვიდა და ცეცხლს მისცა სოფლები, იგი იძულებულია თავი დაიცვას, ამიტომ მათ ელოდება შუახევში.

ოსტენ-საკენი ამ სატყუარას წამოეგო, მაგრამ მაინც ფრთხილობდა. მას ახმედ-ბეგთან მიახლოება იმდენად არ აშფოთებდა, რამდენადაც მიღებული ცნობები იმის შესახებ, რომ ჯარის უფრო ღრმად წინსვლის კვალობაზე, მოწინააღმდეგე ავიწროე-

ბდა თავის ფლანგებს, აგროვებდა ძალებსა და რუსეთის არმიას უსპობდა უკანდახევის გზებს. აქ ოსტენ-საკენმა კიდევ ერთი სიბრიყვე გამოავლინა, დაიძრა ახმედ-ბეგისაკენ, მაგრამ შუახევის მისადგომებთან ისეთი ვიწრო კლდეები შეხვდა, რომ წინ ვერ წაიწია. აჭარლები ლოდებს აგორებდნენ და ბილიკების ჩახერგვასთან ერთად ჯარისკაცებსაც ანადგურებდნენ. ახლა კი იკადრა გენერალმა ხულოსაკენ უკანდახევა, მიხვდა, რომ გამარჯვებაზე კი არა, თავის გადარჩენაზე უნდა ეფიქრა. უკან ახმედ-ბეგის მდევარი მოსდევდა. ხულოში ამოსულს ახალციხის გზა, მოჭრილი დახვდა. საჭირო იყო სხვა გზით წასვლა, მაგრამ ეს მისთვის უცნობი აღმოჩნდა. ამ დროს ხულოში მყოფმა კათოლიკემ, სტეფანე ნებიერიძემ, ერთი ბაჯაღლოს ფასად ოსტენ-საკენის ეპიდემიით დაავადებული ჯარი ღორჯომისაკენ გააცილა და დიდი დანაკარგებით გურიის გავლით ახალციხეში ჩაიყვანა.

ასე ტრაგიკულად დასრულდა 1829 წლის რუსი გენერლის ლაშქრობა აჭარაში, ასე ჩაქრა მაშინ მოსახლეობის იმედი დედა-სამშობლოსთან დაბრუნებისა, რაც მხოლოდ ნახევარი საუკუნის შემდეგ, 1878 წელს აღსრულდა, მაგრამ ახმედ-ბეგმა და აჭარის მაშინდელმა ფაქტობრივმა მმართველმა დუდი-ხანუმ დედოფალმა ეს ნატვრა თავის დროზე ვერ აისრულეს.

ამ ამბებმა დიდი გავლენა მოახდინა აჭარის მოსახლეობის ორიენტაციაზე, მაგრამ, საბედნიეროდ, საბოლოოდ ვერ შეცვალა მხარის მმართველის, ახმედ-ბეგ ხიმშიაშვილის გადაწყვეტილება საქართველოსთან აუცილებელი დაბრუნებისა; მიუხედავად იმისა, რომ სულთანმა მაჰმუდ მეორემ ახმედ ბეგი დიდ პოსტზე დააწინაურა და თავადაც ერთგულად ემსახურებოდა სულთანს, მისი აზრი და გონება მაინც მამის კვალს მიჰყვებოდა, რაც დადასტურებულია ერთი შავშელის მონათხრობიდან: „იცოდე, შერიფ, ადრე თუ გვიან რუსები ჩვენ მხარესაც აიღებენ ისევე, როგორც აიღეს ახალციხე და სხვა მიწები. დაამყარე მეგობრობა რუსებთან და მოსაზღვრე მოსახლეობასთან.

ჩვენი ამინდი (ბედ-იღბალი) რუსებზე იქნება დამოკიდებული, იცოდე რომ ჩვენი გზა რუსეთშია და არა სტამბულში, მართალია, ახმედ-ფაშამ ეს შერიფს საიდუმლოდ უთხრა, მაგრამ შავშეთში ეს ყველამ ვიცით“-ო[145] – უთქვამს შავშელ ხუსეინ გვარჯალაძეს ასკანელი დათიკოსათვის.* ახმედ-ფაშის ასეთი განწყობილება სხვა წყაროებითაც დასტურდება. ისიც კარგად იყო ცნობილი, რომ მას, როგორც სელიმ-ფაშის შვილს, არასოდეს გულზე არ ეხატებოდა ოსმალეთის ხელისუფლება. მისი ასეთი ორიენტაცია უყურადღებოდ არ დარჩენილა სულთნის დამქაშებისათვის.

1836 წელს ახალციხის მაზრის უფროსი მთავარმართებელს აცნობებდა, რომ კონსტანტინეპოლიდან დაბრუნებული ახმედ-ფაშა სერასკირმა ნადიმზე მიიწვია. აქედან სახლში დაბრუნებისთანავე ავად გახდა და 8 დღის შემდეგ გარდაიცვალაო. ამავე შეტყობინებაში ნათქვამი იყო, რომ ახმედ-ფაშას სიკვდილის შემდეგ საეჭვოდ გაუშავდა გულ-მკერდის არე და ტუჩები, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ის მოწამლეს.[146]

ამგვარად ორ დიდ მტერს შორის მოქცეული ახმედ-ფაშა ერთ-ერთმა მათგანმა სიცოცხლეს გამოასალმა, რის შემდეგ აჭარის მმართველობა შვილს, შვიდი წლის შერიფს ეკუთვნოდა, მაგრამ მისი მცირეწლოვანობის გამო ეს მისია დედამ, დუდი-ხანუმმა იკისრა და აჭარის ფაქტობრივი მმართველი გახდა. დუდი-ხანუმ ბეჟანიძემ მეუღლის ქონება მოითხოვა, მაგრამ დაუდასტურეს, რომ ახმედ-ფაშას დარჩა ნახევარ მილიონამდე ვალი. ეს იმდენად დიდი თანხა იყო, რომ დედოფალს მთლი ქონება რომ გაეყიდა, თავს ვერ დაიხსნიდა, ამიტომ დახმარების გამოსათხოვად და მისი შვილის შერიფის აჭარის მმართველად დასამტკიცებლად სტამბოლში, სულთანთან გამგზავრა. აჭარ-

*ახმედ-ფაშა ხიმშიაშვილის რუსული ორიენტაცია ცნობილია, მაგრამ საეჭვოა მას ასეთი დარიგება მიეცა შვილისათვის, რადგანაც მამის გარდაცვალებისას შერიფი სულ რაღაც 5-6 წლის იყო.

ის მმართველობა დროებით მიანდო თავის მაზლს, აბდი-ბეგს, მაგრამ ამ დროს საკმაოდ მოძლიერებული იყო მომდევნო ძმა, ქორ-ხუსეინ-ბეგი. ამ ძმებს შორის გაჩაღდა ბრძოლა აჭარის დაუფლებისათვის, მაგრამ ამას მოუსწრო შავშეთ-იმერხევში დაწყებულმა ანტიოსმალურმა მოძრაობამ, რომელსაც აბდი-ბეგის უმცროსი შვილი სელიმი მეთაურობდა. 15 წლის ბეგმა 10 000-მდე მებრძოლს მოუყარა თავი და სერიოზულად დააფიქრა ოსმალეთის ხელისუფლება. მიუხედავად ამისა, სულთანმა შეძლო დაეთრთგუნა ხიმშიაშვილთა ამბოხი: ქორხუსეინი სტამბოლში გაიწვიეს და იქვე აღესრულა, სელიმი 300 მეომრით ერთხანს წეფთის ციხეს აფარებდა თავს, მაგრამ შემდეგ ისიც დანებდა სულთანს. ამის შემდეგ დუდი-ხანუმიც აჭარაში დაბრუნდა და განაგრძო მმართველობა.

გონიერებისა და გამჭრიახობის გარდა, გადმოცემის მიხედვით, დუდი- ხანუმი დიდებული აღმზრდელი და მშობელი იყო. ის თავის ცოდნას უხვად უნაწილებდა საკუთარ შვილებსა და ახლობლებს. მისი ამაგი განსაკუთრებით დაეტყო შერიფ-ბეგს, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე გამოირჩეოდა კაცთმოყვარეობით, შემრიგებლური ხასიათითა და შემწყნარებლობით. სწორედ ამ თვისებებმა ითამაშა დიდი როლი მისი პოლიტიკური ორიენტაციის ფორმირებაში, სამშობლოს მიმართ თავგანწირვასა და სიყვარულის გაღრმავებაში, რაც აჭარის და შავშეთ-იმერხევის გათავისუფლებითა და დედა-სამშობლოსთან დაბრუნებით დაგვირგვინდა. შერიფის ამგვარ სულისკვეთებაში დიდი იყო დუდი-ხანუმ ბეჟანიძის წვლილი.

სულთან მაჰმუდ II-ეს ეკონომიკური რეფორმების სუსხმა აჭარასაც უწია. დაიწყო ე. წ. „თანზიმათი“-ს გატარება, რაც მოსახლეობის აღწერის გარდა, მრავალი გადასახადის დაწესებას ნიშნავდა. აქამდე თავისუფალ მთის ხალხს, სადაც პრაქტიკულად ოსმალო მოხელეს არ შეუღწევია, კომლზე 10 მანეთამდე გადასახადი შეაწერეს, რამაც დიდი მღელვარება გამოიწვია. 1844 წელს აჯანყება გამწვავდა, რაც ადმინისტრა-

ციის შესანახად დაწესებული გადასახადის, ე. წ. „სალიანი“-ს გადიდებას და ჯარში გასაწვევი ახალგაზრდების რიცხვის 200-დან 800-მდე გაზრდას მოჰყვა. ამ გადასახადების აკრეფის მიზნით ყარსის ფაშამ აჭარაში მოავლინა თავისი ოფიცერი სოლაღასი, რომელიც ხულოში დუდი-ხანუმს ეახლა. გონიერი ქალბატონი მოერიდა ოსმალო ხელისუფლებასთან ურთიერთობის გამწვავებას და ზემო აჭარის მოსახლეობა დაითანხმა, როგორც გადასახადებზე, ასევე ჯარში გაწვევაზე. როგორც საარქივო მასალებით დარტურდება, ქვემო აჭარის მოსახლეობა, დანდალოელი სელიმ-ბეგისა და მერისელი ჭინკოროღლის მეთაურობით, წინ აღუდგა ამას და თავისი წარმომადგენლები გაგზავნა ზემო აჭარაში, მათ სოლ-აღას განუცხადეს, რომ არც გადასახადს გადაიხდიან და არც ჯარში გაგზავნიან შვილებს. შეშინებულმა ოსმალო მოხელემ დუდი-ხანუმს შაფარა თავი, რის გამო აჯანყებულებმა ალყა შემოარტყეს დდოფლის სასახლეს. სოლ-აღასიმ გაპარვა მოახერხა, მაგრამ ხალხი არ დაშალა და ყარსის ფაშას გაუგზავნა თხოვნა, რომლშიც ნათქვამი იყო: თუ ომი დაიწყება და საჭირო იქნება ჯარში წასვლა, 200 კი არა 2000 კაცი გამოვაო. ამ თხოვნის გადაცემა და შუამდგომლობა დუდი-ხანუმს სთხოვეს. ქვემო აჭარიდან ხულოში ასულ მოჯანყებს ზემო აჭარის მოსახლეობაც შეუერთდა და ამბოხებამ სერიოზული სახე მიიღო. დუდი-ხანუმი იძულებული გახდა შვილები შერიფი და კაფუჯი, ფოცხოვში სანჯაყ-ბეგ ახმედ-ქემალ-ბეგთან (ათაბაგთან) გაეხიზნა, საიდანაც შემდეგ ყარსში უნდა გადაეყვანათ.

1844 წლის მარტში დუდი-ხანუმის სასახლესთან შეგროვილი ხალხი ღორჯომისა და რიყეთისაკენ დაიძრა. აქედან აპირებდნენ ფოცხოვში გადასვ-ლას, მაგრამ ახმედ-ქემალ-ბეგს შემოეთვალა, რომ თუ გადმოვლენ შევებრძო-ლები და დავამარცხებო. აჯანყებულთა ნაწილი ღორჯომიდან ჭვანაში გადავი-და. დიდი მსჯელობის შემდეგ აქ დაადგინეს, რომ გადასახადებსა და ჯარში გაწვევაზე უარი ეთქვათ და თხოვნა

გაეგზავნათ სულთანთან; ამის გაკეთება სასულიერო პირებს, ჭვანელ გულა-ეფენდის და მერისელ სულეიმან-ეფენდის დაეკისრათ. ასეთივე თხოვნით ერზრუმის სერასკირთან გაგზავნეს საერო წარჩინებული პირები, სოფელ ჭალადან გულა-ბეგ სურმანიძე და დანდალოელი ალი-ბეგ ავალიანი.

აჯანყებულთა ერთ-ერთ ხელმძღვანელს, ჭინკორ-ოღლის მოლაპარაკებებით რაიმე შედეგის მიღწევის იმედი არ ჰქონდა და კვლავ ძალით ცდილობდა წესრიგის აღდგენას. ის დუდი-ხანუმს ეახლა და სასახლიდან ორი ზარბაზანი თხოვა. მაგრამ ქალბატონმა უარით გაისტუმრა. ამბოხებულთა მეთაური ხანუმს უმტკიცებდა, რომ ბრძოლას გააგრძელებდა და აჭარას მთლიანად გაათავისუფლბდა,მაგრამ თავად დუდი-ხანუმს აჯანყება სრულ უაზრობად მიაჩნდა, დარწმუნებული იყო, რომ ეს კარგს არაფერს მოუტანდა ხალხს და მოუწოდებდა დაშლილიყვნენ.

აპრილ-მაისში აჯანყებამ კიდევ უფრო მძაფრი ხასიათი მიიღო. დუდი-ხანუმისადმი აჯანყებულთა ხელმძღვანელების დამოკიდებულება კიდევ უფრო გამძაფრდა. ამას დაემატა ხმები იმის შესახებ,რომ აჯანყებულთა დასასჯელად სულთანი ექსპედიციას გზავნისო. მოვიდა არზრუმის სერასკირის წრილიც, რომლითაც ის ხალხს მოუწოდებდა დამორჩილებოდნენ სულთნის კანონებს, წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებოდა მოსახლეობის განადგურებით. სოფლების ბრძენ-კაცებმა კიდევ აწონ-დაწონეს დუდი-ხანუმის რჩევები, სულთნის მაღალი თანამდებობის მოხელეების გამონათქვამები და საბოლოოდ მშვიდობიანი გზა აირჩიეს, კვლავ გაგზავნეს ორი სასულიერო პირი არზრუმში. ერთი მათგანი ხაზუმ ეფენდ-ოღლი იყო.მან წერილი ჩაიტანა და პასუხს არ დაელოდა, უკან გამობრუნდა. ამ წერილის პასუხი დუდი-ხანუმმა მიიღო. ტრაპიზონის ფაშამ (ამ დროს აჭარა უკვე არზრუმს ჩამოართვეს და ტრაპიზონს დაუმორჩილეს) ისმინა ხალხის თხოვნა და შეცვალა გადასახადების რაოდენობა, ხოლო აჭარელთა ჯარში გაწვევა

საერთოდ გააუქმა. კმაყოფილი შუამავლებიც სამშობლოში დაბრუნდნენ, დუდი-ხანუმთან შეიკრიბნენ და ხალხს მოახსენეს სერასკირის გადაწყვეტილება, გამარჯვებული ხალხი სახლში დაბრუნდა და მშვიდობიან შრომას შეუდგა.

ამგვარად, დუდი-ხანუმის ბრძნულმა მოქმედებამ და გამჭრიახობამ აჭარა გადაარჩინა დიდ განსაცდელს, აქ არ შემოსულა ოსმალთა დამსჯელი რაზმები, რასაც დიდი მსხვერპლი და სისხლისღვრა მოჰყვებოდა.

დიდი თავადი
შერიფ ხიმშიაშვილი

ცნობილმა პედაგოგმა ალ. მგელაძემ, რომელიც მე-19 საუკუნის მიწურულს ხულოში მასწავლებლობდა, გაზეთ „ივერია“-ში გამოაქვეყნა ვრცელი წერილი „აჭარა,“ რომელშიც ავტორი ეხება დუდი-ხანუმის პიროვნებას და აღნიშნავს, რომ: „დედა-შერიფ-ბეგისა ჩაქველი ბეჟანიძის ქალი იყო, სულთანის

სასახლეში დიდი ნაცნობი და გავლენიანი ადამიანი. დაობლებული, მცირეწლოვანი შერიფი დედამ სტამბოლს წაიყვანა, სადაც 20 წლამდის იზრდებოდა. მოაწია დრომ, როდესაც რუს-ოსმალეთს შორის ყირიმის ომი ატყდა. სულთანმა 20 წლის შერიფ-ბეგი, მაიორის ჩინით დაჯილდოებული სტამბოლიდან ყარსის სიმაგრეში ჩაესაფრა. ამბობენ, დედა შრიფ-ბეგისა ყოველგვარ ვაჟკაცურ ღირსებით შემკული ადამიანი იყოო. როცა შეიტყო, რომ შერიფი რუსებს შემოუქალტავთ ყარსის სიმაგრეში და გასავალი გზა შეუკრავთ მისთვისო, იგი ორის ათასის მეომრით გამართა ყარსისაკენ შვილის დასახსნელადო, მაგრამ მსუბუქად დაჭრილი შერიფი გზაში შეხვდა.“[147]

ამგვარად, დუდი-ხანუმ ბეჟანიძე, რომელსაც სხვა ავტორები ახასიათებენ, როგორც ჭკვიან, დარბაისელ და დიდი გავლენის მქონე მანდილოსანს, ა. მგელაძის ჩანაწერებით დასტურდება, რომ ის ამავე დროს გაბედული, მამაცი და საომარ მოქმედებებში საკმაოდ ჩახედული პიროვნებაც ყოფილა.

სამწუხაროდ, საარქივო დოკუმენტბში 1844 წლის შემდეგ დუდი-ხანუმ ბეჟანიძის მოღვაწეობაზე აღარაფერი გვხვდება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენ ისიც კი არ ვიცით, როდის აღესრულა ეს დიდებული მანდილოსანი (ერთი ცნობით 1869 წ.) და სად არის დაკრძალული. ამის დაზუსტება მომავალი თაობების ვალია.*

---

*დუდი-ხანუმ ბეჟანიძის აჭარის მმართველად მოღვაწეობის გასაშუქებლად ვსარგებლობდით საქართველოს ცენტრალური არქივის მასალებით, რომლებიც არქივის მუშაკმა გრიგოლ სიხარულიძემ მოგვაწოდა, რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვახსენებთ. ეს მასალებია: საქ. სცია,ფ. II, საქ. 558, ფურც. 8-9, საქ. 342, ფურც.5-10, ფ.16,საქ.8085, ფურც.6,10,11,12,15,-16,27,28,30,31,36,37; გარდა ამისა, ვისარგებლეთ შამშე მეგრელიძის, გიორგი ყაზბეგის, შუშანა ფუტკარაძის და თეიმურაზ კომახიძის წიგნებით.

ხუსეინ ბეგი

საქართველოს ისტორიაში, განსაკუთრებით კი აჭარისადმი მიძღვილ ნაშრომებში, დიდი ადგილი უკავია ხუსეინ-ბეგ ბეჟანიძეს. აჭარაში, კერძოდ ჩაქვში, არ გაუვლია არცერთ ცნობილ მოღვაწეს, რომ ის სახლში არ სწვეოდა მხარის ფეოდალსა და უდიდესი გავლენის მქონე ამ პიროვნებას (დიმიტრი ბაქრაძე, სერგეი მესხი, ალექსანდრ ფრენკელი, ზაქარია ჭიჭინაძე და სხვ.)

ბოლო დრომდე ხუსეინ-ბეგ ბეჟანიძის ბიოგრაფიიდან ცოტა რამ ვიცოდით. ამ ნაკლს მეტნაკლებად ავსებს თურქთში ახლადგამოცემული მურად კასაპის წიგნი „ქართველები ოსმალეთში.“ ამ წიგნში ნათქვამია: „ ხუსეინ-ბეგი (ბეჟანიძე) ბათუმელ ბეჟანიძეთა დინასტიიდანაა, სეფერ-ბეგის ვაჟი და აბდულ-ჰამიდ-ბეგის ძმა. ყირიმის ომში ბათუმისა და ჩაქვის შესანარჩუნებლად, მოიხვეჭა კარგი სახელი, რისთვისაც მთავარსარდლის ჩინი ერგო. ომამდე სხვადასხვა თანამდებობები ეკავა.

ჩაქვის მეჯლისის წევრები და საზოგადოების მეთაურები, ხუსეინ-ბეგის ახლობლები: სულეიმან-აღა, შაჰინბაშოღლი (ლორთქიფანიძე, რ. ს.), ახმედ-აღა და რამდენიმე სხვა პიროვნება ამ ომში დაიღუპნენ, მათ ახლობლებსაც გადაეცათ საპატიო მედლები.

ყირიმის ომში ხუსეინ-ბეგს განსაკუთრებული დავალება მისცეს. მან ცნობილი რეშიტ-ფაშა (სათვალეებიანი), სულთან-მაჰმუდ II-ის და აბდულ-მეჯიდის დროს ოსმალეთის დიდი ვეზირი, წარმოშობით ქართველი (გარდ. 1857 წ.) და მისი მრავალრიცხოვანი ამალა ქურთისტანში უვნებლად ჩაიყვანა. ამ ომში ხუსეინ-ბეგ ბეჟანიძე ჩურუქ-სუს (ქობულეთის) არმიაში ათასეულს სარდლობდა. ომის შემდეგ, 1861 წელს იგი სტამბოლში ჩავიდა.“[148]

ჯერჯერობით ჩვენ არ ვიცით ხუსეინ-ბეგ ბეჟანიძის დაბადების თარიღი. თუ მივიღებთ მხედველობაში პეტრე უმიკაშ-

ხუსეინ ბეჟანიძე

ვილის ჩანაწერს, რომ გარდაცვალებისას ის „სამოცს წელს გადაცილებული იყო, მაგრამ ღონით ახალგაზრდას ჰგავდა," გვაფიქრებინებს, რომ ის 1822 წლის ახლო ხანებში უნდა იყოს დაბადებილი.

დიმიტრი ბაქრაძე თავისი მოგზაურობის გზაზე (1873 წ.) ჩაქვში სწორედ ხუსეინ-ბეგ ბეჟანიძის სახლში გაჩერდა და აღწერა კიდეც. მისი თქმით, ეს არის ფლეთილი ქვით აშენებული ორსართულიანი სახლი, რომელიც კრამიტით იყო გადახურული ისევე, როგორც საუკეთესო სახლების უმეტესობა. სახლს ჰქონია დარაბებიანი მაღალი ფანჯრები. სახლის მახლობლად ბრინჯის ყანები, რომლებიც მის პატრონს 300 ქისა შემოსავალს აძლევდა. ხუსეინ-ბეგი ამ დროს თავისი ოჯახით სადღაც წასულიყო, ხოლო სახლში მცველი და მისი ვაჟი დაეტოვებინა. ისინი სტუმარს თევზით გაუმასპინძლდნენ.

ბათუმის შემოსასვლელთან, მდინარე ყოროლისწყლის შესართავთან, დ. ბაქრაძემ დაათვალიერა ციხის და ეკლესიის ნაშთები, აგრეთვე ბეჟანიძეების ხის სახლი, რომელიც ზემოთ აღვწერეთ და აქ აღარ გავიმეორებთ.

ჩაქველი თავადების ბეჟანიძეების შესახებ განსაკუთრებულ და დაწვრილებით ცნობებს გვაწვდის სერგეი მესხი, რომელიც რუს-ქართველთა რაზმებს ფეხდაფეხ შემოჰყვა აჭარაში. ის ყველა საომარი მოქმედების, რუსეთ-ოსმალეთის დაზავების და საინტერესო შეხვედრების თვითმხილველია.

როგორც ცნობილია, ს. მესხი 1878 წლის 21 აგვისტოს ოზურგეთიდან ბათუმისაკენ გამოემართა. მგზავრობას ართულებდა დარხეული ხმები იმის შესახებ, რომ გზაზე 10 000-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თამარის ციხე ბათუმის გარე უბანში (დაბა თამარა) მე-13 საუკუნე. 1921 წლამდე ბეჟანიძეთა საკუთრება იყო.

ხუსეინ-ბეგ ბეჟანიძის სახლი ჩაქვში

მდე აჭარელი და ლაზი აპირებს გამოვლასო. თურმე, ეს რიცხვი ამაზე მეტიც იყო, მაგრამ გრიგოლ გურიელის, ხუსეინ-ბეგ ბეჟანიძის და სასულიერო პირების რჩევა-დარიგებით,ხალხმა იარაღი ჩააბარა და ბედს შეურიგდა. სწორედ ამ ღირსეული პიროვნებების დამსახურებაა, რომ მთელ გზაზე ერთი თოფიც არ გავარდნილა.

24 აგვისტოს ს. მესხი ჩაქვში ჩამოვიდა და ხუსეინ-ბეგ ბეჟანიძეს ესტუმრა. მასპინძლისაგან მან ბევრი ახალი რამ გაიგო ჩაქვის მფლობელთა ისტორიაზე და ჩაიწერა კიდეც. გარდა ამისა, სტუმარი თვალნათლივ დარწმუნდა, რომ ხუსეინ-ბეგი თავის სამფლობელოში ძალზე გავლენიანი კაცია, მას აქაურები ყველაფერს ეკითხებოდნენ, მისგან რჩევა-დარიგებებს ღებულობდნენ და სწამდათ კიდეც მისი. სწორედ მისი რჩევით მრავალმა ჩაქველმა უარი თქვა მუჰაჯირობაზე. ხუსეინ-ბეგი, თანამედროვეთა ცნობით, ჩინებული მექართულე აღმოჩნდა. მისი ოჯახი ერთ-ერთი გამონაკლისი იყო, სადაც ყვლამ იცოდა ქართული წერა-კითხვა. ხუსეინ-ბეგის მიწებზე იმ დროისათვის მოჰყავდათ სიმინდი, ღომი და ბრინჯი. მარტო ბრინჯის შემოსავალი ყოველწლიურად 300 ქისას აღწევდა. ძველ ქართველ თავადიშვილს ჰქონდა ხილის ბაღი და ვენახი. მისი ღვინო მთლს მაშინდელ სამუსლიმანო საქართველოში განთქმული ყოფილა.

თბილისელ სტუმრებს ხუსეინ-ბეგი თავისი ამალით დახვდა და ოჯახში მიიწვია. საუბრის დასაწყისიდანვე მან ს. მესხს გულღიად უთხრა, რომ ჩვენი (ოსმალეთის) სარდლობის დავალებით ჩაქვის, ქობულეთისა და ბათუმის მოსახლეობა შეიარაღდა, რათა თქვენ ჩვენს სამშობლოში არ შემოგვეშვითო. დვრიშ-ფაშა ჯარით დახმარებასაც შეგვპირდა, მაგრამ შემდეგ უარი თქვა, როგორც ჩანს, რუსებთან ომი ოსმალეთმა ვეღარ გაბედა და ჩვენ მოძმეებს რაღაზე შევაკვდებოდითო. წავედი, გენერალ ოკლობჟიოს თავი დავუკარი და კეთილად მობრძანება მივულოცეო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სერგეი მესხი

სერგეი მესხის თქმით, ხუსეინ-ბეგს ორი ძმა ჰყავდა (სახელები არ ჩაუწერია).ერთი მათგანი (აბდულ-ჰამიდ-ბეი, რ. ს.) ყირიმის ომის დროს ნიგოითთან მოუკლავთ, ხოლო მეორე ცოცხალი ყოფილა. მოკლულ ძმას სამი ვაჟი დარჩა,* რომელთაგან ერთ-ერთი ხასან-ბეგი იყო. მის შესახებ ქვემოთ მოგითხრობთ.

სხვათაშორის, სერგეი მესხი დეტალურად გადმოგვცემს ხუსეინ-ბეგის მონათხრობს ბეჟანიძეებისა და თავდგირიძეების ურთიერთობაზე, რომელიც თითქმის მთლიანად ემთხვევა ჩვენს მიერ ზემოთ ნათქვამს. სულთანმა ამ ორ გვარს თავიანთ სამფლობელოში მეფური უფლებები მისცა და თანაც მისთვის ეს ორი გვარი ძირითად დასაყრდენს წარმოადგენდა, მათთან წინასწარი შეთანხმების გარეშე ხონთქარი არავითარ ფირმანს და ბრძანებას არ გამოსცემდა. ომის დროს ჯარიც ამათ გამოყავდათ და ერთპიროვნულ სარდლებადაც ისინი ითვლებოდნენ, ორმოცი წლის წინ, ე.ი. დაახლოებით 1820 წელს სულთანმა ჯერ ბატონყმობა მოსპო, შემდეგ, ამათი უფლებებიც შეამცირა. ეს კანონი გაძლიერდა თანზიმათის შემოღების შემდეგ, როცა მათ ჩამოართვეს გლეხები, ხოლო აღებსა და ბეგებს წლიური ჯამაგირი დაუნიშნეს.

---

*აქვე შევნიშნავთ, რომ ხუსეინ-ბეგს ჰყავდა სამი ძმა: ფერათ-ბეგი, მემედ-ბეგი და ჰამიდ-ბეგი, აგრეთვე ერთი და დუდი-ხანუმი-ახმედ-ფაშა – ხიმშიაშვილის მეუღლე. ყირიმის ომის დროს მოკლეს ჰამიდ-ბეგი, მას დარჩა სამი ვაჟი: ჰაიდარი, მურადი და ხასანი (რ. ს.)

აჭარის გათავისუფლების პირველსავე წელს, 1878 წლის 20 ნოემბერს, ქართველმა საზოგადოებრიობამ, დიმიტრი ყიფიანის თაოსნობით, აჭარის დელეგაცია თბილისში მიიწვია და მუხრან-ბატონის სასახლეში დიდი ნადიმი გაუმართა. აჭარის დეპუტაცია 16 კაცით იყო წარმოდგენილი.* მათ შორის იყო ხუსეინ-ბეგ ბეჟანიძე და მისი ძმისშვილი ხასან-ბეგი. ამათგან სიტყვა მხოლოდ ორმა, შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილმა და ხუსეინ-ბეგ ბეჟანიძემ წარმოთქვეს. სერგეი მესხის სიტყვებით, „გრიგოლ ორბელიანის შემდეგ წამოდგა უფროსი წევრი დეპუტაციისა ხუსეინ-ბეგ ბეჟან-ოღლი და წმინდა ქართულის ენით რამდენიმე სიტყვით წარმოსთქვა სადღეგრძელო დიდის მთავრის კავკასიის ნამესტნიკისა.“[149]

ხუსეინ-ბეგს პირადად გაეცნო აგრეთვე რუსეთის სპეციალური სამხედრო კორესპოდენტი, პროფესიით იურისტი, ალქსანდრე ფრენკელი, რომელმაც რუსეთ-თურქეთის 1877-78 წწ. ომის მთელი შთაბეჭდილებები წიგნად გამოაქვეყნა.

გრიგოლ გურიელის სახლში (ქობულეთში), სადაც დაბინავდა ა. ფრენკელი, რამდენიმე საპატიო პიროვნებასთან ერთად, შემოსულან ჩაქველი ბეგები, ბეჟანიძეები. მათ შორის იყო გამოჩენილი პიროვნება ხუსეინ-ბეგი. მათგან სტუმარს აინტერესებდა გაეგო, როგორი იყო მხარის სოფლის მეურნეობა, მისი წლიური ჭირნახული და შემოსავალი. ხუსეინ-ბეგის და ზოგიერთი მისი თანმხლები პირის მონაყოლით ა. ფრენკელი ასკვნის, რომ მხარის მწარმოებლობა საკმაოდ ღარიბია, თუმცა მცხოვრებლები თესავენ სიმინდს, რომლის სიმაღლე ზოგჯერ 4 მეტრს აღწევს, ითესება აგრეთვე ხორბალი, ბრინჯი, ღომი, რაც იმაზე მეტყველებს, რომ აქაური მიწები საკმაოდ ნაყოფიერია. ხუსეინ-ბეგისაგან ა. ფრენკელმა დაწვრილებით ჩაიწერა მებაღეობა-მეხილეობის, მეცხოველეობის, მეფუტკრეობის, მეტყევეობის, მეაბრეშუმეობის და სხვა დარგების მაშინდელი

* პერსონალურ შემადგენლობაზე იხ. ქვემოთ.

მდგომარეობა და პერსპექტივები. ჩანაწერების მიხედვით ნათელი ხდება, რომ ხუსეინ-ბეგი, ამ ინფორმაციების მიმწოდებელი, შესანიშნავად ერკვევა ყველა ამ დარგის განვითარების გზებში და ნათელი წარმოდგენა აქვს მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებასა და სოციალურ მდგომარეობაზე.

ჯარის წინსვლასთან ერთად, ა. ფრენკელი ჩაქვში ჩასულა და პირადად უნახავს ხუსეინ-ბეგის სასახლე, რომელიც მთლიანად ცარიელი და დანგრეული იყო. თვით ხუსეინ-ბეგის ოჯახი მთებში გახიზნულიყო.

რუს-ქართველთა არმიის ბათუმში შემოსვლისას ხუსეინ-ბეგ ბეჟანიძის სახლში გაჩერდა გრიგოლ გურიელი, რომლის რჩევით ა. ფრენკელიც აქ დარჩენილა, რადგანაც ბათუმში შეუძლებელი იყო სასტუმროს ან დამის სხვა გასათევის გამონახვა. სტუმარი არ ასახელებს ხუსეინ-ბეგის სახლის ადგილმდებარეობას, მაგრამ ჩვენი ღრმა რწმენით, ეს უნდა იყოს ბათუმის (თამარის) ციხის კედლებს შორის მდგარი ხის სახლი, რომელიც ხუთი წლის წინ ნახა დიმიტრი ბაქრა-ძემ და აღწერა კიდეც.

ა. ფრენკელი იმთავითვე დარწმუნდა, რომ ამ მხარეში ძლიერ გვარებად ითვლებიან სანჯაყ-ბეგ აბაშიძეები, რომელთაც ეკუთვნით მთლიანად ბათუმი, ჩურუქ-სუში – თავდგირიძეები, ხოლო ჩაქვში – ბეჟანიძეები. ომის დროს ისინი ვალდებულნი იყვნენ ჯარში გამოეყვანათ მეომართა გარკვეული რაოდენობა.

ა. ფრენკელი დაინტერესდა ფოთი-ბათუმის რკინიგზის მშენებლობითაც, რომელიც მაშინ მხოლოდ დაპროექტების ეტაპზე იყო. ამ პროცესს აქვე დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალს ადგილობრივი წარჩინებული პირები, რომელთაგან გამოირჩეოდა ხუსეინ-ბეგ ბეჟანიძე. მას ლიანდაგების გაყვანის საკუთარი გეგმაც ჰქონია. მისი თქმით, ბათუმ-ჩაქვის რკინიგზის პირველი მონაკვეთი უნდა ყოფილიყო: ბათუმი, მდინარე ბარცხანა, მდინარე სკურკუბა, მათ შორის კი მცირე ბორცვი სალიბაური, შემდეგ ორთაბათუმამდე ვაკე და მხოლოდ ერთი გადასასვლელი ხიდი ყოროლისწყალზე.

მეორე მონაკვეთი: ორთაბათუმი, კაპრეშუმი, აქედან გზა მიდის ჩაქვისკენ, სადაც გვხვდება მცირე მთა მტირალა;* ამას რომ შემოვუაროთ, საჭიროა ოდნავ მივუახლოვდეთ ზღვას და შევარჩიოთ გადასასვლელის ადგილი, გზა გადავიტანოთ მთის მეორე მხარეს მდინარე კაპრეშუმ-წყალთან, შემდეგ იქნება დაბა მახინჯაური, მდინარე ყარადერის-წყალი, გადასასვლელი სასირე ყელზე, ჩაქვის ველი, სოფელი ჩაქვი და ა. შ.

როგორც ჩანს, იმ დროისათვის გვირაბის მშენებლობაზე საუბარი არ ყოფილა, ამიტომ ხუსეინ-ბეგს აურჩევია ერთ-ერთი ოპტიმალური ვარიანტი, რომელიც რეალობასთანაც ძალზე ახლოს იყო. საყურადღებოა, რომ ამ გზის პარალელურად სერიოზულად ფიქრობდნენ, ბათუმიდან აჭარისწყლის ხეობის გავლით, რკინიგზის გაყვანას ახალციხემდე.

რკინიგზის გასაყვანად აუცილებელი გახდა ბეჟანიძეთა ნოყიერი მიწების დიდი ფართობის ათვისება. მაშინ რუსეთის ხელისუფლებამ ეს მიწები მათ ფაქტობრივად ჩამოართვა, თითქოსდა უსასყიდლოდ ჩაგვაბარესო და თავისი ვალი იმით გაისტუმრა, რომ 15 წლის შემდეგ ბეჟანიძეთა ნაწილს, ოთხ ძმას ფულადი ჯილდო გადასცა. ამის შესახებ ბათუმის ოლქის კანცელარიის უფროსის მოხსენებაში შემდეგს ვკითხულობთ: „კავკასიის მთავარმმართებელმა

კანცელარიის განკარგულბით (№5008, 24 აპრილი, 1898 წლი) ბეჟანიძეთა ოთხ ძმას გადასცა დიდი ფულადი ჯილდო ბათუმის სამხედრო რკინიგზის გასაყვანად, მიწის ვრცელი ნაკვეთის უსასყიდლოდ გადაცემისათვის.“[150]

ა. ფრენკელის ჩაქვში ყოფნისას ხუსეინ-ბეგი თავისი გვარის მამამთავრად ითვ- ლებოდა. მართალია მისი უფროსი ძმა ფერათ-ბეგი ამ დროს ცოცხალი იყო, მაგრამ საკმაოდ ხანდაზმულმა თავისი სურვილით გვარის უფროსობა ხუსეინ-ბეგს გადააბარა.

---

* ამ მთას მაშინ იქნებ მართლაც მცირე მტირალა ერქვა?

საყურადღებოა, რომ რუსეთ-თურქეთის ომის დროს ხუსეინ-ბეგი მეთაურობდა ორ ბანაკს, 2000-მდე მებრძოლს და მინიჭებული ჰქონდა ოსმალეთის არმიის პოდპოლკოვნიკის წოდება. ებრძოდა რუსებს და მხარს უჭერდა ერთმორწმუნე ოსმალებს, მაგრამ მას კარგად ესმოდა, რომ ოსმალები და ინგლისელები ქობულეთლებს ატყუებდნენ, ის ადრიდანვე სერიოზულად ფიქრობდა თავისი მხარის ბედზე, მიუხედავად იმისა, რომ თურქი ემისრები ყოველმხრივ ცდილობდნენ მისი და მთელი ოჯახის გადაბირებას და ოსმალეთში გადაყვანას.

ა. ფრენკელის ჩანაწერებიდან საგანგებოდ შევეხები თბილისში გამართული ნადიმის ზოგიერთ დეტალს. მართალია ამ ფაქტზე სერგეი მესხმა ძალზე სანდო და, შეიძლება ითქვას სტენოგრაფიულად ზუსტი მასალები შემოინახა, მაგრამ ა. ფრენკელის ცნობები აჭარის დეპუტაციის შემადგენლობაზე განსხვავებულია. არანაკლებ მნიშვნელოვანია ის, რომ ა. ფრენკელს ჩაწერილი აქვს სია აჭარის მოწინავე წარმომადგენლობისა, რომლებიც უნდა ჩასულიყვნენ თბილისში და დასწრებოდნენ ნადიმს, მაგრამ მათ ეს ვერ შეძლეს. ამ სიის მთლიანად გამოქვეყნებით ჩვენ გავეცნობით აჭარის პატრიოტებსა და პროგრესულ ადამიანებს, რომელთა გვარები სხვა ისტორიულ წყაროებში არ შეგვხვედრია, და რაც მთავარია, ა. ფრენკელის ეს ძვირფასი ცნობა ჯერ-ჯრობით არავის გამოუქვეყნებია. მაშ ასე. დასაწყისში გავეცნოთ ნადიმის მონაწილეებს: სასულიერო პირები: 1. ხასან-ეფენდი სალიხ-ეფენდი-ზადე სურმანიძე (მუფთი), 2. პედრო ხარლამპოვი (ბერძენთა მღვდელი), 3. ტერ-გრიგორ პუჩინიანი (სომეხთა მღვდელი), საერო პირები: 4. ხუსეინ-ბეგ ბეჟანიძე, 5. ხასან-ბეგ ბეჟანიძე (ჩაქვი), 6. ხუსეინ-ბეგ სანჯაყ-ბეგ-ზადე აბაშიძე (ბათუმი), 7. ნური-ბეგ ხიმშიაშვილი (შავშეთი), 8. სული-ბეგ მაჭახლელი-წულუკიძე (მაჭახელი), 9. ახმედ-ეფენდი ხალვაში (მარადიდი), 10. ოსმან-აღა მაკრიალელი (გონიო), 11. ემინ-ეფნდი მუფთი-ზადე (არტანუჯი), 12. პეტროს პუჩინიანი (ართვინი), 13. სიმონ საშმიონ (შავშეთის მეჯლისის წევრი).[151]

როგორც ცნობილია, აჭარის დეპუტაცია 16 წევრისაგან შედგებოდა. ერთი მათგანი შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი, ადრე ჩავიდა თბილისში.

ჩვენს მიერ შედგენილ სერგეი მესხის წიგნში, „წერილები აჭარაზე,“152 თავი მოვუყარეთ ყველა ავტორის მონაცემებს, შევაჯერეთ ისინი, აჭარის დეპუტაციის 14 წევრის გვარი დავადგინეთ და იმედი გამოვთქვით, რომ მომავალი მკვლევარები ამ ხარვეზს შეავსებდნენ. ა. ფრენკელს დასახელებული ჰყავს ჩვენთვის უცნობი ორი პიროვნება: პეტროს პუჩინიანი ართვინიდან და შავშეთის მეჯლისის წევრი სიმონ საშმიონ (ამ უკანასკნელის ეროვნული წარმომად-გენლობა უცნობია). ამგვარად ამ პიროვნებების დამატებით შეიძლება ვთქვათ, რომ 1878 წლის 20 ნოემბერს თბილისში გამართული ისტორიული ნადიმის მონაწილე აჭარის დეპუტაციის მთელი შემადგენლობა ჩვენთვის ცნობილია.

როგორც ა. ფრენკელი აღნიშნავს, დელეგაციის წევრთა უმეტესობას ის გაეცნო აჭარაში თავისი მოგზაურობის დროს. ისინი მაღალი განათლებისა და ავტორიტეტის მქონე პიროვნებები არიანო; მათ სინანული გამოუთქვამთ იმის გამო, რომ ვერ ჩამოვიდა ბათუმის ოლქის ბევრი წარმომადგენელი, რომლებიც მათთან ერთად ამ ისტორიულ მოვლენას სიხარულით შეხვდებოდნენ და ჭეშმარიტ სიხარულს გამოხატავდნენ, ესენი არიან: 1. რეშიტ-ეფენდი ხაზინადარ-ზადე, 2. შირინ-აღა (დავითაძე), 3. ოსმან ბაირახტაროღლი, 4. თუფან-ბეგი (შერვაშიძე), 5. აბდულ-ბეგი (ბეჟანიძე), 6. ულფან-ბეგი (ქვემო აჭარიდან), 7. დურსუნ-ბეგ თავდგირიძე, 8. რეჯებ-აღა, 9.ცივაძე (ქობულეთიდან), 10. თევფიყ-ბეგ ათაბაგი, 11. აპრიომ-ეფენდი გორგიონი (ლივანიდან), 12. ფელულ-ბეგ ხიმშიაშვილი (შავშეთიდან), 13. სეფერ-ბეგი (იმერხევიდან) და 14. ალი-ბეგ წულუკიძე (მაჭახლიდან).[153]

მკითხველს პატიებას ვთხოვ ამ გადახვევისთვის, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ ხუსეინ-ბეგ ბეჟანიძის, ისტორიული ნადიმის

აქტიური მონაწილის ბიოგრაფიასთან ერთად, ურიგო არ იყოს ყველა იმ პიროვნების დასახელება, ვინც იმ დროს მასთან ერთად უნდა ყოფილიყო.

ახლად გათავისუფლებულ მხარეში ახალი წეს-წყობილების დროსაც ხუსეინ-ბეგი აქტიურად ჩაება სახელმწიფო მნიშვნლობის საქმიანობაში. ის აჭარაში ერთ-ერთ ყველაზე მოწინავე ადამიანად ითვლებოდა. მას რუსეთის ხელისუფლებაც პატივისცემით ეპყრობოდა, ამიტომ გასაკვირი არაა, რომ 1881 წლის ივნისში, დიდი მთავრის, მიხეილის გაცილების დროს, მას გამოსათხოვარი სიტყვებით სწორედ ხუსეინ-ბეგ ბეჟანიძემ მიმართა.[154]

„ბათუმის გუბერნატორმა სმეკალოვმა განკარგულება მოახდინა, რომ საზოგადობა შეგროვილიყო ნავსადგურზედ, განეცხადებინათ მათი სურვილი და გამოსთხოვებოდნენ. საზოგადოება შეიკრიბა. პირველი რიგი დაიჭირეს ბეგებმა და სხვა მუსლიმანებმა, მეორე – მალაკნებმა და შემდეგი ბერძნებმაც და სხვათა. გამობრძანებისთანავე დიდმა მთავარმა მიმართა ბეგებს, რომელთა წარმომადგენლი იყო მაიორი ხუსეინ-ბეგ ბეჟანოღლი. „გამარჯვება“ უბრძანა და შემდეგ მადლობისა ხუსეინ-ბეგმა შემდეგი სიტყვა მოახსენა ქართულად: „თქვენო იმპერატორობითო უმაღლესობავ! ჩვენ განუზომელის სიხარულით მოველოდით თქვენს მობრძანებას ბათუმში და ესე იგი ჩვენი სურვილი და სიხარული შესრულდა დღეს, მაგრამ ეგ სიხარული შეგვეცვალა მწუხარებით, როდესაც გავიგეთ, რომ თქვენი იმპერატორობითი უმაღლესობა სტოვებს კავკასიას და გვშორდებით. გისურვებთ თქვენს მრავალჟამიერ სიცოცხლეს.“ როგორც გაზეთი იტყობინება, დიდი მთავრის გასაცილებლად მამაკაცებთან ერთად მოსულან ქალებიც – ბათუმის მაზრის უფროსის გრიგოლ გურიელის, ბათუმის ვიცე-გუბერნატორის ნიკო ერისთავის და ქალაქის პოლიცმეისტერის ალექსანდრე ბერსის მეუღლეები. რუსეთის ხელისუფლება ცდილობდა მაქსიმალურად გამოეყენებინა ხუსეინ-ბეგის დიდი ავტორიტეტი, ამი-

ტომ ამ შემთხვევიდან ერთი წლის შემდეგ მას ხუსეინ-ბეგ აბაშიძესთან ერთად, მილიციის მაიორის წოდება მიანიჭა.[155]

ხუსეინ-ბეგ ბეჟანიძეს მოღვაწეობა მოუხდა იმ დროს, როცა აჭარა ახლადგათავისუფლებული იყო და იწყებოდა მოსახლეობის მასობრივი გადასახლება ოსმალეთში, ე. წ. „დიდი მუჰაჯირობა.“ შორსგამჭვრეტი და ბრძენი თავადი მთელი ძალითა და ენერგიით წინ აღუდგა ამ ანტიქართულ მოძრაობას და მრავალი გონებაარეული და მშობელი მიწიდან აყრილი ოჯახი უკან მოაბრუნა. აქაც გამოჩნდა მისი დიდი გავლენა მოსახლეობის ფართო ფენებზე: „ერის გულმხურვალე პატრიოტის სიტყვას მაშინ უდიდეს შემოქმედების ძალას მისი მართალი გული და უზადო მამულიშვილობა ანიჭებდა.“[156]

ხუსეინ-ბეგ ბეჟანიძეს მისი თანამედროვენი ახასიათებენ, როგორც უაღრესად განსწავლულ, იმ დროისათვის განათლებულ და ქართული მწერლობის საკმაოდ კარგად მცოდნე პიროვნებას. მას ზეპირად სცოდნია „ვეფხისტყაოსანი“ და სხვა ნაწარმოებები. მასთან თითქმის გამუდმებით იყვნენ სტუმრად ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები: პეტრე უმიკაშვილი, ზაქარია ჭიჭინაძე, დავით კლდიაშვილი და სხვ. პეტრე უმიკაშვილი თვეების განმავლობაში ცხოვრობდა ხუსეინ-ბეგის სახლში, ჩაქვსა და ბათუმში და ზღვისპირა აჭარაში აგროვებდა ქართულ ზეპირსიტყვიერებას. 1879 წელს თვით ხუსეინ-ბეგისაგან სწორედ მან ჩაიწერა ლექსი, რომლმაც თავისი ფორმით, შინაარსითა და ენობრივი სისუფთავით მრავალი

პეტრე უმიკაშვილი
(1838-1904)

ენათმეცნიერის ყურადღება მიიპყრო. ესაა „თამარ დედოფლის ლექსი:“

„ათასი კაბა ყმა მყავდა, ყვლანი ოქროს ღილითა,
ვაჭმევდი დედალ ხოხობსა, ვასმევდი ბროლის ჭიქითა,
ვინც რომ შემება შევები, ალალითა და ჯიქითა,
აწ თქვენა იცით მეფენო, ვინც დარჩით ამას იქითა“.[157]

როგორც შინაარსი მეტყველებს, ლექსი თამარის გარდაცვალების შემდეგ შეიქმნა და დიდებული დედოფლის მიერ დატოვებულ ანდრძსავით ჟღერს. მთავარი მაინც ისაა, რომ სამას წელიწადს სამშობლოს მოწყვეტილმა ქართულმა ოჯახმა ეს ლექსი შეურყვნელად, დიალექტებითა და ბარბარიზმებით გაჭუჭყიანების გარეშე, გრამატიკულად გამართულად და სუფთად შეინახა.

ზაქარია ჭიჭინაძე კიდევ უფრო შორს მიდის. ის არაერთხელ აცხადებს, რომ ეს ლექსი „ქართველ მაჰმადიანს, ბეჟანის ძეების ერთ წევრთაგანს გამოუთქვამს... ეს ლექსი ქართველ მაჰმადიანებმა ზეპირად იციან. მათ ძლიერ უყვართ მეფის ცხოვრებიდგან საუბარი. ამის მიზეზად იმ გარემოებას აღიარებენ, რომ თამარი უმეტეს ბათუმისაკენ ცხოვრობდაო. თვით ლექსის გამომთქმელის, ბჟანისძეების ძველნი იწოდებოდნენ პირმსახურის ძეთ. პირმსახურად ჩვენში მხოლოდ თამარ მეფეა ხმობილი; ამბობენ აჭარაში ბეგები ბჟანიძეები, რომ დიახო, დღევანდელი ბეჟანიძეებთა ძველნი თამარ მეფის მსახურნი ყოფილანო“.[158]

ამგვარად, ღვაწლმოსილი ზაქარია ჭიჭინაძე პირდაპირ ამბობს, რომ ხუსეინ ბეჟანიძე არამარტო ამ ლექსის მთქმელია, არამედ თვითონ, ან მისი ოჯახის უფროსი თაობის რომელიღაც წევრი ამ ლექსის ავტორიცაა. ეს კი იმითაა ახსნილი, რომ ბეჟანიძეთა წინაპრები თამარ მეფის მსახურები (პირფარეშები, პირმსახურები) იყვნენო. ნიშანდობლივია ისიც, რომ ზაქარიას თქმით, თამარი „ნამეტურ ხშირათ დაბრძანდებოდა ხოლმე ბა-

თუმის ახლო-მახლო, ამიტომაც არის აჭარელ ქობულეთელ ქართველებს დღესაც კი ახსოვთ თამარ მეფის ცხოვრების ცნობები.“ კითხულობთ ამ სიტყვებს და ძალაუნებურად გიპყრობთ აზრი: ამით ხომ არ არის განპირობებული ბათუმის მახლობლად, მდინარე ყოროლისწყლის შესართავთან არსებულ თამარის ციხეზე ბეჟანიძეების დაპატრონება?

საყურადღებოა, რომ იგივე ლექსი თავისი მოგზაურობის დღიურში შეიტანა თედო სახოკიამაც.

თეიმურაზ კომახიძეს უსაუბრია სოფელ ხალას მცხოვრებ ხუსეინ ჯიჯავაძესთან, რომელმაც შემდეგი უამბო: „აჭარაში რუსეთის დამკვიდრების ოთხი-ხუთი წლის შემდეგ რუსეთის მეფესთან წავიდა დელეგაცია ხუსეინ-ბეგ ბეჟანიძის, ხუსეინ-ბეგ აბაშიძის და შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილის შემადგენლობით. ისინი დიდი პატივით მიიღეს პეტერბურგში. ხუსეინ-ბეგი ავად გახდა, სამშობლოში დაბრუნდა და მალე გარდაიცვალა.“159

ხუსეინ-ბეგ ბეჟანიძის გარდაცვალებას გამოეხმაურა ქართული პრესის მაშინდელი ფლაგმანი, „დროება;“ წერილის ავტორია ხუსეინ-ბეგის მეგობარი, პეტრე უმიკაშვილი. ცნობილი მწერალი და ეთნოგრაფი ნეკროლოგში საკმაოდ ამომწურავად მოგვითხრობს ხუსეინ-ბეგის მრავალმხრივ მოღვაწეობაზე, მის პატრიოტობასა და მამულიშვილობაზე, დახატულია მისი ხასიათი, ამიტომ მთლიანად მოგვაქვს ეს პუბლიკაცია: „გავლილი თებერვლის დამდეგს გარდაიცვალა ერთი ბათუმის მაზრის ბეგი, ხუსეინ-ბეგ ბეჟანიძე, ხუსეინ-ბეგი იყო ძველი ჩაქვის ბატონების ჩამომავალი. ეს სოფელი ჩაქვი მდებარეობს ბათუმიდან ხუთი თუ ექვსი ვერსის მანძილზე ზღვის პირას. იგი თავისის მაზრის წარსულ საუკუნეში შეადგენდა ცალკე საბატონოსა.

ხუსეინ-ბეგ ბეჟანიძე იყო უფროსი ბეგი. წლოვანებით სამოცს წელს გადაცილებული, მაგრამ ღონით ახალგაზრდას ჰგავდა. გონიერი, მოსწრებული სიტყვისა, გულ-კეთილი, კეთილშობილი ხასიათის მქონებელი იყო, სულით და გულით ნამდვილი გურჯი იყო.

მორიგების შემდეგ, როდესაც მოძრაობა დაიწყო ხალხში და ოსმალეთში გადასვლა დააპირეს, ხუსეინ-ბეგი ერთი მომეტებულად გადასახლების მოწინააღმდეგეთაგანი იყო. მას ძლიერად უყვარდა მამა-პაპის მიწა-წყალი და მისი მოშორება სიკვდილად მიაჩნდა თავისთვისაც და ჩვენი ხალხისთვისაც. მომეტებული წილი ბეგების, უფრო გავლენის მქონებელი ქობულეთის და ქვედა აჭარის თავდგირიძეები, აგრეთვე ზოგი მისი სახლიკაცები გავიდნენ ოსმალეთში, რადგან მოელოდნენ წინ წასვლას სამსახურში. ხუსეინ-ბეგმა იცოდა, რომ დარჩენით რუსეთის სახელმწიფო სამსახურში წინ ვეღარ წაიწევდა, რადგანაც რუსის კანონები არ იცოდა, მაგრამ თავის მამა-პაპის მიწა-წყლის სიყვარული ისეთი ძლიერი ჰქონდა,რომ ყოველ თავისს გონებას და ღონეს ხმარობდა, ჩაეგონებინა გარშემო მის მყოფთათვის, რა წახდენა მოსდევს ხალხსა თავის მიწა-წყლის დატოვებით და უცხო ქვეყანაში, ოსმალეთში გადასახლებით. მან, აგრეთვე მისი აზრის მქონებელმა ხუსეინ-ბეგ აბაშიძემ და სხვა ბეგებმა მრავალი მეცადინეობა გამოიჩინეს ამ საქმეში უანგაროდ, თავის სარგებლობის მიუხედავად და კიდეც შეაჩერეს. ამგვარად, დიდი ღვაწლი მოუტანეს ჩვენს ქვეყანას და რუსთ მთავრობის პატივსაც: ქვეყანას მისთვის, რომ არ დაიცალა და არ გავერანდა ბათუმის გუბერნია. რუსთ მთავრობას მისთვის, რომ ევროპაში გავრცელებული ხმები გამტყუნდა, ვითომც რუს მთავრობას ადგილების დაცლა უნდოდათო და ძალით ხალხს ოსმალეთში ერეკებოდესო. ვინ იცის, რამდენი შრომა, რამდენი სატანჯველი, რამდენი დრამები ხდებოდა ბერლინის ტრაქტატით გადასახლების ვადის გასვლამდის. ამ პატიოსან ცდაში და ხალხის დამშვიდებაში დიდი შრომა გასწიეს მოხსენებულმა ბეგებმა, მათმა მომხრეებმა და ამათში განსვენებულმა ხუსეინ-ბეგმა.

ხუსეინ-ბეგის ოჯახში ძველი ჩვენებური თქმულება და ჩვეულება მტკიცედ დარჩენილა, ვიდრე სხვაგან. თვითონ ხუსეინ-ბეგმა „ვეფხისტყაოსანი“ ზეპირად იცოდა. კარგი მკითხველი და წერის მცოდნე იყო, მხიარული და მოლხინო, ყოველ-

ისფრით წარმოგიდგებოდათ, როგორც ნამდვილი ჩვენი კარგი გულის პატიოსანი თავადიშვილი ქართველი, მისი სიყვარული თავისის სამშობლოს მიწა-წყლისა იყო. ინსტინქტური და ამიტომაც ძლიერი, იგი ამიტომ სწუხდა რომელსამე თეორიულად მოყვარეზე, თავის მოძმე ხალხის გასვლასა და ამიტომაც დიდად შრომობდა. არც სახელი, არც რომელიმე გარეშე პატივი, არც საჩუქარი, ჯილდო ან სასყიდელი იყო მისი შრომის წამქეზებელი. მისი და მისთანა მსგავსთა შრომამ ნაყოფი მოუტანა ჩვენს ქვეყანასა და ბათუმის მაზრის ხალხი გადაარჩინა განადგურებას, ამოწყვეტას უცხოობაში გადასახლებით.

მერე არავითარი ცრემლი, ვერც არავითარი მეტყველი ენა და კალამი ვერ გამოსახავს შენს და შენს მსგავსთა ღვაწლს. კეთილო კაცო, ხუსეინ-ბეგ!

რაც საშვილიშვილოთ, საუკუნოდ მოსახსენებელი საქართველოს საისტორიოდ საღაღადებელი, ქართველთ ქვეყნისათვის ძვირფასი საქმე მოიმოქმედე, ათასობით შვილი გადაურჩინე დედა ქვეყანასა.

იყავ უკვდავად, მაგალითად ჩვენის შთამომავლობისათვის.“[160]

ხუსეინ-ბეგი დიდი პატივით დაკრძალეს ჩაქვში, ბეჟანიძეთა საგვარეულო სასაფლაოზე. დაკრძალვას დაესწრო ბათუმის მაშინდელი ინტელიგენცია დარუსეთის ადმინისტრაციის მაღალი თანამდებობის მოხელეები.

ხუსეინ ბეჟანიძე და აკაკი წერეთელი

მკითხველს პატიებას ვთხოვ, რომ მომიხდება უკან დახევა და გაცილებით ძველი, მაგრამ საინტერესო ამბების გახსენება, რომლებიც, ჩემი აზრით უკავშირდება ხუსეინ-ბეგ ბეჟანიძის ბიოგრაფიას და კიდევ უფრო ნათელი შარავანდედით მოსავს მის მამულიშვილობას.

როგორც ცნობილია, 1875 წელს ოსმალეთი სისხლისმღვრელ ომს აწარმოებდა ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში. თურქები უმოწყალოდ ჟლეტდენ მშვიდობიან მოსახლეობას. სულთანს ჯარი არ ჰყოფნიდა, რის გამოც მოითხოვა ახალი გაწვევა აჭარა-ქობულეთიდან. ხალხმა უარი განაცხადა უსამართლო ომში მონაწილეობაზე. მღელვარება დაიწყო ქობულეთში და მალე მთელ აჭარას და ლაზისტანს მოედო, შემდეგ უფრო მასობრივი ხასიათი მიიღო და აჯანყებაში გადაიზარდა. ამ აჯანყების მიზეზი მრავალია, მაგრამ ძირითადი მაინც საგადასახადო სისტემის (თანზიმათის) გაძლიერება იყო. როგორც ზემოთ ვთქვით, თანზიმათი რეკრუტობის მსგავს სამხედრო ბეგარასაც ითვალისწინებდა, რომლის შესრულებაზე მოსახლეობა კატეგორიულ უარს აცხადებდა.

მოწინავე ქართველი საზოგადოებრიობა ოსმალეთის ჯარში წასვლაზე აჭარელთა უარის თქმას აფასებდა, როგორც დაჩაგრულ ბოსნიელთა და ჰერცოგოვინელთა მიმართ ძმურ დახმარებას და მოითხოვდა ამ მოძრაობისათვის ყოველმხრივ ხელშეწყობას. „თუ უსამართლობისაგან დაჩაგრულმა, მოთმინები-დან გამოსულმა ოსმალოს ქართველებმა წინააღმდეგობა განაგრძეს, ჩვენი ვალია ზნეობით დავეხმაროთ, ისე მაინც, როგორც ევროპიელები, საზოგადოდ სლავიანები და განსაკუთრებით რუსები ეხმარებიან აჯანყებულ ჰერცოგოვინელებს,“[161] – წერდა სერგეი მესხი.

ამ მოწოდებას მხურვალედ გამოეხმაურნენ ქართველი საზოგადო მოღვაწეები.

მკითხველისათვის ნაკლებად არის ცნობილი ის დიდი ინტერესი, რომელსაც აკაკი წერეთელი იჩენდა აჭარის მოსახლეობის ამ მღელვარებისადმი.

ნიკო ნიკოლაძის არქივში, რომელიც ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო რესპუბლიკურ საჯარო ბიბლიოთეკაში ინახება, აღმოჩნდა აკაკის სამი პირადი წერილი ნიკო ნიკოლაძისადმი, რომლებიც სწორედ აჭარა-ქობულეთში მომხდარ იმ დროინდელ ამბებს ეხება. წერილებს თარიღი

აკაკი წერეთელი
(1840-1915)

არ უზის. „ნ. ნიკოლაძის არქივის კატალოგის“ შემდგენლის, თ. მაჭავარიანის აზრით, ისინი 1875 ან 1876 წლებში უნდა იყოს დაწერილი, რაც ემთხვევა აჯანყების დაწყების თარიღს.[162]

ერთ-ერთი წერილით, რომელიც ქუთაისში, რომელიღაც სასტუმროში უნდა იყოს დაწერილი, ირკვევა რომ აკაკი შეუნელებლად ადევნებდა თვალყურს აჭარა-ქობულეთის ამბებს. მას აჯანყების ერთ-ერთ მეთაურთან ხუსეინთან პირადი ურთიერთობაც დაუმყარებია. ხუსეინი აკაკისთან სისტემატურად ჩადიოდა ქუთაისში. ამის შესახებ აი რას წერს პოეტი. „ძმაო ნიკო! მე ისე გახლართული ვარ საქმეებში, რომ სწორედ ვერ ჩამოვალ და შენი ჩამოსვლა ძალიან მიხარია: რომ იცოდე, ამ ოხერს ქუთაისში ვარ ერთს ნომერში გამოყრუებული არესტანტივით, აღარც არაფერი საქმის გათავებას ეშველა. აჭარის და ქობულეთის საქმე, ვგონებ, უნდა იცოდე... რად არიან აჯანყებული, საქმე, რომ გინდა ისე მიდის. წუხელ ჩამოვიდა აქ საიდუმლოდ (გიორგაძე) ხუსეინა ქობულეთელი, რომელიც ვილგელმობას ჩემობს აქ. ხუმრობა გაშვებით და თავკაცია და ძალიანაც უჯერებენ, ხვალ, ან დღეს სადამოს გავისტუმრებ გ. გ. (გრიგოლ გურიელთან – რ. ს.) და ვაი ამათი ბრალი, თუ ახლაც არ ეშველათ რა გ. გურ.* საყვედურითა მხეთქავს: რატომ არ მოდიხარ! რა დროს გაჩერებააო?“[163]

---

*ერთ-ერთ ნაშრომში პროფ. ფ. სიხარულიძემ გ. გ. გიტო გოგიტიძედ მიიჩნია. ჩვენი აზრით, მეორე ინიციალები (გ. გურ.) აბათილებს ამ მოსაზრებას. გ. გ. ნამდვილად გრიგოლ გურიელია (რ. ს.)

მეორე წერილით აკაკი ატყობინებს ნიკო ნიკოლაძეს, რომ „ის“ კიდევ მოვიდა, მაგრამ მე არ მინახავს, სოფელშიაო, ამასთან ერთად გამოხატავს დიდ სურვილს ქობულეთში გამგზავრებაზე, მაგრამ უფულობის გამო ეს ვერ განუ-

ხორციელებია. „ნიკო! – წერს აკაკი, – შენ რომ იცი, ის მოვიდა, ასე ამბობენ, თორემ მე თვითონ არ მინახავს, სოფელშია. გუშინწინ ისეთი ამბავი მოვიდა, რომ უთუოდ ქობულეთში უნდა წავსულიყავ და ვერ მოვახერხე უფულობის გამო.“ ჩვენის აზრით „ის“ ხუსეინი უნდა იყოს, რომლის შესახებ ნიკოს ადრე ატყობინებდა აკაკი. ამჯერად სახელსა და გვარს შესაძლოა იმიტომ არ წერს, რომ საიდუმლოდ ჩამოსული ხუსეინის ადგილსამყოფელი არ გამჟღავნებულიყო.[164]

მესამე წერილიც ხუსეინის აკაკისთან ჩასვლას ეხება. ამასთან ერთად აკაკი უკვე გადაწყვეტით წერს, რომ ყველა საქმეს მიატოვებს და აუცილებლად ჩავა ქობულეთში, რათა ყველაფერი იცოდეს. ამისთვის მას საზღვრის გადალახვისაც არ ეშინია. „ნიკო – წერს პოეტი, – შენი ბარათი რომ მივიღე ხასანა (ხუსეინა –რ. ს.) აქ იყო ჩემთან. იქ არეულობა არის და ოფიციალურად გასვლა არ შეიძლება. ისე კი ჩემთვის საჭიროა. მე მინდა წავიდე კარდონზედ, სადაც გ. გ. (გრიგოლ გურიელი –რ. ს.) და იქ ყოველ საათში და ყოველივე მეცოდინება, ხანდახან ჩუმათაც გავალ ხოლმე, თუ საჭიროება მოითხოვს, მაგრამ წაუსვლელობა კი არ შეიძლება. მე მზათა ვარ ყოველი ჩემი საქმე გადავდო და წავიდე.“[165]

ჩვენთვის უცნობია, მოახერხა თუ არა აკაკიმ აჭარა-ქობულეთში ჩასვლა, მაგრამ ამ წერილით აშკარაა პოეტის დიდი სურვილი, პირადად ენახა ამბოხებული მოსახლეობა და მათი მამაცი მეთაური.

ოსმალეთის მაღალი თანამდებობის მოხელეები დიდად შეუშფოთებია ამ აჯანყებას. პირველ ხანებში მათ მუქარით უცდიათ ხალხის დაშოშმინება. ამის შესახებ „დროება“ წერდა: „როცა ფაშას მოახსენეს, რომ ქობულეთლები ჰერცოგოვინაში

წასვლას არ აპირებენო, გახელებულმა ფიცხელი ბრძანება მისწერა კაიმაკებს და მუდირებს (უეზდის უფროსებს), რომ ძალით გამოიყვანეთ ხალხიო და ვინც წინააღმდეგობა იხმაროს, ოჯახი და სახლ-კარი დაუწვით და მათი ცოლ-შვილი დაატუსაღეთო.“[166]

როგორც ჩანს, ხალხი ამ მუქარასაც არ შეუშინდა და სასტიკი უარი განაცხადა ჯარში წასვლაზე. პირიქით, მუქარამ კიდევ უფრო გააღიზიანა ხალხი, რამაც ოსმალეთის ხელისუფლება იძულებული გახადა ამხედრებულ მოსახლეობა მოლაპარაკებით დაემშვიდებინა. თუმცა არც ამ ხერხმა გაჭრა.

„ქობულეთიდან წერენ, – იუწყებოდა „დროება“ – რომ იქ მოსულა ოსმალეთის უმაღლესი მთავრობიდან გამოგზავნილი კაიმაკი იბრაიმ-აღა, რომელმაც უნდა გამოიძიოს არეულობის მიზეზიო, მაგრამ ხალხმა დეპუტაცია გაგზავნა და შეუთვალეს, რომ ჩვენ მაგისთანა სასამართლოში, სადაც უსამართლობისა და ქრთამების მეტი არა სწარმოებს რა, არ გეახლებით და თვითონ თქვენ თუ გნებავთ, საიდანაც მობრძანებულხართ, იქვე წაბრძანდით, ჩვენ როგორც შეგვეძლება, ისე ჩვენს ადგილზე თავს შევინახავთო.“[167]

როგორც ვხედავთ, მოსახლეობა უარს აცხადებს ოსმალეთის პარლამენტიორთან მოლაპარაკებაზე, ამასთან ერთად პროტესტს გამოთქვამს ხელისუფლების უსამართლობის, მექრთამეობის გამო. ასეთი რწმენა აჭარის მოსახლეობას ჰქონდა ომის დაწყებამდე და მის შემდეგაც, რამაც ერთგვარად დააჩქარა ამ კუთხის განთავისუფლება და დედა-სამშობლოსთან შეერთება.

ბუნებრივია, მკითხველის ინტერესს იწვევს აჯანყების ერთ-ერთი მეთაურის ხუსეინის (ხასანის) ვინაობა, რომელსაც აკაკი ერთგან გიორგაძის გვარით მოიხსენიებს, მაგრამ თვით წერილების ორაზროვნება და გადაკრული ტონი იმის ეჭვს ბადებს, რომ ეს პიროვნება საიდუმლოდ მოქმედებს, არ ამხელს თავის ნამდვილ გვარ-სახელსა და აკაკიც ცდილობს არ გათქვას მისი კონსპირაცია. ამიტომ ამ პიროვნების ვინაობა უცნობი რჩება,

მაგრამ ჩვენი ღრმა რწმენით, ეს სწორედ ხუსეინ ბეჟანიძე უნდა იყოს.

მიუხედავად გასაიდუმლოებისა, როგორც მაშინდელი პრესით დასტურდება, ოსმალეთის ხელისუფლებამ ხუსეინ ბეჟანიძეზე ეჭვი მაინც მიიტანა და ის 1875 წელს, ე. ი. სწორედ მაშინ, როცა ქობულეთში ანტიოსმალურმა მოძრაობამ საშიში სახე მიიღო, სამსახურიდან გადააყენა. ამის შესახებ წერდა გაზეთი „დროება:"168 „ხუსეინ ბეჟანიძე თურქეთის ხელისუფლებამ გადააყენა ჟანდარმის კომანდორობიდან." სხათაშორის, ამის შესახებ მოგვიანებით თვით ხუსეინ ბეგიც ესაუბრა ა. ფრენკლს და თავისი ეს გადაწყვეტილება იმით ახსნა, რომ „თურქები და ინგლისელები ატყუებდნენ ქობულეთლებს." უფრო დაწვრილებით საქმე ასე ვითარდებოდა:

„ოსმალოს საქართველოში" 1875 წლის აჯანყების ერთ-ერთი მიზეზი ყოფილა ქალების მოტაცება და ოსმალეთის ჰარემებში მათი გაყიდვა, რასაც ბათუმის გუბერნატორს, ფიქრი-ფაშას აბრალებდნენ. ამის გამო ოსმალეთის მთავრობა იძულებული გამხდარა ფიქრი-ფაშა გადაეყენებინა და მის ნაცვლად გუბერნატორად გამიდ-ფაშა დაენიშნა. თუმცა საქმე ამ ცვლილებით არ დამთავრებულა. სულთანის ბრძანებით, თანამდებობიდან გადააყენეს აგრეთვე აჯანყების მოწყობაში ეჭვმიტანილი ქართული წარმოშობის მაღალი თანამდებობის პირები, მათ შორის ხუსეინ-ბეგ ბეჟანიძე, რომელიც გაზეთში პირმსახურაძე-დაც მოიხსენიება, რაც ერთჯერ კიდევ ამ ორი გვარის იდენტურობას ადასტურებს: „ ...შემჩნეულ პირებზედაც მოხდა ცვლილება: ოსმალოს ფოთის ვიცე-კონსული ხასან-აღა ლაზისტანელი გამოცვალეს; ჟანდარმის ბატალიონის კომანდირი ჩაქვლი ხუსეინ-ბეგი (პირმსახურაძე) გადააყენეს თანამდებობიდან; ქობულეთის კაიმაკამი (უზდის უფროსი) ოსმან-ბეგ თავდგირიძე ჭანეთში გადაიყვანეს კაიმაკამად."169 წერილი უავტორია; ამიტომ ვფიქრობ, რომ ის გაზეთის რედაქტორის სერგეი მესხის კალამს ეკუთვნის.

როგორც ირკვევა, ხუსეინ-ბეგ ბეჟანიძე ოსმალთა წყობილების დროს მეთაურობდა ჟანდარმთა ბატალიონს; ის ამ მაღალი თანამდებობიდან გადააყენეს 1875 წელს, ე. ი. ზუსტად იმ დროს, როცა ქობულთში ანტიოსმალურმა აჯანყებამ იფეთქა. ეს ფაქტი ერთგვარად ნათელს ხდის, თუ რატომ მოიხსენიებს მას კონსპირაციული სახელ-გვარით (აჭარელი ხუსეინა, აჭარელი ხასანა, გიორგაძე ქობულეთელი) დიდი პოეტი აკაკი წერეთელი. როგორც ჩანს, ამ დროს ხუსეინ-ბეგ ბეჟანიძე საბოლოოდ თუ არა, ფარულად მაინც განუდგა ოსმალეთის ხელისუფლებას და ქართველ მოღვაწეებს ეხმარებოდა მხარის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

ნიკო ნიკოლაძე
(1842–1928)

ნიკო ნიკოლაძისადმი გაგზავნილი წერილები პირველად აზიზ ახვლედიანმა და აბელ სურგულაძემ გამოაქვეყნეს, თუმცა ამ პიროვნების ვინაობაზე ისინი არაფერს ამბობენ. მისი ვინაობა არც ჩვენ დაგვიზუსტებია წიგნში „დაუვიწყარი სახეები.“[170] 1990 წელს კი აბ. სურგულაძის თანაავტორობით გამოცემულ წიგნში, „სხივი ნათლისა,“ გამოვთქვით ვარაუდი, რომ ეს პიროვნება შესაძლოა იყოს 1876 წელს ქობულეთში დატუსაღებული მემედ გიორგაძის შვილი.[171] მაგრამ ეს ვარაუდი ვარაუდად დარჩა. გიორგაძის გვარით ვერსად მივაკვლიეთ პიროვნებას, რომელიც ისეთი დიდი გავლენით სარგებლობდა, როგორზეც აკაკი ატყობინებდა ნ. ნიკოლაძეს.

ამ დროისათვის ჩაქვსა და მთელს ქობულეთში გავლენიან პირთა შორის, რომელსაც სახელად ხუსეინი ერქვა და რომელიც აქტიურად იყო ჩართული სახალხო საქმეებში, მხოლოდ

ხუსეინ-ბეგ ბეჟანიძეა. დავიწყოთ თუნდაც იმით,რომ ქართველი საზოგადოება იმედით შესცქეროდა ქობულეთში მოძრაობის აღმავლობას – „საქმე რომ გვინდა ისე მიდისო“ – ამბობს აკაკი და ეს გასაგებია, რადგან აღნიშნული გამოსვლები ეხმიანებოდა ქართველთა საუკუნოვან მისწრაფებას მიტაცებული ტერიტორიების გამოხსნის თაობაზე. სხვათაშორის, აკაკი აქ დიდ სიფრთხილეს ამჟღავნებს: „ვაი ამათი ბრალი, თუ ახლაც არ ეშველათ რაო.“ ეს სიფრთხილე მოვლენის რეალური შეფასებიდან გამომდინარეობდა. სტიქიური გამოსვლა, რაგინდ ძლიერიც არ უნდა ყოფილიყო, საბოლოოდ მაინც მარცხისათვის იყო განწირული.

აღნიშნული წერილებით აშკარა ხდება აჯანყების მეთაურის სიმამაცე, საბრძოლო განწყობილება და დიდი გაბედულება. ის ფარულად მოქმედებს, ხან ხასანად, ხანაც ხუსეინად ასაღებს თავს. რაც შეხება გვარს (გიორგაძე), ჩვენი აზრით, კონსპირაციის მიზნით თვით აკაკის გამოგონილი უნდა იყოს და წარმოსდგებოდეს ხუსეინ-ბეგ ბეჟანიძის სამფლობელო, ე. წ. ჩაქვის სოფელ გორგაძეებიდან, სადაც ის ცხოვრობდა მამასთან, სეფერ-ბეგთან ერთად.

შოჰრეთ-ხანუმ ოსმანის ასული ბეჟანიძე

ამგვარად, 1875-76 წლების ქობულეთის ჯანყის მომწყობი არის ხუსეინ-ბეგ ბეჟანიძე, რომელსაც კავშირი აქვს დიდ ქართველ პოეტ აკაკი წერეთელთან, ნიკო ნიკოლაძესთან და გურიის მოხალისეთა რაზმების მეთაურთან,

აჭარის გათავისუფლებისათვის დაუდალავ მებრძოლთან, გრიგოლ გურიელთან. ეს ფაქტი უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ ოსმალეთის არმიის პოდპოლკოვნიკის ფარაჯას ამოფარებული ხუსეინ-ბეგ ბეჟანიძე, თავისი დისშვილის შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილის მსგავსად, ომის დაწყებამდე რამდენიმე წლით ადრე ფარულად ჩაება ანტიოსმალურ მოძრაობაში, ხოლო ომის დროს დიდად შეუწყო ხელი ნაკლები მსხვერპლით თავისი სამფლობელოს დათმობას და დედა-სამშობლოსთან გაერთიანებას.

ხუსეინ-ბეგ ბეჟანიძეს ჰყავდა სამი ვაჟი: ნური-ბეგი, სეფერ-ბეგი და ოსმან-ბეგი (დაბად. 1868 წ.). ოსმან-ბეგის ქალიშვილი იყო შოჰრეთ-ხანუმი, რომელიც ცოლად ჰყავდა ჯემალ-ბეგ ხიმშიაშვილის შვილს ჯელილ-ბეგს.

შოჰრეთ-ხანუმ ბეჟანიძე და ჯელილ-ბეგ ხიმშიაშვილი

ხასან-ბეგ ბეჟანიძე

ჩაქველ ბეჟანიძეთა მესამე თაობის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელია ხასან-ბეგი, ყირიმის ომში დაღუპულ აბდულ-ჰამიდ-ბეგის შვილი და ხუსეინ-ბეგის ძმისშვილი, რომელსაც ოსმალეთის ხელისუფლების დროს მაიორის ხარისხი ჰქონდა მინიჭებული. სერგეი მესხის აზრით, ხასან-ბეგ ბეჟანიძე „აქეთკენ ერთ ჭკვიან კაცთაგანად ითვლება, რომლის სიტყვებში და შეხედულებებში გამოიხატება აქაური გამაჰმადიანებული ქართველების შეხედულება თავიანთ ახლანდელ მდგომარეობაზედ.“[172] საერთოდ, უნდა ითქვას, რომ სერგეი მესხი ჟურნალისტთაგან ერთად-ერთი სასიამოვნო გამონაკლისია, რომელიც საკმაოდ ვრცლად შეეხო ხასან-ბეგ ბეჟანიძის პიროვნებას, აგვიწერა მისი გარეგნობა, ხასიათი და ის განცდები, რომლებიც მას აწუხებდა ახალი წყობილების დამყარების დროს.

ავტორის ცნობით, ხასან-ბეგი ჩაქვის მებატონეა და ბათუმშიც დიდი მამული აქვს. იმ დროს, ე. ი. 1878 წლის აგვისტოში, ის 33 წლისა ყოფილა, რითაც შეგვიძლია ვთქვათ ხასან-ბეგ ბეჟანიძის დაბადების მიახლოებითი თარიღიც – 1845 წელი.* სერგეი მესხი აღფრთოვანებულია, რომ ხასან-ბეგი „ქართულს ისე კარგად ლაპარაკობს, როგორც საზოგადოდ ყველა აქაური გამაჰმადიანებული ქართველები,“ თუმცა აღნიშნავს ავტორი, „მიდრეკილებით, ხასიათით, ჩვეულებით, გონებით და გულით კი ნამდვილი მაჰმადიანია. მეტიც არის, ფანატიკოსია თავის სარწმუნოებაში.“ ს. მესხი ჟურნალისტური ჟინით შეეცადა ამ პიროვნებისაგან რაც შეიძლება მეტი რამ გაეგო და ამას მიაღწია კიდეც, ხასან ბეგმა-ბევრი რამ საინტერესო მოუთხრო აჭარელთა ხასიათზე, მათ შორის გავრცელებულ აზრებსა და შეხედულებებზე.

---

*ახლახან თურქულ ენაზე გამოქვეყნებულ მურატ კასაპის წიგნის მიხედვით ჰამიდ-ბეგის დაღუპვისას (1855წ.) ობლად დარჩნენ 7 წლის ხასანი, 5 წლის მურადი და 3 წლის ჰაიდარი. ამგვარად, ხასანი 1848 წ., მურადი 1850 წ., ხოლო ჰაიდარი 1853 წ. დაბადებულან (რ. ს.)

ხასან-ბეგს ჯერ ბათუმის სახელმწიფო სკოლაში უსწავლია, შემდეგ სტამბულში სამხედრო სამსახურში გაუმწესებიათ. ბოლო რუსეთ-თურქეთის ომის დროს ასეულს მეთაურობდა. მან სერგეი მესხს გულღიად უთხრა, რომ არ ზოგავდა რუსებს, ერთგულად ემსახურებოდა ხონთქარს, მაგრამ ბოლოს მაინც არაფერი გამოვიდაო.

ხასან-ბეგს ეცვა ევროპული ტანსაცმელი, მაგრამ პერანგზე ყელსახვევი არ ჰქონდა, თავზე ფესი ეხურა; ს. მესხის აზრით, „იმდენად მაგარი, ისეთი მტკიცე მაჰმადიანია, რომ თითქოს ისიც სწყინს, რომ ევროპული ტანისამოსი აცვიაო.“ ის ძალზედ განიცდიდა სარწმუნოების დაკარგვას, ეშინოდა გარუსებისა. შეიძლება რუსთ-ხელმწიფემ ეს არ მოინდომოს, მაგრამ ეს თავისთავად მოხდებაო. ეროვნულობის შეგნება მას არა აქვს და ყველა მაჰმადიან ქართველს თათარს ეძახისო – დაასკვნის ს. მესხი, თუმცა ხასან-ბეგმა კარგად იცის, რომ „თამარ-დედოფლობა რომ ყოფილა, მაშინ ჩვენ თქვენი ძმები ვყოფილვართ, ერთი მეფე გვყოლია და ერთად გვიცხოვრიაო...“ ახლა მისი საწუხარი ისიც არის, რომ კარგად არ იცის რუსის კანონები, გლეხი წელიწადში სულთანს შვიდ შაურს უხდიდა, მართალია ყმები ჩამოართვეს, მაგრამ ყველა ბეგს პენსია დაენიშნა, რუსების ხელში „კი ვინ იცის, როგორ წავა ჩვენი საქმეო.“

ხალხში გავრცელებულია ჭორი, თითქოს სხვა სახელმწიფოს ხელში პარასკევის ლოცვის ნებასაც წაგვართმევენ და მეჩეთსაც მოგვისპობენო. ს. მესხი გაკვირვებას ვერ მალავს იმის გამო, რომ ეს ჭორი დაიჯერეს არამარტო სოფლის მდაბიო მცხოვრებლებმა, არამედ ისეთმა ჭკვიანმა და განათლებულმა ადამიანებმა, როგორიც იყო ხასან-ბეგ ბეჟანიძე. ავტორი სამართლიანად ასკვნის, რომ სწორედ პროვოკაცია არის მოსახლეობის აყრისა და ოსმალეთში გადასახლების მიზეზი.

ახალგაზრდა ხასან-ბეგ ბეჟანიძე, როგორც ჩანს, ძალიან მალე გაერკვა ვითარებაში, შეეგუა ახალ ცხოვრებას და მის

შუაგულში მოექცა. 1878 წლის 20 ნოემბერს, სხვა წარჩინებულ აჭარლებთან ერთად ის შედიოდა დეპუტაციაში და ესწრებოდა თბილისში გამართულ ნადიმს.

1880 წელს ჩაქვსა და ბათუმში მორიგი მოგზაურობის დროს პეტრე უმიკაშვილმა ინახულა ხასან-ბეგ ბეჟანიძე და მისგან ჩაიწერა საგმირო ლექსის, „როსტომი და ზურაბი," ახალი ვარიანტი, სულ თერთმეტი სტრიქონი, რომელიც ასე თავდებოდა:

„ვაი რა ქნა ბერმა როსტომ, შვილი მოკლა ზურაბ მისი,
მკლავი ჩანგად გააკეთა, ზედ აასხა ძვალი მისი."

პეტრეს იქვე მიუწერია: „ამისგან გავიგონე – როსტომის ფეხის ძვალი წყალზე ხიდად იდვა, ხალხი გადიოდ-გამოდიოდაო."[173]

ეს ჩანაწერი ინტერესს იწვევს ფოლკლორისტთა შორის, მაგრამ არანაკლები მნიშვნელობა აქვს ისტორიკოსებისა და ხასან-ბეგ ბეჟანიძის ბიოგრაფიით დაინტერესებულთათვის, რადგანაც დასტურდება, რომ ფანატიკოსი ბეგი იმთავითვე კარგად იცნობდა ქართულ ლიტერატურას. ის, ხუსეინ-ბეგის მსგავსად, აქტიურად დაუკავშირდა ქართველ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს, რაც მისი ორიენტაციის მკვეთრ შეცვლასაც გულისხმობდა.

ქართული წყაროების ზემოთ მოტანილ მასალებს ერთგვარად ავსებს მ. კასაპი. იგი მოკლედ, მაგრამ ბიოგრაფიის ძირითად მომენტებს, რაც მთავარია, ხასან-ბეგ ბეჟანიძის დაბადება-გარდაცვალების თარიღებს, მაინც გვაწვდის: „ხასან-რიზა-ფაშა დაიბადა ბათუმში, 1847 წელს.* იგი ბეჟანოღლი ალი-ფაშას შთამომავალია, ყირიმის ომში, შეკვეთილთან დაღუპული მეომრის აბდულ-აჰმედ-ბეგის ვაჟიშვილი.

---

* ამგვარად გვაქვს ხასან ბეჟანიძის დაბადების სამი ვარიანტი: 1845 (ს. მესხი), 1848 და 1847 (მ. კასაპი). ჩვენი აზრით უფრო სწორია 1845 წ., რადგანაც იგი პირადად ხ. ბეჟანიძემ მიაწოდა ს. მესხს (რ. ს.)

1877-78 წწ. ოსმალეთისა და რუსეთის ომის, ბათუმისა და მისი ოლქის გათავისუფლების შემდეგ, ხასან-ფაშა ოჯახთან ერთად ემიგრაციაში წავიდა, ხოლო მისი ქონება რუსებმა ჩამოართვეს.

ოსმალეთში ჩასულ ქართველ ემიგრანტს ხელისუფლებამ მეოთხე ხარისხის ორდენი და ფაშის (გენერლის) წოდება მიანიჭა.

1885 წელს ხასან-ფაშა ბეჟანიძე ბურსის გუბერნატორად დანიშნეს. ამ თანამდებობაზე ყოფნისას, მან დიდად შეუწყო ხელი ქართველ მუჰაჯირთა მიწებითა და საცხოვრებელი სახლებით უზრუნველყოფას და მრავალი საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტას.

1906 წელს ხასან-ფაშა გუბერნატორობიდან გათავისუფლდა და პენსია დაენიშნა, მაგრამ იგი თანამემამულე მუჰაჯირთა ადმინისტრაციის დირექტორის მოვალეობას ასრულებდა. იმავე წელს იგი ბურსაში გარდაიცვალა. მის მეუღლეს ნეზაქეთ-ხანუმს, აგრეთვე ქალიშვილს რეფიკა-ხანუმს მთავრობამ დაუნიშნა ფულადი სარგო (ხელფასი).

ხასან-ფაშა ბეჟანიძის ვაჟიშვილები: თოფჩუ-ჰაჯი-ახმედი და მეჰმედ-ჯემალ-ბეი ბურსასთან ახლოს მამის მიერ დაარსებულ სოფელში ცხოვრობდნენ.“[174]

შაესტერ ბეჟანიძე

ჩაქველი ბეჟანიძეების შთამომავალთაგან თავისი დრამატული ბიოგრაფიით, ცხოვრება-მოღვაწეობით და ძვირფასი მემკვიდრეობით თვალსაჩინო ადგილი ეკავა ქალბატონ შაესტერ ბეჟანიძეს (1920-1992), ცნობილი ფერათ-ბეგის შვილიშვილსა და ჰაიდარ-ბეგის (1892-1920) შვილს.

შაესტერ ბეჟანიძე დაიბადა ჩაქვში, ჰაიდარ-ბეგ ბეჟანიძის და ფადიმე გვარიშვილის ოჯახში. მის მშობლებს ერთადერ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თი შვილი ჰყავდათ. ამის მიზეზი ისიც იყო, რომ იმავე 1920 წელს, როცა შაესტერი დაიბადა, მისი 28 წლის მამა ჰაიდარი გარდაიცვალა.

ჰაიდარ ბეჟანიძე

მამით დაობლებული გოგონა თავის დედულეთში, სოფელ ხალაში, ბაბუასთან, მემედ გვარიშვილთან იზრდებოდა, მაგრამ ნათესაური კავშირი მამისეულ ოჯახთან და ნათესავებთან არასდროს გაუწყვეტია. ობლობამ და მწარე ცხოვრებამ ქალიშვილს ბევრი რამ ასწავლა, პირველ რიგში საკუთარი ოჯახის ყადრი და მოვლა, შვილების აღზრდა და ცხოვრების ასპარეზზე გამოყვანა.

გარეგნულადაც შემკული შაესტერი ყველას ყურადღებას იქცევდა, ოჯახი ტრადიციებს არ ღალატობდა და ცდილობდნენ დიდგვაროვანი ოჯახიდან გამოსული ქალიშვილი ასევე მაღალი ფენის ოჯახში მოხვედრილიყო. ასეც მოხდა. ქალიშვილი მემედ-ბეგ აბაშიძემ აირჩია სარძლოდ და მალე ის იბრაიმ აბაშიძის (1909-1980) მეუღლე გახდა. ეს იყო 1937 წელს.

ობლობაში გაზრდილ გოგონას ბედმა აქაც უმუხთლა. იმავე წელს მემედ-ბეგი დააპატიმრეს და დახვრიტეს. ასეთივე ბედი ეწიათ აგრეთვე აბაშიძეთა და ბეჟანიძეთა გვარის ყველა ცნობილ პიროვნებას. დაიწყო გაუგონარი რეპრესიები. იბრაიმ-ბეგ აბაშიძე თავის დასთან, იფეთთან ერთად შორეულ აღმოსავლეთში გადაასახლეს. ფეხმძიმედ მყოფი შაესტერი თავის დედამთილთან, სეფურე-ათაბაგ-აბაშიძესთან ერთად ბინიდან გამოასახლეს და ბედის ანაბარა დატოვეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



შაესტერ ბეჟანიძე და შვილები, ნარგიზ და ასლან აბაშიძეები

შაესტერ ბეჟანიძე-აბაშიძე

იბრაიმ აბაშიძე,
შაესტერ ბეჟანიძის მეუღლე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამ სისასტიკითა და ძალმომრეობით გამოწვეული სასოწარკვეთილება და უმძიმესი ფსიქოლოგიური განცდები სიხარულმა შეცვალა. დაიბადა ვაჟი, რომელსაც ასლანი დაარქვეს (შემდგომში აჭარის მთავრობის მეთაური).

მარტოხელა ქალს ამ განცდებმა ენერგია მოუვლინა და შეუდგა ცხოვრების ახლებურად აწყობას. დღე და ღამ შრომობდა. ზოგჯერ ძალზე მძიმე საქმესაც ასრულებდა, რათა ოჯახს და პირმშოს არაფერი დაკლებოდა და რაც მთავარია შეენარჩუნებინა ბეჟანიძეთა და აბაშიძეთა გვარების ღირსებები და ტრადიციები.

რამდენიმე წლის შემდეგ, მეუღლე იბრაიმი დაბრუნდა გადასახლებიდან. ეს იყო ომის უმძიმესი პერიოდი, როცა ოჯახისათვის მამა ნამდვილი მშველელი იქნებოდა, მაგრამ, როგორც ყველა რეპრესირებულს, იბრაიმ აბაშიძესაც აუკრძალეს ბათუმში, საკუთარ ოჯახში ცხოვრება, რის გამო იძულებული იყო დროდადრო ემუშავა ქობულეთის, ქედის, ხულოს რაიონებში სახალხო განათლებისა და კულტურის სფეროში. ასე გაგრძელდა 1956 წლამდე, ე. ი. მანამ, სანამ დაიწყებოდა პოლიტიკურ რეპრესირებულთა და მათი ოჯახის წევრთა რეაბილიტაცია. იბრაიმ-ბეგ აბაშიძე ბათუმში დაბრუნდა და მეუღლესთან ერთად განაგრძო ცხოვრება და მოღვაწეობა. მალე მეორე შვილი ნარგიზიც გაჩნდა და ოჯახი ახალი სიხარულით, ახალი იმედებით აივსო.

* * *

შაესტერ ბეჟანიძისადმი მიძღვნილი მცირე მოგონება მოგვაწოდა მისმა ქალიშვილმა, ქალბატონმა ნარგიზმა, რომელიც ჩვენს საზოგადოებაში, სხვა მრავალ სიკეთესთან ერთად, ენამზეობითაც გამოირჩევა; მისი მონათხრობი ტიპიური მაგალითია ოჯახისა, რომელსაც მძიმე ცხოვრება ჰქონდა,

ხოლო 30-იან წლებში ეს ცხოვრება საშინელ უბედურებად იქცა. მომავალმა თაობებმა უნდა იცოდნენ ამ სისასტიკისა და ძალმომრეობის, აგრეთვე იმის შესახებ, რომ სიკეთე და კაცთმოყვარეობა დიდი ბოროტების დროსაც არსებობდა.

თანამედროვეთა გადმოცემით, შაესტერი მშვენიერი, ცისფერთვალება, ოქროსფერთმიანი, წყაროს წყალივით სუფთა და ანკარა, თავმოყვარე და ამაყი, ამავე დროს მიმტევებელი, ასაკთან შედარებით ჭკვიანი და წინდახედული გოგონა ყოფილა. სწორედ ამ თვისებებმა მიიპყრო მემედ-ბეგ აბაშიძის ყურადღება, რომელიც გვარიშვილების ოჯახის ხშირი სტუმარი იყო.

16 წლის შაესტერი დაქორწინდა იბრაიმ აბაშიძეზე და გახდა ცნობილი გვარის ოჯახის ერთი საპატიო წევრი, მაგრამ, როგორც თავად ამბობს: „არ მასვენებდა წინათგრძნობა, შიში იმისა, რომ რაღაც ცუდი უნდა მომხდარიყო. შიში კიდევ უფრო გამიორკეცა სიზმარმა (სარკის წინ ვიჯექი, ზურგიდან ვიღაც მომეპარა და სადედოფლო კაბა შემომახია.) სამწუხაროდ ჩემი წინათგრძნობა გამართლდა. ქორწილის მე-17 დღეს, ადრე დილით, კარებზე საშინელი ბრახუნი ატყდა. მსახურმა კარები გააღო. მისაღებ ოთახში შემოცვივდნენ ფორმიანი მამაკაცები. უშიშრობის თანამშრომლები. ყველა გაოცდა და გაოგნდა. მემედ-ბეგი და მისი შვილები იბრაიმი და იფეთი წაიყვანეს, ხოლო ერთმა შვილმა მამუდმა გაქცევით უშველა თავს. წაიღეს ყველაფერი, რის წაღებაც შეიძლებოდა: ოქროვერცხლი, ჭურჭელი, ბიბლიოთეკა და სხვა საოჯახო რელიკვიები. მემედ-ბეგის მეუღლემ ბუნებით მორიდებულმა და მშვიდმა ქალბატონმა სეფურე-ხანუმმა, თითქოს გული უგრძნობდა, რაც მოხდებოდა, მემედ-ბეგს გამოუტანა პიჯაკი, ბალიში და თბილი დასახურავი, გამოგადგებაო, უთხრა. სახლიდან გასვლისას მემედ-ბეგი მობრუნდა და გვითხრა: „ყველაფერი გაირკვევა, ყველაფერი კარგად იქნება.“ ეს იყო ოჯახის წევრებისათვის თქმული უკანასკნელი სიტყვები.“ იმავე დღეს სახლი დალუქეს, შაესტერი, რომელიც დედა უნდა გამხდარიყო და ქალბატონი

სეფურე ბინიდან გამოაძევეს. ისინი იძულებული გახდნენ კვლავ ჩაქვში, გვარიშვილებთან შეფარებინათ თავი.

ამ დღიდან იწყება ქალბატონ შაესტერის უმძიმესი ცხოვრება. ამიერიდან პოლიტიკური პატიმრის ოჯახი ყველასგან გარიყული აღმოჩნდა. მათგან აშკარა ურთიერთობისა ახლობლებსაც ეშინოდათ. „ხალხის მტრებს“ ქალაქში ჩამოსვლაც ეკრძალებოდათ და სულ ნათესაობაში მოგზაურობდნენ. ბავშვობაში განებივრებული შაესტერი ფიზიკურ შრომას არასდროს გაურბოდა, პირიქით, შრომაში პოულობდა შვებასა და მომავლის იმედს. შრომ-გარჯის შედეგად სარჩო-საბადებელი არ აკლდათ, მაგრამ გამუდმებით შიშსა და ძალმომრეობაში უხდებოდათ ცხოვრება.

პატიმრობას თავდაღწეული იბრაიმ-ბეგი, თავისი განათლებითა და თანდაყოლილი ნიჭის წყალობით ცდილობდა ოჯახს გაჭირვება და ცხოვრების სისასტიკე არ ეგრძნო. ბათუმიდან გაძევებული ოჯახი ხულოში წაიყვანა. ერთხანს სკოლის დირექტორად, შემდეგ რაიონული კულტურის სახლის დირექტორად მუშაობდა. ცოლ-შვილიც შესახლებული ჰყავდა იქვე, კულტურის სახლის სხვენზე, რომელსაც „პატარა, მრგვალი ფანჯარა ჰქონდა. აქედან ცქერით ვერთობოდით, კარგად ჩანდა კონცერტებისა და წარმოდგენების სცენებიო,“ იგონებს ქალბატონი ნარგიზი.

იბრაიმი და შაესტერი ზემო აჭარაში უდიდესი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდნენ, მათ ხშირად იწვევდნენ დიდ-აჭარაში, ლოდიძირში და ბეშუმში. მხოლოდ 1957 წელს მიეცათ ბათუმში თავისუფალი ცხოვრების უფლება, შვილები დროს ქობულეთში, ბობოყვათსა და ხალაში ატარებდნენ.

იბრაიმ აბაშიძეს ოთხოთახიანი ბინა ჰქონდა ქუთაისის ქუჩაზე. აქ სხვადასხვა ეროვნების ხალხი ცხოვრობდა.ერთმანეთის მიმართ უდიდეს სიყვარულსა და პატივისცემას ამჟღავნებდნენ. მათ შორის აბაშიძეების ოჯახი გამორჩეული იყო, რადგანაც ყველა გასაჭირში აქ პოულობდნენ დასაყრდენს და

მხარდაჭერას. ეს ოჯახი იყო გაჭირვებულთა თავშესაფარიც. სიკეთით გამსჭვალულ ცოლ-ქმარს ზოგჯერ საკუთარი შვილებიც კი ავიწყდებოდათ. „მახსოვს, ზემო აჭარაში, ლოდიძირში ვისვენებდით. თან გვახლდა ახლო ნათესავის შვილი, 7-8 წლის გოგონა. მის მიმართ დედა იმდენად ყურადღებიანი იყო, რომ გულში ვბრაზდებოდი და ვეჭვიანობდი. წყაროს წყლის მოსატანადაც კი, რაც მხოლოდ გასეირნება იყო, არ გაუშვებდა. დედ-მამა თან არ ჰყავს. გული დაპატარავებული აქვს და ცოდვააო, მეტყოდა. მხოლოდ ახლა ვგრძნობ დედაჩემის კეთილ გულს, წინდახედულობასა და კაცთმოყვარეობას. ჩვენს ოჯახს ძალზე უჭირდა, მაგრამ ხშირად დედა, მე და ჩემს ძმას შემონახულ გროშებს გამოგვართმევდა და გარდაცვლილის ჭირისუფალს ან ავადმყოფის პატრონს გადასცემდა.“

ქალბატონ შაესტერს ასევე დედაშვილური მდგომარეობა აკავშირებდა შეძენილ შვილებთან, რძალთან და სიძესთან, რომლებსაც საკუთარისგან არ ანსხვავებდა. ისინი ერთმანეთს უხმოდ გაუგებდნენ ხოლმე, ამიტომ შვილების ფიქრი აღარ ჰქონდა. თვლიდა, რომ ისინი საიმედო ოჯახებში იყვნენ. ეს მართლაც ასე იყო.

დიდი პატივისცემითა და კრძალვითაა გაჟღენთილი რძლის, ქალბატონ მაგული გოგიტიძის მოგონება, რომელიც ტელეჟურნალისტმა ჩაიწერა: „მე დიდი ხნის განმავლობაში ვცხოვრობდი დედამთილთან, სანამ ის ცოცხალი იყო, ყვლანი ერთად ვიყავით, საუბედუროდ ადრე გარდაიცვალა... ძალიან მშრომელი, ამტანი და მკაცრი იყო. ალბათ, იმ შრომით გვიქმნიდა ისეთ გარემოს, რომელიც ყველა ჩვენთაგანს გამოგვყვა. ჩემი მშობლების ოჯახიც დიდად შრომისმოყვარე იყო, მაგრამ ძალიან ადრე გავთხოვდი და ბევრი რამ არ მომეთხოვებოდა... კარგად მახსოვს, დედაჩემმა უთხრა: არაფრის გაკეთება არ იცის და სად მიგყავთო. ამის მიუხედავად დათანხმდნენ, ოღონდ იყოს და არ გვინდა, ნურაფერს ნუ გააკეთებს, ჩვენ მაინც კმაყოფილი ვიქნებითო.

ეს და კიდევ ამ ოჯახის დამახასიათებელი შრომისმოყვარეობა, გინდ ქველმოქმედება ალბათ ძველთაგანვე მოდიოდა, რასაც ოჯახში მისული ადამიანი მისდაუნებურად ითვისებს, რადგანაც სიკეთე გადამდებია. მეც ბევრი კარგი რამ გადამედო ამ ოჯახიდან, რაც მგონი ჩემშიც შინაგანად დევს. რამდენად ვაკეთებ, ამას სხვები უკეთესად დაინახავენ."175

გოგიტიძეთა ოჯახიდან გამოსული ქალბატონის შეფასებაში გამოსჭვივის არა მარტო თავმდაბლობა და მოკრძალებულობა, არამედ ოჯახის უფროსის, ამ შემთხვევაში, დედამთილის ხასიათის და თვისებების რეალური შეფასება. ასეთ სიტყვებს ახალგაზრდა ქალები მხოლოდ საკუთარი დედის მიმართ იმეტებენ, აქ კი სხვა, გაცილებით მეტად სასიამოვნო შემთხვევასთან, კერძოდ უფროს-უმცროსობის ძველი ადათ-წესებთან გვაქვს საქმე.

შაესტერ ბეჟანიძე-აბაშიძეზე და მისი ცხოვრების უმძიმეს წლებზე ჩვენი მრავალი თანაქალაქელი მოგიყვებათ.

ერთ-ერთი ამათგანია ქალბატონი ციური ჭოლას ასული ჩხაიძე-როყვა, რომელიც ქალბატონ შაესტერთან ერთად შრომობდა და მრავალი ტკბილად მოსაგონარი შემთხვევა ახსოვს: „1965 წლიდან ბათუმის ცენტრალურ უნივერსალურ მაღაზიაში ერთად ვმუშაობდით. ასაკობრივი სხვაობის მიუხედავად, დავმეგობრდით, არ მალავდა ჩემდამი სიმპათიას, მრავალთა შორის გამორჩეულად ვუყვარდი, კარგი გოგო ხარ, მომწონს შენი ბეჯითობაო, მეტყოდა. არ ვიცი, როგორ დავიმახსოვრე ამ საქმიანი ქალის ესოდენ დიდი ყურადღება. თუმცა მისი გულთბილი ურთიერთობა არც სხვებს აკლდათ. თავისუფალ დროს თითქმის სულ ერთად ვიყავით და ვმუსაიფობდით. თავად მძიმე ცხოვრებაგამოვლილმა, ჩემი ოჯახის ისტორიაც კარგად იცოდა. მეორე მსოფლიო ომის დაწყებისას მამა ბათუმში სწავლობდა. აქედან გაიწვიეს არმიაში. 18 წლის დედაჩემი და მე, სამიოდე თვის ჩვილი ბავშვი, თურმე გურიის სოფელ აცანაში დაგვტოვა. მალე მოგვივიდა შეტყობინება მამის უგზო-უკვლოდ

დაკარგვაზე, მაგრამ დედა იმედს არ კარგავდა და მაინც ელოდა მის დაბრუნებას. თუმცა ამას ვერ მოესწრო.

ქალბატონმა შაესტერმა ეს ყველაფერი იცოდა და მგონი ამიტომაც იყო ჩემდამი ესოდენ გულთბილი და თანაგრძნობით განწყობილი. ხშირად მკითხავდა დედის მდგომარეობას და ზოგჯერ რჩევებსაც მაძლევდა, როგორ მესიამოვნებინა მშობლისათვის.

ქალბატონი შაესტერი სამუშაოზეც სანიმუშო იყო. მაღაზიის ქონებას საკუთარსავით ეფერებოდა და უფრთხილდებოდა, ამოწმებდა ხარისხსა და დეფექტებს. თავადაც საქონლის შეძენის შესანიშნავი გემოვნება ჰქონდა, ყოველთვის ხარისხიან და აუცილებელ ნივთებს ყიდულობდა. მე, სიღარიბეში გაზრდილს, საოჯახო საგნებზე გამექცეოდა თვალი, ამას ჩემი დამრიგებელი კარგად გრძნობდა. ისიც იცოდა, რომ მე შეძენის საშუალება არ მქონდა. რამდენჯერმე თვითონ შემირჩია და მაჩუქა კიდეც. დღემდე ჩემს ოჯახს ასე შემორჩა ხალიჩა და სამზარეულოსთვის აუცილებელი საგანი, ლამაზი ტაფა.

სხვის მიმართ გულისხმიერი ქალბატონი არასოდეს საკუთარ გაჭირვებას სხვას არ მოახვევდა, არ უყვარდა წუწუნი, არასოდეს ეძლეოდა სასოწარკვეთას.

სამუშაოს დასრულების შემდეგ ხშირად აკითხავდა ახოვანი ვაუკაცი, ბატონი იბრაიმი და მოსიყვარულე ცოლ-ქმარი ერთად გაუყვებოდნენ სახლისაკენ მიმავალ გზას. ქუთაისის ქუჩაზე ცხოვრობდნენ და ხშირად მეც ვიყავი მათი სტუმარი, იქვე ჩემი მეგობარი ციალა ოჩხიკიძე ცხოვრობდა და ჩემდა საამებლად იმასაც მოიწვევდა ხოლმე. დიდებული, ნამდვილი თავადური გამასპინძლება იცოდა.“

ქალბატონ შაესტერ ბეჟანიძეზე საუბრისას არ შემიძლია გულღიად არ ვთქვა იმ შინაგან შეგრძნებებზე, რომლებიც ნარკვევის წერისას დამეუფლა. ჩვენს დროში, სამწუხაროდ, მომრავლდნენ მწერალ-მეწიგნეები, რომლებიც დიდსა და პატარა ნაშრომს უძღვნიან ცნობილ მოღვაწეებს, ან მათი ოჯახის

წევრებს, არ იშურებენ დითირამბებსა და ხოტბა-ოდებს, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ეს ქება-დიდება ყალბია, გულიდან არ მოდის, რასაც მკითხველი ადვილად ხვდება, მათი ნაშრომი კი კარგავს თავის ღირებულებას, რადგანაც მისი შექმნის მთავარი მიზანი მხოლოდ მერკანტილურია.

ჩემს შემოქმედებაში მემუარებსა და ბიოგრაფიების ჟანრს ძალზე დიდი ადგილი უკავია, დღემდე 1000-ზე მეტი ადამიანის ბიოგრაფიას შევხებივარ, მათ შორის ბევრია ცნობილი ადამიანიც, ნაკლებად ცნობილიც და სრულიად უცნობიც. ცნობილი ადამიანების ცხოვრება-მოღვაწეობაზე მუშაობისას შიში მიპყრობს, ჩემზეც ხომ არ იტყვიან, რომ მეც წვრილმანი ანგარიშიანობა, გამორჩენის სურვილი მამოძრავებს... დავფიქრდები და ვმშვიდდები, რადგანაც ვრწმუნდები, რომ ეს საშიშროება არ მეხება. საქმე იმაში გახლავთ, რომ მე ვერ დავწერ პიროვნების ბიოგრაფიას, ვერც მხატვრული ნაწარმოების გმირის სახეს დავხატავ, თუ მისდამი არ განვიმსჭვალე პატივისცემითა და მოკრძალებით, თუ ის შეგნებაში ჩემთვის ყველაზე საყვარელ ადამიანად არ გადავადუღე.

ქალბატონ შაესტერის ბიოგრაფია რომ „დავზვერე," წინ დამიდგა საბრალო დედაჩემი, ქმარწართმეული, გაძარცვულ-განადგურებული, შეშინებული და ოჯახდაქცეული, სასამართლოდან სასამართლოში ატირებულს რომ მატარებდა. ამ ორი ადამიანის ცხოვრება ისე, როგორც ყველა რეპრესირებული ოჯახის ქალებისა, გაჭრილ ვაშლსავით ჰგავდა ერთმანეთს. ჰგავდა კი არა, ერთმანეთისაგან ვეღარ ვარჩევდი. ვწერდი ამ ერთი ქალბატონის მწარე ცხოვრებაზე და... ჩემს გამწარებულ დედაზე ვფიქრობდი.

შევქეთ-ბეგ ბეშანიძე და ასული მისი ფიქრიე

ჩაქველი მემედ-ბეგის შვილებისაგან გამორჩეული ადგილი შევქთ-ბეგს ეკავა. სამწუხაროდ მისი ბიოგრაფიიდან ცოტა რამ ვიცით, სამაგიეროდ შედარებით მეტს ვიტყვით მის ოჯახსა და ერთ-ერთ ქალიშვილზე, ფიქრიე-ხანუმზე, რომლის რთული ბიოგრაფია მკითხველისათვისაც სამაგალითოდ და საინტერესოდ მიგვაჩნია.

შევქეთ-ბეგს პირველი ცოლისაგან ჰყავდა ქალ-ვაჟი, რომლებიც თურქეთის რესპუბლიკის ქ. ტრაპიზონში ცხოვრობდნენ, რადგანაც მეორედ შევქეთ-ბეგი ამ ქალაქში დაქორწინდა და შვილებიც იქ გადაიყვანა. მისი მეორე ცოლი იყო ტრაპიზონში ცნობილი იურისტის და საზოგადო მოღვაწის, რასიმ-ეფენდი ლერმიოღლის (დღეს ლერმებად იწოდებიან) 16 წლის ქალიშვილი მინირე. ეს ქალბატონი ფრიად განათლებული, თურქული ლიტერატურის, ფოლკლორისა და სიმღერების, ბრძნული გამონათქვამებისა და ანდაზების შესანიშნავი მცოდნე იყო; ლიტერატურის, ხელოვნების, თურქული ენისა და ხალხური წეს-ჩვულებების და ფოლკლორის შესწავლისადმი მისწრაფება მინირე-ხანუმისაგან გადაეცათ არამარტო მის შვილებს, არამედ შვილიშვილებსა და მომდევნო თაობებს.

შვქეთ-ბეგსა და მინირე-ხანუმს ჩაქვში შეეძინათ გოგონა, რომელსაც ფიქრიე (1904-1970) დაარქვეს. უკვე დაქალებულმა ფიქრიემ შემთხვევით გაიცნო მეზობელი სოფლის ხალას მცხოვრები ახალგაზრდა ოსმან-აღა გვარელოღლის ვაჟი მემედი. მათ ერთმანთი შეუყვარდათ, მაგრამ ამის გამხელას ვერ ბედავდნენ, რადგანაც ბეგის ქალიშვილს აღას არ გაატანდნენ. ახალგაზრდებმა გაპარვა გადაწყვიტეს და მემედის ნათესავებს შეაფარეს თავი. შევქეთ-ბეგი ცოცხალი აღარ იყო, ხოლო დანარჩენმა ბეგებმა ჯემილმა, ნურიმ, რიზამ, ჰაიდარმა და შერიფმა ქალის დაბრუნება მოითხოვეს. საქმეში სასულიერო პირი (მუფთი) სკენდერ-ეფენდი ცივაძე და მემედ-ბეგ აბა-

შიძე ჩაერივნენ. 1918 წელს ბეჟანიძეებმა მემედისა და ფიქრიეს შეუღლების თანხმობა გადაწყვიტეს.

მემედ-ბეგ აბაშიძე ჩაქველი ბეჟანიძეების ისტორიული ნათესავი იყო, ახლა ის გვარიშვილების ოჯახსაც დაუმოყვრდა, ფიქრიე-ხანუმი საკუთარ ქალიშვილად მიაჩნდა, ხოლო 18 წლის მემედ გვარიშვილს სიძედ თვლიდა. სწორედ მემედ-ბეგის ხელდასმით ეზიარა ის საბჭოთა წყობილების დროს სახელმწიფო სამსახურს, ჯერ სალიბაურის მეურნეობის დირექტორი იყო, ხოლო 30-იან წლებში სახალხო კომისრად გადაიყვანეს.

მემედ-ბეგმა ახალგაზრდა ცოლ-ქმარს ბათუმში საკუთარი საცხოვრებელი ბინაც დაუთმო (ახლანდელი მემედ აბაშიძის სახლ-მუზეუმის მეორე სართული). ფიქრიე-ხანუმ ბეჟანიძის პიროვნული თვისებებიდან განსაკუთრებული იყო მისი მამაკაცური გამბედაობა, ბრძოლის უნარიანობა და სიმამაცე. ამ მხრივ მას

ფიქრიე ბეჟანიძე (1901-1972)
მემედ გვარიშვილი (1886-1937)

თანამედროვეები შევქეთ-ბეგის მამიდას, დუდი-ხანუმს და სხვა გმირ ქალებს ადარებდნენ. ფიქრიე-ხანუმი კარგად ფლობდა ყოველგვარ იარაღს და შესანიშნავი მსროლელიც იყო. ხშირად მონაწილეობდა შეჯიბრშიც. ერთ-ერთი ასეთი პაექრობის დროს ბეშუმში, ცნობილმა სახელმწიფო მოღვაწემ, შალვა ელიავამ მას ბრაუნინგი აჩუქა.

1937 წლის 14 ივლისს მემედ გვარიშვილი სწორდ მემედ-ბეგ აბაშიძის სახლში დააპატიმრეს, გადაწყვეტილი იყო ქონების კონფისკაცია, მაგრამ მოსალოდნელი იყო, რომ ამ საქმეში ხელს შეუშლიდათ ფიქრიე-ხანუმი, ამიტომ წინასწარ ისიც დააპატიმრეს, იარაღი ჩამოართვეს და სახლიდან ყველაფერი წაიღეს. მშობლების გარეშე დარჩენილი ოთხი მცირეწლოვანი ბავშვი ნათესავებმა შეიკედლეს. რამდენიმე თვის შემდეგ ფიქრიე-ხანუმმა პატიმრობას დააღწია თ ვი და ბავშვს ბაბუასთან, მაშინდელ ტელმანის ქუჩაზე მოუყარა თავი. უფროსი ასლანი, როგორც მავნებლის შვილი, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტიდან და კომკავშირიდან გარიცხეს და 1939 წელს კოლიტით გარდაიცვალა.

ვაჟკაცური ბუნების, მტკიცე ხასიათის და ძლიერი ნებისყოფის მქონე ფიქრიე ბეჟანიძე არ გატყდა, მთელი ძალ-ღონე და ენერგია შვილების წესიერად აღზრდას და განათლებას მოახმარა. მათ სიმართლის, მამაცობის, თავდადების, გაჭირვებულთა დახმარების გრძნობებს უნერგავდა. ხელგაშლილი და პატივისმცემელი ქალბატონი ნათესაობის ყურადღების ცენტრში იყო. დიდი შრომისმოყვარეობითაც გამოირჩეოდა და შვილების კეთილდღეობისათვის მძიმე შრომასაც არ თაკილობდა.

ფიქრიემ საზოგადოებრივი მოღვაწეობითაც ისახელა თავი. განათლება აჭარის მუშფაკში მიიღო, გახდა ქალთა კომიტეტის აქტიური წევრი, იბრძოდა აჭარელ ქალთა გათვითცნობიერებისა და კულტურის დონის ამაღლებისათვის.

მემედ-ბეგისა და მისი შვილების დაპატიმრების შემდეგ, ფიქრიე-ხანუმს დღენიადაგ ქალბატონ შაესტერთან შეხვდე-

ბოდით. ეს ურთიერთობები გაგრ-ძელდა მომდევნო პერიოდშიც, როცა ცოცხლად გადარჩენილი პოლიტ. პატიმრე-ბი ოჯახს დაუბრუნდნენ.[176]

ფიქრიეს მშობლიურმა ზრუნვამ შესანიშნავი შედეგი გამოიღო. ქალიშვილი ნადიდე (ნანა) გახდა პირველი აჭარელი პროფესიონალი პოეტი, რომელმაც ქართულ პოეზიას მრავალი პატრიოტული მოტივით გაჟღენთილი ნაწარმოები დაუტოვა. ვაჟი ოსიკო, ცნობილი მთარგმნელი, პუბლიცისტი და მოღვაწე იყო, ზაირა, ბათუმში ცნობილი ეკონომისტი, ამჟამად პენ-სიონერია.*

* მასალა მომაწოდა აწ გარდაცვლილმა მწერალმა ოსიკო გვარიშ-ვილმა, რისთვისაც მადლობით მოვიხსენიებ (ავტორი).

დ) ჭვანელი ბეჟანიძეები და მსახურაძეები

საკითხის სისრულისათვის აუცილებელია ორიოდე სიტყვა აჭარის სხვა სოფლებში მცხოვრებ ბეჟანიძეებზეც ვთქვათ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ გვარის გეოგრაფია საკმაოდ ვრცელია და 32 სოფელსა და დასახლებულ პუნქტს მოიცავს, მაგრამ შევეხები მხოლოდ ორ მათგანს, რომლებზეც გვაქვს ზეპირგადმოცემები და საკმაოდ ხელშესახები ისტორიული წყაროები. ესაა ჭვანის ხეობა და ქობულეთ-ხუცუბანი.

როგორც ირკვევა, ჭვანის ხეობაში ბეჟანიძეთა ბუდედ სოფელი ჭვანა ითვლება. აქ ამ გვარის წარმოშობის შესახებ რამდენიმე გადმოცემა არსებობს. ერთნი მათ, ზენდიდელების მსგავსად, პიმსახურისძეთა გვარის გამგრძელებლად ასახელებენ. ეს აზრი საკმაოდ დამაჯერებელია, რადგანაც პირმსახურისძეთა პირდაპირი შთამომავლები მსახურაძეები, სწორედ ჭვანის ხეობაში: ვარჯანაულ-

ში, ბარათაულში, გომარდულსა და ჭალაში ცხოვრობენ. მეორენი კი იმასაც ამბობენ, რომ სამცხიდან წამოსული პირმსახურის ძენი (პირფარეშის ძენი) დასაწყისში ჭვანის ხეობაში დამკვიდრდნენ და მათი გვარის ტრანსფორმაციის შედეგად მსახურაძეებად იქცნენ. ამ გვარის ერთი შტო გადავიდა ზენდიდში, რომლის ერთი სახელოვანი წარმომადგენლის, ბეჟან პირმსახურისძის საპატივცემულოდ ბეჟანიძეებად იწოდნენო.

ჭვანაში დამკვიდრებამდე ბეჟანიძეები ხეობის რამდენიმე სოფელში ცხოვრობდნენ: ნაღვარევში, ცენტერაძეებში და წყაროთაში. ბოლოს ერთ-ერთი წყაროთელი ბეჟანიძე ჭვანის ცენტრში მცხოვრები ამაღლობელების ოჯახში ჩასიძებულა და აქედან გამრავლებულან. ამ ფაქტის დასადასტურებლად მათ დაგვისახელეს მეზობლი სოფლის წყაროთის უბანი, სადაც გაშენებული ხე-ხილით ბოლო დრომდე სარგებლობენ ჭვანელი ბეჟანიძეები.

კიდევ უფრო საინტერესოა, რომ ჭვანის ხეობის მსახურაძეები და ბეჟანიძეები დღესაც ნათესავებად თვლიან ერთმა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნეთს და მათ შორის ქორწინება მიუღებლად მიაჩნიათ. აღარაფერს ვამბობ ზენდიდელ ბეჟანიძეებზე, რომლებიც ოსმალობის დროს პირმსახუროდლის გვარს ატარებდნენ და ჭვანელ მსახურაძეების მოძმე-მოგვარეებად თვლიდნენ თავს.

ზენდიდელი ბეჟანიძეებისა და ჭვანელი მსახურაძეების ნათესაობას ერთი დრამატული ისტორიაც ადასტურებს. ზენდიდელი ალი-ბეგ ბეჟანიძის ქალიშვილი და სეფერ-აღა ბეჟანიძის და, სულთან-ხანუმი, ცოლად ჰყავდა ჭალის მცხოვრებ სელიმ-ბეგ სურმანიძეს. მათ ერთადერთი ქალიშვილი ყუდრეთ-


Удостовѣреніе

Дано сіе изъ Ахмофриссканъ Сельскаго Округу Правленія, вслѣдствіе личной просьбы жительницы селенія Зендиди Кибаръ Али Аскера-оглы Зеде Сейранидде въ томъ, что онъ есть дѣйствительно отъ умершей въ прошломъ 1901г. 16 іюля Султанъ Ханумъ Аскеръ Ага кызы Зеде Сейранидде въ чемъ подписью моею и гербовою печати удостовѣряю. Февраля 22 дня 1902 года. селеніе Зендиди

Старшина Ахмофриссканъ Сельскаго Округа

Письмоводитель

№ 22

დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება, რომ სულთან-ხანუმ ბეჟანიძე არის ქიბარ-აღის ღვიძლი და. იგი გარდაიცვალა 1901 წლის 16 ივლისს.

ხანუმი შეეძინათ. სელიმ-ბეგი რუსეთ-თურქეთის ომში, 1878 წელს დაიღუპა ისე, რომ ვაჟი არ დარჩა. სელიმ-ბეგის ძმა გულა-ბეგი ძმის უძრავ-მოძრავი ქონების დაკარგვის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, რადგანაც ქვრივი რძლის, სულთან-ხანუმის, ან ძმისშვილის ყუდრეთ-ხანუმის გათხოვების შემთხვევაში მათი ქონება სხვაზე გადავიდოდა. გონიერმა, ხეობაში სიბრძნით აღიარებულმა კაცმა, დაარღვია საუკუნოვანი ტრადიცია და დაობლებული ძმისშვილი, 6 წლის ყუდრეთ-ხანუმი, თავის უმცროს ვაჟზე 16 წლის რამიზ-ბეგზე დანიშნა. დანიშნული გოგო-ბიჭის ერთად ყოფნა უხერხულად მიიჩნიეს და გოგონა ზენდიდში ბიძასთან, სეფერ-აღა ბეჟანიძესთან გაუშვეს სტუმრად, სადაც რამდენიმე წელს დარჩა. როგორც ჩანს, სეფერ-აღას დიდ ცოდვად მიაჩნდა ბიძაშვილების ქორწინება, ამიტომ სიმწიფის ასაკში შესული ყუდრეთ-ხანუმი, სურმანიძეებთან შეუთანხმებლად, საკუთარი ნებით შერიფ-ბეგის შვილს, თემურ-ბეგ ხიმშიაშვილს მიათხოვა.



რამიზ-ბეგ სურმანიძე

დანიშნული ქალის სხვაზე გათხოვებამ ძველი ტრადიციების ერთგულ ჭვანის მოსახლეობაში დიდი ხმაური გამოიწვია. გულა-ბეგი ჭკვიანი კაცი იყო და ამ ამბავს თითქოს შეეგუა, მაგრამ ჭვანელები თავს შეურაცხყოფილად გრძნობდნენ და აიძულებდნენ გულა-ბეგს გოგო უკან დაებრუნებინა, წინააღმდეგ შემთხვევაში დარბევით ემუქრებოდნენ, მაგრამ ნებით ამის გაკეთება შეუძლებელი იყო. ერთ ღამეს რამდენიმე ასეული შეიარაღებული ჭვანელი მოულოდნელად დაეცა ხიმშიაშვილთა სასახლეს, მაგრამ ყუდრეთ-ხანუმი ვერ იპოვეს, ამიტომ პირველივე

ქალი, ვისაც წაასწრეს, მოიტაცეს და ს. ჭალაში გულა-ბეგს მიჰგვარეს. ეს ქალი აღმოჩნდა ისა-ბეგ ხიმშიაშვილის მეუღლე, ორი შვილის დედა, ესმა ჯემალ-აღის ასული მიქელაძე. ესმა რამიზ-ბეგზე გაცილებით უფროსი იყო, ამიტომ მის უფროს ძმას, ნაკატორღალ სეფერ-ბეგ სურმანიძეს მიათხოვეს.

ყუდრეთ-ხანუმ სელიმ-ბეგის ასული სურმანიძე (დედით ბეჟანიძე).

ყოვლისშემძლე შერიფ-ბეგს შეეძლო ძალით დაეთრთგუნა ჭვანელთა ახირება, მაგრამ მშვიდობიანი გზა აირჩია. ჭალაში ჩამოვიდა, თან ჩამოიყვანა თავისი ახალი რძალი, ყუდრეთ-ხანუმი და დაადებინა ხელწერილი იმის შესახებ, რომ თავის უძრავ-მოძრავ ქონებას საჩუქრად უტოვებს ბიძას, გულა-ბეგ სურმანიძეს. საბუთს სხვა მოწმეებთან ერთად ხელს აწერს გენერალ-მაიორი ალექსანდრე ახმედის ძე ადჟარსკი (შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი). ამგვარად, ეს საქმე მშვიდობიანად დამთავრდა, მაგრამ სეფერ-აღა ბეჟანიძე, რომლის მიზეზითაც მოხდა ეს უსიამოვნება, სურმანიძეების წინაშე თავს დამნაშავედ

გრძნობდა. ერთ მშვენიერ დღეს ის თავის მეგვარე-ნათესავებს, მსახურაძეებს ეწვია ვარჯანაულში და თხოვა დახმარებოდნენ სურმანიძეებთან შერიგებაში. ალი-აღა მსახურაძემ ისმინა ძველთაძველი ნათესავის თხოვნა და ამისათვის ვაჟკაცური გზაც გამონახა – თავისი ულამაზესი გოგონა ხატიჯე-ხანუმი რამიზ-ბეგს მიათხოვა. ბეჟანიძე-სურმანიძეებს შორის ძველი მოყვრობა კვლავ გაცოცხლდა, სურმანიძეებს ხიმშიაშვილებიც შეურიგდნენ და დღემდე ამ სამ გვარს შორის ქორწინება და მოყვრობა ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს.[177]

* * *

ბეჟანიძეთა გვარის ისტორიისათვის საყურადღებოა 1875 წ. გაზეთ „დროება-ში“ დაბეჭდილი ერთი ცნობა, რომელიც იუწყება, რომ „ჟანდარმის ბათალიონის კომანდირი, ჩაქველი ხუსეინ-ბეგი (პირმსახურაძე) გადააყენეს თანამდებობი-დან.“178 ამ ერთადერთი წინადადებით მრავალი რამ ხდება ნათელი: ჩაქველი ხუსეინ-ბეგ ბეჟანიძე პირმსახურიძის გვარითაც იწერებოდა, რაც კიდევ ერთჯერ ადასტურებს მის წარმომავლობას ზენდიდელი ბეჟანიძეების და მისი შორეული წინაპრების პირმსახურიძეების გვარიდან. ხ. ბეჟანიძე-პირმსახურაძე თანამდებობიდან გადააყენეს 1875 წ., რაც იმასაც ადასტურებს, რომ ბეჟანიძის და პირმსახურისძის იდენტურობა ზაქარია ჭიჭინაძის მოგონილი ან დადგენილი კი არაა (მან აჭარაში 1890 წ. იმოგზაურა), არამედ გვარში დამკვიდრებული სინამდვილეა.

ჭვანელ ბეჟანიძეთა გვარში მრავალი ღირსეული პიროვნება გამოვიდა. საბუთების უქონლობის გამო მათს ძველ წინაპრებს ვერ დავასახელებთ და მხოლოდ საკუთარ ხსოვნაში დარჩენილ და ამჟამად შემოქმედებით საქმიანობაში მყოფ ბეჟანიძეებზე შევჩერდები.

ჭვანის ხეობაში დიდი პატივისცემით სარგებლობდა მევლუდ ბეჟანიძე, ღრმად მორწმუნე, ამავე დროს დინჯი, ჭკვიანი

სოფელი ჭვანა

და ბრძენი კაცი. მისი ძმა-ბიძაშვილებიც ასევე გამოირჩეოდნენ ჭკუა-გონებით, თავდაჭერილობითა და კრისტალური პატიოსნებით, ეტყობა, ეს თვისება ჭვანელ ბეჟანიძეებს ოდითგანვე მოსდგამდათ.

ჩვენს დროში ჭვანელმა ბეჟანიძეებმა ხალხური ფოლკლორით, ცეკვა-თამაშით, სიმღერითა და ძველ დასაკრავებზე უბადლო შესრულებითაც გამოიჩინეს თავი. იყო დრო, როცა ჭვანის კულტურის სახლის აგიტმხატვრული ბრიგადის 8 წევრიდან ოთხი ბეჟანიძე: მემედი, ილია, გურამი და ალიოსმანი იყვნენ.

თბილისში ჭვანელ ბეჟანიძეთა გვარიდან მედიკოსთა მთელი პლეადა საქმიანობს. მათგან გამორჩეულია სახელოვანი ექიმი-დერმატოვენეროლოგი თეიმურაზ ბეჟანიძე. ჭვანაში დაბადებულმა (1942) იქვე დაამთავრა საშუალო სკოლა და ორი წელი ბათუმის №5 ტრესტში შავ მუშად გაატარა. 1961 წელს

ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე.

1967 წლიდან, ინსტიტუტის დამთავრებისთანავე, თეიმურაზ ბეჟანიძე მშობლიური შუახევის რაიონის, უჩამბის სოფლის საავადმყოფოს მთავარ ექიმად გაამწესეს, სადაც სამი წელი დაჰყო. შემდეგ მსახურობდა არმიაში სამხედრო ექიმად. დემობილიზაციის შემდეგ კვლავ უჩამბაში განაგრძო თავისი საქმიანობა.

თეიმურაზ ბეჟანიძე

1975 წელს თეიმურაზ ბეჟანიძემ დერმატოვენეროლოგიის ინსტიტუტში ორწლიანი ორდინატურა დაამთავრა. ნიჭიერი სპეციალისტი იქვე დატოვეს და დღესაც, უმაღლესი კატეგორიის ექიმის წოდებით აგრძელებს ნაყოფიერ საქმიანობას.

თეიმურაზ ბეჟანიძემ შესანიშნავი ოჯახი შექმნა. მეუღლე – ლიანა მარჯიშვილი-ბეჟანიძე კულტურის ფრონტზე იღწვის, ვაჟები – ზაზა და ზვიადი, აგრეთვე რძალი ქეთევანი, ექიმები არიან, მეორე რძალი მაიკო წოწკოლაური ფსიქოლოგია.

ჭვანელი ბონდო ბეჟანიძეც ექიმია. მშობლიურ სოფელში საქმიანობდა, შემდეგ საბაჟო დეპარტამენტის სანიტარულ-საკარანტინო სამსახურის საპასუხისმგებლო პოსტზე იყო აღმოსავლეთ საქართველოში. მისი მეუღლე ქეთევან ჯანდიერიც მედიკოსია.

დიდი მომავალი ჰქონდათ ახალგაზრდა წარმატებულ ბიზნესმენებს მერაბ და ილია ბეჟანიძეებს, მაგრამ ბედმა უმუხთლათ, ისინი 2000 წელს ავტოკატასტროფაში დაიღუპნენ, მერაბის მცირეწლოვან გოგონასთან ერთად.

სასამართლო ორგანოებში ნაყოფიერად შრომობს იურისტი ჯუმბერ ბეჟანიძე. მან პირველსავე ეტაპზე წარმატებით გაიარა ატესტაცია და ამჟამად ქალაქ ბათუმის მოსამართლეა. ძალოვან სტრუქტურებში მოღვაწეობს ჭვანელი გენადი ბეჟანიძეც. ის შინაგან საქმეთა სამინისტროს საპასპორტო განყოფილებაში საპასუხისმგებლო მოვალეობას ასრულებს.

* * *

ცალკე აღნიშვნას იმსახურებს აჭარის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ბეჟანიძეთ გვარი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოში 1997 წელს 1625 ბეჟანიძე ცხოვრობდა. აქედან 703 – ქობულეთში, 324 – ბათუმში, 213 – ხელვაჩაურში. დანარჩენი 383-ის დიდი ნაწილიც აჭარის სხვა რაიონებსა და სოფლებშია გაფანტული, განსაკუთრებით ბევრნი არიან შუახევის რაიონში და მხოლოდ თითო-ოროლა გვხვდება სხვა რაიონებსა და ქალაქებში. ამგვარად, ეს გვარი ძირითადად აჭარაშია გავრცელებული, მაგრამ, როგორც ირკვევა, ისინი ძველთაგანვე მესხეთ-ჯავახეთშიც სახლობდნენ. აღარ გავიმეორებ მესხეთში კათოლიკურ სარწმუნოებაზე ზიარებულ ანა ბეჟანიძის ბიოგრაფიას.

საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივის ერთი დოკუმენტით დასტურდება, რომ მესხეთში ბეჟანიძეებს მამულებიც დარჩენიათ. ჩვენი ღრმა რწმენით ამ მიწათმფლობელობის უფლება მათ მოიპოვეს, როცა ისინი სელიმ-ფაშა ხიმშიაშვილის კარზე იყვნენ დაწინაურებულნი. მართალია ამ საბუთში მემამულე ბეჟანიძე არცთუისე სახარბიელო კონტექსტში მოიხსენიება, მაგრამ ეს მხოლოდ იმდროინდელი იდეოლოგიაა. თვით ფაქტი, რომ ეს გვარი მესხეთში დამკვიდრდა და ბეჟანიძეთა აღზევებიდან საუკუნის შემდეგაც, 1910 წელს იქვე მოიხსენიებიან, ჩვენი თემისათვის საინტერესო უნდა იყოს. დო-

კუმენტში კერძოდ ნათქვამია, რომ „ახალციხის მაზრაში აგრარული მღელვარება დაიწყო. 150 შეიარაღებული გლეხი თავს დაესხა მემამულე ბეჟანიძის კარმიდამოს. ბეჟანიძე გლეხებს ნებას არ აძლევდა პირუტყვი ეძოვებინათ მის მიწაზე. გლეხებმა დაანგრიეს საზაფხულო საძოვრების ნაგებობანი.“179

როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში ბეჟანიძე, რომლის სახელი სამწუხაროდ არ ვიცით, თავის საკუთრებას იცავს ეგზალტირებული გლეხებისაგან. ამიტომ მისი ქცევა დასაძრახი არ არის. იგივე საბუთი კომუნისტური რეჟიმის დროს სხვაგვარადაა შეფასებული. ეს არცაა გასაკვირი იმ რეჟიმისაგან, რომელიც გლეხების სისასტიკეს, შეძლებული ადამიანების რბევა-აწიოკებას, სხვისი ქონების მიტაცებას და სხვა უკანონობას აქეზებდა და კიდევ უფრო აღრმავებდა.180

ზემოთქმული საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ გვარი ბეჟანიძე პირმსახურისძეთაგან აღმოცენდა ჯერ კიდევ მათი მესხეთში ყოფნის დროს. თუ ამ აზრს გავიზიარებთ, მაშინ შეიძლება ისიც ვივარაუდოთ, რომ ბეჟანიძეები აჭარაში გადმოსახლდნენ მესხეთიდან დიდი მიგრაციის დროს, კერძოდ მე-16 საუკუნეში, სხვა დიდგვაროვნებთან: ავალიანებთან, თავდგირიძეებთან, დიასამიძეებთან და სხვებთან ერთად.

ძალმომრეობის მსხვერპლნი

საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ ხლისუფლებამ, პირველ რიგში წარჩინებულ ოჯახებს, ბეგებს შეუტია, რადგანაც მათში ხედავდა დამოუკიდებელი საქართველოს მომხრეებს. დაიწყო მიზეზების ძებნა, რათა ბეგებისათვის გადამწყვეტი დარტყმა მიეყენებინათ. ამის საბაბი გახდა თბილისიდან დამოუკიდებლობის კომიტეტის (დამკომის) წევრის ივანე შარაშიძის ჩამოსვლა, რომელიც საიდუმლოდ შეხვდა ნური და ყადირ აბაშიძეებს და დედე ბეჟანიძეს. ჩეკამ ი. შარაშიძე ბა-

თუმში, ავალიანის ბინაში შეიპყრო. აქვე ჩაუტარეს ჩხრეკა და იპოვეს დამკომის წერილი, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ დაეჩქარებინათ თურქეთში კაცის გაგზავნა იარაღის ჩამოსატანად, აგრეთვე ვინმე აჭარელის წერილი გურიის ანტისაბჭოთა მოძრაობის ხელმძღვანელის სერგო მათითაიშვილის სახელზე. წერილში ლაპარაკია გურიისა და აჭარის მოსახლეობის ერთიან ბრძოლაზე ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ. წერილის ავტორიც (აჭარელი) და ადრესატებიც შერქმეული სახელებით არიან მოხსენიებული (წითური, ჩიტი). ამ წერილის მომძიებელმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, ოთარ გოგოლიშვილმა ორი მათგანი გაშიფრა: წითური – ივანე შარაშიძე, ჩიტი – მგალობლიშვილი, ხოლო „აჭარელზე“ ამბობს, რომ მისი დადგენა ვერ მოვახერხეთო, ამასთან გამოთქვამს სრულიად ლოგიკურ ვარაუდს, რომ ის ერთ-ერთი ბეგთაგანი უნდა იყოსო. ჩემი აზრით, ესაა ზენდიდელი დედე-ბეგ ბეჟანიძე, რომელიც ქართული ორიენტაციისაა და ბეირ-ბეგ სურმანიძესთან ერთად საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში ირიცხებოდა.

ივანე შარაშიძე 1923 წლის ოქტომბერში დახვრიტეს და მაშინვე შეუდგნენ ბეგების მასობრივ დაპატიმრებებს. დაპატიმრებულთა სიაში 28 კაცი ირიცხება.იქვე მითითებულია მათი პოლიტიკური ორიენტაცია. საყურადღებოა, რომ ეს სია სწორედ დედე-ბეგ ბეჟანიძით იწყება, რაც მის ლიდერობაზეც მეტყველებს. შემდეგ სიაში შეტანილი არიან ზაბით-ბეგ და ასლან-ბეგ ხიმშიაშვილები (ორივეს თურქული ორიენტაცია მიაწერეს), მემედ-ბეგ და ზია-ბეგ აბაშიძეები (ქართული), ოსმან-ბეგ შერვაშიძე (თურქული), ნევზეთ წულუკიძე (თურქული), მემედ-ბეგ და სალი-ბეგ ბიბინ-ზადეები (თურქული), ოსმან მიქელაძე (ქართული, დამფუძნებელი კრების წევრი), ხასან-ბეგ, ყადირ და ნური აბაშიძეები (ქართული), ჰაიდარ ხიმშიაშვილი (გაურკვეველი ორიენტაციის), დევრიშ-ბეგ წულუკიძე (უორიენტაციო), ჰამიდ და ხასან ბეჟანიძეები (ქართული), ისრაფილ-ბეგ და ისკენდერ

წულუკიძეები (თურქული), დურსუნ შერვაშიძე (უორიენტაციო), რიზა და რემზი-ბეგ ბიბინზადეები (თურქული), ბეხრი-ბეგ და ასლან-ბეგ ბეჟანიძეები (თურქული), ფაზილ ოსმან-ოღლი წულუკიძე (უორიენტაციო), მურთაზ სეფერისძე და დავით-ბეგ ბეჟანიძეები (უორიენტაციო).181

როგორც ვხედავთ, სიაში შეტანილი 28 კაციდან ყველაზე მეტი 7, ბეჟანიძეთა გვარიდანაა, მათ შორის 4 ქართული ორიენტაციისაა, 1 თურქულის და 2 უორიენტაციო. ბოლშევიკებისათვის მნიშვნელობა არ ჰქონდა ქართულ და თურქულ ორიენტაციას. ქართული – დამოუკიდებლობის მომხრეობას ნიშნავდა და არანაკლებ საშიშად მიაჩნდათ თურქულთან შედარებით, თუმცა უორიენტაციოებსაც ისევე გაუსწორდნენ, ამიტომ ვფიქრობთ, რომ ეს მხოლოდ ფორმალობა იყო. ბეგების გასახლებას ხელისუფლება არ ჩქარობდა, რადგანაც მისთვის ცნობილი იყო ხალხში ამათი დიდი ავტორიტეტი და მასობრივ არეულობებს ერიდებოდა. ამასობაში სიაში შეტანილმა მრავალმა პიროვნებამ მოასწრო მიმალვა, ზოგი თურქეთში გაიქცა. ჩვენთვის უცნობია მთავრობამ ვისი გასახლება შეძლო. სამაგიეროდ ჩვენ დავადგინეთ მათი სადაურობა და ახლანდელი შთამომავლობა. დედებეგი ზენდიდელი ჰაჯი-ასან-ბეგის შვილია და უცოლშვილოდ გადაეგო. ოსმან-ბეგი ცნობილი ჩაქველი ფეოდალის, ხუსეინ-ბეგის შვილია, რომლის შთამომავალნი ახლა ბათუმში ცხოვრობენ, ჰამიდ-ბეგი დედე ბეგის ძმაა, მან თურქეთში გაქცევით უშველა თავს, ამიტომ მისი შთამომავლობა ჩვენთვის უცნობია. ხასან-ბეგი (1901-1949) ცნობილი დევრიშ-ბეგის (ზენდიდი) შვილია, რომლის მემკვიდრეები ბათუმში ცხოვრობენ. ბეხრი-ბეგიც ზენდიდელია, მას ოჯახი არ შეუქმნია, დახვრიტეს 1937 წელს. ზენდიდელი ასლან-ბეგი (1893-1937) ასევე 1937 წელს დახვრიტეს. მისი ნამრავლის 11 ოჯახი, აგრეთვე დაუოჯახებელი 6 ახალგაზრდა ბათუმში ცხოვრობს. ზენდიდელია მურთაზ სეფერისძეც (1879-1937). ის 1937 წელს დახვრიტეს. რაც შეეხება დავით-ბეგს, მის ვინაობის შემცველ ცნობებს საერთოდ ვერ მივაკვლიეთ.

გასული საუკუნის 30-იან წლებში საქართველოს წარჩინებულ გვართაგან თითქმის ყველა განადგურდა. ამ მხრივ გამონაკლისი არც ბეჟანიძეები იყვნენ. ბოლშევიკურ წყობილებას მათი ლიკვიდაციისათვის მრავალი „საბაბი“ ჰქონდა. ჯერ ერთი, ეს გვარი ძველთაგანვე შეძლებული იყო. ისინი მიეკუთვნებოდნენ ქართველ თავად-აზნაურთა ფენას, ოსმალების დროს აღა-ბეგების ფენას, რაც საბჭოთა კანონებით საკმარისი იყო მათი რეპრესიებისათვის. მეორეც, როგორც ზენდიდის, ისე ჩაქვის ბეჟანიძეთა დიდ ნაწილს ჯერ ოსმალეთის სულთნის, შემდეგ რუსეთის მეფის სამსახურში მაღალი თანამდებობები ეკავათ და მთავრობის ჯილდოებსაც ატარებდნენ. მესამე, ბეჟანიძეთა წარჩინებული გვარის ოჯახებს გააჩნდათ დიდი ქონება, ბოლშევიკური კანონის მიხედვით კი მათი უძრავ-მოძრავი ქონება რეკვიზიციას, შეძლებული ბეჟანიძეები განკულაკებას ექვემდებარებოდნენ.

ბეჟანიძეთა სახლი დაბა ქედაში
(ამჟამად პოლიციის განყოფილება)

სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობების შემდეგ, კოლმეურნეობების ჩამოყალიბებისთანავე, დაიწყო ბეჟანიძეთა მიწების ჩამორთმევა, შენობა-ნაგებობების რეკვიზიცია და კონფისკაცია.

ამ უსამართლობის ნათელსაყოფად მრავალი მაგალითის მოტანა შეიძლება, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ერთზე შევჩერდებით.

1923 წლის დასაწყისში ქედის ცენტრში, საბჭოთა ჯარების მუდმივ დისლოკაციასთან დაკავშირებით, სამაზრო აღმასკომს დაევალა წითელარმიელებისათვის შენობის გამოყოფა. ბუნებრივია, ახალ შენობას ვერავინ ააშენებდა, ამისათვის არც თანხები ჰქონდათ, ამიტომ თვალი დაადგეს ზენდიდელ აბდულ-ბეგ ბეჟანიძის სახლსა და დედე-ბეგ ბეჟანიძის ყავა-ხანას. დასაწყისში აბდულ-ბეგის მემკვიდრეს ხუსეინ-ბეგს ჩამოართვეს ერთი ოთახი, ხოლო დედე-ბეგს მთლიანად ყავა-ხანა. ჯარისკაცებისათვის საფერშლო პუნქტი გახსნეს ვინმე მუსტაფა ყარა-ახმედოღლის ორ ოთახში.[182]

რეკვიზიციები დაიწყო ბათუმშიც. თულუმბა-ზადე ბეჟანიძის შენობა, ახლანდელი მემედ აბაშიძის ქუჩის №7-ში, 40 კვ. მ. ფართობი, გადასცეს სხვა პირებს: ნ. მ. გაბუნიას და ნ. ვ. აიდინიანს, რომელშიც ისინი 1929 წელსაც ცხოვრობდნენ.ერთი წლის შემდეგ აბდულ-ბეგ თულუმბა-ზადე ბეჟანიძის კუთვნილი 1783 მანეთად ღირებული ერთსართულიანი ქვის შენობა, სადაც მაღაზია იყო გახსნილი, გასაყიდად საჯარო აუქციონზე გაიტანეს, ამის შესახებ წინასწარ გაზეთებში გამოაქვეყნეს განცხადება, მაგრამ, როგორც ფინაგენტი ივანე შარაშიძე იტყობინება, მყიდველები არ გამოცხადდნენ, რის გამო შენობის გაყიდვა კვლავაც გადაიდო.[183]

მიუხედავად ამისა, მონსტრს უკან არ დაუხევია. 1931 წლის 20 ივნისის ოქმით ბეჟანიძეებს ქუთაისის და ახლანდელი მემედ აბაშიძის ქუჩაზე მდებარე ხუთი მაღაზია, 102 კვმ საერთო ფართით ჩამოართვეს და კომუნალურ განყოფილებას გადასცეს. ამიერიდან ამ შენობების და 15,5 კვ. საჟენი მიწის მფლობელი ქალაქის საბჭო გახდა.

ბეჟანიძეთა მიმართ დაწყებული ძალმომრეობა ამით არ დამთავრებულა. 1931 წლის დეკემბერში გარდაიცვალა აბდულ-ბეგ ბეჟანიძის ქვრივი რუხსეთი. ადგილობრივმა ადმინისტრაციამ მაშინვე კონტროლი დააწესა მის ორსართულიან სახლზე დაბა ქედაში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ სახლის ერთ ნაწილში წითელარმიელები შეასახლეს, მეორე ნაწილი კი ამჯერად მთლიანად რაიონის მუშა-მოსამსახურეებმა დაიკავეს. რუხსეთ ბეჟანიძესთან ფორმალურად დაიდო საიჯარო ხელშეკრულება, მაგრამ მას ქირას არ უხდიდნენ. მისი გარდაცვალება საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ეს ხელშეკრულება მექანიკურად გაეუქმებინათ და შენობის ფაქტობრივ მეპატრონედ სოფლის საბჭო გამოეცხადებინათ. არავის მოსვლია აზრად, მოენახათ გარდაცვლილის მემკვიდრეები, რომლებიც არცთუისე ცოტანი იყვნენ.

ქედის რაიონის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი, ერთი მოწმის თანხლებით, 1932 წლის 17 აპრილს გამოცხადდა ბინაში და აღწერა ავეჯი, ჯამ-ჭურჭელი, აგრეთვე ორ-სართულიანი ქვისა და ხის შენობა, სულ 11 ოთახი, 3 780 კვ. მ. ეზო და ბაღ-ბოსტანი, 2 400 კვ. მ. ფართობი სოფელ ზენდიდში, ტყეები და საძოვარ-სათიბები, სულ 30,500 კვ. მ. ფართობი, რომელიც აღმწერლების თქმით, „ეკუთვნის ხუსეინ-ბეგს, ე. ი. რუხსეთ ბეჟანიძის ნათესავს“-ო. სინამდვილეში ხუსეინ-ბეგი რუხსეთის და აბდულ-ბეგ ბეჟანიძის არა უბრალოდ ნათესავი, არამედ კანონიერი შვილი იყო და იმ დროისათვის ბათუმში ცხოვრობდა.

იმავე წლის მაისში ხუსეინ-ბეგ ბეჟანიძის მიწის ნაკვეთი გადაეცა საზოგადოებრივი კვების განყოფილებას „საგარეუბნო მეურნეობის მოსაწყობად.“[184]

ქონების მეპატრონემ არ დააყოვნა და მაშინვე შეიტანა საჩივარი აჭარის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში, ქონების უკანონოდ ჩამორთმევის თაობაზე, მაგრამ უარი მიიღო. მოტივად დაასახელეს ის, რომ განმცხადებელი 10 წელი

ცხოვრობდა ქალაქში და სოფლის მეურნეობასთან კავშირი აღარ აქვს, დაასახელეს აგრეთვე საბჭოთა კოდექსის მუხლები, რომლის თანახმადაც მისი კომლიდან ამორიცხვა კანონიერი იყო, თუმცა არავის უფიქრია, რომ კომლთა სიაში ყოფნა და საკუთრების უფლება სულ სხვადასხვა ცნებები იყო. არც იმით დაინტერესებულან, რომ ამ დროს ბეჟანიძის სახლში მისი შვილიშვილები (ხუსეინ-ბეგის შვილები) ცხოვრობდნენ. სასოფლო საბჭოს დაევალა „გამოასახლოს ხუსეინ ბეჟანიძის შვილები, თუ კი აღნიშნულ პირებს არა აქვთ საცხოვრებელი ბინა, იმ შემთხვევაში დაუდვას ხელშეკრულება საიჯარო ქირის შესახებ,“[185] ესეც შენ. მამა-პაპის ფულით აშენებულ სახლში იცხოვრე, მაგრამ ბინის ქირა გადამიხადეო.

ასეთი გადაწყვეტილება სრულიად მიუღებელი იყო ბინის, მიწის და ქონების კანონიერი მფლობელებისათვის, ამიტომ ხუსეინ ბეჟანიძემ და შვილებმა თხოვნით მიმართეს სასამართლოს, მაგრამ ოჯახი მიჩნეულ იქნა კულაკურ ფენად, ხოლო „მაძიებლებს ხუსეინ, სკენდერ, თემურ, ფუმბულ, ნაიმე და ფადიმე ბეჟანიძეებს აღძრულ ძიებაზე გარდაცვალებულ რუხსეთ ბეჟანიძის დანაშთ უძრავ-მოძრავ ქონებაზე, მდებარე სოფ. ზენდიდში (ქედის რაიონი), რაც კომისიის მიერ შეფასებულია 26,780 მან., მემკვიდრეთ ცნობაზე უარი ეთქვათ და აღნიშნული ქონება გადაეცეს ქედის სოფ. საბჭოს თავის უფლება-წარმოებაში“ – ბრძანა რაიონის იმდროინდელმა თემიდამ.

საქმე გადავიდა ქ. ბათუმის გაერთიანებულ სახალხო სასამართლოში, რომელმაც, რატომღაც, მიიჩნია, რომ „რუხსეთ ბეჟანიძეს სარგებლობაში მიწა არ გააჩნდა, გარდა პატარა ეზოსი... გარდაცვლილის შვილი ხუსეინი გასაბჭოების დღიდან ქალაქ ბათუმში ცხოვრობს და არავითარი კავშირი არ ჰქონდა სოფელთან... ყოველივე საშუალებას ართმევს მას ცნობილ იქნას მემკვიდრეთ,“ მაგრამ სასამართლომ მხედველობაში მიიღო, „რომ შვილიშვილები მცირეწლოვანები, მოწაფეები არიან,არ შეუძლიათ მეურნეობის წარმოება და დაადგინა: რუხ-

სეთ ბეჟანიძის დანაშთ ქონებაზე მემკვიდრეთ ცნობილ იქნას მხოლოდ შვილიშვილები... ხუსეინ ბეჟანიძეს კი უარი ეყოს მემკვიდრედ ცნობაზე."[186]

ამგვარად, 3,5 ჰექტარი მიწიდან რუხსეთ ბეჟანიძის ხუთ შვილიშვილს სარგებლობაში დარჩათ მხოლოდ პატარა ეზო, ხოლო 2 სართულიან სახლზე გამოცხადდა ფორმალური მემკვიდრეობა. ფორმალური, რადგანაც დღემდე ამ სახლში სახელმწიფო ორგანიზაციებია განლაგებული.*

ჩვენთვის ცნობილია რაიონის და ოლქის ხელმძღვანელთა, ასევე სასამართლოების შემადგენლობის გვარ-სახელები, ვისაც გამოჰქონდა ასეთი უკანონო განაჩენები, მაგრამ მათი დასახელებისაგან ახლა თავს ვიკავებთ, რადგანაც მომდევნო წლებში თითქმის ყველა მათგანი რეპრესირებულ იქნა და ასევე ძალმომრეობის მსხვერპლი გახდა.

ბეჟანიძეთა ერთი ოჯახის ისტორია ასე ვრცლად შემთხვევით არ მოგვიტანია. ასეთი დრამატული თავგადასავალი მრავალ წარჩინებულ გვარს გადახდა. მატერიალურად და მორალურად ასევე განადგურდა აბაშიძეების, ხიმშიაშვილების, თავდგირიძეების, სურმანიძეების, შერვაშიძეების, ხიმშიაშვილების და სხვათა ოჯახები. ასეულობით დაქცეული და აწიოკებული ოჯახიდან ხუსეინ-ბეგ ბეჟანიძის ოჯახი ერთ-ერთი ტიპური მაგალითია. თუმცა სხვებისათვის ეს გვარი სხვა უფრო უარესი მოვლენების მაგალითიც გახდა. უარესი კი ის იყო, რომ ხელისუფლება არც ამას დასჯერდა და 1937 წელს, მასობრივი დაპატიმრებების დროს, ზენდიდელ და ჩაქველ ბეგთა თითქმის ყველა შთამომავალი ციხეებში ჩაყარა, ან ფიზიკურად გაანადგურა.

ახლა ძნელია ყველა რეპრესირებულის ჩამოთვლა. ჩვენ მხოლოდ ვიცით 1937 წელს დახვრეტილთა ვინაობა, უფრო

---

*2011 წელს აბდულ ბეჟანიძის მიერ აგებული ორსართულიანი შენობა დაანგრიეს, ხოლო კედლის მემორიალი მოხსნეს და იქვე მიატოვეს. იგი მონახა ავთანდილ ბეჟანიძემ, ზენდიდში აიტანა და ახლა ციხის ერთ-ერთ კედელთან დევს. რ. ს.

სწორად მათი გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების წელი და სადაურობა. აი ისინიც:

1. ბეჟანიძე ასლან ოსმანის ძე, დაბად. 1899 წ. ჩაქვი (მუხლი 58-10), – რეაბილიტირებულია სიკვდილის შემდეგ 1957 წ. 24. 09.

2. ბეჟანიძე ახმედ მემედის ძე, დაბად. 1875 წ. ზენდიდი.

3. ბეჟანიძე იბრაიმ ხასანის ძე, დაბად. 1867 წ. ზენდიდი.

4. ბეჟანიძე მურთაზ სეფერის ძე, დაბად. 1879 წ. ზენდიდი.

5. ბეჟანიძე სულეიმან ხოსროს ძე, დაბად. 1908 წ. ქობულეთი (მუხლი 58-2), რეაბილიტირებულია სიკვდილის შემდეგ, 1958წ. 24. 06

6. ბეჟანიძე სულეიმან ხულუსის ძე, დაბად. 1906 წ. ბათუმი.[187]

ჩვენი აზრით, დახვრეტილთა ეს სია არასრულია. არქივების დეტალურად შესწავლის შემდეგ, დარწმუნებული ვართ, დახვრეტილთა სიას კიდევ ბევრი დაემატება.

რეპრესირებულთაგან ვიცით კიდევ ერთის ვინაობა, რომელსაც სსკ მუხლით (58-2 და 58-11) 10 წლით პატიმრობა მიესაჯა. ესაა ბეჟანიძე ქამილ ხუსეინის ძე, დაბადებული 1889 წელს ქობულეთის მაზრაში, ალბათ ჩაქვში. რეაბილიტირებულია 1989 წლის 16 იანვარს.

დახვრეტილებს წაყენებული ჰქონდათ თითქმის ერთი და იგივე ბრალდება, პროპაგანდა და აგიტაცია, რომელიც შეიცავს საბჭოთა ხელისუფლების დამხობის მოწოდებას, რაც გათვალისწინებული იყო სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით, ზოგიერთის მიმართ წაყენებულ ბრალდებაში იგულისხმებოდა ქმედება, მიმართული დანაშაულის მომზადებისა და ჩატარებისათვის (ი. 58-11).

არცერთი მათგანი სასამართლოზე არ გაუყვანიათ, მათ არ ჰყავდათ დამცველები, ისინი მხოლოდ გამომძიებლებმა დაკითხეს, საშინელი წამებით მიიღეს მათგან ყალბი ჩვენებები, დაუპირისპირეს ასევე ნაწამები ცრუ მოწმეები, ხოლო განაჩენი გამოიტანა მაშინდელ შინსახკომთან არსებულმა ე. წ. „სამეულ-

მა.“ დახვრეტილთაგან უმრავლესობას საბრალდებო დასკვნა არც გააცნეს და, ბუნებრივია, ხელიც არ მოუწერიათ.

რეპრესიები არ ასცდათ ოჯახის წევრებსაც. ყველას ჩამოართვეს ქალაქის კომუნალური ბინები, სოფლად საკარმიდამო ნაკვეთები, ზოგი მათგანის მეუღლე, მცირეწლოვან შვილებთან ერთად, შუა აზიაში და ციმბირში გადაასახლეს, საიდანაც 1955 წლის შემდეგ დაბრუნდნენ.

სულეიმან ბეჟანიძე

ოცდაათიანი წლების რეპრესიების სისასტიკეზე მეტყველებს ბეჟანიძეთა გვარის ერთი ახალგაზრდა წარმომადგენლის, სულეიმან იუსუფის ძე ბეჟანიძის საარქივო საქმე, რომელიც ახლახან მივიღეთ საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური არქივიდან. სულეიმან ბეჟანიძე, დაბადებული 1906 წელს, ხულოს (შუახევის) რაიონის სოფელ მოფრინეთის მცხოვრები, საშუალო განათლებით, კომუნისტური პარტიის წევრი 1933 წლიდან, ხულოს რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, 1937 წელს 24-28 სექტემბერს გაასამართლეს ზექერია ლორთქიფანიძესთან, ჯემალ ქიქავასთან, გიორგი რამიშვილთან, ილიას მეგრელიძესთან, ქაზიმ ბასილაძესთან, ხასან ჩალოღლისთან, ოსმან რომანაძესთან და ოსმან ვანაძესთან ერთად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 51-Iა, 58-2, 58-9 და 58-11 მუხლებით. სულეიმან ბეჟანიძეს სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა მიუსაჯეს, რაც მეორე დღესვე სისრულეშიც მოიყვანეს.

აჭარის უშიშროების სახალხო კომისარიატში პატიმრები საშინლად აწამეს, რის გამო მათ თავი დამნაშავედ სცნეს, სხვების ბრალეულობაც დაადასტურეს, თითქოს მათ მძიმე სახელმწიფო დანაშაულში ედებოდათ ბრალი. ასევე აწამეს მოწმეები, რომლებიც იძულებულნი იყვნენ მიეცათ ყალბი ჩვენებები. 1957 წელს ამ მოწმეების განმეორებით დაკითხვისას მათ კატეგორიულად უარყვეს თავიანთი ადრინდელი ჩვენებები

სულეიმან ბეჟანიძე

და განმარტეს, რომ სასამართლოზე იძლეოდნენ წინასწარ მოფიქრებულ ყალბ ჩვენებებს, პროცესის წინ მოწმეები უშიშროების კომისარიატში გამოიძახეს, მისცეს პასუხების წინასწარ შედგენილი და გადაბეჭდილი ტექსტი და დაავალდებულეს 5 დღის ვადაში დაეზეპირებინათ და სასამართლოზე მიკროფონის წინ მოეხსენებინათ. საყურადღებოა, რომ ეს მოწმეები წინასწარი გამოძიების დროს არავის არ დაუკითხავს.

სასამართლო პროცესის დაწყებამდე უშიშროების, შინსახკომის და პროკურატურის მაშინდელი ხელმძღვანელები: გოგლიძე, ქობულოვი, ჯინჯოლია, კაპანაძე, აგრეთვე სასამართლოს თავმჯდომარე ჯინჭარაძე, არწმუნებდნენ განსასჯელებს, რომ დამნაშავედ ცნობა სასამართლოს წინაშე პარტიისა და მთავრობისათვის აუცილებელია. უფრო მეტიც, ამ საქმეზე განაჩენი წინასწარ შეადგინეს უშიშროების სახალხო კომისარიატის მუშაკებმა, ხოლო სასამართლოს თავმჯდომარემ ჯინჭარაძემ ის სასამართლოს მსვლელობის დროს გადაწერა და გამოაქვეყნა.

საყურადღებოა, რომ მოწმეები, ვინც თითქოს თავის ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებში ჩაითრია ზ. ლორთქიფანიძის ჯგუფმა, არ დაუპატიმრებიათ, რადგანაც დანაშაული არ ჩაუდენიათ, ხოლო თვით ამ ჯგუფის არცერთ წევრს თავი დამნაშავედ არ უცვნია, ისინი აცხადებდნენ, რომ კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში არავის გადაუბირებია.

1957 წელს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის წინადადებით, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭომ შექმნა სპეციალური კომისია სოფლის მეურნეობაში მავნებლობის საქმის შესასწავლად, რომელიც თითქოსდა 1934-37 წლებში ჩაიდინეს ზემოთ დასახელე-

ბულმა პირებმა. კომისიამ ასეთი დანაშაულის ვერცერთი ფაქტი ვერ დაადგინა, უფრო მეტიც, არცერთ ზემოხსენებულ პირზე და თვით სულეიმან ბეჟანიძეზე სსრკ, სსსრ და აჭარის ასსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტებში, შსს-ში და სახელმწიფო არქივში რაიმე მაკომპრომეტირებელი მასალა არ აღმოჩნდა.

აღნიშნულის გამო საქართველოს პროკურორის მოადგილე ა. გიგაური თავისი 1957 წლის 13 ნოემბრის პროტესტით თხოულობს 1937 წლის 24-28 სექტემბრის განაჩენის გაუქმებას და მათ მიმართ საქმის შეწყვეტას ბრალდების უსაფუძვლობის და მათს ქმედებებში დანაშაულის ნიშნების უარსებლობის გამო.

25 წლისა იყო სულეიმან ბეჟანიძე, როცა ხულოს რაიაღმასკომის თავმჯდომარედ დანიშნეს. შესანიშნავი ახალგაზრდა, ნიჭიერი ორგანიზატორი და ინიციატივიანი ხელმძღვანელი მთელი თავისი შეგნებითა და შესაძლებლობებით ემსახურებოდა თავის ხალხსა და ქვეყანას, მაგრამ ბოროტმა ძალებმა ის 31 წლის ასაკში გამოასალმეს წუთისოფელს და არც არავინ იცის, სადაა მისი განსვენების ადგილი.

1923 წელს სულეიმან ბეჟანიძემ ცოლად შეირთო ბათუმელი ზერა ხასანის ასული ჭიჭინაძე, რომელთანაც სამი შვილი: მერი, ნერიმანი, და სულეიმანი შეეძინა. ამ უკანასკნელზე ზერა ორსულად იყო. იგი მამის დახვრეტამდე (1937 წ. 29 ოქტომბერი) ოცდასამი დღით ადრე დაიბადა, თითქოს გულმა უგრძნო მოახლოებული უბედურება, დედამ მას მამის სახელი შეარქვა.

ზერამ დიდი ჯაფით გაზარდა სამი მცირეწლოვანი შვილი, ყველას სწავლა-განათლება მიაღებინა. განაწამები ქალი 1969 წ. გარდაიცვალა. 2005 წ. აღესრულა ნერიმანი, ხოლო 2010 წელს – სულეიმანი. ამჟამად ს. ბეჟანიძის შვილთაგან ცოცხალია მერი ბეჟანიძე – ქათამაძისა, რომელსაც 2012 წელს 80 წელი უსრულდება.

სულეიმან ბეჟანიძის ბიოგრაფიის დეტალების დაზუსტებაში დახმარება გამიწიეს მისმა შვილიშვილებმა (მერის შვილებმა) ვაჟა და ოთარ ქათამაძეებმა, რისთვისაც მათ გულითად მადლობას მოვახსენებ.

ბეჟანიძეები მეორე მსოფლიო ომში

ოცდაათიან წლებში, ბეჟანიძეთა მოწინავე წარმომადგენლების განადგურე-ბის შემდეგ, მათს ოჯახებში 15-18 წლის ბიჭები დარჩნენ, მაგრამ ოთხი წლის შემდეგ დაიწყო მეორე მსოფლიო ომი და უკვე გასაწვევ ასაკში შესული ჭაბუკები ქვეყნის დაცვის სამსახურში ჩააყენეს. ახლა ძნელია დაადგინო ამ გვარიდან რამდენი ახალგაზრდა გაიწვიეს, მაგრამ თუ თვალს გადავავლებთ ომში დაღუპულთა და უგზოუკვლოდ დაკარგულთა სიას, უნდა ვიფიქროთ, რომ გაწვეული სულ მცირე 70-მდე ბეჟანიძე უნდა ყოფილიყო.

მეორე მსოფლიო ომიდან არ დაბრუნებულა 14 ბეჟანიძე, აქედან ოთხი უგზო-უკვლოდ დაიკარგა, ხოლო ათი დაიღუპა საბრძოლო ოპერაციების დროს. ჩვენ ვიცით მათი სადაურობა, გვარი, სახელი და მამის სახელი, დაბადების და დაღუპვის წლები. აი ისინიც:

1. ბეჟანიძე უსუფ სულეიმანის ძე, ზენდიდი, დაბ. 1918 წ. დაიღუპა 1943 წ. დაკრძალულია დონეცკის ოლქის ქ. სლავიანოგორსკის სასაფლაოზე;

2. ბეჟანიძე თემელ ხუსეინის ძე, ზენდიდი, დაბად. 1916 წ. დაიღუპა 1941 წ.

3. ბეჟანიძე შევქეთ ახმედის ძე, ზენდიდი, დაბად. 1918 წ. უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

4. ბეჟანიძე დურსუნ სულეიმანის ძე, მახუნცეთი, დაბად. 1919 წ. უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

5. ბეჟანიძე ყედირ ხუსეინის ძე, მახუნცეთი, დაბად. 1909 წ. დაიღუპა 1941 წ.

6. ბეჟანიძე ახმედ ალის ძე, მახუნცეთი, დაბად. 1905 წ. დაიღუპა 1942 წ.

7. ბეჟანიძე მემედ რეჯების ძე, ქობულეთი, დაბად. 1912 წ. დაიღუპა 1941 წ.

8. ბეჟანიძე მუხამედ ახმედის ძე, ქობულეთი, დაბად. 1913 წ. დაიღუპა 1942 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

9. ბეჟანიძე სულეიმან ალის ძე, ქობულეთი, დაბად. 1914 წ. დაიღუპა 1942 წ.

10. ბეჟანიძე ჯემალ ხუშუტის ძე, ქობულეთი, დაბად. 1919 წ. დაიღუპა 1941 წ.

11. ბეჟანიძე ახმედ ინუსის ძე, უჩამბა, დაბად. 1920 წ. დაიღუპა 1944 წ.

12. ბეჟანიძე იდრის ალის ძე, უჩამბა, დაბად. 1919 წ. უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

13. ბეჟანიძე აბდულ ომერის ძე, თხილნარი, დაბად. 1920 წ. დაიღუპა 1942 წ.

14. ბეჟანიძე მურთაზ ომერის ძე, თხილნარი, დაბად. წ. უცნობია, უგზო-უკვლოდ დაიკარგა.[188]

15. ბეჟანაშვილი ასლან ისკენდერის ძე, სერჟანტი, გაწვეულია თბილისიდან, 1914-1942. უგზო-უკვლოდ დაიკარგა.*

მეორე მსოფლიო ომში ბეჟანიძეთა წვლილი მარტო მსხვერპლად შეწირული ახალგაზრდებით არ ამოიწურა. ზოგი მათგანი, კერძოდ: ხუსეინ, დავით, ბესარიონ, თეოფილე, სერგო, ასლან ბეჟანიძეები გადარჩნენ, ჩვენ კი სახეზე გვაქვს მათი გმირული ბრძოლების, ომში გამოჩენილი საზრიანობისა და თავგანწირვის ცოცხალი მაგალითები, დოკუმენტურად დადასტურებული ბიოგრაფიები (იხ. თავში „ქობულეთელი ბეჟანიძეები“), რომლებიც, დარწმუნებულნი ვართ, სამაგალითოდ იქცევა ჩვენი ახალგაზრდობისათვის, სწორედ ახლა, საქართველოს დამოუკიდებლობის ეპოქაში, როცა პატრიოტობა, მამულიშვილობა და მშობელი ერისა და სამშობლოს სიყვარული ორმაგ ფასს იძენს.

როგორც დაღუპული, ისე სასწაულებრივად ცოცხლად გადარჩენილი და დახეიბრებული გმირი ბეჟანიძეების სახელები ოქროს ასოებით ჩაიწერა მეორე მსოფლიო ომის დროს ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლების მატიანეში.

---

* სახელისა და მამის სახელის მიხედვით იგი სამუსლიმანო საქართველოდანაა, გასარკვევია მესხეთიდან თუ აჭარიდან. გვარი გადაკეთებული უნდა იყოს, შესაძლოა, კათოლიკური რწმენის მიღებასთან დაკავშირებით. რ.ს.

ე) ქობულეთელი ბეჟანიძეები

რაც შეეხება ქობულეთ-ხუცუბნის ბეჟანიძეებს, ზენდიდში ამის შესახებ ერთი საინტერესო მოსაზრება გამაცნეს: აქაური ბეჟანიძეთა მემკვიდრეების თქმით, ერთ დროს მტრებმა ალყაში მოაქციეს ზენდიდის ციხე, სადაც თავისი ჯარით ჩაკეტილი იყო ბეჟანიძეთა მაშინდელი მამამთავარი... ის მტერს არ დანებდა, მაგრამ როცა იგრძნო, რომ ციხეს აიღებდნენ, ციხე ააფეთქა და თავადაც დაიღუპა. მისი მეუღლე ორ ვაჟთან და ერთ გოგონასთან ერთად მტრებს სასახლიდან გაექცა და ერთგულ მხლებლებთან ერთად ხინოში ჩავიდა. აქედან ისინი ხუცუბანში გადავიდნენ ერთი ვაჟი იქ დამკვიდრდა, ხოლო მეორე ცოტა ხნის შემდეგ კვლავ ზენდიდს დაუბრუნდა.

ხუცუბანში დასახლებულმა ბეჟანიძემ სოფელ ქობულეთში შეიძინა მიწები, თავისი უმცროსი და გაათხოვა, სიძე კი ოჯახში მოიყვანა. ჩასიძებულმა მეუღლემ, რომელიც ასევე წარჩინებულ გვარს ატარებდა, ბეჟანიძეების გვარი მიიღო და მათი მემკვიდრეებიც დღემდე ამ გვარს ატარებენო.

ხუცუბნელ ბეჟანიძეებში დარჩენილია ხსოვნა, რომლითაც შეიძლება საკითხის კიდევ უფრო დაზუსტება; ირკვევა, რომ ბეჟანიძეთა პირველი წარმომადგენელი ზენდიდიდან ხინოში გადმოსულა 1600 წლის შემდგომ პერიოდში, მაშინ, როცა აქ ჯერ კიდევ ჰყვაოდა ქრისტიანული აღმსარებლობა. იმასაც ამბობენ, რომ ხინოს საყდარში ბეჟანიძეებს ლოცვის უფლება არ მისცეს, რადგანაც თვლიდნენ, რომ ისინი მოვიდნენ მხარიდან (ქვემო აჭარა), სადაც უკვე მკვიდრდებოდა მუსულმანური სარწმუნოება. ბეჟანიძეები იძულებულნი გახდნენ დიდი და პატარა საკუთარი ეკლესიები აეშენებინათ, რომელთა ნანგრევები სოფელ ცხემვანში დღესაც შემორჩენილაო.

გვარში დამკვიდრებული გადმოცემით ზენდიდელი ბეჟანიძეები დასაწყისში ცხემვანში დასახლებულან, საიდანაც დროთა განმავლობაში სოფელ სამებაში გადაინაცვლეს, ხოლო აქედან გაიფანტნენ ქობულეთის სხვა სოფლებში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დარჩენილია ხსოვნა, რომლის მიხედვით სამებაში ახმედ-ბეგ ბეჟანიძე დასახლებულა. მისი პირველი შვილის მემედის შთამომავალი იყო სულეიმანი, რომლის ნამრავლი არიან სამებელი ბეჟანიძეები.

ქალაქ ქობულეთში მცხოვრები ბეჟანიძეები ალის და ახმედის ნამრავლი არიან, ხოლო გადმა სამებაში და ბობოყვათში ხასანის შთამომავლები დასახლდნენ.

სულეიმანაღა ბეჟანიძის საფლავის ქვა ბეჟანიძეთა საგვარეულო საფლაოზე სოფელ სამებაში. 1820–1893 წ.

ზემოთდასახელებული მემედის შვილის დურსუნის ვაჟები ხუსეინი და ალი მე-19 საუკუნის 80-იან წლებში მუჰაჯირად წასულან ოსმალეთში.

ახმედ-ბეგ ბეჟანიძის მეორე შვილის, მუხამედის ვაჟის, ყარსუმ ბეჟანიძის ნამრავლი სოფელ გვარაში, აჭში, ქაქუთსა და მუხაესტატეში ცხოვრობენ. მუხამედის მეორე შვილის უსუფის შთამომავლობა სოფელ კვირიკეში დამკვიდრდა.

ახმედ-ბეგის მესამე შვილის ოსმანის ვაჟია ალი, ხოლო ალის შვილები იყვნენ რეჯები და ხასანი. მათი შთამომავლები ამჟამად ხუცუბანსა და ზენითში ცხოვრობენ.

ერთ-ერთი ბეჟანიძე, სახელად ალი ციხისძირში დასახლდა. მისი ვაჟი იყო ოსმანი, რომლის ნამრავლი ამჟამად სოფელ კოხსა და ქალაქ ქობულეთში, ხოლო ალის ვაჟის ისმაილის ნამრავლი ამჟამადაც ციხისძირში ცხოვრობენ.

სოფელ ქობულეთში პირველად დურსუნ ბეჟანიძე დასახლებულა. მისი ვაჟების რეზმანისა და ქიბარის შთამომავლები

სოფელ ქობულეთსა და ქალაქ ბათუმში ცხოვრობენ, ხოლო დურსუნის შვილი სულეიმანი მუჰაჯირობის დროს ოსმალეთში წასულა.

ყოველივე ზემოთქმული ზეპირგადმოცემაა, მაგრამ მას სიმართლის პრეტენზია აქვს, თუმცა არ არის გამაგრებული ისტორიული საბუთებით. ჯერჯერობით შედარებით მართებულად მიჩნეულია ზაქარია ჭიჭინაძის მიერ მოწოდებული ცნობები, რომლებიც მან მე-19 საუკუნის ბოლოს შეაგროვა თვით ბეჟანიძეთა ოჯახების ხანდაზმულ წარმომადგენლებში. მათ კარგად ახსოვდათ თავისი გვარის ისტორიაც და ცალკეული პიროვნებებიც.

ქობულეთელი ბეჟანიძეები ზოგჯერ ბეჟიოღლებად არიან მოხსენიებული. ისტორიულ დოკუმენტებში შეგვხვდა სოფელ აჭის მცხოვრები სულეიმან ბეჟი-ოღლი (ბეჟანიძე), რომელიც მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ერთ-ერთ მოწინავე პიროვნებად ითვლებოდა ქობულეთში. ცნობილი იყო სანდო და პოპულარულ კაცად, ამიტომ მას ხშირად ვხედავთ, როგორც შუამავალს ხალხსა და მთავრობას შორის.

1847 წლის 20 ოქტომბერს სულეიმან ბეჟანიძე (ისმაილ გოგიტიძესთან და ალი ჩალოღლისთან, აგრეთვე სიმონ, გიორგი და კონსტანტინე თაყაიშვილებთან ერთად) ოზურგეთის სასამართლოს წინაშე შედის შუამდგომლობით, რათა მათი თავდებობით გაათავისუფლონ მემია კვესიეშვილი და ალი მახარაძე. შუამავლები კისრულობენ მათს წარდგენას სასამართლოს მოთხოვნილებისთანავე, წინააღმდეგ შემთხვევაში თანახმა არიან პატიმრებზე განსაზღვრული სასჯელის ვადა ციხეში თავად გაატარონ.[189]

უსუფ ბეჟიოღლი-ბეჟანიძე

მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ქობულეთში სახელგანთქმულ პირთა შორის მოიხსენიება უსუფ ბეჟანიძე, რომელიც ცხოვრების უკუღმართობამ ფირალად აქცია, მაგრამ ხალხში ჭეშმარიტი რაინდის და გაჭირვებულთა მფარველის სახელი მოუხვეჭა. საყურადღებოა, რომ ფირალობაში გატარებული მთელი სიცოცხლის მანძილზე უსუფი საკუთარ სოფელს აფარებდა თავს, ხალხსაც ხვდებოდა, მათთან ერთად კიდეც ლოცულობდა, მაგრამ მის შეპყრობას ანდა მასზე თოფის სროლას ვერავინ ბედავდა. იგი არ ეპუებოდა ისეთ დიდ და გავლენიან პირებს, როგორებიც იყვნენ ხასან-ბეგ და მურად-ბეგ თავდგირიძეები.

საოცრად გულადი და გაბედული უსუფ ბეჟანიძე ზედმეტად ამაყი, სასტიკი და ულმობელი იყო პირადი მეტოქეების, მტრებისა და ხალხის ამწიოკებლების მიმართ. მათ პირველი შეხვედრისთანავე ფიზიკურად უსწორდებოდა და როგორც ამბობდნენ 23 კაცი ჰყავდა მოკლული. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ საკუთარ მტრებსაც ზოგჯერ ინდობდა, თუ მათ ვაჟკაცურ და რაინდულ საქციელს შეამჩნევდა. ერთი მათგანი მას გადაურჩა მხოლოდ იმით, რომ ოჯახის წევრებთან უსუფის მიმართ არათუ აუგი წამოსცდენია, არამედ პირიქით, უსუფი ვაჟკაცად მოუხსენებია. მეორე შემთხვევაში, სულეიმან მიქელაიშვილის მოსაკლავად შემართული ხანჯალი უსუფს ქარქაშში ჩაუგია, რადგანაც ოჯახის დიასახლისი სასტუმრო ოთახში პირახდილი შესულა და უსუფისათვის უთქვამს, შენ ჩემი შვილი, მე კი დედა ვარ და მაპატიე ამ კაცის სიცოცხლეო.

ამის შემდეგ უსუფსა და სულეიმანს შორის მტრობა გაგრძელდა, მაგრამ სულეიმანს გამოუჩენია სულგრძელობა და ტყეში მძინარე უსუფისათვის თოფი არ უსვრია, მხოლოდ ნიშანი დაუტოვებია. ამის შემდეგ ისინი დამეგობრებულან და ძმობაც შეუფიციათ.

უსუფ ბეჟანიძე 1852 წელს გარდაცვლილა საკუთარ სახლში ავადმყოფობით. სიკვდილის წინ ცოლს დაუბარა მტრებისაგან საიდუმლოდ დაესაფლავებინათ, რათა მკვდრისათვის არ ესროლათ და საფლავში მათი ტყვია არ ჩაჰყოლოდა.[190]

უსუფ ბეჟიოღლი-ბეჟანიძის ბიოგრაფიის მცირე დეტალები იკითხება ლექსში, რომელიც ზაქარია ჭიჭინაძემ ქობულეთში ჩაიწერა:

უსუფ ბეჟიოღლის ამბავი

ბატონის წყალობა მქონდა
ოთხი ქოშე ოდის ძელი,
უნდომობა შემეჩვია,
შიგ ვიწექი ბიჭი ძნელი.
სილადი შით ბევრი მქონდა,
კალევა და მაჭახელი.
ავდექ და კარს მივადექი
სად მოსულან ეს ობლები?
მურვანიძეს თოფი ვკარი,
გადავუგდე გუნდა ძველი,
ნაკაიძე გაიძახის,
ბეგო მოკვდი წყლის უსმელი.
წყალი მაქეთ ჩამოვიდა,
არ წამიხდინო ჭურჭელი.
შაბათი დილა გათენდა,
ვაითუ უნდომს მიდალატეს,
მომეხმარე ღმერთო შენცა,
ეზრაელი ჩამობრძანდა,
მაღლიდან მეძახის სელამს.
სული უნდა ამოვხადო
ნუღარ იქნევს მაგი ენას.
რიზმან აღავ, ჩემო ძიავ,
ნუ მიუშვებ დუშმანს ჩემსას,
სროლა იქნა საკვირველი,
უსუფისა დამცემელსა
ბიჭი უნდა დარჩეული
თოფის ცემა რომ შეიქნა,
ზოგი ვნახე გაქცეული.
იგი როგორ არ იცოდი
ფინთი, ოჯახდაქცეული
ოჭოფ უსუფსაც დაეცნენ
ალი ბეგისა ბიჭები,
ყურშუმ-ბარუთ დეელიენ,
ზედ მიაყარეს ჭინჭები.
ერთი ბიჭი მე ვიყავი,
მერქვა უსუფი სახელად,
უნდომობა შემეჩვია,
დავიკავე ფიშტო ხელად.
შემაჭრიან გულზე ნიშანს,
პაწაწინა დავუყვიროთ,
შვილებისთვის ლესენ ყამას,
მე მკვდარი და შენ ცოცხალი
მოგკიდებენ ზურგზე თრიმას.
წუხელ სიზმარში მესიზმრა,
მოდენიდნენ ძროხას ჩემსას,
იმას მკვდარიც კი ვეყოფი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრევლი მყავს მე დუშმანები
მდევან შესაჭმელა ჩემსა.
ხელით რომ ვეღარ მიზამეს,
დაღამდება, მივალ მისას,
სიცოცხლეში ვჭამდი სხვისას,
ვაბრუნებდი ხელში მუსას.

ამ ლექსით ერთგვარად ცხადი ხდება, რომ მისი მთავარი პერსონაჟები, თვით **უსუფი და ალი ბეგებად** მოიხსენიებიან, ხოლო **რიზმანს** აღის წოდება ჰქონია, რაც ერთგვარად ამაგრებს მოსაზრებას, ქობულეთელი ბეჟანიძეების ზენდიდიდან გადმოსახლებაზე.

ასლან ბეჟანოღლის ამბავი

მე ვარ ასლან ბეჟანოღლი, ყოლ ფირალში გარჩეული,
რომელი არი ჩემთანა, აღარ არი ჩურუქ-სუში:
თუ დამეცა მურად-ბეგი,* მეტად გაუწყრება ღმერთი.
შენ თუ ასი ბიჭი გახლავს, ჩემკენაა დიდი ღმერთი.
ყონახზე შემომესია, შიგნით ქე დავრჩი ტყვესავით
არა კაც არ გაწყენიეთ, ჩემთვის ვიჯექი მტრედსავით.
გასაჭირში მომეხმარეთ, ყველას გეხვეწეთ ღმერთსავით,
თხუთმეტამდე ბიჭი დამდევს არბათიოს მგლებსავით.
ბაბავ, ერთი შინ შემოდი, ქალი გარეთ გაიყვანე,
ნენეს სალამი მიმირთვი და უთხარი სიტყვაც თანა,
ბრევლი ქნილა ქვეყანაში საცოდავი ჩემისთანა.
მურად-ბეგ არ გეკადრება ჩემი ასე აზარება,
მეზობლებო დაუყურეთ, თოფი ნობეთით ვარდება,
თუ მოვკალი ბეჟანოღლი, აქვს სილაღი თავის ფასი,
აფხანაგობა თუ იცით, პაპუნაშვილს წყალი ასვით.
მოიგონა ყირსარდლობა, ჩემსას კარის ძირში დავსვი,
ყაზახობა დაინახა, ავუტირე დედა მისი.[191]

*ეს მურად-ბეგ თავდგირიძე უნდა იყოს.

აღარ შევეხები ლექსების შინაარსს და ხარისხს. ორივე მათგანი კონკრეტული პიროვნებების, იუსუფ ბეჟიოღლი-ბეჟანიძის და ასლან ბეჟანოღლი-ბეჟანიძის მღელვარე ცხოვრებას და სიცოცხლის აღსასრულს შეეხება.

ლექსების მთავარი პერსონაჟები სათაურშია გამოტანილი. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ავტორებიც ბეჟანიძეთა გვარის წარმომადგენლები არიან, ლექსები კი იუსუფისა და ასლანის დაღუპვის შემდეგ უნდა იყოს შეთხზული.

ხასან ბეჟიოღლი-ბეჟანიძე სტუმართმოყვარეობით და რაინდობითაც გამოირჩეოდა. მის სახლს ხშირად თავს აფარებდნენ მთავრობის უსამართლობას განრიდებული აბრაგები. ეს ოჯახი ყველაზე სანდოდ მიაჩნდათ. ერთ-ერთი ასეთი სტუმრობის ეპიზოდს 1882წ. ასახავს გაზეთი „დროების“ ანონიმი კორესპონდენტი „ქობულეთელი.“ ცნობილი ფირალი კვესიეშვილი თავს აფარებდა ხასან ბეჟიოღლის სახლს. ამ დროს მთავრობის გამოგზავნილმა ჯინჭარაძემ, გელაძემ და ზოიძემ შენიშნეს, რომ დაიარაღებული კვესიეშვილი დიასახლისს ელაპარაკებოდა. მათ მოინდომეს მისი შეპყრობა, მაგრამ გაექცათ, თან დაუძახა: რუსებს გამოვექეცი, თქვენთვის არაფერი დამიშავებია და თავი დამანებეთო, მაგრამ იმათ არ მოუსმინეს და სროლა ატეხეს. კვესიეშვილმა მოგერიების მიზნით მდევრებს ესროლა და გელაძე შემოაკვდა, ხოლო ჯინჭარაძე დაიჭრა. მხოლოდ ამის შემდეგ შემოეცალა ზოიძე.[192]

მართალია, ბეჟანიშვილებთან შეფარებულმა კაცმა მისდაუნებურად მძიმე დანაშაული ჩაიდინა, მაგრამ მასპინძელმა, როგორც სტუმარ-მასპინძლობის წესი მოითხოვდა, სტუმრის მხარე დაიჭირა და მათთან თავშეფარებულ კაცზე თავდასხმისათვის დაზარალებულებს საყვედური შეუთვალა.

ზაქარია ჭიჭინაძე აღწერს ქობულეთში სკოლების საჭიროებას და აღნიშნავს, რომ ამ საქმეს ჰყავს მრავალი მომხრე და მხარის დამჭერი: „სხვათა მრავალთა შორის, რომელნიც მუდმივ მფარველობასა და თანაგრძნობას აღმოუჩენენ სკოლას,

დავასახელებ შემდეგ თვით იმათისავე თხოვნით და დავალებით: 1) გულო-აღა კაიკაციშვილი; 2) ხასან თხილოღლი; 3) ალი თხილოღლი; 4) ზაბით მოწყობილი; 5) სულეიმან მჟავანაძე; 6) დედი-აღა თხილოღლი; 7) არიფ-აღა დადიან-ოღლი; 8) მეჰმედ ბაჯელიძე; 9) სულეიმან ბეჟიოღლი; 10) არიფ-აღა გრძელიძე; 11) ფერათ-აღა საბელოღლი; 12) ახმედ უზუნ ომეროღლი; 13) ყურშუმ-აღა ჭყონია; 14) ახმედ-აღა რუსიოღლი; 15) უსეინ-აღა კაპიტ-ოღლი; 16) ახმედ-აღა ბეჟიოღლი და მრავალნი სხვანი.“

ამგვარად, ქობულეთში სკოლის გახსნის 16 ინიციატორს შორის ორი ბეჟიოღლი- ბეჟანიძეა: სულეიმანი და ახმედი. ზაქარია ჭიჭინაძისავე თქმით, „ესენი დიდს ნატვრას, დიდს სურვილს და თანაგრძნობას აცხადებენ. თუ აქ, ქობულეთში ქართველ მაჰმადიანებისათვის სკოლა დაარსდა, ამის შესახებ „წერა-კითხვის საზოგადოებასაც“ მიუვა თხოვნა და იმედი აქვთ, რომ უყურადღებოდ არ დასტოვებენ ჩვენს განათლების საქმეს, ჯეროვანს თანაგრძნობას აღმოუჩენენო.“[193]

სამწუხაროდ, აქ დასახელებული ბეჟიოღლი-ბეჟანიძეების ბიოგრაფიები ჩვენთვის უცნობია. საშუალება გვაქვს, მკითხველს მხოლოდ ჩვენს თანამედროვე ბეჟანიძეთა რამდენიმე წარმომადგენელზე ვესაუბროთ.

მუხამედ ბეჟანიძე

ბოლო წლებში აღმოჩენილ ისტორიულ დოკუმენტებში ხშირად ვხვდებით მე-20 საუკუნის დასაწყისის აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეს, მუხამედ ბეჟანიძეს.

ის წარმოშობით სოფელ კვირიკედანაა. მისმა ერთ-ერთმა ვაჟმა უსუფმა იქვე განაგრძო ცხოვრება, ხოლო მეორე ვაჟი ყარსუმი გვარაში გადავიდა. ამ სოფლების ბეჟანიძეთა მთელი მოდგმის მამამთავარი მუხამედ ბეჟანიძეა.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ოთარ გოგოლიშვილმა მიაკვლია საბუთებს, რომლებშიც ნათლად ჩანს რუსეთის

ხელისუფლების დაინტერესება, გაეგო მსოფლიო ომის მიმდინარეობის დროს, ვის მხარეზე დადგებოდა აჭარის მოწინავე და მაღალი ფენის წარმომადგენლები. როგორც ირკვევა, კავკასიის მეფისნაცვალი უნდობლად ეკიდებოდა საქართველოს მუსულმან მხარეებში მცხოვრებ თავადაზნაურობის წარმომადგენლებს. ამის საპასუხოდ ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორმა 1914 წლის 24 მაისს მეფისნაცვალს გაუგზავნა წერილი, რომელშიც ყურადღება გამახვილებულია აბაშიძეების, ხიმშიაშვილების და ბეჟანიძეების ორიენტაციაზე. გამოთქმულია ეჭვი ამ გვარების წარმომადგენელთა ოსმალებისაკენ გადაბირებაზე. ამ ეჭვებმა საკმაოდ სერიოზული ხასიათი მიიღო, რის გამო იმავე წლის 8 სექტემბერს ბათუმში მოიწვიეს საგანგებო სხდომა, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდნენ ადგილობრივი ბეგები. მათ დაასაბუთეს, რომ ეს ეჭვები უსაფუძვლოა. სხდომაზე ჯემალ-ბეგ ხიმშიაშვილთან და ენვერ აბაშიძესთან ერთად გამოვიდა მუხამედ ბეჟანიძე, რომელმაც დამსწრეთ განუმარტა ოსმალეთში მოსახლეობის გადასახლების მიზეზი და აღნიშნა, რომ ეს სრულიადაც არ ნიშნავს ქვეყნის ღალატს. ხშირი მოგზაურობის ერთ-ერთი მიზანია ნათესავებისა და მოყვრების მონახულებაა, აჭარელი ბეგები იყვნენ და იქნებიან თავისი სამშობლოს ერთგულნი და ვერავითარი გარემოება მათ ამ პოზიციას ვერ შეაცვლევინებსო.

როგორც ჩანს, ამ გამოსვლებმა გარკვეულად შეცვალა ცარიზმის მესვეურთა აზრი. ამასთან ისინი შეეცადნენ თავადაც ხელი შეეწყოთ ადგილობრივი აღა-ბეგების დაახლოებაზე, რისთვისაც ბათუმის ოლქის ხელმძღვანელობამ 1914 წლის დეკემბერში სპეციალური შეხვედრა მოაწყო. ეს შეხვედრა მთლიანად მიეძღვნა ბეგების წახალისებას. ზოგს სამხედრო ჩინი უბოძეს, ზოგს მედალი, საპატიო სიგელი და ა. შ. საპასუხო სიტყვებით გამოსულან: ჯემალ ხიმშიაშვილი, მამუდ ბიბინ-ზადე, ხუსეინ წულუკიძე, ოსმან აბაშიძე, აგრეთვე ბეჟანიძეთა გვარის ორი წარმომადგენელი: ხასან ბეჟანიძე და ხამდი ბეჟანიძე.[194]

მუხამედ ბეჟანიძე ქობულეთის სოფლებში განათლებისა და სკოლების გახსნის პროპაგანდისტადაც გვევლინება.

პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ რუსეთის ხელისუფლება ბათუმის ოლქის ინტელიგენციას დაერია. პირველ რიგში იერიში მიიტანეს უცხოელ სპეციალისტებზე, შემდეგ იმ დროს ოლქში მყოფ ქართველ მოღვაწეთა ჯერი დადგა, განსაკუთრებული მეთვალყურეობა დაწესდა მასწავლებლებზე, რომლებიც აჭარის სოფლებში აქა-იქ გახსნილ სკოლებში მოღვაწეობდნენ.

1916 წლის 21 სექტემბერს კავკასიის მეფისნაცვალმა ბათუმის ოლქის გუბერნატორს გაუგზავნა საიდუმლო წერილი, რომლითაც მას ევალებოდა ხელი შეეშალა მასწავლებლებისათვის, სასწავლო-საგანმანათლებლო საქმიანობაში. ამისათვის გამოეყენებინა ადგილობრივი მაჰმადიანი ქართველები. ასეთი მზაკვრული პოლიტიკა ქმნიდა ქართველ თანამოძმეთა დაპირისპირების საშიშროებას. ამაზე თავის შეშფოთებას გამოთქვამდა გაზეთი „საქართველო“ (1916 წლის ოქტომბერი), რომლის პუბლიკაცია ჩაწერილია აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივის საბუთებში.[195]

რუს შოვინისტთა ამ გამოხდომას გამოეხმაურნენ ადგილობრივი პატრიოტები: ენვერ ქათამაძე, ხუსეინ თხილაიშვილი, ალი კომახიძე, დურსუნ ტაკიძე და სხვ. მათ შორისაა აგრეთვე მუხამედ ბეჟანიძე, რომელმაც თავისი შვილები ქართულ სკოლაში გაგზავნა.

ქობულეთელთა ასეთ აქტიურობას შოვინისტებმა რეპრესიებით უპასუხეს. მათ 1916 წლის 26 ნოემბერს დააპატიმრეს ქობულეთელი ენვერ სურმანიძე მხოლოდ იმიტომ, რომ მან ხალხში გასწია აგიტაცია, რათა თავიანთი შვილები ქართულ სკოლაში წაეყვანათ და აუგად მოიხსენია ხელისუფლება, რომელიც სკოლებს ხელს უშლიდა ნორმალურ მუშაობაში. ენვერ სურმანიძის მხარდასაჭერად დაირაზმა ქობულეთის მოსახლეობა. მათ საპროტესტო წერილი გაუგზავნეს ბათუმის

გენერალ-გუბერნატორს, დაუმორჩილებლობით დაემუქრნენ და მიზანსაც მიაღწიეს. ენვერ სურმანიძე პატიმრობიდან გაათავისუფლეს. საპროტესტო გამოსვლებში სხვებთან ერთად აქტიურობდა მუხამედ ბეჟანიძეც.[196]

მუხამედ ბეჟანიძის საზოგადოებრივ საქმიანობასთან ერთად ჩვენთვის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ის გარემოებაც, რომ ის მიკუთვნებულია აჭარის მაღალ ფენას, ბეგურ გვარს და საზოგადოების წინაშე გამოდის ხიმშიაშვილებთან, ბიბინეიშვილებთან, აბაშიძეებთან, წულუკიძეებთან და სხვა წარჩინებულ გვარებთან ერთად. ამითაც გარკვეულწილად დასტურდება ბეჟანიძეთა თავადური გვარის ერთი ძირიდან წარმომავლობა.

იუსუფ ბეჟანიძე

ჩვენი დროის უხუცეს ბეჟანიძეთა შორის საზოგადოებაში გამორჩეული ადგილი ეკავა და დიდი ავტორიტეტითაც სარგებლობდა იუსუფ დურსუნის ძე ბეჟანიძე. ის სოფელ ქობულეთიდან იყო. დაიბადა 1886 წელს. ჰყავდა სამი ძმა: მურადი, სკენდერი და სულეიმანი და ორი და: რუქიე და ჰუნქარი.



იუსუფ ბეჟანიძე

მართალია, ოჯახში კარგად ახსოვდათ თავიანთი მაღალი წარმომავლობა, მტკიცედ იცავდნენ ტრადიციებსაც, მაგრამ ისიც კარგად იცოდნენ, როგორ დაკარგეს პრივილეგიები და ახლა მხოლოდ შეძლებულ გლეხებად ითვლებოდნენ.

იუსუფ ბეჟანიძე ადრიდანვე დაეუფლა წერა-კითხვას, რაც გარკვეულად უადვილებდა ცხოვრებას, თანაც იცოდა წიგნიერების ფასი და არც

არავის გაკვირვებია, როცა სოფელ ქობულეთში ახლადგახსნილ სკოლას საკუთარი სახლი დაუთმო და მასწავლებელ ფირცხალ-აიშვილს ბინაც იქვე რომ მისცა.

იუსუფ ბეჟანიძე სხვა მამულიშვილური საქმეებითაც გამოირჩეოდა. 1921 წელს მდინარე კინტრიშზე ქვის თაღიანი ხიდის მშენებლობა დაიწყეს. სოფელში ხიდის ოსტატები არ იყვნენ, ამიტომ ისინი სხვა მაზრებიდან მოიწვიეს. მათი სურსათით მომარაგება სოფლის მოსახლეობამ იკისრა. საჭირო იყო ოსტატის რამდენიმე წლით ბინით უზრუნველყოფაც. ამ დროს იუსუფ ბეჟანიძე თემსაბჭოს თავმჯდომარე იყო, გზის ოსტატებს სწორედ მან დაუთმო საკუთარი სახლი და სამი წლის განმავლობაში ისინი მასთან სრულიად უსასყიდლოდ ცხოვრობდნენ. ხშირად სურსათით მომარაგებაც ფერხდებოდა, რის გამო ეს ტვირთიც იუსუფ ბეჟანიძის ოჯახს აწვებოდა.

ქობულეთის რაიაღმასკომი. მარცხნიდან: 1. მემედ გეგიძე, 4 – ახმედ დუმბაძე. 5- იუსუფ ბეჟანიძე (დგას). 6 – დურსუნ შავიშვილი (თავი მოიკლა). კედელზე ი. სტალინის და მ. გოგიბერიძის სურათები ჰკიდია. 15 მაისი, 1929 წ.

მომდევნო წლებში იუსუფ ბეჟანიძე იყო ქობულეთის მაზრის სატყეო მეურნეობის დირექტორი. მართალია, მას სპეციალური განათლება არ ჰქონდა, მაგრამ სოფლის და საკუთარი მიწა-წყლის კარგად მცოდნე, შესანიშნავად უძღვებოდა დაკისრებულ მოვალეობას. მალე ქობულეთში ჩამოვიდა ამ დარგის სპეციალისტი, ბ. ჩიმაკაძე, რომელსაც იუსუფმა სიამოვნებით დაუთმო პოსტი, ხოლო თავად რიგით მეტყევედ გადავიდა. მისი სამოქმედო ტერიტორია ყველაზე საპასუხისმგებლო უბანი იყო, მთელი კინტრიშის ხეობა, ქობულეთიდან ხინომდე.

იუსუფ ბეჟანიძე ერთ-ერთ პროგრესულ პიროვნებად ითვლება მთელს აჭარაში. მან ერთ-ერთმა პირველმა გამართა მცირე ჰიდროელექტროსადგური, რომლითაც უსასყიდლოდ სარგებლობდა ყველა, რამდენსაც გასწვდებოდა მისი ძალა.

იუსუფ ბეჟანიძის მეუღლე თუნთულ იუსუფის ასული მეგრელიძე ქობულეთში ცნობილი სასულიერო პირის, მურად მეგრელიძის და, იმ დროისათვის საკმაოდ განათლებული, გონიერი და ენამოსწრებული ქალბატონი იყო. თავის შვილებს და სხვებსაც წერა-კითხვა სწორედ თუნთულმა შეასწავლა ჯერ კიდევ მაშინ, როცა სოფელში სკოლა არ იყო.

იუსუფსა და თუნთულს ჰყავდათ 6 შვილი: სამი ქალი და სამი ვაჟი. ერთი ვაჟი ადრე სტუდენტობის ასაკში გარდაიცვალა. საკუთარ შვილებთან ერთად ამ ოჯახში სამი ობოლი ძმისშვილიც იზრდებოდა: რამიზი, ხუსეინი და მურადი.

იუსუფ ბეჟანიძემ საკუთარ შვილებთან ერთაბ მათ მიაღებინა უმაღლესი განათლება. ერთმა მათგანმა ხუსეინ ბეჟანიძემ, აჭარაში ერთ-ერთმა პირველმა მიიღო სამხედრო განათლება. მის შესახებ დაწვრილებით ქვემოთ ვისაუბრებთ. მურადმა უმაღლესი საინჟინრო განათლება ბაქოში მიიღო.

ბეჟანიძის საინჟინრო განათლებას ახალ, 1935 წელს საგანგებო წერილი მიუძღვნა გაზეთმა „საბჭოთა აჭარისტანმა:“ „სოფლის დაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ იგი (მურად ბეჟანიძე, რ. ს.) შევიდა აჭარისტანის პედაგოგიურ ტექნი-

კუმში, უკანასკნელ კურსზე ყოფნის დროს, 1928 წელს პარტიის საოლქო კომიტეტის მიერ იგი გაგზავნილ იქნა ბაქოს ნავთის გადამამუშავებელ ქარხანაში. აქ მან კარგად შეისწავლა ნავთის წარმოების ტექნიკა და მალე ოპერატორის თანაშემწედ დანიშნეს, ხოლო 1930 წელს ოპერატორად გადაიყვანეს, სადაც ენერგიულად მუშაობდა საწარმოო გეგმის შესრულებისათვის.

1930 წელს მაისში მურადი დაბრუნდა ბათუმში, სადაც ნავთის გადამამუშავებელ ქარხანაში იწყებს მუშაობას ოპერატორად. აქ ის მიემაგრა ინჟინერ ლენდს, მიიღო საკმაო ცოდნა და გამოცდილება. ახლა მურად ბეჟანიძე №2 ქარხნის დამკვრელი მორიგე ინჟინერია. ცოდნის შეძენისა და შრომისადმი უანგარო სიყვარულით გახდა იგი მორიგე ინჟინერი, საბჭოთა კავშირის მოწინავე ხელმძღვანელი.

...იგი თავს დასტრიალებს თავის ქარხანას, ენერგიულ დახმარებას და ხელმძღვანელობას უწევს მუშებს. ქარხანამ საწარმოო გეგმა ვადამდე და გადაჭარბებით შეასრულა... იგი დიდ საზოგადოებრივ მუშაობასაც ეწევა.

საწარმოო გეგმების შესრულებისათვის, დამკვრელური და საზოგადოებრივი მუშაობის ენერგიულად გაშლისათვის ამხ. მურადი 1934 წლის განმავლობაში 4-ჯერ არის დაჯილდოებული ქარხნის სამკუთხედის მიერ.

ბათუმის ნავთის გადამამუშავებელი ქარხნები ამაყობენ ამხ. მურად ბეჟანიძის გმირული შრომით...“.[197]

ხუს. ა-ძე[197]

ისკენდერ ბეჟანიძე

ჩვენ ზემოთ გაკვრით ვახსენეთ გაზეთ „ფუხარა“-ს ერთერთი აქტიური კორესპონდენტი ისკენდერ ბეჟანიძე. ჩვენთვის მაშინ სრულიად უცნობი იყო ამ პიროვნების ბიოგრაფია, სადაურობა და მოღვაწეობა, ახლა კი ზოგი რამ ხელთა გვაქვს ამ ხარვეზის შესავსებად, რასაც მკითხველსაც ვთავაზობთ.

ისკენდერ ბეჟანიძე
(მეორე პიროვნება უცნობია)

ისკენდერ სულეიმანის ძე ბეჟანიძე 1887 წელს დაბადებულა სოფელ სამებაში. ამ სოფელში დღესაც არიან ხანდაზმული ადამიანები, რომელთაც ახსოვთ თვით ისკენდერი და იცნობენ მის ბიოგრაფიასაც.

შრომითი საქმიანობა სრულიად ახალგაზრდა, 15 წლის ჭაბუკს, ისკენდერ ბეჟანიძეს დაუწყია ბათუმში, მანთაშევის ქარხანაში, სადაც აქტიურად ჩაბმულა მუშათა გამოსვლებში. აქ მან გაიცნო იოსებ ჯუდაშვილი, რომელთანაც მომდევნო წლებშიც ჰქონია ურთიერთობა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ისკენდერ ბეჟანიძე აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა. ჩვენ ხელთა გვაქვს 1927 წელს საკავშირო კომპარტიის აჭაროლქკომის მიერ გაცემული პარტბილეთი, რომლითაც ირკვევა, რომ



ВСЕСОЮЗНАЯ
КОММУНИСТИЧЕСКАЯ ПАРТИЯ
(БОЛЬШЕВИКОВ)
ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!
ПАРТИЙНЫЙ БИЛЕТ
№ 0875719
Фамилия
Имя и отчество
Год рождения 1887 г.
Время вступления в партию XI-1925 г.
Наименование организации, выдавшей билет
Личная подпись
Место фотографической карточки
М. П.
Секретарь
13 ... 1927 г.

საქართველოს
კომუნისტური პარტია
(ბოლშევიკებისა)
პროლეტარებნო ყველა ქვეყნისა, შეერიეთ!
პარტიული ბილეთი
№ 0875719
გვარი
სახელი და მამის სახელი
წელი დაბადებისა 1887
პარტიაში შესვლის დრო XI-1925
სახელწოდება ორგანიზაციის, რომელმაც გასცა ბილეთი
პირადი ხელის მოწერა
ბ. ა.
მდივანი
13 ... 1927 г.

ისკენდერ ბეჟანიძის პარტბილეთი

ისკენდერ სულეიმანის ძე ბეჟანიძე 1925 წლის სექტემბრიდან არის ბოლშევიკთა პარტიის წევრი, 1927 წელს არის უმუშევარი, ხოლო 1928 წ. თებერვლიდან აქვს ხელფასი 83 მანეთი და იხდის საწევრო გადასახადს, 83 კაპიკს. ამ დროს ისკენდერ ბეჟანიძე უკვე სახელმწიფო სამსახურში, აჭარის სახელმწიფო მიწების (მამულების) მმართველია, როგორც აღვნიშნეთ ერთდროულად არის გაზთ „ფუხარა“-ს აქტიური კორესპონდენტი, რისთვისაც საპატიო სოფლკორის წოდება მიენიჭა.

მომდევნო წლებში ის. ბეჟანიძე გადაყავთ ქობულეთში ახლადგახსნილი ბანკის მმართველად. 1930-31 წლებში, როცა გააქტიურდა კოლექტივიზაციის პროცესი, ის. ბეჟანიძემ საკუთარ მიწის ნაკვეთზე, დაახლოებით 1 ჰექტარ ფართობზე გააშენა ჩაი და ჩამოაყალიბა კოლექტიური მეურნეობა, თვითონ კი თავმჯდომარედ აურჩევიათ.

ის. ბეჟანიძე დიდად უწყობდა ხელს ახალგაზრდების აღზრდა-განათლებას. ჯერ კიდევ ბათუმში მოღვაწეობის დროს

ძმისშვილებს თემერ ხულუსის ძე და მამუდ (მირიან) არიფის ძე ბეჟანიძეებს თავისი ხარჯით მიაღებინა საშუალო განათლება. ისინი ბეჯითი მოსწავლეები აღმოჩდნენ, ამიტომ უმაღლესი განათლების მისაღებად გადაწყვიტა მათი თბილისში გაგზავნა. დახმარებისათვის თხოვა აჭარის სახკომსაბჭოს მაშინდელ თავმჯდომარეს თახსიმ ხიმშიაშვილს, რომელმაც წერილი გაუგზავნა თბილისის უნივერსიტეტის მაშინდელ რექტორს აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილს. თემური და მირიანი უნივერსიტეტში ჩაირიცხნენ, წარმატებითაც დაამთავრეს, მშობლიურ რაიონს დაუბრუნდნენ და მთელი სიცოცხლის მანძილზე ზიდეს პედაგოგის ტვირთი.

ისკენდერ ბეჟანიძის თაოსნობით აშენდა ხუცუბან-სამების შემაერთებელი ხიდი, რომლის გახსნა დიდ ზეიმად იქცა, ესწრებოდა აჭარის მაშინდელი მთავრობა. ხიდის გახსნაზე სიტყვაც ისკენდერ ბეჟანიძემ წარმოთქვა.

ის. ბეჟანიძეს ჰყავდა ხუთი შვილი. აიშემ და მეშურმა დაამთავრეს ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი, რის შემდეგ სამუშაოდ გაგზავნეს ზემო აჭარაში. აქ ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციასა და ქალთა შორის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში. შუქრი, ეთერი და რევაზი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ვაჭრობის სფეროში საქმიანობდნენ.*

ისკენდერ ბეჟანიძე გარდაიცვალა 1937 წელს, 50 წლის ასაკში, დაკრძალულია სოფელ სამებაში.[198]

რიზა ბეჟანიძე

საზოგადოებრივი აქტიურობით და პატრიოტული საქმიანობით გამოირჩეოდა რიზა ბეჟანიძე. მიუხედავად იმისა, რომ

* აქ შეტანილი არაა ასლანი – ჩვენი ვარაუდოთ მეექვსე შვილი, რომელიც 1942 წ. უგზო-უკვლოდ დაიკარგა (რ.ს.). იხ. გვ. 131.

ის არ იყო „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის“ წევრი, ამ ეროვნული მნიშვნელობის ორგანიზაციას 1918 წელს ის დიდ დახმარებას უწვდა კრებებისა და შეხვედრების მომზადებაში. გარდა ამისა, რიზა ბეჟანიძე ავრცელებდა კომიტეტის ფურცლებსა და მოწოდებებს, რომლებიც ადგილობრივ მოსახლეობას საქართველოს თავისუფლებისა და ერთიანობის გრძნობებით აღანთებდა.[199]

საბჭოთა ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, 1923 წლის 25-30 იანვარს რიზა ბეჟანიძე მონაწილეობდა აჭარის საბჭოების მესამე ყრილობის მუშაობაში. ამ ყრილობის ანგარიშებში შემონახულია მისი გამოსვლები იმდროინდლი ცხოვრების აქტუალურ და მწვავე საკითხებზე.

როგორც ცნობილია, გასაბჭოებისთანავე დაბა ქობულეთი ქალაქად გამოცხადდა, რამაც იქ მცხოვრებთათვის გადასახადების ზრდა გამოიწვია. რიზა ბეჟანიძემ ყრილობას მოახსენა, რომ „ქობულეთის მცხოვრებთ სიღატაკის გამო არ ძალუძთ გასწიონ ის ხარჯები, რომლებიც მათ აწვება კისერზედ ქობულეთის ქალაქად დამტკიცებით, ამისათვის მოვითხოვთ, რომ ქობულეთი დარჩეს ისევ დაბად, ძველს პირობებშიო.“

ამ გამოსვლას გამოეხმაურა სახკომსაბჭოს მაშინდელი თავმჯდომარე თახსიმ ხიმშიაშვილი. მან განმარტა, რომ „ეს რეორგანიზაცია მოხდა თვით ქობულეთის აღმასკომის შუამდგომლობით, საქართველოს და აჭარის მთავრობების მიერ დაკანონებულია და მისი გაუქმება შეუძლებელია. შესაძლოა, ქობულეთის საკურორტო ქალაქადგამოცხადება ნაადრევი იყო, მაგრამ ჩვენ დღეს ვდგავართ ფაქტის წინაშეო.“

ამავე ყრილობაზე ანგარიშით წარსდგა აჭარის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი კირილე თავბერიძე, რასაც სერიოზული კამათი მოჰყვა; როგორც გაირკვა, კომისარიატს შეუქმნია ბანდიტებთან მებრძოლი სამეული, რომელსაც ვინმე აკაკი სურგულაძე ედგა სათავეში. ის ძალზე თვითნებობდა და ავიწროებდა მოსახლეობას, არ ერიდებოდა თანამდებობის

ბოროტად გამოყენებას, იარაღის ამოღების საბაბით სცემდა, აწიოკებდა მცხოვრებლებს, ალამბარში ერთ ოჯახს ცეცხლი წაუკიდა, ხოლო აღშფოთებული რიზა ბეჟანიძის თქმით, „ქობულეთში სურგულაძემ მოჰკლა კაცი, დაარბია ოჯახები.“ ყრილობის სხვა მონაწილეებიც (ზექერია ბარამიძე, ხასან ბერიძე, მემედ გოგიბერიძე, რეჯებ თხილაიშვილი) ვერ მალავდნენ შეშფოთებას, რის გამო კომისარმა მათ პირობა მისცა, რომ სურგულაძის თვითნებობას გამოარკვევდნენ და სათანადო ზომებს მიიღებდნენ.[200]

რიზას მეუღლის ფადიმეს მამა ცნობილი პიროვნება დედე თხილაიშვილი, გამრჯე, პროგრესული შეხედულების მქონე, სიმართლის მოყვარე კაცი, ხოლო ფადიმეს დედა აიშე კაიკაციშვილი ცნობილი საზოგადო მოღვაწის, გულო-ადა კაიკაციშვილის და იყო. ფადიმეს ძმა, ხასან თხილაიშვილი „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის“ აქტიური წევრი და მემედ-ბეგ აბაშიძის ერთგული თანამებრძო-

რიზა ბეჟანიძის შვილები: 2. ჰაიდარი (გემის კაპიტანი კასპიის ზღვაზე) და 4. ჯემალი, 5. ჯემალის შვილი თეიმურაზი

ლი იყო. ასეთ ოჯახში აღზრდილი ფადიმე თხილაიშვილი თავადაც, რა თქმა უნდა, მონაწილეობდა იმ პერიოდის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მან 1929 წელს მონაწილეობა მიიღო ბათუმში გამართულ აჭარის ქალთა ყრილობის მუშაობაში და სახალხოდ მოიხადა ჩადრი, ხოლო შემდგომ წლებში ქალთა მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე გახდა.

რიზა ბეჟანიძე იმ დროისათვის პროგრესული შეხედულებების მქონე პიროვნება იყო. როგორც აღვნიშნეთ, ის ბავშვობიდანვე მეგობრობდა ხასან თხილაიშვილთან.

რიზა ბეჟანიძე წლების განმავლობაში იყო ქობულეთის შინაგან საქმეთა განყოფილების გამგე და კომუნალური მეურნეობის სამმართველოს უფროსი. 1937 წელს ის დააპატიმრეს და გადააასახლეს ციმბირში, საიდანაც აღარ დაბრუნებულა.

ალქსანდრე (ახმედ) ბეჟანიძე

საზოგადოებრივი საქმიანობით გამოირჩეოდა ალექსანდრე (ახმედ) ალის ძე ბეჟანიძე, რომელიც დაიბადა 1900 წელს სოფელ ზედა სამებაში.

ალექსანდრე ბეჟანიძე

მამა – ალი ბეჟანიძე იყო სოფლის თავკაცი. წლების განმავლობაში მუშაობდა ჩაქვში ხუსეინ ბეჟანიძის მიწების იმ ნაწილის გამგებლად, რომელიც წარსულში ნიკოლოზ II-ის საუფლისწულო მამულად გამოცხადდა.

დედა იყო სოფელ ქობულეთის თავკაცის ალი მეგრელიძის შვილი, ფრიად ნიჭიერი და თვითნასწავლი ქალი, რომელმაც კარგად იცოდა ძველი ქართული, ე. წ. „დე-

სოფელ სამებაში
ალექსანდრე ბეჟანიძის ეზოში
აღმოჩენილი ღვინის ქვევრი
რომელიც საუკუნეებს ითვლის.

დაბრული“ წერა-კითხვა. აი, ასეთ კულტურულ და პროგრესულ ოჯახში იზრდებოდა ალექსანდრე, სწავლობდა ქ. ქობულეთის № 1 სკოლაში. შემდეგ დაამთავრა ბათუმის გიმნაზია, სადაც დირექტორი იყო ცნობილი პედაგოგი ნიკოლოზ ლორთქიფანიძე. ალექსანდრეს ახლო ურთიერთობა ჰქონდა იმ დროისათვის ისეთ ცნობილ მოღვაწეებთან, როგორიც იყო ზექერია ლორთქიფანიძე, ილიას მეგრელიძე, ილიას ქათამაძე და სხვები. ის აქტიურად მონაწილეობდა მთიანი აჭარის სოფლების მეურნეობის ჩამოყალიბებაში, იყო ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მუშათა პროფკავშირების თავმჯდომარე. ალექსანდრე ბეჟანიძე პირველი ქობულეთელია, რომელმაც, როგორც ყრილობის დელეგატმა, შეაღო კრემლის კარები.

ალექსანდრე კარგად ფლობდა ჰუმანიტარულ საგნებს, განსაკუთრებით კარგად იცოდა რუსული ენა. ის შვილებს უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად ამ საგნებში თვითონ ამზადებდა.

1930 წელს ალ. ბეჟანიძემ დატოვა ბათუმი და დაუბრუნდა სოფელს. ცოლად ჰყავდა უაღრესად დარბაისელი და ჭკვიანი ქალი აიშე შავიშვილი. მათ აღზარდეს ხუთი შვილი. ცხოვრების მძიმე პირობების მიუხედავად (ომიანობის პერიოდი) მათ ყველა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ბეჟანიძე და სკენდერ ინაიშვილი

შვილებს მიაღებინეს უმაღლესი განათლება. მათი ქალიშ-ვილები თინა და ქეთევან ბეჟანიძეები აჭარის დამსახურებული მასწავლებლები იყვნენ ვაჟები – ვახტანგი, ავთანდილი და ენვერი სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მუშ-აობდნენ.

ალექსანდრე ბეჟანიძემ იცოცხლა 83 წელი, დატოვა 5 შვილი, 15 შვილიშვილი და 24 შვილთაშვილი. მათ შორის 3 მეცნიერებათა კანდიდატია და 1 მეცნიერებათა დოქტორი. ალექსანდრე დაკრძალულია ზედა სამებაში, ბეჟანიძეების საგვარეულო სასაფლაოზე.

ხუსეინ ბეჟანიძე

„ხუსეინ მესამე," შეიძლება ასე ვუწოდოთ ბეჟანიძეთა გვარის ამ ღირსეულ წარმომადგენელს, რომლის წინაპრები თავის წარმომავლობას ზენდიდელ ბეჟანიძეებს მიაკუთვნებდნენ.

ეგარსლან ლომაძეს თავის წიგნში მოაქვს ბათუმელი ექიმის თენგიზ ბეჟანიძის მოგონება, სადაც ნათქვამია, რომ „ხუსეინ ბეჟანიძე ხაზს უსვამდა ბეჟანიძეების გვარის ზენდიდიდან წარმომავლობას... ეტრფოდა ზენდიდს და დიდი სურვილი ჰქონდა ბეჟანიძეების შთამომავლები თავის საგვარეულო ბუდეში – ციხე-სიმაგრე „მოდი ნახე"-ში ერთად შეკრებილი ეხილა."[201]

ხუსეინის ოჯახის მამამთავარი სოფელ ქობულეთში დასახლებულა. მის ბაბუას, იუსუფ ბეჟანიძეს ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლებში გამოუჩენია თავი. ისუფის შვილი იყო მურადი, რომელიც ცნობილი საზოგადო მოღვაწის მემედ გოგიბერიძის დაზე, ემინეზე დაქორწინებულა. ქალბატონი ემინე აჭარელ ქალთა შორის ერთ-ერთი მოწინავე, მრავალი წამოწყების ინიციატორი, ენთუზიაზმით აღსავსე პიროვნება იყო. ოთხი წლის ხუსეინს მამა გარდაეცვალა და მისი აღზრდა დედამ და ბებია ფადიმემ იკისრეს. ხუსეინს და მის ძმებს რამიზსა და მურადს მეურვეობდა აგრეთვე ბიძა იუსუფი. 1921 წლამდე ხუსეინი სწავლობდა სოფელ ხუცუბნის სკოლა-პანსიონში.

ზრდადასრულებული ძმები ბიძას გამოეყვნენ და მისივე, აგრეთვე მემედ გოგიბერიძის დახმარებით ფიჭვნარში, გენერალ საფრონოვისაგან შეძენილ მამულში დასახლდნენ.

ფიჭვნარში მათი სახლის მახლობლად განლაგებული იყო საბჭოთა არმიის ერთ-ერთი ნაწილის შტაბი, რომლის ხელმძღვანელი ხუსეინით დაინტერესდა. ეს ის დრო იყო, როცა სამხედრო სასწავლებლისათვის ახალგაზრდებს ამზადებდნენ. ხუსეინი სამხედრო კომისარიატში გამოცხადდა, მაგრამ უარი

უთხრეს. შეწუხებულმა ჭაბუკმა თხოვნით მიმართა აჭარის სახკომსაბჭოს მაშინდელ თავმჯდომარეს თახსიმ ხიმშიაშვილს, რომლის უშუალო თაოსნობით, 1923 წელს აჭარაში შგროვდა 26 ახალგაზრდა. მათ შორის იყვნენ: ხუსეინ ბეჟანიძე, ასლან ბაჯელიძე, იუსუფ მეგრელიძე, დურსუნ შავიშვილი და სხვ. ისინი თბილისში თავად თახსიმ ხიმშიაშვილმა ჩაიყვანა და სამხედრო სასწავლებელში ჩარიცხა.

1926 წელს ხუსეინმა დაამთავრა სამხდრო სასწავლებელი, რის შემდეგ ის დანიშნეს ქ. ბათუმში განლაგებულ მსროლელ ლეგიონში ოცეულის მეთაურის თანამდებობაზე,საიდანაც მალე მიღწეული წარმატებებისათვის დააწინაურეს და ასეულის მეთაურობა მიანდვეს.

1938 წელს ხუსეინ ბეჟანიძე აჭარის სამხედრო კომისრად დანიშნეს, საიდანაც ორი წლის შემდეგ ქედისა და ბათუმის რაიონების გაერთიანებულ სამხედრო კომისრად გადაიყვანეს.

მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე ხუსეინ ბეჟანიძე პირადი თხოვნით მიდის არმიაში, სადაც ის 390-ე მსროლელი დივიზიის 784-ე ლეგიონის მეთაურად დანიშნეს. აქედან იწყება მამაცი ოფიცრის მხედრული ეპოპეა, ყირიმის ნახევარკუნძულისა და სევასტოპოლის გათავისუფლებისათვის თავგანწირული ბრძოლა.

ლეგიონის უშიშარი მეთაური ხშირ შემთხვევაში თვითონვე მიუჯდებოდა საბრძოლო იარაღს და კარგად გამოთვლილი დამიზნებით მუსრს ავლებდა მტრის მოიერიშეებს, რითაც შესანიშნავ მაგალითს აძლევდა რიგით მებრძოლებს. ფეოდოსიის რაიონში გამართული გააფთრებული ბრძოლების დროს ხუსეინ ბეჟანიძე მძიმედ დაიჭრა, რის გამო ევაკუირებულ იქნა თბილისში. განკურნების შემდეგ დანიშნეს თბილისის მეორე ფეხოსანთა საოფიცრო სკოლის ათასეულის მეთაურად, სადაც სამი თვე დაჰყო.

1942 წლის ოქტომბერში ხუსეინ ბეჟანიძე კვლავ ფრონტის წინა ხაზზეა და მეთაურობს მსროლელ ლეგიონს, რო-

მელიც მარუხის უღელტეხილზე მომდგარ მტერს იგერიებდა. შემდეგ ხუსეინ ბეჟანიძის ლეგიონი მონაწილეობდა ტუაფსეს, გორიაჩი კლუჩის, კულტურნაიას, კრასნოდარის და სხვა დასახლებული პუნქტების გათავისუფლებისათვის ბრძოლებში. მომდევნო თვეებში ხ. ბეჟანიძე ირიცხება ავიაციითა და სატანკო ნაწილებით გაძლიერებული მეცხრე არმიის ერთ-ერთი ლეგიონის მეთაურად. მისმა ლეგიონმა ერთი მარცხის შემდეგ მეორე ცდაზე გაათავისუფლა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ლენინსკაია, რითაც მტერს დააკარგვინა მისთვის მეტად მოხერხებული პოზიცია. ამ ბრძოლებში მიღწეული წარმატებებისათვის ხუსეინ ბეჟანიძე წითელი დროშის ორდენით დააჯილდოეს.

ხუსეინ ბეჟანიძის საბრძოლო გზის აღწერა ძალზე ძნლია, ეს არც შეადგენს ჩვენს მიზანს, რადგანაც სახელოვან მხედართმთავარს დიდი სიყვარულით დაწერილი მონოგრაფია მიუძღვნა მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ვეტერანმა ოფიცერმა, ეგარსლან ლომაძემ. აქ მხოლოდ აღვნიშნავ ბრძოლის რამდნიმე ეპიზოდს, რომლის დროს გამოჩენილი განსაკუთრებული მამაცობისათვის ხ. ბეჟანიძემ მთავრობის მაღალი ჯილდოები მიიღო. ერთ-ერთი ასთი ეპიზოდია ბრძოლა კარპატებში ცნობილი ედელვაისის ქვედანაყოფების წინააღმდეგ. აქ ხუსეინ ბეჟანიძის ლეგიონი განუწყვეტლივ 12 დღე-ღამე იბრძოდა, რის შედეგად მტერმა დიდი ზარალი ნახა და უკუიქცა. ხუსეინ ბეჟანიძე წითელი დროშის მეორე ორდენით დააჯილდოეს.

უკრაინის გათავისუფლების და საბრძოლო ჯილდოების მიღების შემდეგ ხუსეინ ბეჟანიძის ლეგიონი ბრძოლებით ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე ფეხდაფეხ მიჰყვა მტრის ნაწილებს. 1945 წლის იანვარში ერთ-ერთი კონტრშეტევის დროს ლეგიონის მეთაური მძიმედ დაიჭრა, ხოლო მისმა ლეგიონმა ჩეხოსლოვაკიაში იზეიმა ფაშიზმზე გამარჯვების დღე – 9 მაისი.

ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ ხუსეინ ბეჟანიძე სამ-

შობლოში დაბრუნდა. მის მკერდს ამშვენებდა ორი წითელი დროშის, სუვოროვის მე-3 ხარისხის, ალექსანდრე ნეველის, სამამულო ომის I ხარისხის, წითელი ვარსკვლავის ორდენები და უამრავი მედალი.

მშობლიურ ბათუმში ხუსეინ ბეჟანიძე სათავეში ედგა თამბაქოს საფერმენტაციო ქარხანას, შენდეგ ციტრუსების შემფუთავ კომბინატს. უაღრესად დიდი სიყვარულით და პატივისცემით გარემოსილი, ბრძოლაგამოვლილი, ნაომარი და ნაჭრილობევი ხუსეინ ბეჟანიძე 1967 წლის 27 მარტს გარდაიცვალა. მის ხსოვნას დიდი პატივი მიაგეს და სამხედრო წესების სრული დაცვით, მისივე დანაბარების მიხედვით დაკრძალეს სოფელ ქობულეთში, ბეჟანიძეთა საგვარეულო სასაფლაოზე.

შთამომავლობამ არ დაივიწყა და უკვდავყო სახელოვანი მეომრის და მხედართუფროსის დიდი დამსახურება – სოფელ ქობულეთის საშუალო სკოლას ხუსეინ ბეჟანიძის სახელი მიენიჭა, ხოლო ქ. ბათუმში სახლს მელიქიშვილის ქუჩის № 29-ში, სადაც 1931-1967 წლებში ცხოვრობდა ხუსეინ ბეჟანიძე, გაუკეთდა მემორიალური დაფა.

* * *

ხუსეინ ბეჟანიძის ოჯახი ყოველთვის სამაგალითო იყო. მეუღლე ელენე სიამაშვილი, პროფესიით ექიმის თანაშემწე, ოჯახის ერთგული დედა, მამაცი და მუღლისათვის თავგანწირული მანდილოსანი აღმოჩნდა. 1945 წელს ჩეხოსლოვაკიის ქალაქ კოშიცეში მძიმედ დაჭრილი მეუღლე საქართველოში თვითონ ჩამოიყვანა, ორი ადიუტანტის თანხლებით. ამის შესახებ თვითონ ხუსეინი იგონებდა: „ელენე რომ დავინახე, თავდაპირველად ეს ჩემი წარმოსახვა, ფანტაზია მეგონა, მაგრამ, როცა დავრწმუნდი, რომ იგი რეალურად ჩემს თვალწინ იდგა, გაოცება ვერ დავმალე. ის იყო თავდადებული, ერთგული

მეუღლე და დედა, რომელსაც შეეძლო ოჯახისათვის თავი გაეწირა. ელენეს ბევრი წვალება და თავდადება დაჭირდა, რომ ჩემი ჰოსპიტლიდან წამოყვანის ნება მიეცათ.“[202]

აკადემიკოსების მამია კომახიძისა და ნინო ჯავახიშვილის დახმარებით ელენემ მეუღლე ფეხზე დააყენა და მშვიდობიანი შრომის ფერხულში ჩააბა. „იგი სიკვდილის კარამდე ოჯახის პრესტიჟს თვალისჩინივით უფრთხილდებოდა“ (რძლის, ზაირა ხუხუნაიშვილის მოგონებიდან).

ავთანდილ (კუკური) ბეჟანიძე

ქალბატონმა ელენემ ზრუნვა და ამაგი არ მოაკლო ერთადერთ შვილს კუკური (ავთანდილ) ბეჟანიძესაც (1932-1973).მისგან ჭეშმარიტი ქართველი მამულიშვილი, გულთბილი მკურნალი, პატრიოტი და შესანიშნავი ინტელიგენტი ჩამოყალიბდა.

კუკური ბეჟანიძე, მეუღლე ზაირა ხუხუნაიშვილი და ხუსეინ ბეჟანიძე

კუკური მეგობრებსა და თანაკურსელებს შორის გამოირჩეოდა განსაკუთრებული ერუდიციით, საოცარი თხრობით და შეუდარებელი იუმორით. მისი მახვილსიტყვაობა დღესაც ახსოვს ყველას და თაობიდან თაობას გადაეცმა. აღარაფერს ვამბობ კუკური ბეჟანიძის დიდ განსწავლულობასა და პროფესიულ მომზადებაზე. ეს იყო მოწოდებით მკურნალი, ავადმყოფზე მზრუნველი და მისი ტანჯვის მოზიარე, ექიმი, რომლსაც სიტყვით შეეძლო მიზნისათვის მიეღწია და დავრდომილი ადამიანი იმდენად გაემხნევებინა, რომ ფეხზე წამომდგარიყო. კუკურის პროფესიულ დახელოვნებაზე დიდი გავლენა მოახდინა მოწინავე ქართულ კლინიკებში და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში, ქართული თერაპიული სკოლის კორიფეებთან კვალიფიკაციის ამაღლებამ და მათი უმდიდრესი გამოცდილების გაზიარებამ.

ოჯახის საუკეთესო ტრადიციებს იცავენ და კიდევ უფრო ალამაზებენ კუკურის მეუღლე ზაირა ხუხუნაიშვილი, რომელიც დიდხანს ბათუმში სალონ „ელეგანტი“-ს დირექტორი იყო და რომელსაც ქალაქის ინტელიგენტ ქალთა შორის ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უკავია. ოთხი შვილის დედა და ოთხი შვილიშვილის ბებია მათ ბეჟანიძეთა დიდებული ოჯახის სიყვარულს და პატივისცემას, სახელოვან წინაპართა ხსოვნას და არდავიწყებას უნერგავს.

* * *

საზოგადოებრივ ასპარეზზე ღირსეულად გამოვიდნენ აგრეთვე კუკურის გამზრდელი ბიძის, იუსუფის ხუთი შვილი. ერთ-ერთი მათგანი იყო აჭარის დამსახურებული არტისტი, აჭარის ქორეოგრაფთა კავშირის თავმჯდომარე, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურის ცენტრის დირექტორი, თამაზ ბეჟანიძე, სამი შვილის მამა და ჩვენს ქვეყანაში საკ-

მაოდ ცნობილი ხელოვანი. მეორე ძმას რამიზს სამი შვილი დარჩა: ფატი, ნუნუ და დავითი. იუსუფის მეორე შვილი ანზორი წლების მანძილზე საქართველოს საზღვაო სანაოსნოს კადრების განყოფილებაში მუშაობდა, ჰყავს ორი შვილი, რომლებიც მამის კვალს გაჰყვნენ და მეზღვაურები არიან. ხუსეინის უფროსი ძმისშვილი ფატი მახინჯაურის ბავშვთა სანატორიუმის დირექტორი იყო, ამჟამად პენსიონერია.

აიშე ბეჟანიძე

ხუსეინ რეზმანის ძე ბეჟანიძის ასული აიშე მიეკუთვნება გვარიშვილთა იმ პლეადას, რომლმაც საკუთარ თავზე გამოსცადა კომუნისტური რეჟიმის სუსხი, დაშინება, მუქარა და რეპრესიები, რომლებმაც მის მსგავსად მრავალი წარჩინებული გვარის შვილები იმსხვერპლა.

აიშე ბეჟანიძე დაიბადა 1903 წლს ქობულეთის მაზრის სოფელ ქობულეთში. მან,როგორც ბეჟანიძეთა სხვა წარმომადგენელმა, ოჯახური განათლება მიიღო, 1924 წელს კი იქორწინა ცნობილ საზოგადო მოღვაწეზე რეჯებ დედი-აღის ძე ნიჟარაძეზე. ეს რეჯების მეორე ქორწინება იყო.პირველად მან 1907 წელს ცოლად შეირთო ლუთერანული აღმსარებლობის ქალბატონი ეკატერინე პეტრეს ასული აფანასიევა (დ. 1875 წ.), რომლისგანაც შეძინა ქალვაჟი: სოფია (დ. 1908 წ. 26 ივნისს) და რაშიდი (დ. 1909 წ. 10 მაისს).

ჩვენთვის გაუგებარი მიზეზით ე. აფანასიევა შვილებთან ერთად გერმანიაში წასულა და აღარ დაბრუნებულა. ამის მიზეზი, შესაძლოა იყო, სარწმუნოებრივი ფაქტორი, ან საქართველოში ახლად გაბატონებული ბოლშევიკური რეჟიმი, რომელიც ყველა უცხოელსა და მაღალი წოდების ადგილობრივ მცხოვრებში თავის მტერს ხედავდა და მტრულადაც უსწორდებოდა.

აიშე ხუსეინის ასული ბეჟანიძე-ნიჟარაძისა

რაშიდს უმაღლესი განათლება გერმანიაში მიუღია, ხოლო სოფიას საფრანგეთში სორბონის უნივრსიტეტი დაუმთავრებია და ბალერინა გამხდარა (გარდაიცვალა პარიზში 30-იან წლებში). რაშიდი 1926 წელს სამშობლოში დაბრუნდა, მუშაობდა ბათუმის ქიმიური ქარხნის დირექტორად, ბუკნარის წვენების ქარხნის ტექნოლოგად. იყო რამდენიმე გამოგონების ავტორი. გარდაიცვალა 1998 წელს 89 წლის ასაკში. რაშიდს დარჩა 2 ქალიშვილი: გულნარა და სოფიო.

აიშე ბეჟანიძესთან რეჯებს შეეძინა 3 შვილი: სელიმი (1926-1993), მელექი (1925-1986) და გვრიტუნა (დაბად. 1937 წ.) ამ მშვენიერი ქალბატონის დაბადებას დაემთხვა ოჯახური ტრაგედია. მამა რეჯებ ნიჟარაძე შეთითხნილი ბრალდებით დააპატიმრეს და დახვრიტეს. შვილების აღზრდა მთლიანად აიშეს დააწვა მხრებზე.

სელიმ ნიჟარაძე, პროფესიით ფიზიკოსი და ბათუმელთათვის კარგად ცნობილი თანამოქალაქე ათეული წლების მანძილზე კითხულობდა ლექციებს ბათუმის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. გარდაიცვალა 1993 წელს. მისი შვილი მერაბი (დ. 1952 წ.) პროფესიით მათემატიკოსია. ჰყავს ქალ-ვაჟი: გურანდა (დ. 1977 წ.) და მერაბი (დ. 1978 წ.)

რეპრესირებული ოჯახის ყველა წევრზე დაწესებული თვალთვალის, კარზე დაკაკუნების შიშისა და გასახლების მუქარის პირობებში, შესანიშნავი შვილების უმამოდ აღმზრდელი აიშე ბეჟანიძე-ნიჟარაძე 1987 წელს გარდაიცვალა.

სულეიმან ბეჭანიძე

სულეიმან ხულუსის ძე ბეჭანიძე ოცდაათიანი წლების აჭარის მოღვაწეთა რიგებიდანაა. დაიბადა 1906 წელს ქობულეთის რაიონის სოფლ სამებაში. ხუცუბნის დაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ ჯერ კიდევ ჭაბუკი მუშაობდა ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში, სადაც ის ქარხნის პროფესიული კავშირების თავმჯდომარედ აირჩიეს, შემდეგ გაგზავნეს სასწავლებლად ამიერკავკასიის პარტიულ სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ დააწინაურეს პარტიულ სამუშაოზე, 1935 წელს კი გადაიყვანეს აჭარის პროკურორის თანაშემწედ.

სულეიმან ხულუსისძე ბეჭანიძე

1937 წელს დააპატიმრეს და დახვრიტეს.

თემერ ბეჭანიძე

ქობულეთელ ბეჭანიძეთა შორის ერთ-ერთი თვალსაჩინო პიროვნებაა თემერ ხულუსის ძე ბეჭანიძე. იგი 1907 წელს დაიბადა ქობულეთის რაიონის სოფელ სამებაში, აქვე მიიღო პირველდაწყებითი განათლება, შემდეგ დაამთავრა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი მათემატიკის განხრით, რის შემდეგ შრომითი საქმიანობა დაიწყო ქ. ქობულეთის № 1 საშუალო სკოლაში. ამ დროს ვაკანტური იყო ისტორიის მასწავლებლის თანამდებობა, რის გამო მას ამ დარგში მოუხდა მუშაობა.

ახალგაზრდა პედაგოგის ოცნება იყო სწავლა გაეგრძელებინა უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტზე, მისაღები გამოცდებიც ჩააბარა, მაგრამ მისი შრომითი სტაჟის გათვალ-

თემერ ხულუსის ძე ბეჟანიძე
ძმისშვილებთან ერთად

ისწინებით კომისიამ ჩარიცხა ისტორიის ფაკულტეტზე. თემერ ბეჟანიძეს ჩარიცხვისა და სწავლის პერიოდში მეურვეობას უწევდა იმ დროისათვის ცნობილი მოღვაწე, ალალი ბიძა, სკ-ენდერ ბეჟანიძე.

ამგვარად, თემერ ბეჟანიძე ვერ გახდა ინჟინერ-მშენებელი, მაგრამ ისტორიკოსის პროფესიითაც მან გარკვეული კვალი დატოვა აჭარის განათლების განვითარების საქმეში.იგი მიეკუთვნებოდა თბილისის უნივერსიტეტდამთავრებულთა ერთ-ერთ პირველ პლეადას. იყო მრავალმხრივ განვითარებული, ერუდირებული და ნიჭიერი ინტელიგენტი. დაჯილდოებული იყო თანდაყოლილი ნიჭით ზუსტ მეცნიერებაში, ჰუმანიტარ-ულ დარგებში, მუსიკაში და, რაც მთავარია აღმზრდელობითი უნარ-ჩვევებით.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ 1936 წ. თემერ ბეჟანიძე ბათუმის № 1 სკოლის დირექტორად დანიშნეს, მასთან ერთად სკოლის ახალგაზრდულ ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა ცნობილი მოღვაწე ქალბატონი ზინაიდა კვაჭაძე.

1938 წლიდან თ. ბჟანიძე სიცოცხლის ბოლომდე განაგრძობდა პედაგოგიურ საქმიანობას, ბოლო წლებში იყო ბათუმის ვაჭრობის ტექნიკუმის სასწავლო ნაწილის გამგე.

თემერ ბეჟანიძე გარდაიცვალა 1980 წელს.

მირიან ბეჟანიძე

აჭარაში პედაგოგიური საქმიანობით სახელი გაითქვა მირიან (მამუდ) არიფის ძე ბეჟანიძემ. იგი კინტრიშის მაზრის სოფელ სამებაში, 1908 წელს, მრავალშვილიან ოჯახში დაიბადა. მირიანისა და მისი ბიძაშვილის თემერის აღზრდა ბიძამ, სკენდერ ბეჟანიძემ იკისრა, ისინი ბათუმში წაიყვანა, თავდაპირველად თურქულ გიმნაზიაში ჩარიცხა, სადაც კარგად დაეუფლნენ თურქულ ენას. ორი წლის შემდეგ მემედ-ბეგ აბაშიძის დახმარებით, რომელთანაც სკენდერ ბეჟანიძეს ახლო ურთიერთობა ჰქონდა, ბავშვები ქართულ გიმნაზიაში გადაიყვანეს, იმ პირობით, რომ ისინი ერთ სემესტრში დაძლევდნენ ახალ პროგრამას და ჩააბარებდნენ გამოცდებს. მოსწავლეებმა ეს პირობა ჩინებულად შეასრულეს, წარჩინებით დაამთავრეს გიმნაზია და სწავლა ბათუმის პედაგოგიურ ტექნიკუმში განაგრძეს. აქ სწავლა ფასიანი იყო, ქირას სკენდერ ბეჟანიძე იხდიდა.



მირიან არიფის ძე ბეჟანიძე

1928 წელს მირიანმა დაამთავრა ტექნიკუმი, რის შემდეგ ის ქობულეთის რაიონის სოფელ ქობულეთში დაწყებითი სკოლის მასწავლებლად გაამწესეს. მაგრამ ახალგაზრდას სწავლის დაუოკებელი სურვილი ჰქონდა, რაც კიდეც აისრულა. 1929 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ დატოვეს კათდრაზე, მაგრამ ოჯახური პირობების გამო აჭარაში დაბრუნდა და განაგრძო პედაგოგიური საქმიანობა.

1933 წელს მ. ბეჟანიძე ბათუმის განათლების განყოფილების გამგედ და ბავშვთა სახლის დირექტორად დანიშნეს. შემდეგ ის სპეციალური დავალებით მიავლინეს ხულოში, სადაც მისი ხელმძღვანელობით დაფუძნდა ხულოს პედაგოგიური ტექნიკუმი. სასწავლებლის პროგრამები და სასწავლო გეგმები მთლიანად მირიან ბეჟანიძემ შეადგინა, ის აქტიურად მონაწილეობდა ხულოს პედსასწავლებლის პედაგოგიური კადრების მოზიდვა-შერჩევასა და კლასების დაკომპლექტებაში.

1936 წელს მ. ბეჟანიძე ქობულეთში დაბრუნდა, სადაც ჩაქვის 7-წლიანი სკოლის დირექტორად დანიშნეს, ხოლო ორი წლის შემდეგ ბათუმის მუშფაკის სასწავლო ნაწილის გამგედ გადაიყვანეს. 1942 წელს კვლავ ქობულეთში დაბრუნდა და განათლების განყოფილების ინსპექტორის მოვალეობას ასრულებდა, შემდეგ ქობულეთის № 1 სკოლის დირექტორი იყო.

1951 წელს მ. ბეჟანიძე ქობულეთის რაიონული გაზთის „ლენინელი“-ს რედაქტორია, აქდან სატყეო სკოლა-სანატორიუმის სასწავლო ნაწილის გამგედ გადაჰყავთ, სადაც 1975 წლამდე, პენსიაზე გასვლამდე მოღვაწეობდა.

მირიან ბეჟანიძე ყოველთვის აქტიურად იყო ჩაბმული საზოგადოებრივ საქმიანობაში. 12 წელს ასრულებდა აჭარის უმაღლესი სასამართლოს სახალხო მსაჯულის მოვალეობას და სხვა საზოგადოებრივ დატვირთვას. მისი მეორე გატაცება ქართული ლიტერატურა, პროზა და პოეზია იყო.

ბუნებით სპეტაკი, გულწრფელი, პატიოსანი ადამიანი პენსიაზე გასვლის შემდეგაც არ ისვენებდა, ყველგან აქტიურობდა, სადაც მას შეეძლო საზოგადოებისათვის სარგებლობა მოეტანა. ის თავისი ინიციატივით მივიდა დასასვენებელ სახლში „ცეკავშირში," სადაც ორი წლის განმავლობაში მიაღწია შეექმნა მილიციის ბავშვთა ოთახი, შეარჩია შესაფერისი პიროვნება, დაამტკიცებინა საშტატო ერთეულები. ეს ოთახი დიდხანს ძალზე სასარგებლო საქმიანობას ეწეოდა.

მირიან ბეჟანიძის დამსახურება მთავრობის ჯილდოებითაც აღინიშნა . მიღებული ჰქონდა მრავალი მედალი და სიგელები, აგრეთვე წარჩინებული პედაგოგის სამკერდე ნიშანი.

მ. ბეჟანიძემ შექმნა შესანიშნავი ოჯახი. მეუღლე ტატიანა დიმიტრის ასული თელიაც პედაგოგი იყო. ქალიშვილებმა ნუნუმ და ნაზიმ ასევე მშობლების პროფესია – მასწავლებლობა აირჩიეს, ხოლო ვაჟები გოდერძი და გურამი ინჟინრები გახდნენ.

მირიან ბეჟანიძე 1955 წელს გარდაიცვალა.

მურად ბეჟანიძე

მურად მურადის ძე ბეჟანიძე დაიბადა 1909 წლის 23 თებერვალს ქობულეთის რაიონის სოფ. ქობულეთში გლეხის ოჯახში. მამა ჩვილობის ასაკში გარდაეცვალა, ამიტომ მისი სახელი დაარქვეს, ხოლო ბავშვის და მისი ძმების აღზრდაზე მეურვეობა ბიძებმა იუსუფ ბეჟანიძემ და მემედ გოგიბერიძემ იკისრეს.

მურად ბეჟანიძემ დაწყებითი ოთხწლიანი განათლება ქობულეთში მიიღო.

1923 წელს ჩაირიცხა ბაქოს ნავთობის პროფესიულ ტექნიკუმში, რომლის სრული კურსის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ბაქოს ნავთობის მრეწველობის ინსტიტუტში და მიიღო ინჟინერ-მენავთობის კვალიფიკაცია. პარალელურად მუშ-

მურად მურადის ძე ბეჟანიძე

აობდა ნავთობმრეწველ ეფენდიევის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში ინჟინერ ოპერატორად.

1932 წელს მურად ბეჟანიძე დაბრუნდა საქართველოში და საქმიანობას შეუდგა ბათუმის ნავთობგადასამუშავებელ ქარხანაში, ჯერ ინჟინერ-ოპერატორად, ხოლო შემდეგ გაერთიანებული პროფკავშირების თავმჯდომარედ.

1935-1936 წ. წ. მურად ბეჟანიძე აჭარის ასსრ მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილედ და შემდეგ კომისრის თანამდებობაზე დანიშნეს.

შემდეგ ორი წელი მშრომელთა დეპუტატების ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პოსტზე გაატარა.

სხვადასხვა დროს მ. ბეჟანიძე იყო საქართველოს „ლიმონტრესტის," ქ. ბათუმის ციტრუსკომბინატისა და ბუკნარის სპირტის ქარხნის დირექტორი.

1948-1972 წ.წ. მურად ბეჟანიძე ყაზახეთის რესპუბლიკაშია. მუშაობა მოუხდა ალმა-ათაში, პავლოდარში, კოკჩეტავში, აკმოლინსკში სხვადასხვა თანამდებობებზე.

63 წლის ასაკში გავიდა დამსახურებულ პენსიაზე, გარდაიცვალა 1990 წელს.

დავით ბეჟანიძე

იუსუფ ბეჟანიძის უფროსი ვაჟი დავითი (დურსუნი) 1909 წელს დაიბადა. პირველდაწყებითი განათლება მან მიიღო სოფელ ქობულეთის პირველდაწყებით სკოლაში. 1930 წელს

დაამთავრა ბათუმის პედაგოგიური სასწავლებელი, რის შემდეგ ორი წელი ქ. ბათუმის ახლადჩამოყალიბებული განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორად, ხოლო შემდეგ ამავე განყოფილების გამგედ მუშაობდა.

1933 წელს დავით ბეჟანიძემ სწავლა განაგრძო თბილისის სახლმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტზე. 1938 წელს მან დაამთავრა უნივერსიტეტი, მიიღო ქიმიკოსის სპეციალობა და მუშაობა დაიწყო ქედის საშუალო სკოლის დირექტორად. 1939-41 წწ. დ. ბეჟანიძე ქობულეთის განათლების განყოვილების სასკოლო ინსპექტორი, ხოლო შემდეგ ორი წლის განმავლობაში ამავე განყოფილების გამგეა.

დავით იუსუფის ძე ბეჟანიძე

1942 წლს დ. ბეჟანიძე არმიაში გაიწვიეს, სადაც დაიჭრა და 1944 წელს დემობილიზაციით სამშობლოში დაბრუნდა. იმავე წელს, როგორც მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, ბათუმის ქიმიური ქარხნის დირექტორად დანიშნეს, მუშაობდა ქედის რაიონის განათლების განყოფილების გამგედ, 1948 წლიდან იყო ქობულეთის რაიონის კოხის საშუალო სკოლის დირექტორი, ხოლო 1952 წლიდან, 17 წლის განმავლობაში, მშობლიური სოფლის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე. აქედან გავიდა დამსახურებულ პენსიაზე.

დავით ბეჟანიძე ასრულებდა მრავალ საზოგადოებრივ დავალებასაც. მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები, საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი, მინიჭებული ჰქონდა საქართველოს და აჭარის დამსახურებული პედაგოგის საპატიო წოდებები.

გარდაიცვალა 1986 წლს.

დავით ბეჟანიძის მეუღლე იყო ცნობილი დედე-აღა ნიჟარაძის ძმის, ქესკინის ქალიშვილი ელმას ნიჟარაძე, თავადაც განათლებული და წიგნიერი პიროვნება, რომელიც ჩვენი შეხვედრის დროსაც (2001 წელს), 90 წლის ასაკში, მხნედ გამოიყურებოდა და კვლავაც მონაწილეობდა მრავალრიცხოვანი შვილთაშვილების აღზრდაში. მისგან ჩვენ მრავალი და ძალზე ძვირფასი ცნობები ჩავწერეთ ბეჟანიძეთა და ნიჟარაძეთა გვარის ისტორიაზე.

ელმას ნიჟარაძე- ბეჟანიძისა გარდაიცვალა 2006 წელს.

დავითმა და ელმასმა აღზარდეს 6 შვილი, რომელთაგან ყველამ მიიღო უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლება. ესენი არიან: ნუნუ, ლეილა, ეთერი, ჟუჟუნა, ლიანა, ლემანი. ჰყავდათ ტყუპებიც, მაგრამ განგებამ ადრე წაართვა. ამჟამად ოჯახის წინამძღოლია დავითის ძმის შვილიშვილი ვაჟა ბეჟანიძე.

ნიაზ ბეჟანიძე

ბეჟანიძეთა გვარში აღნაგობით ვაჟკაცობით საოცარი კეთილშობილებით გამოირჩეოდა ნიაზ ბეჟანიძე. იგი დაიბადა 1910 წელს სულეიმან ბეჟანიძის მრავალშვილიან ოჯახში. მეუღლე მუქიე კელენჯერიძე ასევე ულამაზესი და განათლებული ქალბატონი იყო. ჰყავდათ სამი შვილი: ნონა გათხოვილი იყო თბილისელ ასათიანზე, გულნარა ბათუმელ არმაზ მგელაძის მეუღლე გახლდათ. ვაჟის სულიკოს მეუღლეა მანანა გოგიტიძე; ჰყავთ ერთი ვაჟი ნიაზი, რომელიც სპორტით არის გატაცებული.



ნიაზ ბეჟანიძე
(1910-1980)

ნიაზ ბეჟანიძე მოღვაწეობდა ქობულეთში საკურორტო სისტემა-

ში, აგრეთვე ვაჭრობის და ცეკავშირის სისტემაში. გამოირჩეო-და ქველმოქმედებით. მისი უშუალო დახმარებით და ხელშეწყ-ობით ქობულეთში არა ერთი ოჯახი დაფუძნდა.

ნიაზ ბეჟანიძეს პატივს სცემდნენ და უყვარდათ, როგორც გულუხვი მასპინძელი. ამ თვისებით მან არაერთი მეგობარი და საძმაკაცო გაიჩინა. მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა ცნობილ კინო-მსახიობებთან: დოდო აბაშიძესთან, ნატო ვაჩნაძესთან. მათ მეგობრობაზე ურთიერთპატივისცემასა და სიყვარულზე ლეგენდები დადიოდა.

ნიაზ ბეჟანიძე 1980 წელს გარდაიცვალა.

ბესარიონ (სულეიმან) ბეჟანიძე

იუსუფ ბეჟანიძის მეორე ვაჟს, სულეიმან ბეჟანიძესაც საპატიო ადგილი ეკავა ქობულეთის რაიონის ინტელიგენცი-აში. დაიბადა 1912 წელს სოფელ ქობულეთში, სადაც მიიღო საშუალო განათლება.შემდეგ სწავლა განაგრძო სოხუმის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, აქ ახლო მეგობრული ურთიერთობა დაამყარა ცნობილ სახელმწიფო მოღვაწეებთ-ან დავით მამულაძესთან, ალექსანდრე თხილაიშვილთან და სხვებთან.

1937 წელს ახალგაზრდა სპეციალისტი სულეიმან ბეჟანიძე გონიოს ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის დირექტორად და-ინიშნეს, საიდანაც, მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე, არმიაში გაიწვიეს.სამი წლის მანძილზე მსახურობდა ირანის საზღვრებთან და ასრულებდა საპასუხისმგებლო სახელმწიფო დავალებებს. 1944 წელს ბ. ბეჟანიძე დაიჭრა, რის გამო სამშობ-ლოში დააბრუნეს.

1945 წლიდან, 11 წლის განმავლობაში, იყო ალამბრის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი. 1960 წლიდან მუშაობ-და ქობულეთის მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორად,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სულეიმან იუსუფის ძე ბეჟანიძე, ძმის შვილი ზია ბეჟანიძე

ხოლო მომდევნო წლებში იყო სოფელ ქობულეთის კოლმეურნეობის მთავარი აგრონომი, 1968 წლიდან, პენსიაში გასვლამდე, ქობულეთის რაიონის პურ-პროდუქტების ბაზის დირექტორი.

სულეიმან ბეჟანიძე გარდაიცვალა 1989 წელს. მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები: მედლები და სიგელები. მიენიჭა აჭარის დამსახურებული აგრონომის საპატიო წოდება.ღებულობდა პერსონალურ პენსიას.

სულეიმან ბეჟანიძის მეუღლე მინირე ჯაფარიძე (1922-1983) იყო ხუშუტ ჯაფარიძის ქალიშვილი. ის გონიოში დაიბადა და თავის დროზე კარგი განათლებაც მიიღო, დაამთავრა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი, რის შემდეგ 1940-1955 წლებში ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას.

ბესარიონმა და მინირემ აღზარდეს 5 შვილი, რომელთაგან ყველამ მიიღო უმაღლესი განათლება.

ახმედ ბეჭანიძე

ქართულ იურისპრუდენციაში სამსახურით გამოიჩინა თავი ახმედ სულეიმანის ძე ბეჭანიძემ. დაიბადა 1913 წელს ქ. ქობულეთში, აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა, რის შემდეგ სწავლა განაგრძო ბაქოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში. აქ მიიღო სწავლული აგრონომის სპეციალობა და შრომითი საქმიანობა დაიწყო ციხისძირის საბჭოთა მეურნეობაში. შრომით საქმიანობასთან ერთად გადაწყვიტა მიეღო მეორე პროფესია, რისთვისაც ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ შეიცვალა პროფესია და შრომითი საქმიანობა განაგრძო ქობულეთის რაიონის სახალხო სასამართლოში გამომძიებლად.

ახმედ ბეჭანიძე

1940 წელს ახმედ ბეჭანიძე ქობულეთის რაიონის პროკურორად დანიშნეს, სადაც 1946 წლამდე დაჰყო, შემდეგ დიდი ხნის განმავლობაში ვექილობას ეწეოდა.

ახმედ ბეჭანიძე გარდაიცვალა 1985 წელს.

სულეიმან ბეჭანიძე

მეორე მსოფლიო ომის მონაწილე და შრომის ვეტერანი სულეიმან ბეჭანიძე

დაიბადა 1914 წელს ქობულეთის რაიონის სოფელ კვირიკეში, შებან ბეჭანიძის მრავალშვილიან ოჯახში. პირველდაწყებითი განათლება სოფელში მიიღო და იქვე განაგრძო სამეურნეო საქმიანობა.

სულეიმან შებანის ძე ბეჟანიძე

1941 წელს სულეიმან ბეჟანიძე გაიწვიეს საბჭოთა არმიაში და პირველივე დღეებში ჩაება ყველაზე მძიმე და სისხლისმღვრელ ბრძოლებში ჩრდილო კავკასიასა და ქალაქ ქერჩში, სადაც ათასობით ქართველმა მეომარმა ჰპოვა უკანასკნელი განსასვენებელი. აქედან უკანდახევის შემდეგ სულეიმან ბეჟანიძე გადაიყვანეს სხვა ფრონტების წინა ხაზზე, სადაც 1944 წელს ტყვედ ჩავარდა და თავის თავზე გამოსცადა გერმანიისა და საფრანგეთის საკონცენტრაციო ბანაკების უმძიმესი და დამამცირებელი ტვირთი.

ომის დამთავრების შემდეგ ს. ბეჟანიძემ ტყვეობას თავი დააღწია, მაგრამ ამჯერად საბჭოთა სისტემის პატიმრობის მძიმე უღელი იწვნია. იგი ორ წელიწადს ქ. უფაში დარჩა, როგორც სამხედრო ტყვეობაში ნამყოფი „არაკეთილსაიმედო“ პიროვნება.

1947 წელს ს. ბეჟანიძე დაბრუნდა სოფელში და განაგრძო მშვიდობიანი შრომა. ომისა და შრომის წარჩინებულმა არაერთი სახელმწიფო ჯილდო მიიღო. იგი 2006 წელს, 92 წლის ასაკში გარდაიცვალა.

სულეიმან ბეჟანიძის ბიოგრაფიასთან ერთად აუცილებლად მიგვაჩნია მკითხველს მოკლედ გავაცნოთ მისი ოჯახის ღირსეული წევრები: მამა – შებანი და ბიძები, უსუფი და მევლუდი ცნობილი მეზღვაურები იყვნენ. საყურადღებოა, რომ უსუფ ბეჟანიძემ 1943 წლის იანვარში შავ ზღვაზე დაიჭირა ზღვის იშვიათი ბინადარი, თევზი თინუსი, რომელიც 516 კგ.ს იწონიდა. მისი ჩონჩხი ამჟამადაც ამშვენებს აჭარის ხარიტონ ახვლედიანის მუზეუმის ექსპოზიციას.

ხასან ბეჟანიძე

ბეჟანიძთა გვარიდან გამოსული მსახიობის, ხასან მამუდის ძე ბეჟანიძის ბიოგრაფია უცნობია არამარტო ფართო საზოგადოების, არამედ მისი კოლეგების და ბათუმის სახელმწიფო თეატრის კოლექტივისთვისაც.

ხასან ბეჟანიძე დაიბადა 1925 წელს ქალაქ ქობულეთში. აქვე დაამთავრა აკაკი წერეთლის სახელობის საშუალო სკოლა, რის შემდეგ მუშაობდა ქობულეთის თემსაბჭოს მდივნად. ხ. ბეჟანიძე აქტიურად მონაწილეობდა სკოლის თვითმოქმედებაში, განსაკუთრებული ნიჭი გამოავლინა სასკოლო დადგმებში, რომლებსაც ლიტერატურის მასწავლებლები ხელმძღვანელობდნენ. ყველასათვის ცნობილი გახდა, რომ ახალგაზრდას ჰქონდა მსახიობის მონაცემები.

1932 წელს ბათუმში გასტროლებზე ჩამოვიდა რუსთაველის თეატრი და მისი სამხატვრო ხელმძღვანელი სანდრო ახმეტელი. აჭარის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ ს. ახმეტელს თხოვა თეატრთან შეექმნა აჭარის სექცია და აჭარის მკვიდრთაგან მოემზადებინა მსახიობები. ეს თხოვნა დაკმაყოფილდა და მაშინვე შეარჩიეს ოცზე მეტი ახალგაზრდა. მათ შორის იყო უკვე საკმაო სამსახიობო გამოცდილების მქონე იუსუფ კობალაძე, აგრეთვე მურად ხინიკაძე, ზორბეგ ღლონტი, ხასან მეგრელიძე, ისკენდერ კაიკაციშვილი და სხვ. ამ ჯგუფს შეემატა ხასან ბეჟანიძეც, რომელიც სხვებთან ერთად ჩავიდა თბილისში და სტუდიაში შეუდგა მეცადინეობას. ამ ჯგუფის პედაგოგები იყვნენ: ალ. ახმეტელი, აკ. ვასაძე, შ. აღსაბაძე და სხვები. საყურადღებოა, რომ აჭარის ჯგუფის ყველა წევრი ითვლებოდა რუსთაველის თეატრის თანამშრომლად და მონაწილეობდნენ ისეთ ცნობილ წარმოდგენებში, როგორიც იყო ს. შანშიაშვილის „ანზორი,“ ბ. ლავრენიევის „რღვევა,“ შ. დადიანის „თეთნულდი,“ ა. მაშაშვილის „განგაში“ და სხვ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზორბეგ ღლონტი, ხასან ბეჟანიძე

აჭარიდან წარგზავნილებმა ოთხი წელი დაჰყვეს სტუდიაში, დაამთავრეს სტუდიის კურსი და მოამზადეს სადიპლომო სპექტაკლი ჯ. გოლდონის „სასტუმროს დიასახლისი“ (რეჟისორი დიმიტრი ალექსიძე), რომელშიც აჭარის სექციის თითქმის ყველა წევრი, მათ შორის ხასან ბეჟანიძეც მონაწილეობდა. 1936 წლის 5 აპრილს გაიმართა სპექტაკლის პრემიერა, რამაც თეატრალური კრიტიკის კარგი შეფასება დაიმსახურა.

თეატრის ხელმძღვანელობამ ახალგაზრდა მსახიობები თავისივე ხარჯით კიდევ ერთი წლით დაიტოვა და მათი მონაწილეობით მომზადდა ცნობილი ქართველი დრამატურგის, გიორგი მდივნის პიესა „ბრმა.“ ამ დადგმის შემდეგ მოეწყო სტუდიელთა ოფიციალური გამოშვების საღამო, სადაც მრავალრიცხოვან დამსწრეებს წარუდგათ 21 კურსდამთავრებული:

ლილი აფხაზავა, ხასან ბაბუჩოღლი (ვერძაძე), ილია ბაკურიძე, ხასან ბეჟანიძე, ა. ბოლქვაძე, იოსებ ებრალიძე, ნუნუ თეთრაძე, სულეიმან თურმანიძე, დურსუნ თხილაიშვილი, ისკენდერ კაიკაციშვილი, სულეიმან კახიძე, იუსუფ კობალაძე, ქეთევან ლომაძე, ხასან მეგრელიძე, ალექსანდრე სარჯველაძე, ნუნუ ფხაკაძე, ზორბეგ ღლონტი, ესედ ცივაძე, მიხეილ წიგნაძე, ოსმან ხალვაში და მურად ხინიკაძე.

მანამდე, 1936 წლის დეკემბერში, ბათუმის თეატრის ახალ ხელმძღვანელად არჩილ ჩხარტიშვილი დაინიშნა, რომელსაც დაეკისრა ბათუმის ახალი თეატრის გახსნის სამზადისი. თეატრი 1937 წლის 18 მარტს გაიხსნა, ხოლო დასში ძირითად ბირთვს სტუდიადამთავრებული ახალგაზრდები წარმოადგენდნენ. თეატრის რეპერტუარში დასაწყისში იყო „სასტუმროს დიასახლისი“ და „ბრმა,“ სეზონის დახურვამდე კი დასმა მოასწრო გიორგი მდივნის ახალი პიესის „ალკაზარი“-ს დადგმა, რომელშიც ფაშისტების წინააღმდეგ ესპანელი ხალხის ბრძოლა იყო აღწერილი. პიესა დადგა შალვა ინასარიძემ და მასში თითქმის მთელი დასი, მათ შორის ხასან ბეჟანიძეც მონაწილეობდა. ბათუმელი მაყურებელი ამ სპექტაკლს დიდი აღფრთოვანებით შეხვდა.

მომდევნო თეატრალურ სეზონში ხასან ბეჟანიძე მონაწილეობდა სპექტაკლებში: სიმონ მთვარაძის „თევრათი,“ გიორგი მდივნის „სამშობლო,“ სერგო კლდიაშვილის „გმირთა თაობა.“[203]

ახალგაზრდა მსახიობს დიდ მომავალსაც უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ 1941 წლის 30 აგვისტოს მოულოდნელად გარდაიცვალა და მისი ოცნებებიც დაიმსხვრა.

თეოფილე ბეჟანიძე

მეორე მსოფლიო ომის სიმძიმე, ურთულესი საბრძოლო პერიპეტიები, დასაწყისიდან ბოლომდე გადაიტანა ქობულეთის რაიონის სოფელ ზედა სამების მკვიდრმა, თეოფილე ხუსეინის ძე ბეჟანიძემ. მისი საბრძოლო ბიოგრაფია, სამშობლოს სიყვარულის, თავდადების ჭეშმარიტი მაგალითია.

თეოფილე ბეჟანიძე დაიბადა 1915 წელს; სამი წლისას მამა, ხოლო ერთი წლის შემდეგ დედა აიშეც გარდაეცვალა. 12-სულიან ოჯახში თეოფილეს ზრდიდნენ უფროსი ძმები, ილიასი და უსუფი.

თეიფილე ბეჟანიძე

სოფელში კოლექტიური მეურნეობების ჩამოყალიბება თეოფილეს ყმაწვილობის პერიოდს დაემთხვა. ის ერთ-ერთი გაერთიანდა კოლმეურნეობაში და კომკავშირული უჯრედის მდივანი გახდა. რვაწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა ბათუმის რკინიგზის ტექნიკუმში განაგრძო. სასწავლებელი 1937 წელს დაამთავრა, მიიღო რკინიგზის სადგურის მორიგის დიპლომი და შწომით საქმიანობას ამიერკავკასიის რკინიგზის უწყებაში შეუდგა. მუშაობდა ხაშურის, გორის, კასპის, ახალდაბის, მეტეხის სადგურებში.

მეორე მსოფლიო ომის გამოცხადებისთანავ თეოფილე ბეჟანიძე არმიაში გაიწვიეს, აქედან იწყება ცხოვრების უმძიმესი პერიოდი, რომელმაც საბოლოოდ განსაზღვრა მისი მომავალიც. ნაბრძოლ-ნაწამები მეომარი სახლში ცალი ფეხით დაბრუნდა და ლამის მთლიანად მოწყდა აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას.

არმაიში გაწვევის პირველი დღეებიდანვე თ. ბეჟანიძემ გაიარა მეთაურთა მოკლევადიანი კურსები. შემდეგ პირველი საბრძოლო ნათლობა, როგორც თვითონ ამბობდა, ყირიმში მიიღო, სადაც უთანასწორო შეტაკებების დროს იძულებულნი იყვნენ უკან დაეხიათ. მტერს დარჩა ქალაქები და სოფლები, ნადგურდებოდა ცოცხალი ძალა და ტექნიკა.

1941 წლის დეკემბერში გერმანელთა საჰაერო მეკობრეებმა აღმოაჩინეს საბჭოთა ხომალდი, ცეცხლი დაუშინეს და დააზიანეს. გემის ჩაძირვა გარდაუვალი იყო. ბორტზე მყოფი თეოფილე არ დაფიქრებულა, ზღვაში გადაეშვა, დიდხანს ებრძოდა ტალღებს. მაგრამ ნაპირზე ვერ გავიდა. ღონემიხდილს სამხედრო კატარღამ მიუსწრო და ფეოდოსიაში გადაიყვანა. აქაც ბრძოლები იყო, მაგრამ თ. ბეჟანიძეს მონაწილეობა არ მიუღია, ის ჰოსპიტალში მოათავსეს.

გამოჯანმრთელების შემდეგ თეოფილე ქერჩში დაბრუნდა, მაგრამ საბჭოთა ჯარმა აქაც მარცხი განიცადა, ნახევარკუნძული დატოვა. ძალზე რთული იყო ქერჩის პორტიდან გასვლა, აქ ბევრი მებრძოლი დაიღუპა, მაგრამ თ. ბეჟანიძეს ბედმა აქაც გაუღიმა. მართალია დაიჭრა, მაგრამ მოტორიანმა ნავმა მიუსწრო, საშიში ზონიდან გაიყვანა, რის შემდეგ დაღესტნის საევაკუაციო ჰოსპიტალში მოათავსეს (მეორედ).

ჰოსპიტალიდან გამოწერის შემდეგ თეოფილე კვლავ ფრონტის წინა ხაზზე წავიდა, ამჯერად კავკასიის ფრონტზე, მონაწილეობდა დონის როსტოვის იერიშში. ფრონტისაკენ მიმავალ ეშელონს მტრის ავიაციამ ცეცხლი გაუხსნა. გაჩენილ ხანძარში თეოფილეს ორივე ხელი დაეწვა და კვლავ ჰოსპიტალში მოხვდა (მესამედ). განკურნების შემდეგ ისევ წინა ხაზზე მოუხდა ბრძოლებში მონაწილეობა. მოზდოკისათვის ბრძოლაში მძიმედ დაიჭრა და კვლავ ჰოსპიტალში მოათავსეს (უკვე მეოთხეთ).

გამოჯანმრთელების შემდეგ თეოფილე ბეჟანიძე ბრიანსკის ფრონტის მესანგრეთა ბატალიონის მზვერავთა ჯგუფს ხელმძ-

ღვანელობდა. მას ხელთ ჩაუვარდა მინდვრის რუკა, მოახერხა მისი გაშიფვრა და გამოირკვა, რომ მინდორი დანაღმული იყო. აქ შეტევით ბრძოლებს აპირებდა წითელი არმიის ნაწილი. თეოფილე ბეჟანიძის მოსაზრებულობამ მთელი ნაწილი განადგურებას გადაარჩინა.

1943 წელს თეოფილე ბეჟანიძემ სარდლობისაგან მიიღო უაღრესად მნიშვნელოვანი სადაზვერვო დავალება, მას ახლაც უნდა გაერკვია, სამხედრო შენაერთებს წინსვლის გზაზე, ხომ არ ელოდა რაიმე საფრთხე„ მამაც ქართველ სერჟანტს, რუს გორბუნოვთან ერთად, რთული სადაზვერვო საქმის შესრულება მოუხდათ, მათ ის-ის იყო კიდეც ბოლომდე უნდა მიეყვანათ ეს დავალება, მაგრამ დაიწყო მტრის საჰაერო თავდასხმა. აქ თეოფილე მძიმედ დაიჭრა. გორბუნოვმა როგორღაც შეძლო მისი სანიტარულ ნაწილამდე მიყვანა, საიდანაც ჰოსპიტალში (მეხუთედ) გადაიყვანეს. ექიმთა დიდი მცდელობის მიუხედავად ფეხის შენარჩუნება აღარ მოხერხდა. ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ ის სამშობლოში დააბრუნეს.204

ნაომარი და მრავალ განსაცდელგამოვლილი თეოფილე ბეჟანიძე უშრომლად მაინც ვერ ძლებდა, მეგობრებისა და კოლეგების დახმარებით ის კვლავ დაუბრუნდა რკინიგზას და ბათუმის ვაგზალში მწონავად გააგრძელა საქმიანობა.

სამშობლოსათვის თავგანწირულ მებრძოლს მკერდს მრავალი ჯილდო უმშვენებდა. ორდენები და მედლები ბრძოლებში თავდადების, აგრეთვე მშვიდობიანი და კეთილსინდისიერი შრომისათვის.

მამაცი მებრძოლი და დამსახურებული რკინიგზელი გარდაიცვალა 1994 წლის 9 მაისს, სწორედ იმ დღეს, როცა ყოფილი საბჭოთა ქვეყნის ყველა რესპუბლიკა, მათ შორის საქართველოც, ზეიმობდა ფაშიზმზე გამარჯვების 49-ე წლისთავს.

ჯემალ ბეჟანიძე

ქობულეთში ყველა იცნობდა კარგ ინტელიგენტს, პედაგოგსა და ორგანიზატორს ჯემალ ბეჟანიძეს, რომელმაც მთელი თავისი ცოდნა და ენერგია სოფლისა და რაიონის კეთილდღეობას მოახმარა.

ჯემალ ბეჟანიძე დაიბადა 1915 წელს სოფელ ქობულეთში. აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა, შემდეგ კი ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტი და ტვირთად იდო მომავალი თაობის აღზრდა. ის ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ქობულეთის რაიონში ახალი ცხოვრების მშენებელთა რიგებს შეუერთდა.

პედაგოგიური მოღვაწეობა ჯემალ ბეჟანიძემ ფიჭვნარის არასრული საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგის თანამდებობიდან დაიწყო. შემდეგ წყავროკის არასრული საშუალო სკოლის დირექტორად გადაიყვანეს. წლების მანძილზე ეს თანამდებობა ეკავა აჭყვისთავისა და ზედა სამების საშუალო სკოლებშიც. გულისხმიერება, საქმის ცოდნა და ორგანიზატორული ნიჭი, კაცთმოყვარეობა და დისციპლინა ახასიათებდა მის საქმიანობას.

ჯემალ არიფის ძე ბეჟანიძე

გამოცდილი პედაგოგი და ორგანიზატორი სოფელ ქობულეთის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ გადაიყვანეს. პასუხისმგებლობის დიდი გრძნობით, ჩვეული მონდომებით გაუძღვა მინდობილ საქმეს, ბევრი რამ შეემატა სოფელს მისი თავკაცობით. ხალხიც კმაყოფილი ჰყავდა, რადგან მუდამ იზიარებდა მათ ჭირ-ვარამს. ხშირად მომრიგებელი მოსამართლის როლშიც გამოსულა.

ჯემალ ბეჟანიძე გამოირჩეოდა პრინციპულობით და ობიექტურობით. მოსახლეობაც დიდ პატივს სცემდა მას ამ თვისებების გამო.

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ჯემალ ბეჟანიძე პარტიის რაიონული კომიტეტის შტატგარეშე ლექტორი იყო, ხალხში გამარჯვების დიდ რწმენას ნერგავდა მისი სამართლიანი სიტყვა.

1975 წელს ჯემალ ბეჟანიძე, ხალხისა და სოფლის წინაშე ვალმოხდილი გავიდა პენსიაზე. მისი დამსახურება მთავრობის ჯილდოებითა და საპატიო სიგელებით აღინიშნა. იყო აჭარისა და საქართველოს დამსახურებული პედაგოგი. ამ და სხვა დამსახურებისათვის მას დანიშნული ჰქონდა საკავშირო პერსონალური პენსია.

ჯემალ ბეჟანიძე გარდაიცვალა 1991 წელს.

ჯემალ ბეჟანიძის დაწყებულ საქმეს ღირსეულად აგრძელებს მისი შთამომავლობა. ჯემალ ბეჟანიძემ მეუღლესთან, ასევე დამსახურებულ პედაგოგთან, ბესირე კაიკაციშვილთან ერთად აღზარდა სამი შვილი, რომელთაც მიაღებინა უმაღლესი განათლება და ისინი დღესაც ეწევიან სასარგებლო საზოგადოებრივ საქმიანობას.

სერგო (ხუსეინ) ბეჟანიძე

ქობულეთის რაიონის სოფელ სამების მკვიდრთაგან, ვინც მეორე მსოფლიო ომის მძიმე დღეები უშუალოდ თავის მხრებზე გადაიტანა, იყო სერგო ბეჟანიძე. დაიბადა 1917 წელს. ქობულეთშივე მიიღო საშუალო განათლება, რის შემდეგ სწავლა განაგრძო ბათუმის კომუნალური მეურნეობის ტექნიკუმში. 1937 წელს დაამთავრა სასწავლებელი და მიიღო ტექნიკოს-მშენებლის სპეციალობა. 1938 წელს გაიწვიეს არმიაში. მისი ნაწილი კრასნოდარის მხარეში იყო განლაგებული. 1939 წელს აირჩიეს სოჭის საქალაქო საბჭოს დეპუტატად. მეორე მსოფლიო ომის

დაწყებისთანავე ქვეყნის დამცველთა რიგებში ჩადგა. მონაწილეობდა ყირიმისა და უკრაინის ფრონტების წინა ხაზზე. 1941 წელს თავდაცვითი ბრძოლების დროს დაიჭრა და საევაკუაციო ჰოსპიტალში მოათავსეს. აქ მას დახმარებას უწევდა მედიცინის და, ეროვნებით ბულგარელი, სოფიო ალექსანდრეს ასული ოსტროვსკაია; ახალგაზრდებს შეუყვარდათ ერთმანეთი და იქვე იქორწინეს. 1944 წელს, გამოჯანმრთელების შემდეგ, სერგო ბეჟანიძე კვლავ ფრონტზე წავიდა, ხოლო მეუღლე და ორი წლის შვილი ნაზი ქობულეთში გამოგზავნა. უცნობ რძალსა და შვილს სერგოს მშობლები დიდი სიყვარულითა და პატივისცემით შეხვდნენ. აქ ისინი ყურადღებითა და სითბოთი იყვნენ გარემოსილნი. ორი წლის ბავშვმა ძალზე მალე და ისე კარგად ისწავლა მშობლიური ქართული, რომ შემდეგ გახდა დედის თარჯიმანიც და ქართულის მასწავლებელიც. მალე ენა სოფიომაც ისწავლა და მშვენიერი მექართულე გახდა. ის საერთოდ კარგად ფლობდა რუსულ, უკრაინულ და ბულგარულ ენებს.

ომის დამთავრების შემდეგ სერგო სამშობლოში დაბრუნდა და ერთხანს სოფელ ქობულეთის საშუალო სკოლაში ფიზკულტურას ასწავლიდა. 1950 წელს ოჯახი საცხოვრებლად ბათუმში გადმოვიდა. ს. ბეჟანიძემ შრომითი საქმიანობა აჭარკოოპკავშირის სისტემაში განაგრძო. აქ მას მთავარი ინჟინრის საპასუხისმგებლო პოსტი მიანდეს. 1984 წლიდან ამავე სისტემის №8 მოძრავ-მექანიზებული კოლონის სამუშაოთა მწარმოებელიც იყო. მისი უშუალო მონაწილეობით და ხელმძღვანელობით აჭარის, როგორც ზღვისპირა, ისე მთიან რაიონებში დაპროექტდა და აშენდა ათეულობით ტიპური სასო-

სერგო ილიასის ძე ბეჟანიძე

ფლო მადაზია, ფარდული და უნივერმაღი, სასადილოები და რესტორნები. სერგო ბეჟანიძის მხედრული მამაცობა და მშვიდობიანი შრომა სათანადოდ დაფასდა. ის დაჯილდოებული იყო ორი საბრძოლო ორდენით, მრავალი მედლით, სამკერდე ნიშნებითა და საპატიო სიგელებით.

სერგო ბეჟანიძე გარდაიცვალა 1997 წელს.

ნაზი ბეჟანიძე

ძალზე მდიდარია სერგოს ქალიშვილის, ნაზი ბეჟანიძის ბიოგრაფია. როგორც აღვნიშნეთ, ის 1942 წელს დაიბადა უკრაინაში, ხოლო 1944 წელს დედასთან ერთად, მამის მშობლიურ სოფელ ქობულეთში ჩამოვიდა, ძალზე მალე დაეუფლა ქართულ ენას და 1949 წელს შევიდა ზედა სამების რვაწლიან სკოლაში.

1950 წელს, ოჯახის ბათუმში გადმოსვლასთან დაკავშირებით, ნაზი ბეჟანიძემ სწავლა განაგრძო ბათუმის №13 საშუალო სკოლაში, რომელიც 1959 წელს დაამთავრა და იმავე წელს ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სასურსათო პროდუქტების ტექნოლოგის ფაკულტეტზე. ინსტიტუტი დაამთავრა 1969 წელს და მიიღო პურცხობის, საკონდიტრო და მაკარონის წარმოების ტექნოლოგიის სპეციალობა.

ნაზი სერგოს ასული ბეჟანიძე

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ნაზი ბეჟანიძე შრომით საქმიანობას იწყებს აჭარის საყოფაცხოვრებო მომსახურების სა-

მინისტროში ინჟინერ-ქიმიკოსის თანამდებობაზე. 1973 წელს ის ბათუმის აბანო-სამრეცხაო-საპარიკმახეროების ტრესტის დირექტორად დააწინაურეს, ხოლო ერთი წლის შემდეგ აჭარის ვაჭრობის სამინისტროს ერთ-ერთი წამყვანი განყოფილების, საზოგადოებრივი კვების გამგებლობა მიანდვეს.

1977 წელს ნაზი ბეჟანიძე აირჩიეს აჭარის ვაჭრობის და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარედ, სადაც ამჟამადაც მუშაობს. ბეჟანიძე არის თითქმის ყველა საკავშირო, რესპუბლიკური და დარგობრივი პროფკავშირული ყრილობების დელეგატი. მიღებული აქვს სიგელები და პრემიები.

ნაზი ბეჟანიძემ შესანიშნავი ოჯახი შექმნა. მის მეუღლეს, ჯემალ წულუკიძეს საკმაოდ მაღალ თანამდებობრივი პოსტები ეკავა: იყო აჭარის სახელმწიფო დაზღვევის ინსპექციის უფროსი და აჭარის ფინანსთა მინისტრის მოადგილე. საზოგადოება მას იცნობდა, როგორც უმწიკვლო, უანგარო და პატიოსან ხელმძღვანელს. ნ. ბეჟანიძის უფროსი ვაჟი, ავთანდილი მშენებელი ინჟინერია, უმცროსი, ლევანი იყო ინჟინერ-ეკონომისტი.

ასლან ბეჟანიძე

ქობულეთელ ბეჟანიძეთა გვარიდან გამოსულ მოღვაწეთა შორის ერთ-ერთი გამორჩეული პიროვნება იყო ასლან რიზას ძე ბეჟანიძე, რომელიც 1923 წლის 2 აპრილს დაიბადა ქ. ქობულეთში, ჩვენს მიერ ზემოთხსენებულ რიზა ბეჟანიძის ოჯახში.

1941 წელს დაამთავრა ქობულეთის აკ. წერეთლის სახელობის საშუალო სკოლა, რის შემდეგ მუშაობდა სოფელ ქობულეთის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებლად, 1942 წლის მარტში ასლან ბეჟანიძე გაიწვიეს არმიის რიგებში და იმავე წლის ბოლოს ფრონტის წინა ხაზზე მოხვდა. 1943

ასლან რიზას ძე ბეჟანიძე

წლის თებერვალში ანაპის 414-ე ქართული დივიზიის 1367-ე პოლკის მე-8 ასეულში იგი სანადმტყორცნო ოცეულს მეთაურობდა და ტამანის ნახევარკუნძულზე ებრძოდა მტერს. აქ ასლან ბეჟანიძე ექვსჯერ მძიმედ დაიჭრა, მაგრამ ბრძოლის ველი არ მიუტოვებია. საბედისწერო აღმოჩნდა მისთვის 1943 წლის 25 თებერვალს კოლობოტკაში გამართული ბრძოლები. მეექვსედ მძიმედ დაჭრილი ასლანი ბრძოლის ველზე დარჩა. ჰიტლერელები დაეუფლნენ ამ პოზიციას და დილით დაიწყეს დაჭრილი მეომრების დახოცვა. გერმანელმა ოფიცერმა მისივე იარაღით ესროლა სახეში, გონება დაკარგული პირქვე დაემხო. გერმანელი დარწმუნდა, რომ იგი მკვდარია და გაეცალა. საღამოთი ასლანი გონს მოეგო, აღადგინა ყველაფერი და აღმოჩნდა, რომ ტყვიამ მას ყელის მარჯვენა მხარე ზერელედ გაუხვრიტა. ახლომახლო მშველელი არ სჩანდა. დახმარების გარეშე, ყინვასა და თოვლში მტრის განლაგებაში ის უმოძრაოდ ოთხი დღე დარჩა. მის დივიზიაში ა. ბეჟანიძე მიიჩნიეს დაღუპულად, ხოლო სამშობლოში გამოგზავნეს ცნობა: ”თქვენი შვილი ასლან რიზას ძე ბეჟანიძე ფრონტზე მყოფი, 1943 წლის 24 თებერვალს დაიღუპა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს. დაკრძალულია კრასნოდარის მხარის პეტროვსკის რაიონის ხუტორ კოლობოტკაში”.[205] – სწერდნენ ქობულეთში, გორკის ქუჩის №51 სახლში მცხოვრებ დედას.

1943 წლის 29 თებერვალს, როცა ქართული დივიზიის ნაწილებმა მეორეჯერ აიღეს აღნიშნული ადგილები, ა. ბეჟანიძე ცოცხალი იპოვეს. ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ,

1944 წლის იანვრის ბოლოს, როგორც ომის მე-2 ჯგუფის ინვალიდი, საბჭოთა არმიიდან დაითხოვეს და მშობლიურ ქობულეთში დააბრუნეს.

მძიმედ დაჭრილმა და დასახიჩრებულმა კაცმა ოჯახურ გარემოში მალე აღიდგინა ჯანმრთელობა და მშვიდობიან შრომაში ჩაება. 1944-45 წლებში ასლან ბეჟანიძე მუშაობს მშობლიურ სკოლაში დირექტორის მოადგილედ (სამხედრო მუშაობის დარგში), საიდანაც გადაჰყავთ ქობულეთის რაიაღმასკომის სამობილიზაციო განყოფილების გამგედ, 1946 წელს კი სწავლას აგრძელებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკის ფაკულტეტზე. 1951 წელს ა.ბეჟანიძე ამთავრებს უნივერსიტეტს და თავისივე სპეციალობით იწყებს მუშაობას სახელმწიფო და კოოპერაციულ სავაჭრო სისტემებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე. 1959 წელს ა.ბეჟანიძე ქ. ქობულეთის კომუნალური მეურნეობის დირექტორია, ხოლო 1961 წელს აირჩიეს ქობულეთის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ. 1963 წელს ქობულეთი რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქი გახდა, ერთი წლის შემდეგ ა. ბეჟანიძე ქობულეთის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ აირჩიეს, სადაც თითქმის10 წელი დაჰყო. შემდეგ ის ქობულეთის რაიონის ჩაქვის მეჩაიეობის მსხვილ მეურნეობას ჩაუყენეს სათავეში. ეს მეურნეობა ასლან ბეჟანიძის მუშაობის პერიოდში ერთ-ერთ მოწინავედ ითვლებოდა საქართველოში, რისთვისაც მისმა დირექტორმა ორდენები დაიმსახურა. 1986 წ. ა. რ. ბეჟანიძე მუხაესტატეს მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორად გადაიყვანეს, სადაც 1991 წლამდე მუშაობდა, ხოლო 1991 წლიდან 1997 წლამდე, გარდაცვალებამდე, ქობულეთის რაიონის გამგეობაში მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის საპატიო მოვალეობას ასრულებდა. ასლან ბეჟანიძეს ჰქონდა მრავალი ჯილდო: ლენინის, შრომის წითელი დროშის ორი, სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენები, 12 მედალი და ათამდე სიგელი.

ა. რ. ბეჟანიძე არაერთხელ აირჩიეს ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

დიდია ასლან ბეჟანიძის დამსახურება ქობულეთის რაიონის მოსახლეობის წინაშე. მისი უშუალო ხელმძღვანელობით და მონაწილეობით რაიონში არაერთი საჭირბოროტო საკითხი გადაწყვეტილა, დიდი ავტორიტეტის მქონე და ობიექტური მოღვაწის სიტყვა მოდავე მხარეებისათვის ყოველთვის მისაღები იყო. მას ძალიან დიდი სამეგობრო წრე და მრავალი ნაცნობი ჰყავდა საქართველოს ყველა კუთხეში.

საზოგადოებრივ საქმიანობასთან ერთად ასლან ბეჟანიძე კარგი მეოჯახეც გახლდათ. დღეს მისი შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები აგრძელებენ ასლანის მიერ დაწყებულ კეთილ საქმეებს და ტრადიციებს.

ვახტანგ ბეჟანიძე

ქობულეთელ ბეჟანიძეთა შორის თავისი უბრალოებით, უანგარობით, კაცთმოყვარეობით და საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით გამოირჩეოდა ვახტანგ ალექსანდრეს ძე ბეჟანიძე. დაიბადა 1928 წელს სოფელ სამებაში. იქვე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში დაეუფლა პედაგოგის სპეციალობას, მაგრამ ვახტანგის მოწოდება სხვა იყო. გადაწყვიტა მიეღო მეორე პროფესია და ეს განზრახვა კიდეც აღასრულა. დაამთავრა სოხუმის სუბტროპიკული ინსტიტუტი და მიიღო ინჟინერ-ტექნოლოგის სპეციალობა.

50-იანი წლებიდან იწყება ვახტანგის აქტიური სამეურნეო საქმიანობა ხელმძღვანელ თანამდებობებზე. მუშაობდა სოფელ ქობულეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილედ, აჭარის დამზადების სამმართველოს უფროსის მოადგილედ, ბათუმის თამბაქოს ფაბრიკის მთავარ ინჟინრად, ინდივიდუალური კერვის ფაბრიკის დირექტორად, საყოფაცხოვრებო მომსახურების

ვახტანგ ბეჟანიძე

ტრესტის დირექტორად, სანიტარიული დასუფთავების ტრესტის მმართველად.

ყველა პოსტზე ვახტანგ ბეჟანიძე კოლეგებისა და ხელქვეითების პატივისცემას იმსახურებდა, რამდენჯერმე აირჩიეს ქობულეთის რაიონული და ბათუმის საქალაქო საბჭოს დეპუტატად. მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები, სიგელები, მედლები და საპატიო სამკერდე ნიშნები.

ვახტანგ ბეჟანიძე გარდაიცვალა 2000 წელს. მან შესანიშნავი ოჯახი შექმნა, მეუღლე ეთერ ცივაძე სკოლის ასაკიდან გამოირჩეოდა აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობითა და შემოქმედებითი სწრაფვით. ეკავა საპასუხისმგებლო პოსტები ახალგაზრდულ და პარტიულ ორგანიზაციებში. იყო ა. წერეთლის სახ. აჭარის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი. ამჟამად ე. ცივაძე აჭარაში ქალთა მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია.

ვახტანგ ბეჟანიძის ვაჟი ზვიადი, ბათუმის მე-7 სკოლის დამთავრების შემდეგ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეზიარა ეკონომისტის პროფესიას, შემდეგ დაამთავრა მოსკოვის ცენტრალური მათემატიკურ-ეკონომიკური ინსტიტუტი და აქვე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

სწავლისა და სამეცნიერო საქმიანობის დროს ზვიადს არასოდეს გაუწყვეტია კავშირი მშობლიურ მხარესთან, ეროვნული მოძრაობის გაძლიერების და ახალი დამოუკიდებელი ქვეყნის მშენებლობის დროს ის ყველა მოვლენის ეპიცენტრში იყო, რაც შეუმჩნეველი არ დარჩენილა და ზვიად ბეჟანიძე აჭარის უზენაესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს, შემდეგ ის პრეზიდიუმის წევრიც გახდა და სათავეში ჩაუდგა ეკონომიკური რეფორმების ურთულეს უბანს.

ამჟამად ზვიად ბეჟანიძე მოსკოვში, რუსეთის ფედერაციის საგადასახადო და შემოსავლების ცენტრალურ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მოღვაწეობს, ეცნობა მეზობელი ქვეყნის ფისკალურ პოლიტიკას და მალე კვლავ ჩადგება მშობლიური ქვეყნის და ხალხის სამსახურში. ზვიადის მეუღლე ნინო წულუკიძე იურისტია. ჰყავთ ორი ქალიშვილი მარიამი, ელენე და ვაჟი ვახტანგი.

ვახტანგ ბეჟანიძის ქალიშვილმა ნესტანმა დაამთავრა კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ამჟამად კი ბათუმის მეზღვაურთა სამედიცინო ცენტრის ერთ-ერთ განყოფილებაში მუშაობს. მისი მეუღლე სერგო ვადაჭკორიაც მედიკოსი, ექიმი-კარდიოლოგია.

თინა ბეჟანიძე

თინა ალექსანდრეს ასული ბეჟანიძე დაიბადა 1930 წლის 8 მარტს, ქობულეთის რაიონის სოფელ სამებაში, მრავალშვილიან ოჯახში.

თინა ბეჯანიძე

1949 წელს, უმაღლესი პედაგოგიური განათლების მიღების შემდეგ მუშაობას იწყებს ქობულეთის რაიონის სოფელი ქობულეთის საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებლად.

1951-1957 წლებში მუშაობდა სოფელ ზედა სამების სკოლის დაწყებითი კლასის მოსწავლებლად, 1957-2000 წლებში კი ქობულეთის რაიონის საფელ გვარას საშუალო სკოლაში.

ღვაწლმოსილი პედაგოგი 50 წლის განმავლობაში დაუღალა-

ვად ემსახურებოდა მომავალი თაობების არზრდის საქმეს. მისი დედობრივი მზრუნველობით და განსაკუთრებული სითბოთი არაერთი გამორჩეული თაობა დაფრთიანებულა, მათი წარმატებებითა და მიღწევებით სულდგმულობდა. თინა ბეჟანიძის კვალიფიციურობა და წარმატებული პედაგოგიური მოღვაწეობა არაერთი სამთავრობო დიპლომით, მედლებითა და პრემიებით აღნიშნულა, მას მინიჭებული ჰქონდა სახალხო განათლების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება. ქალბატონი თინა წარმატებული იყო ოჯახშიც. სამაგალითო რძალმა და მეუღლემ ქვეყანას აღუზარდა ხუთი საუკეთესო შვილი, რომლებიც სხვადასხვა სფეროში მოღვაწეობენ, სამი მათგანი მეცნიერია, ხოლო უფროსი ვაჟიშვილი გულადი გოგმაჩაძე სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სრულიად რუსეთის აგრონომიის, ეკოლოგიისა და ინფორმატიზაციის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის გენერალური დირექტორი.

მიხეილ ბეჟანიძე

ცხოვრების საინტერესო გზა განვლო მიხეილ ბილალის ძე ბეჟანიძემ. დაიბადა 1931 წელს, ქობულეთის რაიონის სოფ. ხუცუბანში. პირველადი განათლება მიიღო ამავე რაიონის სოფელ გვარას არასრულ საშუალო სკოლაში, 1943 - 44 სასწავლო წელს სწავლა განაგრძო ხელვაჩაურის რაიონის მწვანე კონცხის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების ტექნიკუმში. დამთავრების შემდეგ მას მიენიჭა უმცროსი აგრონომის წოდება და განაწილებით გაგზავნეს. ქობულეთის რაიონის სოფ. ჯიხანჯურის საბჭოთა მეურნეობაში, სადაც 1949 წლამდე იმუშავა უმცროსი აგრონომის თანამდებობაზე. 1953 წელს მიხეილ ბეჟანიძემ დაამთავრა ოდესის საკრედიტო-ეკონომიური ინსტიტუტი და მიიღო ეკონომისტის სპეციალობა. შემდეგ კი

დაუსწრებლად დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1953 წლის სექტემბრიდან მ. ბეჟანიძე ქობულეთის სახელმწიფო ბანკის საკრედიტო ინსპექტორია, საიდანაც 1 თვის შემდეგ გადაიყვანეს შუახევის რაიონის ახლადგახსნილი სახელმწიფო ბანკის მმართველად. აქ მუშაობდა 6 წლის განმავლობაში. რამდენჯერმე აირჩიეს პარტიის რაიკომის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ და რაიონის სახალხო სასამართლოს შემცვლელ მოსამართლედ. 1959 წელს მობილიზაციის წესით, როგორც სპეციალისტი ეკონომისტი, გადაიყვანეს აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტროს სოციალისტური საკუთრების სპეკულაციისა და დატაცების წინააღმდეგ მებრძოლ განყოფილებაში, შემდეგ, სრულიად დამსახურებულად აღმავალი წესით უცვლიდნენ თანამდებობებს, ხოლო 1987-91 წლებში იყო აჭარის ა. რ. შინაგან საქმეთა მინისტრი.

შინაგან საქმეთა ორგანოებში თანამდებობრივი წინსვლის კვალდაკვალ მ. ბეჟანიძეს ანიჭებდნენ წოდებებსაც. მილიციის ლეიტენანტის წოდება მას მიენიჭა 1960 წელს, ხოლო გენერალ-მაიორის – 1989 წელს. ამ სისტემაში მუშაობის პერიოდში დაჯილდოებული და წახალისებული იყო 27-ჯერ. 1991 წლიდან გავიდა შეიარაღებული ჯარების თადარიგში. ამჟამად პენსიონერია.

მიხეილ ბეჟანიძე

მეუღლე – ნერიმან რიზას ასული ჭიჭინაძე სითბოთი და სიყვარულით აღსავსე, სპეციალობით ოტოლარინგოლოგი იყო, წლების განმავლობაში მუშაობდა შუახევის რაიონულ და ქ. ბათუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოში. უფროსი შვილი ლევანი (ნუკრი) ამჟამად

მუშაობს ქ. ბათუმის სამშობიარო სახლის მთავარ ექიმად (მის შესახებ იხილეთ ქვემოთ), ხოლო მეორე შვილი, დავითი ქობულეთის პოლიციის უფროსია. ჰყავს მეუღლე და 3 შვილი.

გამორჩეულნი იყვნენ მიხეილ ბეჟანიძის მშობლებიც. მამა – ბილალ სულეიმანის ძე ბეჟანიძე ქობულეთის რაიონში ითვლებოდა აქტიურ და ავტორიტეტულ პიროვნებად. დედა – ფადიმე თევრათის ასული ცივაძე – შესანიშნავი მეოჯახე, 7 შვილის დედა და დარბაისელი მანდილოსანი იყო და დიდი პატივისცემითა და დაფასებებით სარგებლობდა რაიონის მოსახლეობაში. მას პოეტმა ჯემალ ქათამაძემ მიუძღვნა წიგნი, რომელიც დაიბეჭდა ქ. ბათუმში.[206]

იოსებ ბეჟანიძე

ცხოვრების საინტერესო და მრავალფეროვანი გზა განვლო იოსებ ბილალის ძე ბეჟანიძემ, რომელიც 1934 წლის 17 მაისს დაიბადა ქობულეთის რაიონის სოფ. ხუცუბანში. 1942-53 წლებში სწავლობდა სოფ. ხუცუბნის საშ. სკოლაში, რომელიც ოქროს მედალზე დაამთავრა. შემდეგ სწავლა განაგრძო ოდესის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში და დაეუფლა სწავლული აგრონომის პროფესიას. 1958-59 წლებში იოსები მუშაობდა სოფ. გვარას ენგელსის სახელობის კოლმეურნეობაში აგრონომად. მალე აჭარის საოლქო კომიტეტმა იგი გააგზავნა ქ. მინსკში საკავშირო სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის უმაღლეს სკოლაში, სადაც სწავლობდა 1959-61 წლებში და მიიღო იურისტის და



იოსებ ბეჟანიძე

ოპერატიული მუშაკის სპეციალობა. 1961-64 წ.წ. იოსებ ბეჟანიძე მუშაობდა აჭარის ასსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში უფროს ოპერ-რწმუნებულად და განყოფილების უფროსად. მიღებული ქონდა პოდპოლკოვნიკის წოდება. ამ ორგანოებიდან გასვლის შემდეგ 1970 წელს დაინიშნა საქართველოს საზღვაო სანაოსნოს პარტიულ კომიტეტში შორეული ნაოსნობის კაპიტნის პირველ მოადგილედ, სადაც 1973 წლამდე დარჩა, შემდეგ კი დაუბრუნდა თავის პროფესიას. მუშაობდა ქობულეთის რაიონის ჩაის ფაბრიკების გაერთიანების გენერალური დირექტორის მოადგილედ. 1975 წლიდან 24 წლის განმავლობაში იოსებ ბეჟანიძე მისივე ხელმძღვანელობით აშენებულ ქობულეთის რაიონის სამეურნეობათაშორისო სასათბურე კომბინატის დირექტორად მუშაობდა. 1993 წ. გავიდა დამსახურებულ პენსიაზე.

1973-75 წ.წ.იოსბმა დაუსწრებლად დაამთავრა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის სამეცნიერო ინსტიტუტის ასპირანტურა. 1976 წელს აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის ეკონომიკის საკითხებზე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მიენიჭა ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის წოდება. იოსებ ბეჟანიძე გარდაიცვალა 2005 წლს. ჰყავს მეუღლე და ორი ვაჟი.

ავთანდილ ბეჟანიძე

ავთანდილ ალექსანდრეს ძე ბეჟანიძე დაიბადა 1939 წლის 25 მაისს ქობულეთის რაიონის სოფელ ქობულეთში. 1957 წლს დაამთავრა ხუცუბნის საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, სადაც მიიღო სწავლული აგრონომის კვალიფიკაცია. 1964-1066 წლებში მუშაობდა ყაზახეთის რესპუბლიკაში ყამირ და ნახვენ მიწებზე. დაბრუნების შემდეგ ქობულეთის რაიონში მცენარეთა

ავთანდილ ბეჟანიძე

დაცვის სახელმწიფო ინსპექტორად დანიშნეს. 1975 წლიდან ა. ბეჟანიძე აჭარის საოლქო საწარმოო ბიოლაბორატორიის დირექტორია. ლაბორატორია აშენდა და ექსპლუატაციაში გავიდა ა. ბეჟანიძის უშუალო ხელმძღვანელობით. პარალელურად სწავლობდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მცენარეთა დაცვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურაში, რომლის დამთავრების შემდეგ 1978 წელს წარმატებით დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. მალე ა. ბეჟანიძე დააწინაურეს გაერთიანება „აჭარსოფქიმიის“ თავმჯდომარედ, აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილედ.

1982 წელს ავთანდილ ბეჟანიძე აირჩიეს ქობულეთის რაიკომის მეორე მდივნად. 1985 წლიდან ა. ბეჟანიძე დააწინაურეს ქობულეთის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ, 1990 წლიდან პარალელურად რაიკომის პირველ მდივნად მუშაობდა.

ა. ბეჟანიძეს დიდი წვლილი მიუძღვის ქობულეთის რაიონის სოციალურ-ეკონომიკური პროცესების მართვის და მრავალი სოციალური პრობლემის გადაწყვეტის საქმეში.

რაიონის მოსახლეობაში ავთანდილ ბეჟანიძის უდიდესი ავტორიტეტი გამოვლინდა ქვეყანაში ხელისუფლების შეცვლის შემდეგაც, როცა ის თანამდებობაზე აღარ იყო, მაგრამ რაიონის მოსახლეობამ მას კიდევ ერთხელ გამოუცხადა ნდობა და 1991 წლის ივნისში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს მაჟორიტარ დეპუტატად აირჩია.

ავთანდილ ბეჟანიძე ყოველთვის, განსაკუთრებით დეპუტატობის დროს, იყო უკომპრომისო უკანონობისა და უსამართლობის ნებისმიერი გამოვლინებისადმი. სწორედ ამ თვისებებს შეეწირა მისი შემოქმედებითი მოღვაწეობის თითქმის 10 წელი. არსებულმა რეჟიმმა ის ფაქტობრივად ჩამოაშორა საზოგადოებრივ საქმიანობას. მიუხდავად ამისა, მან კიდევ უფრო გააააქტიურა პოლიტიკური საქმიანობა და დიდი როლი ითამაშა აჭარაში 13 წლიანი დიქტატურული რეჟიმის შეცვლაში.

2004 წლიდან ა. ბეჟანიძე სათავეში ჩაუდგა ოპოზიციური გაერთიანება „ჩვენი აჭარის“ ქობულეთის ორგანიზაციას, იყო მისი სპიკერი და აქტიურად მონაწილეობდა აჭარაში არსებული რეჟიმის შეცვლაში. ამავე წლის მაისში დაინიშნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროებით საპრეზიდენტო საბჭოს წევრად. 2004 წლის ივლისიდან ავთანდილ ბეჟანიძე არჩეული

აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები: ზურაბ მიქელაძე, ლეილა ჩხეიძე, ავთანდილ ბეჟანიძე;
უკანა რიგში იოსებ ხიმშიაშვილი და მიხეილ მახარაძე. 2006 წ.

იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად ქობულეთის №81/3 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქიდან. 2008 წლის დეკემბრამდე ასრულებდა აჭარის უმაღლესი საბჭოს აგრარულ და თვითმმართველობის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობას.

2009 წლიდან მუშაობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროში მინისტრის თანაშემწედ და მრჩევლად.

ავთანდილ ბეჟანიძეს ჰყავს შესანიშნავი ოჯახი. მეუღლეს – თინათინ ცივაძეს დამთავრებული ჰქონდა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი. წლების განმავლობაში მუშაობდა ქ. ბათუმის №2 საავადმყოფოში, ქობულეთის საკურორტო პოლიკლინიკაში, აჭარის ჯანმრთელობის დაცვის პოლიკლინიკაში. თავისი ადამიანური სითბოთი პაციენტების გულებში წარუშლელი კვალი დატოვა. გარდაიცვალა 1998 წელს. დაკრძალულია ბეჟანიძეების საგვარეულო სასაფლაოზე, სოფელ სამებაში.

თინათინსა და ავთანდილს შეძინათ ორი შვილი – სულხანი და ალექსანდრე.

სულხან ბეჟანიძე დაიბადა 1970 წელს. დაამთავრა ქ. თბილისის აგრარული უნივერსიტეტი. 5 წლის განმავლობაში ასწავლიდა ბათუმის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, პარალელურად კი ეწეოდა საზოგადოებრივ საქმიანობას. ინსტიტუტში ჩამოაყალიბა მხიარულთა და საზრიანთა კლუბი „რა? სად? როდის?.“ გუნდი მონაწილეობდა რეგიონულ და ამიერკავკასიის ჩემპიონატებში, სადაც დიდ წარმატებებს მიაღწია. სულხან ბეჟანიძე სხვადასხვა დროს მუშაობდა სადაზღვევო კომპანია „კასკო“-ში, „აჭარინტერავტოსერვის“-ში სატრანსპორტო კომპანია „ტრანსჯორჯია“-ში, საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში. შემდეგ კერძო საწარმოებში: სარეკლამო სააგენტო „მიმინო“-ს აღმასრულებელ დირექტორად, ხელმძღვანელობდა სარეკლამო

სააგენტო „მაგი-სტილს.“ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში დააფუძნა სარეკლამო სააგენტო „აჯადი,“ რომელიც ამჟამად მისი ხელმძღვანელობით მუშაობს.

1996 წელს იქორწინა რუსუდან ცხომელიძეზე, რომელიც პროფესიით ჟურნალისტია და ტელემაყურებელთა უმრავლესობისათვის ცნობილ სახეს წარმოადგენს. მუშაობდა ტელეკომპანია „იმედში,“ გადაცემა „დროება“-ში მთავარ რედაქტორად. ამჟამად კითხულობს ლექციებს ილიას უნივერსიტეტში.

ჰყავთ სამი შვილი (თინანო, ანანო და ბარბარე).

ალექსანდრე (ალეკო) ბეჟანიძე დაიბადა 1972 წელს. დამთავრებული აქვს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ელექტრონიკის და ელექტრომექანიკის ფაკულტეტი და ბათუმის პოლიტქნიკური ინსტიტუტი საერთაშორისო ეკონომიკის სპეციალობით.

სხვადასხვა დროს მუშაობდა „საქართველოს საზღვაო ბანკში“ და ბანკ „კავკასიონში“ შპს „საქართველოს რკინიგზებში“ ფინანსური დირექტორის მოადგილედ; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრად; შპს „ თ ჯგუფში“ დირექტორად; საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროში ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსად; გენერალური ინსპექციის უფროსად. 2008 წლიდან მუშაობდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ბათუმის რეგიონული ცენტრის უფროსის მოადგილედ, ხოლო შემდგომში ამავე ცენტრის უფროსად, ფინანსთა სამინისტროს სისტემაში. ამჟამად მუშაობს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროში.

ალეკოს მეუღლე დიანა ვაშაყმაძე პროფესიით ჟურნალისტია. მუშაობდა ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ში, „იმედში,“ აჭარის მთავრობის პრესსამსახურის უფროსად; შპს „საქართველოს გაზის და ნავთობის კორპორაციაში“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში; კითხულობდა ლექციებს ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ჰყავთ ორი შვილი (სესილი და თეკლა).

ავთანდილ ბეჟანიძის მშობლები ალექსანდრე ბეჟანიძე და აიშე შავიშვილი ცხოვრობდნენ ქობულეთის რაიონის სოფ. სამებაში. გამოირჩეოდნენ სტუმართმოყვარეობით, ჰუმანურობით და ურთიერთპატივისცემით. ამან განაპირობა მათი მომდევნო თაობების სიბეჯითე და კაცთმოყვარეობა.

მერი ბეჟანიძე

ქართველ მეცნიერ-ბიოლოგთა დიდ ოჯახში ღირსეული ადგილი ეკავა მერი ბეჟანიძეს, რომელმაც ფიტო-პათოლოგიის რთულ სფეროში გაითქვა სახელი.

მერი ბილალის ასული ბეჟანიძე დაიბადა 1949 წ. ვერცხლის მედალზე დაამთავრა საშუალო სკოლა, შემდეგ 1965 წელს თბილისის სასაფლო სამეურნეო ინსტიტუტის ფგრონომიული ფაკულტეტი. 1954 წლიდან მ. ბეჯანიძე მუშაობდა ფიტო-პათოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალში ჯერ ლაბორანტად, 1975 წლიდან უფროს ლაბორანტად, 1975 წლიდან უმცროს მეცნიერ მუშაკად, ხოლო 1992 წლიდან მცენარეთა იმუნიტეტის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-მუშაკია.

მერი ბეჟანიძე

1984 წ. მოსკოვის ფიტო-პათოლოგიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში მერი ბეჟანიძემ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მიენიჭა ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის წოდება. აქვს 37 მეცნიერული შრომა. მონაწილეობდა საკავშირო სამეცნიერო სიმპოზიუმებში.

მერი ბეჟანიძეს ჰყავს მეუღლე ფრიდონ მეგრელიძე, პროფესიით

სწავლული აგრონომი და 2 ვაჟი: ჯემალი – სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდა-ტია, იყო საქართველოს მეორე მოწვევის პარლამენტის წევრი. ამჟამად აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეა. მეორე შვილი ვახტანგი იურისტია.

ქეთო ბეჟანიძე

მიხეილის, იოსებისა და მერის უმცროსი დაა ქეთო ბილალის ასული ბეჟანიძე, ქობულეთის რაიონიდან ერთ-ერთი პირველი ქალი, ინჟინერ ტექნოლოგი.

ქეთო დაიბადა 1943 წელს სოფელ ხუცუბანში ბილალ ბეჟანიძის მრავალშვილიან ოჯახში. დაამთავრა მშობლიური სოფლის საშუალო სკოლა, ხოლო 1970 წელს საქართველოს პოლიტიკური ინსტიტუტი და მიიღო ინჟინერ-ტექნოლოგის სპეციალობა.

ქეთო ბეჟანიძე

1964 წლიდან, 34 წლის განმავლობაში, ქეთო ბეჟანიძე ქობულეთის საკონსერვო ქარხანაში მუშაობდა. მის სახელთან დაკავშირებულია მრავალი საწარმოო სიახლის დანერგვა, პროდუქციის რაოდნობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესება.

სამწუხაროდ, 1968 წლიდან ქარხანამ შეწყვიტა არსებობა, რის გამო პერსონალიც დაითხოვეს. ქეთო ბეჟანიძე ამჟამად დიასახლისია.

სამაგალითო ოჯახიდან გამოსულ ქალს საკუთარი ოჯახიც შესანიშნავი აქვს. მეუღლე აკაკი გოგოლიშვილი (გარდაიცვალა 2012 წ.) სოფლის მეურნეობის მეცნიერების კანდიდატი, წლების მანძილზე რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს თავკაცობდა. იყო ციხისძირის მეურნეობის დირექტორი.

ქალიშვილმა ნუნუმ დაამთავრა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი და მიიღო ქიმია-ბიოლოგიის სპეციალობა.

ვაჟმა რუსლანმა უმაღლესი განათლება მოსკოვის სასოფლო სამეურნეო აკადემიაში მიიღო. წლების მანძილზე იყო სასათბურე მეურნეობის დირექტორი, რაიონის ქონების მართვის პასუხისმგებელი მუშაკი, სამთავრობო დაცვის თანამშრომელი, საბაჟო პოლიციის უფროსი. 1999 წელს რუსლანი ქობულეთის რაიონის გამგებლად დანიშნეს, სადაც სამი წელი დაჰყო. ამჟამად სატრანსპორტო პოლიციის სამმართველოს უფროსია.

თამაზ ბეჟანიძე

ქართველ ქორეოგრაფთა დიდ ოჯახში ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი ეკავა მელიტონ კუხიანიძის სახელობის აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელს და დირექტორს, აჭარის ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირის თვამჯდომარეს, რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს, ღირსების ორდენის კავალერს, ბათუმის საპატიო მოქალაქეს თამაზ ბეჟანიძეს.

დაიბადა 1941 წლის 10 ივლისს ქ. ბათუმში №1 ვაჟთა საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში მოცეკვავე-მსახიობად დაიწყო მუშაობა.

1965 წელს დაამთავრა შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი და საქართველოს ფილარმონიის აჭარის განყოფილებაში

თამაზ ბეჟანიძე

საესტრადო ანსამბლ „ბათუმი“-ს მოცეკვავე-მსახიობად განაგრძო თავისი შემოქმედებითი გზა.

სამხედრო-სავალდებულო სამსახურის დამთავრების შემდეგ თ. ბეჟანიძე აჭარკოოპკავშირის ქორეოგრაფიულ ანსამბლს ჩაუდგა სათავეში, ხოლო 1976-2007 წლებში ხელმძღვანელობდა ბათუმის მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკის ქორეოგრაფიულ ანსამბლ „გაზაფხულს.“

თამაზ ბეჟანიძეს განხორციელებული ჰქონდა არაერთი საინტერესო ქორეოგრაფიული დადგმა, მათ შორის ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სპექტაკლებში, მოსკოვის სახალხო ანსამბლებში „კოლხიდა“-სა და „ივერია“-ში, სომხეთის ტატულ ალთუნიანის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლში, დოკუმენტურ ფილმებში: „ტრადიცია გრძელდება,“ „ქართული ხალხური ცეკვები,“ „ჩემი ბათუმი.“

1997-2008 წლებში თამაზ ბეჟანიძე ხელმძღვანელობდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურის ცენტრსა და ანსამბლ „ტბეთს.“

2004 წლიდან გარდაცვალებამდე იყო აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი და დირექტორი.

1991-2011 წლებში თ. ბეჟანიძე აირჩიეს აჭარის ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარედ. საგასტროლო ტურნეებით მოვლილი ჰქონდა მსოფლიოს არაერთი ქვეყანა, მათ შორის: ეგვიპტე, სირია, სუდანი, ალბანეთი, ბულგარეთი, საბერძნეთი, კვიპროსი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, გერმანია,

ჰოლანდია, იტალია, ინგლისი, შვეიცარია, კანადა, ავსტრია, იორდანია, მაკედონია, ერაყი, პოლონეთი, უკრაინა, ყაზახეთი, რუსეთი, თურქმენეთი, ესპანეთი, თურქეთი, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი . . . იყო მრავალი საერთაშორისო ფესტივალისა და კონკურსის ლაურეატი, მათ შორის ბურგასის (ბულგარეთი, 1969 წელი), ბოპორტის (კანადა, 1991 წ.), მოსკოვის (1982 წ.), ათენის (საბერძნეთი, 1978 წ.) მსოფლიო ფესტივალებისა და ბერმეოს (ესპანეთი, 2010 წ.), ბურსის (თურქეთი, 2011 წ.), სპრი-ნეიზის (გერმანია, 2011წ.) ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალების ლაურეატი.

თამაზ ბეჟანიძე დაჯილდოებული იყო საქართველოს სახალხო განათლების წარჩინებულის სამკერდე ნიშნითა და აჭარის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელით, 2009 წელს მას მიენიჭა „საპატიო ბათუმელი“-ს წოდება.

წარმატებას ხელოვნებაში, კერძოდ, ქორეოგრაფიაში თამაზ ბეჟანიძემ დაუღალავი შრომით და დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით, პროფესიონალიზმით, ქორეოგრაფიისადმი დიდი სიყვარულით მიაღწია.ესსაქმე გულით უყვარდა და სხვებსაც შეაყვარა.

თამაზი თავის საქმეს სიცოცხლის ბოლო დღემდე განაგრძობდა, მაგრამ მძიმე სენს ვეღარ გაუმკლავდა, იგი 2012 წლის მარტში გარდაიცვალა.

ნუგზარ ბეჟანიძე

პედაგოგ ბეჟანიძეთა შორის გამოირჩეოდა ნუგზარ ბეჟანიძე, რომელმაც საქმიანობისათვის საკმაოდ პოპულარული, მაგრამ შედარებით იშვიათი პროფესია აირჩია და ცნობილ სპორტსმენად ჩამოყალიბდა.

ნუგზარი დაიბადა 1943 წელს ქ. ბათუმში ზემოთხსენებულ მურად ბეჟანიძის ოჯახში. საშუალო განათლება ქობულე-

ნუგზარ ბეჟანიძე

თის აკაკი წერეთლის სახელობის №1 სკოლაში მიიღო და სწავლა განაგრძო თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის პედაგოგმწვრთნელის ფაკულტეტზე. სწავლასთან ერთად აქტიურად ჩაება სპორტულ შეჯიბრებებში. 1962 წლიდან 20 წლის განმავლობაში მონაწილეობდა 6 სპარტაკიადაში, რომლის დროს გახდა აჭარის ჩემპიონი ჭიდაობის 3 სახეობაში (სამბო, თავისუფალი, ქართული ჭიდაობა).

1963 წლს ნუგზარ ბეჟანიძე მონაწილეობდა საბჭოთა კავშირის პირველობაზე ახალგაზრდებს შორის ჭიდაობა სამბოში, სადაც მე-3 საპრიზო ადგილი დაიკავა. იმავე წელს საქართველოს პირველობაზე ქართულ ჭიდაობაში მე-3 ადგილი, ხოლო მოზრდილებს შორის საკავშირო პირველობაზე ჭიდაობა სამბოში მე-4 ადგილი დაიკავა. შეასრულა ნორმატივი და მიენიჭა სპორტის ოსტატის საპატიო წოდება.

1966 წ. ნუგზარ ბეჟანიძე მონაწილეობდა საქართველოს პირველობაზე ჭიდაობა სამბოში, სადაც პირველი ადგილი დაიკავა და გახდა რესპუბლიკის ჩემპიონი. იმავე წლს პირველი ადგილი და ჩემპიონობა მოიპოვა საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების პირველობაზე.

ნუგზარ ბეჟანიძემ ძალები მოსინჯა ლელო-ბურთშიც,სადაც აჭარის ნაკრების სახელს იცავდა. აქაც წარმატებით გამოვიდა და სპორტის ამ სახეობაშიც ოსტატის წოდება მოიპოვა.

წარმატებული იყო ნუგზარ ბეჟანიძისათვის 1968 წელიც, სადაც ის მონაწილეობდა საბჭოთა კავშირის გუნდურ პირვ-

ელობაზე თავისუფალ ჭიდაობაში. აქ მეორე საპრიზო ადგილი და ვერცხლის მედალი დაიმსახურა.

1967-94 წწ. ნუგზარ ბეჟანიძე ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას ალამბრის საშუალო, ქობულეთის პროფ-ტექნიკურ, ბავშვთა სპორტულ, ქობულეთის საშუალო სკოლებში, სადაც თავის მდიდარ სპორტულ გამოცდილებას გადასცემდა ბავშვებსა და მოზარდებს.

გარდაიცვალა 2006 წელს.

ნუგზარ ბეჟანიძის მეუღლეა ლამარა მეგრელიძე, ჰყავთ 5 შვილი.

მერაბ ბეჟანიძე

აჭარის ახალგაზრდული ორგანიზაციების განვითარებასრულყოფაში დიდი წვლილი შეიტანა მერაბ ბილალის ძე ბეჟანიძემ, რომელიც 1950 წლის 7 იანვარს დაიბადა ქობულეთის რ-ის სოფ. ხუცუბანში.

1967 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა ხუცუბნის საშ. სკოლა, შემდეგ 1972 წელს კიევის სავაჭრო ეკონომიკური ინსტიტუტი,ხოლო 1986 წ. საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი.

მერაბ ბეჟანიძე

1973-1986 წწ. მერაბ ბეჟანიძე მუშაობდა კომკავშირის ქობულეთის რაიკომის პირველ მდივნად, აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივნად, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პასუხისმგებელ მუშაკად. აქედან ის გადაიყვანეს აჭარის მინისტრთა საბჭოს ვაჭრობისა და საფინანსო ორგანოების განყოფილების უფროსად, ხოლო 1990 წლიდან სახ-

ელმწიფო საგადასახადო ინსპექციის უფროსია ქობულეთის რაიონში. ამჟამად ბიზნესმენია.

მერაბ ბეჟანიძეს ჰყავს მეუღლე ნაზი ცინცაბაძე, სპეციალობით პედაგოგი და 5 შვილი.

ანზორ ბეჟანიძე

ბეჟანიძეთა გვარიდან გამოსულ მეცნიერთა შორის თვალსაჩინო იყო ანზორ ბეჟანიძე, რომელმაც მნიშვნელოვანი სამეცნიერო შრომებით გაამდიდრა ქართული სასოფლო სამეურნეო დარგი.

ანზორ ახმედის ძე ბეჟანიძე დაიბადა 1952 წ. ქ. ქობულეთში. დაამთავრა ქ. ქობულეთის № 1 საშუალო სკოლა და 1972 წ. ჩაირიცხა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის სუბტროპიკულ ფაკულტეტზე, რომელიც 1977 წ. დაამთავრა. ახალგაზრდა სპეციალისტი მუშაობდა სოფ. კვირიკეს კოლმეურნეობაში უბნის აგრონომად და აგროქიმიკოსად, ხოლო 1981 წლიდან რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების მემცენარეობის განყოფილების აგრონომად. აქ-დან ოჩხამურის ჩაის მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივნად გადაიყვანეს, საიდანაც 1990 წ. პირადი განცხადების საფუძველზე განთავისუფლდა და გავიდა კომუნისტური პარტიის რიგებიდან.



ანზორ ახმედის ძე ბეჟანიძე

1982-86 წწ. ანზორ ბეჟანიძე პრაქტიკულ საქმიანობასთან ერთად დაუსწრებლად სწავლობდა ჩაისა და სუბტროპიკულ

კულტურათა სამეცნიერო საწარმოო გართიანების ასპირანტურაში, რომლის დამთავრების შემდგ 1988 წ. ქ. მოსკოვის პატრის ლუმუმბას სახელობის ხალხთა მეგობრობის ინსტიტუტში დაიცვა დისერტაცია თემაზე, „აჭარის წითელმიწა ნიადაგების აგროგენეტიკური დახასიათება ანთროპოგენულ ევოლუციასთან დაკავშირებით“ და მიენიჭა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

1991 წლიდან ანზორ ბეჟანიძე აჭარის ერთერთი პირველი კომერციული უმაღლესი სასწავლებლის „გონიო“-ს ლექტორი იყო, ხოლო 1983-99 წწ. სოფლის მეურნეობის აკადემიის ჩაქვის ფილიალის დირექტორი და მეცნიერ-მუშაკი.

ანზორ ბეჟანიძე შემოქმედებითი სიმწიფისა და აღმავლობის პერიოდში 1999 წელს ტრაგიკულად დაიღუპა.

ზურაბ ბეჟანიძე

სახელგანთქმული ქალაქ-კურორტის ყოფილი მერი ზურაბ ბეჟანიძე 1952 წელს დაიბადა ქ. ქობულეთში. 1969 წ. დაამთავრა მშობლიური ქალაქის აკაკი წერეთლის სახელობის საშუალო სკოლა, რის შემდეგ უმაღლესი განათლების მისაღებად უკრაინაში წავიდა და ქ. კიროვოგრადში სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის საგზაო-სამშენებლო მანქანებისა და დანადგარების სპეციალობაზე ჩაირიცხა (1970 წ.).

ზურაბ ბეჟანიძე

ინსტიტუტის დამთავრებისთანავე 1975 წ. ზ. ბეჟანიძე ქობულეთში დაბრუნდა და რაიონის საგზაო სამმართველოს ინჟინერ-მექანიკო-

სის სპეციალობით დაიწყო შრომითი საქმიანობა. აქედან გაიწვიეს სამხედრო სამსახურში, სადაც 1 წლის განმავლობაში თავისი სპეციალობით ასრულებდა ოფიცრის მოვალეობას.

არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ, 1977 წლიდან, 5 წლის განმავლობაში ზურაბ ბეჟანიძე პარტიის რაიონული კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების ინსტრუქტორი იყო, ხოლო 1982 წ. ქობულეთის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ დანიშნეს.

ორი ათეული წელი ზ. ბეჟანიძე ამ შესანიშნავი ქალაქის მეურვე იყო. ამ ხნის მანძილზე მისი თანამდებობა ჯერ გამგებლად, შემდეგ მერად შეიცვალა, მოვიდა ახალი წეს-წყობილება, მაგრამ არ შეცვლილა ქალაქის ხელმძღვანელობის კურსი. ზურაბ ბეჟანიძე ცოდნას და ენერგიას არ იშურებდა თავისი მშობლიური ქალაქის მოვლა-პატრონობისათვის, რათა ამ უმნიშვნელოვანესმა დასვენების კერამ კვლავ შეინარჩუნოს ძველი დიდება და ღირსება. ამჟამად ზურაბ ბეჟანიძე ბიზნესმენია.

ჰყავს მეუღლე თინა ინაიშვილი და ორი შვილი რამაზი და თამაზი.

ირინე ბეჟანიძე

სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობით თავი გამოიჩინა ბეჟანიძეთა გვარის მშვენიერმა ქალბატონმა ირინემ. იგი ცნობილი შორეული ნაოსნობის კაპიტნის ჰაიდარ ბეჟანიძის შვილიშვილია; ბაბუა ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ბაქოში.

ირინე დაიბადა ქ. ბათუმში 1955 წ. 1972 წელს წარჩინებით დაამთავრა ქ. ბათუმის № 11 რუსული საშუალო სკოლა, იმავე წელს ჩაირიცხა ოდესის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიურ ფაკულტეტზე, სპეციალობით არაორგანული ქიმია, რომელიც დაამთავრა 1977 წელს.

1977-1980 წწ. ი. ბეჟანიძე მუშაობდა პლასტიკური მასების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბათუმის 113-ე

ლაბორატორიაში ინჟინრად. 1980-1983 წწ. სწავლობდა ლენინგრადის უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტის ასპირანტურაში, სადაც დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

ერთი წლის შემდეგ ირინე დაბრუნდა მშობლიურ ქალაქში და მუშაობდა ბათუმის აგრარული ბიოტექნოლოგიების და ბიზნესის ინსტიტუტში მემბრანული ტექნოლოგიის განყოფილების გამგედ.

1992 წლიდან ი. ბეჟანიძე შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტშია: ქიმიის კათედრის მასწავლებლად, კათედრის დოცენტად, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და მედიცინის ფაკულტეტის ქიმიის დეპარტამენტის ასოცირებულ პროფესორად, 2009 წლიდან დღემდე საბუნებსმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ქიმიის დეპარტამენტის სრული პროფესორია. 2010 წლამდე ერთდროულად მუშაობდა მემბრანული ტექნოლოგიების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ელექტრომემბრანული ტექნოლოგიისა და აპარატურის განყოფილების მთავარ მეცნიერ-თანამშრომლად, იყო ამ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.

ირინე ბეჟანიძეს გამოქვეყნებული აქვს 93 სამეცნიერო ნაშრომი:

ირინე ბეჟანიძე

არის საქართველოს სამეცნიერო ეროვნული ფონდის გრანტის № GNSF / STO8 / 5 – 439 „ნაყოფების გადამუშავების უნარჩენო, ეკოლოგიურად სუფთა კომპლექსური ტექნოლოგიის შექმნა.“ (2009-2012) სამეცნიერო ხელმძღვანელი, რამდენიმე საერთაშორისო და საქართველოს დარგობრივი მეცნიერებათა აკადემიის წევრი, საქართველოს ეკოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი; MEMBERS OF THESOCIETY OF LAW AND MEDICINE, ROC, TAIWAN – ტაივანის

„კანონი და მედიცინა“ ასოციაციის წევრი, ბათუმის რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტის საბჭოს და სადისერტაციო საბჭოს წევრი.

ირინე ბეჟანიძე მშობლიურ ენასთან ერთად კარგად ფლობს რუსულ და ინგლისურ ენებს.

დედა – ციალა ბეჟანიძე, საქართველოს დამსახურებული პედაგოგი, მუშაობდა მეთოდისტად პიონერთა სასახლეში, ამჟამად პენსიონერია;

მამა – ზურაბ ბეჟანიძე (1928 2.), 1947-1952 წწ. სწავლობდა ბაქოს საზღვაო სასწავლებელში, სპეციალობით ელექტრო და რადიომექანიკოსი, პარალელურად დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტი. 1954-1967 წწ. მუშაობდა ბათუმის გემთმშენებელ ქარხანაში, წამყვან ინჟინრად, შემდეგ საქართველოს სანაოსნოში კაპიტნის პირველ თანაშემწედ, ელექტრომექანი-კოსად.

ირინეს ქალიშვილმა ნათია ბეჟანიძემ, 2009 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა რ. შაჰინის სახელობის ლიცეუმი და 2010 წ. ჩაირიცხა ანკარის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე. ნათიას საერთაშორისო სამეცნიერო პროექტების ოლიმპიადებზე მიღებული აქვს 7 მედალი, აქედან 3 – ოქროს, 2 – ვერცხლის და 2 – ბრინჯაოს, არის 11 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. თავისუფლად მეტყველებს 5 ენაზე: ქართულად, რუსულად, თურქულად, ინგლისურად და იტალიურად.

ახმედ ბეჟანიძე (ბეჟიოღლი)

მუჰაჯირობის დროს თურქეთში, ორდუს გუბერნიაში არა ერთი ქართველი ჩასახლდა. მათ შორის ბევრია ქუბულეთლები. ისინი უმეტესად (80-მდე ოჯახი) ფაცაში ორდუს გუბერნიაში ცხოვრობენ.

ახმედ ბეჟანიძე

ახმედ ბეჟანიძე ქობულეთიდან წასული ჰუსეინ ბეჟანიძის შვილიშვილია. ხუსეინის მამა ოსმან ბეჟანიძე, რომელსაც ცოლად ჰყავდა თამაზაშვილის ქალი, საკმაოდ გავლენიანი პირი იყო ორდუს გუბერნიაში. ოსმანს ორი შვილი ჰყავდა: ახმედი და ხუსეინი.

ახმედი დაიბადა 1955 წელს, აქვს უმაღლესი განათლება. ჰყავს მეუღლე და სამი შვილი: დერია, სელიმი და ბიშრა. ის საკმაოდ ცნობილი ბიზნესმენია. აქვს თხილის მიმღები და გადამამუშავებელი ქარხანა. თხილის ექსპორტს ეწევა ევროპაში, კერძოდ გერმანიაში. აქვს სასტუმრო, მაღაზიათა ქსელი. ის წლების განმავლობაში მუშაობდა ორდუს გუბერნატორის მოადგილედ. მის შვილს განათლება გერმანიაში აქვს მიღებული და იქვე მუშაობს. ფაცაში აქვს პოლიგრაფიულ მაღაზიათა ქსელი.

ფაცაში მცხოვრები ბეჟანიძეებიდან საკმაოდ ცნობილი პიროვნებაა პედაგოგი თახსიმი. იგი წლების განმავლობაში მუშაობდა სკოლის დირექტორად. მისი პაპა ალი ბეჟანიძე სოფელ ცხემვანში ცხოვრობდა და იქიდან წავიდა თურქეთში, ჰყავდა სამი შვილი: ხასანი, თენზილე და აიშე. ხასანის შვილებია: ოსმანი, ნედიმი, ბეხრიე, ახმედი, თახსიმი და ხაირა. თახსიმს ჰყავს სამი შვილი: ერთ-ერთი ილჰანი, გერმანიაში დიპლომატიურ კორპუსში მუშაობს და ოთხი შვილიშვილი.

ზურაბ ბეჟანიძე

ქობულეთის რაიონში მცხოვრებ ბეჟანიძეთა გვარის ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელი იყო ოსმან ბახტარ ბეჟანიძე, ცხოვრობდა ქ. ბათუმში. ცოლად ჰყავდა გურული ნანეიშვილის

ქალი. მათ შეეძინათ ვაჟი სულეიმანი და სამი ქალიშვილი. ოსმანი სულეიმანის ვაჟი იყო. მას ცოლად ჰყავდა ზემხერ მოწ-ყობილი, რომლისგანაც შეეძინა ოთხი ვაჟი. შთამომავლობა დღესაც კოხში ცხოვრობს.

ზურაბ ბერიძე ამ შტოს გამგრძელებელია. იგი დაიბადა 1955 წელს სოფელ კოხში. 1983 წელს დაამთავრა ქალაქ როს-ტოვის სოფლის მეურნეობის მანქანათმშენებლობის ინსტიტუტი ინჟინერ მექანიკოსის სპეციალობით და განვლო გზა რიგითი სპეციალისტიდან ორგანიზაციის ხელმძღვანელამდე. ჯერ იყო აჭარსოფქიმიის ქობულეთის რაიონული გაერთიანების უფრო-სი ინჟინერი. შემდეგ მთავარი ინჟინერი და დირექტორი. ამჟა-მად სოფლის მეურნეობის სისტემაში მომსახურების სფეროს მუშაკია. ჰყავს მეუღლე და ორი ვაჟი, თორნიკე და ბაჩუკი, რომლებიც კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტები არიან. თორნიკე ცოლშვილიანია, ჰყავს მეუღლე მარიამ ჩიხლაძე და ვაჟი გიორგი. ზურაბის მეუღლე ნინო შამილიშვილი კოხის საჯარო სკოლის დირექტორია.

ზურაბ ბეჟანიზე, ნინო შამილიშვილი

ზაქარიას მამას სულიკო ბეჟანიძეს ცოლად ჰყავდა გოგოლა მევლუდის ასული გოგიტიძე ლეღვადან. ზურაბის ძმა ელგუჯა ბეჯანიძე ცხოვრობს როსტოვში. ჰყავს მეუღლე და ვაჟი გოჩა ბეჟანიძე. ზურაბს ჰყავდა სამი ბიძა: დურსუნი, მემედალი და შუქრი. დურსუნი სამამულო ომმა იმსხვერპლა. შუქრისა და მემედალის შვილებს თეიმურაზს, ოსიკოსა და ზაზას ჰყავთ ცოლშვილი, ცხოვრობენ სოფელ კოშხი და აგრძელებენ წინაპართა ტრადიციებს.

გია ბეჟანიძე

გია ბეჟანიძე წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა აჭარაში უცხო ქვეყნების მოქალაქეებთან ურთიერთობას, სადაც მან დიდ წარმატებას მიაღწია და ჩვენს ქვეყანას შორს გაუთქვა სახელი.

გია ბეჟანიძე დაიბადა 1955 წ. სოფელ ქობულეთში. 1972 წ. დაამთავრა სოფ. ქობულეთის საშ. სკოლა. 1972-78 წწ. სწავლობდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში კვების მრეწველობის მანქანებისა და აპარატების სპეციალობაზე. შემდეგ სწავლა განაგრძო ანასეულის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურაში. აქვს რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომი და გამოგონება, რაზეც მიღებული აქვს საავტორო უფლება.

გია ჯემალის ძე ბეჟანიძე

1981-87 წწ. გია ბეჟანიძე მუშაობდა კომკავშირულ და პარტიულ სამუშაოებზე. მიღებული აქვს საპატიო ჯილდოები და სიგელები.

1987 წლიდან გია ბეჟანიძე საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრული და კულტურული ურთირთობის აჭარის

განყოფილების პასუხისმგებელი მდივანია. მის ინიციატივით ჩატარდა მრავალი ღონისძიება, რომლებიც დაკავშირებული იყო რეგიონისა და საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყნებს შორის მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის დამყარებასა და განვითარებასთან.

გია ბეჟანიძის უშუალო დამსახურებაა 1989 წელს აჭარასა და ვიეტნამის სახალხო რესპუბლიკის დონგ-ნაის პროვინციას შორის დადებული ხელშეკრულება, რასაც მოჰყვა აჭარაში ვიეტნამის კულტურის დღეებისა და ანალოგიურად ვიეტნამში აჭარის კულტურული დღეების ჩატარება. ის ასევე მონაწილეობდა ბათუმისა და კოლუმბიის ქალაქ კარტახენას დამეგობრებაში. კარტახენას მერის მიწვევით იმყოფებოდა კოლუმბიაში, სადაც გაფორმებული იქნა ურთიერთმეგობრობისა და კულტურული ურთიერთობების ხელშეკრულება.

გია ბეჟანიძის მუშაობის დროს ბათუმმა მეგობრული კულტურული ურთიერთობა დაამყარა იტალიის ქალაქ ბართან, ინგლისის ქალაქ საუტჰემპტონთან, ესპანეთის ქალაქ სან-სებასტიანთან. აღსანიშნავია ბულგარეთის ქალაქ ბლაგოევგრადთან დამყარებული ურთიერთობა, რამაც განაპირობა დელეგაციების


WHO'S WHO AMONG AMERICAN HIGH SCHOOL STUDENTS

CERTIFICATE OF HONOR

Be it hereby known that Tamila Bezhanidze has been recommended for induction into Who's Who Among American High School Students, for the year AD 2002.

Be it further known that Tamila Bezhanidze is hereby eligible to compete for an exclusive Who's Who Scholarship, to utilize the College Referral Service, as well as for all other important benefits associated with this distinguished honor.

Induction is contingent upon receipt of the biographical information of Tamila Bezhanidze by April 15, 2002.

ANNUAL 36th EDITION

Jeffereys J. Fix, Vice President of Student Programs
Who's Who Among American High School Students

Parke H. Davis, Publisher
Who's Who Among American High School Students

თამილა გიას ასული ბეჟანიძის სერტიფიკატი (2001-02 წ.), რომელიც აძლევს აშშ-ს ნებისმიერ უნივერსიტეტში ჩარიცხვის უპირატესობას

ხშირი გაცვლები. აჭარის მრავალმა ფოლკლორულმა და შემოქმედებითმა კოლექტივმა საზღვარგარეთ წარმოადგინა საქართველოს დღევანდელობა. აჭარიდან ბევრმა ახალგაზრდამ განაგრძო სწავლა საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებში.

ჰყავს მეუღლე მეგი ჯაფარიძე, პროფესიით ექიმი მეანგინეკოლოგი და 2 შვილი.

განსაკუთრებულია გია ბეჟანიძის ქალიშვილის, თამილას წარმატებები. ბათუმში, საშუალო სკოლაში სწავლის პერიოდში მან თავი გამოიჩინა სანიმუშო სწავლით, რის შედეგადაც მიენიჭა მემედ აბაშიძის სახელობის სტიპენდია. თამილა მონაწილეობდა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიერ ორგანიზებულ საგანმანათლებლო გაცვლით პროგრამაში, რომლის შედეგად განათლება მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების ვისკონსინის შტატის ქ. მონდოვის უმაღლეს სკოლაში. აკადემიური წარმატებებიდან გამომდინარე, თამილა არჩეული იქნა ამერიკის შეერთებული შტატების წარჩინებულ მოსწავლეთა პირველ 5 პროცენტში და მიიღო შესაბამისი დიპლომი.

თამილა მუშაობდა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე. ამჟამად არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტოს დირექტორი.

გია ბეჟანიძის მეორე შვილმა ჯემალმა წარჩინებით დაამთავრა საშუალო სკოლა და კავკასიის ბიზნეს-უნივერსიტეტი. ამჟამად წარმატებული ბიზნესმენია.

სულიკო ბეჟანიძე

სულიკო ოთარის ძე ბეჟანიძე დაიბადა 1956 წ. ქ. ქობულეთში.

1974-79 წწ. მაღალი აკადემიური მოსწრებით (სახელობითი სტიპენდიანტი) სწავლობდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტზე და მიენიჭა მშენებელ-ტე-

ქნოლოგის სპეციალობა. სამჯერ მიანდეს სტუდენტური სამშენებლო რაზმების მეთაურის საპატიო მოვალეობა.

1980 წელს, ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ განაწილებით მუშაობდა ცეკავშირის სისტემაში მთავარ გამოთვლით ცენტრში უფროს ინჟინერ-ეკონომისტად, საიდანაც I წლის შემდეგ გადაიყვანეს საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ახალგაზრდობის შრომითი მოწყობის რესპუბლიკური შტაბის უფროსად, რესპუბლიკური მნიშვნელობის ობიექტების რეკონსტრუქცია-მშენებლობაზე ქვემო ქართლში (მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატისა, რუსთავის მეტალურგიული კომბინატის რეკონსტრუქცია და „მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზის მშენებლობა“).

სულიკო ბეჟანიძე

1984 წლის თებერვლიდან საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ახალგაზრდობის შრომითი მოწყობის რესპუბლიკური შტაბის უფროსად მუშაობისას ს. ბეჟანიძე „ენგურჰესი“-ს უმნიშვნელოვანესი საკავშირო მნიშვნელობის მშენებლობაზე მიავლინეს. შემდეგ დააწინაურეს საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტში მუშა და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებაში მშენებლობის განყოფილების გამგედ.

1990 წლის მარტიდან სულიკო ბეჟანიძე ჯერ ახალგაზრდობის შრომითი მოწყობის რესპუბლიკური ცენტრის დირექტორად დანიშნეს, ხოლო 1 წლის შემდეგ აირჩიეს სრულიად საქართველოს „დავით აღმაშენებლის საზოგადოების,“ ახალგაზრდა ოჯახების დახმარების ფონდის, „ნერგები“-ს გამგეობის თავმჯდომარედ, სადაც 1993 წლის თებერვლამდე დარჩა.

შემდეგ ს. ბეჟანიძე მუშაობდა საქართველოს მწერალთა კავშირის სამშენებლო რესპუბლიკური გაერთიანება „აღმაშენებლის“ გენერალური დირექტორის მოადგილედ.

1995 წლიდან ორი წლის განმავლობაში ს. ბეჟანიძე იყო შიდა ქართლის რეგიონული (ქ. გორი) სამხარეო სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის უფროსი, ხოლო შემდეგ ამავე მხარის პრეზიდენტის რწმუნებულის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი.

1998 წლის იანვრიდან სულიკო ბეჟანიძე საქართველოს პარლამენტშია, სადაც მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე.

მეუღლე, ლია ჭყონია, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტია.

ჰყავთ სამი შვილი.

ლევან (ნუკრი) ბეჟანიძე

ამ ხელმადლიანი კაცის ბიოგრაფია სხვაგვარ აღწერას გვავალებს. მეც შევეცდები ჩემი და სხვისი პუბლიცისტური ხერხები გამოვიყენო, მაგრამ აუცილებელ კითხვებზე (და თარიღებზე) საუბარს გვერდს ვერ ავუვლი.

დაიბადა 1957 წლის 14 ნოემბრის ბათუმში ბანკირი მამის მიხეილ ბეჟანიძისა და ექიმი დედის ნერიმან ჭიჭინაძის ოჯახში. დაამთავრა ბათუმის მე-13 საშუალო სკოლა, 1981 წელს კრასნოიარსკის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი.

როცა ჩემი მეგობარი მიხეილ ბეჟანიძე ჯანდაცვის სამინისტროში მეწვია და მითხრა, ბიჭს მეან-გინეკოლოგობა სურს და მეც თანახმა ვარო, ცოტა არ იყოს გამიკვირდა და კიდეც ვეცადე შეეცვალა განზრახვა, მაგრამ უმალ გონებაში ბათუმელი ვირტუოზი გინეკოლოგების იოსებ ჩარკვიანის და გიორგი ხეჩინაშვილის საქმიანობაში მომხდარი სასწაულები გამახსენდა და ბრძანება-შუამდგომლობაზეც ხელი მოვაწერე. ნუკრი სამშობიარო

სახლის მეან-გინეკოლოგად დაინიშნა, ორწლიანი ორდინატურა სახელოვანი კოტე ჩაჩავას კლინიკაში გაიარა (1985-1987), საკანდიდატო დისერტაციაც დაიცვა (2003 წ.) და ახლა მას, პოპულარულ მეან-გინეკოლოგს, მთელი ბათუმის ქალთა სამყარო იცნობს.

დანარჩენს მის შესახებ ახალგაზრდა ჟურნალისტსა და ნუკრის პაციენტს, ორი შვილის დედას დავესესხები:

თავად ნუკრი ბეჟანიძეს ოთხი შვილი ჰყავს, მაგრამ მეუღლის არცერთ მშობიარობას არ დასწრებია. ამბობს, რომ ეს ბუნებრივია, რადგან „ამ დროს ემოციური ფონი იმაზე დიდია, რომ შეუძლებელია დახმარების გაწევა“.

ნუკრი ბეჟანიძე სამი ქალიშვილისა და ერთი ვაჟის მამაა. გოგონები ძალიან გვანან მამას, განსაკუთრებით უფროსი – ნერიმანი და პატარა ნინო. ნერიმანი სამედიცინოზე სწავლობს. ის ამ გაზაფხულზე ლევან ქორიძეს გაჰყვა ცოლად, რომელიც ასევე ბათუმელია, თუმცა დიდი ხანია, თბილისში ცხოვრობს.

შუათანა ქალიშვილი ეკონომისტია. ქეთევანმა თბილისში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სასწავლებელი – „კავკასიის ბიზნეს-სკოლა“ დაამთავრა. ახლა რკინიგზის დეპარტამენტში სტრატეგიული პროექტირების განყოფილებაში მუშაობს. უმცროსი, ნინოც ამ სასწავლებლის მეოთხე კურსის სტუდენტია. ყველაზე პატარა, მიშიკო კი 15 წლისაა.

ის ძალიან ხმადაბლა საუბრობს, წყნარად და უემოციოდ აგრძელებს: „ჩემთვის ყველა ქალი სინაზესთან, გრძნობასთან, დედობრივ განცდებთან ასოცირდება. ქალში, უპირველეს ყოვლისა სიცოცხლის გამგრძელებელს ვხედავ. ქალს უდიდესი მისია აკისრია და მას დაფასება სჭირდება.“

ვისაც ერთხელ მაინც ჰქონია ნუკრი ბეჟანიძესთან შეხება, ყველა ამბობს, რომ იგი გაწონასწორებული და მშვიდია. ალბათ ამიტომაცაა, რომ განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს, რა თქმა უნდა, ქალებში. მათ კარგად იციან, რომ ნუკრი ექიმი ყოველთვის მოგისმენს, მაგრამ გადაწყვეტილებას დამოუკიდებლად იღებს. ძალიან არ უყვარს მშობიარობის პროცესში ხელოვნური ჩარევა, ანუ საკეისრო კვეთა.

ლევან (ნუკრი) ბეჟანიძე

„...რთულ ვითარებაში ჩავარდნილ ქალს გაგებით რომ მოეკიდო, დიდი ნებისყოფაა საჭირო. რამდენად რთულია გინეკოლოგობა მამაკაცისათვის? ამ კითხვაზე ნუკრი ბეჟანიძეს ასეთი პასუხი აქვს: „მართლა ძალიან ვიღლები, მით უფრო, რომ მუდმივად ადამიანის ყოფნა-არყოფნის სასწორთან ვდგავარ... მაგრამ ეს საქმე ძალიან მიყვარს, ამით ვცოცხლობ. ჩემთვის ყველაზე საპატიო სწორედ ეს არის.“

ნუკრი ბეჟანიძე სამშობიარო სახლში 1981 წლიდან მუშაობს. ამ ხნის განმავლობაში უამრავი შემოთავაზება ჰქონდა სხვადასხვა თანამდებობაზე. „მე პრაქტიკოს ექიმობაზე ვოცნებობდი. პრაქტიკოსი ექიმისათვის კი განყოფილების გამგეობა, კარიერის თვალსაზრისით, ზენიტია,“ – ამბობს ნუკრი ბეჟანიძე, თუმცა დაჟინებულ მოთხოვნას ვერ გაუძლო და სამშობიარო სახლის მთავარ ექიმობასაც დათანხმდა.

რაც შეეხება დასვენება-განტვირთვას, მის მიმართ ნდობა იმდენად დიდია, რომ შვებულების „უფლებას“ ხშირად პაციენტები არ აძლევენ, ამიტომ ცდილობს იშვიათად გავიდეს ქალაქიდან: „შაბათსა და კვირასაც აქ ვარ. მშობიარობის ვადების წინასწარი დადგენის შემთხვევაშიც კი არავინ უწყის, როდის გახდება საჭირო ჩემი ჩარევა. შვებულების დროს, როგორც წესი, ხმაურიან ადგილებს ვერიდები. მირჩევნია, სადმე შორს დავისვენო, სადაც ბარის მუსიკა და ხმაური არ ისმის. ზოგადად კი, აქტიურად ვისვენებ.“ ლაშქრობა, ფეხით სიარული, სახლში მთელი წლის დაგროვილი გაფუჭებული ნივთების შეკეთება და წიგნების კითხვა მისი გატაცებაა.[207]

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბეჭანიძეთა გვარის გენეალოგია (სავარაუდო სქემა)

(მე-12-18 სს)



შეადგინა რამაზ სურმანიძემ

1 მარტი, 2002 წ.


ახმედ-ბეგ თულუმბა ბეჟანიძე
მემედ-ბეგი
შემოხვევით მოკლა მამამ
სეფერ-ბეგი +
სანჯაყ-ბეგ აბაშიძის ქალი
აბდულ-ბეგი (1837-?)
უმიანი რუხსეთი
მუთი-ბეგი
ჰაჯი-ასან-ბეგი
გული-ხანუმ ნიჟარაძე
ქაზიმ-ბეგი
(1876-?)
უსუფ-ბეგი
მემედ-ბეგი
+
თავდგირიძის ქალი
ხუსეინ-ბეგი
1881-1958
გულისერ ჭყონია
(1894-1965)
ნური-ბეგი +
ფადიმე
ბერი-ბეგი
(?-1937)
ნაიმე-ხანუმი
გულისერ-ხანუმი
ვალიკო იმედაშვილი
ახმედ-ბეგი
(1887-1937)
შორეთ-ხანუმი
ამირან შერვაშიძე
თახსიმ-ბეგი
მეხბულე დევაძე
სურიე-ხანუმი
ისკენდერ-ბეგი
(1910-1975)
აიშე ახვლედიანი
(1913-2001)
შუშანა +
ჯაბნიძე
სულეიმან-ბეგი
(1850-?)
სეერ-ხანუმ ბეჟანიძე
ს. ნაქვი
თამაზი
გულნარა შუშანიძე
ნოდარი +
ლეილა
შუქრიე-ხანუმი
თეონა
მალხაზი
ამირანი +
კახიძე
აქიფერ-ხანუმი
თემურ-ბეგი
(1916-1941)
ეკატერინე ზავიალოვა
ილია +
ვარშანიძე
ნეზირე-ხანუმი
ლარისა
ვადიმი
ციური
ფუად-ბეგი
შუშანა-ხანუმი
იუსუფ ბოლქვაძე
მარინა +
თურმანიძე
ბეჟანიძეთა გენეალოგიური ხე
მუთი-ბეგ თულუმბა-ბეჟანიძის
შტრ. ს. ზენდიდი
ფუმფულ-ხანუმი (1918-1995)
დავით მახარაძე (1911-1994)
იუსუფი +
ბერიძე
შეადგინა რამაზ სურმანიძემ
1 მარტი, 2002 წ.

ბაბანიძე-თელეგმა მეთი-ბეგი
ბაბანიძე-ბეგი (1837-?)
მეგმელ-ბეგი
ულუფ-ბეგი
ალეკი-ხასან-ბეგი + I-ბეგმ-ხანუმ ნიფაინაძე
II- ბეგიდელის ქალი
ალალუნ-ბეგი (1899-1937)
ფალიმე ალანიძე
ოქაბ-ბეგი (1925-1991)
ლეგბ კონტენტი (1905-2000)
ალალანი
მაინა
ალიფალა + ძიიან მეფანი ფალი
სეფიფალ-ხანეფი + ასმეფალ ფაინაფალი
ხიინა-ხანეფი + ინიფალ-ბეგ ფეფიაშიძე (?-1937)
ფეკინი-ბეგი (1915-1969)
ალმეა ხიმაშიფალი (1919-1985)
ოენეფაი + ანაკენი ალეგბანიძე
ნეგბეანი
ლაფნი
ბეგმელ-ბეგი (1875-1916)
ხალფიკ-ხანეგ ფეფიაშიძე
ალეგბ-ბეგი (1867-1937)
ეგმინ ოალფალეთიძე
ულუფ-ბეგი (1915-1965)
ნიფალ (ვინეკენალიძე) (1929-1989)
ბეფალეკი + ნეფაინეფ ანიფეანაძე
ეგმინ + ნიფალ ალიეკანაძე
ალანამი + ოლეკა ხალიალეფა
ეგალეანა
ალეკი
ხალანი (შეთა) ნანი ალეგბანიძე
ალეკი
ალიკალი
ბეფეკ-ბეგი (1913-1991)
ანალეფა + ალეკ ალიაშიძე
ეალეფ + ალეგალ ბეკიძე
ეხალეფ-ბეგ + ეალეფ ალეკალი
ეალეფ + ალეგალ ბეკიძე
ეალეფ + ალეგალ ბეკიძე
ეალეფ + ალეგალ ბეკიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბეჟანიძე იუსუფ-ბეგი და მისი მეუღლე ნიგარ ცინცქილაძე

ბეგლარიძე-თოდლიანები ზეთი-ბეგი
ბიბლიოთეკა
ბიბლიოთეკა
ბიბლიოთეკა

ბეგანიძე სოფლიმამა-ბეგი
(1850-?) ზენდიდი
სვეტ-ხანუმ ბეგანიძე
ჩაქი
ნეიბიდ + ალიეფი
ალიეფი + ახიშული
ოთხეტები
ფალიხი
ფანდა
ფალიკა
ფალიკა
ფალიკა
ფალიკა
ბიდაბერი
ბიდაბერი
ბიდაბერი
ბიდაბერი
ბიდაბერი
ბიდაბერი
ბიდაბერი
ბეგეფა + ახეფსიდი
ბეგეფა + ახეფსი-ბაბუ
ბეგეფა
ბეგეფა
ბეგეფა

თენგიზ ბეჟანიძე, ორხან ახუნდოვი



ბეჟანიძეთა გენეალოგიური ხე.
ალი-ბეგის შტო № 1
ს. ზენდიდი

შეადგინეს ავთანდილ ბეჟანიძემ და
რამაზ სურმანიძემ
1 მარტი, 2002 წ.
3 მაისი, 2012 წ.

ყაია ქიბარისძე ბეჟანიძე (1894-1981),
მეუღლე: აიშე გვარიშვილი (1912-2009)



ბეჟანიძეთა გენეალოგია
ახმედ-ბეგის შტო

შეადგინეს ავთანდილ ბეჟანიძემ და
რამაზ სურმანიძემ
3 მაისი, 2012 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მაიკოპის სალაროს დაცვის წევრები: ისაკ ქიბარის ძე ბეჟანიძე* და ხოხნელი სულეიმან გიორგაძე (დგანან), ზის ინკასატორი.

ბეჟანიძეთა გენეალოგია
ალი-ბეგის შტო

შეადგინეს ნუგზარ ბეჟანიძემ და
რამაზ სურმანიძემ
9 მაისი, 2012 წ.

* ისაკ ბეჟანიძე – კარგად განათლებული პიროვნება ფლობდა ქართულ, რუსულ და არაბულ ენებს. ერთხანს ბათუმის პორტში მთარგმნელად მუშაობდა.

გარდაიცვალა 1917 წ. სველი პლევრიტით. (რ.ს.)



ბეჟანიძეთა გვარის გენეალოგიური ხე.
სეფერ-ბეგის შტო №1
ს. ნაძვი

შეადგინა რამაზ სურმანიძემ
1 მარტი, 2002 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასლან ბეჟანიძე დებთან ერთად: შორეთი და ნარგიზი

ნარგიზ ბეჟანიძე

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐᲡ ᲥᲝᲚᲝ
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲜᲓᲝ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲡ ᲥᲝᲚᲝ
ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ-ᲞᲔᲓᲐᲒᲝᲒᲘ
ᲞᲔᲓᲐᲒᲝᲒᲘ-ᲮᲔᲠᲮᲔᲑᲘ
ᲮᲔᲠᲮᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲐᲛᲐᲒᲘᲡᲢᲠᲘ
ᲓᲐᲒᲘᲡᲢᲠᲘᲡ-ᲞᲔᲓᲐᲒᲝᲒᲘ
ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ
ᲓᲐᲒᲘᲡᲢᲠᲘᲡ
ᲙᲘᲜᲝᲡᲢᲠᲘᲛᲘ
ᲠᲝᲑᲝᲢᲘᲙᲐ
ᲒᲔᲝᲓᲔᲖᲘᲐ
ᲠᲘᲪᲮᲕᲗᲐ-ᲞᲔᲓᲐᲒᲝᲒᲘ
ᲮᲐᲜᲘᲡ
ᲠᲘᲪᲮᲕᲗᲐ-ᲞᲔᲓᲐᲒᲝᲒᲘ
ᲞᲐᲠᲐᲛᲔᲢᲠᲘᲣᲚᲘ ᲒᲔᲝᲛᲔᲢᲠᲘᲐ
ᲞᲘᲗᲐ�გᲝᲠᲐᲡ ᲗᲔᲝᲠᲔᲛᲐ
ᲞᲘᲗᲐᲗᲐᲡ ᲗᲔᲝᲠᲔᲛᲐ
ᲞᲘᲗᲐᲗᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲕᲘᲡ ᲗᲔᲝᲠᲘᲐ
ᲞᲘᲗᲐᲗᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲕᲘᲡ ᲗᲔᲝᲠᲘᲐ
ᲞᲘᲗᲐᲗᲘᲡ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲕᲘᲡ ᲗᲔᲝᲠᲘᲐ
ᲞᲘᲗᲐᲗᲘᲡ ᲛᲔᲗᲮᲣᲗᲔ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲕᲘᲡ ᲗᲔᲝᲠᲘᲐ
ᲞᲘᲗᲐᲗᲘᲡ ᲛᲔᲥᲕᲡᲔ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲕᲘᲡ ᲗᲔᲝᲠᲘᲐ
ᲞᲘᲗᲐᲗᲘᲡ ᲛᲔᲨᲕᲘᲓᲔ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲕᲘᲡ ᲗᲔᲝᲠᲘᲐ
ᲞᲘᲗᲐᲗᲘᲡ ᲪᲐᲠᲛᲘᲡᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲕᲘᲡ ᲗᲔᲝᲠᲘᲐ
ᲞᲘᲗᲐᲗᲘᲡ ᲛᲔᲪᲘᲠᲔ



მსახურაძეთა გვარის გენეალოგიური ხე
სულეიმან მსახურაძის შტო
(ჩვანის ხეობა)
შეადგინა ჯემალ მსახურაძემ. 2002 წ.

* მომავალში სასურველია მსახურაძე-პირმსახურისძეებზე ცალკე ნაშრომი მომზადდეს (რ.ს.)

ხაჯი ალი-ალა მსახურებმე
(1830-1865)
ზაბითაანი +
(1850-1880)
ბიოლქმაბმ
ბუტბი +
ბიოლქმაბმ
ბიტეაკ +
რაბმიზ-ბეგსუფმანიმ
ბეგზიარ +
სუფფიმან ანფალიბეგი
ბეგეი +
ხასან ფაფეთაბმ
ბეგეი +
ბიოლქმაბმ
ბეგენეი
(1878-1910) +
ჭალალმეგ
ანფალიანა +
ხუსეინ ბიოლქმაბმ
ფიდანი +
ითინა ტბეკიმ
ნეფალი იქნითმუკალიანეფალი
ფიდანი
ბანანა ფალიანეფალი
ფიდანი
ფიდანი +
ითინა ტბეკიმ
ნეფალი იქნითმუკალიანეფალი
ფიდანი
ფიდანი +
ფალიანა ბიოლქმაბმ

ალბერტ-ალა მსახვრალიმე
(1835-1911)
1. ეროლაიმ
2. ჭანგიფაიმ
1890
1963
დავითი
(1898-1983)
ფეიმი
ბერიალა ალიფალი
ალიმ
ბერალი
ბაბა
ალა
ალიმ
ბერალ ალიფალი
ბერალ ალიფალ
ალიფალ ალიფალ
ალიფალ ალიფალ
ალიფალ ალიფალ
ალიფალ ალიფალ
ალიფალ ალიფალ
ალიფალ ალიფალ
1914-
1920-
1918-
ალიფალ ალიფალ
ალიფალ ალიფალ
ალიფალ ალიფალ
ალიფალ ალიფალ
ალიფალ ალიფალ
ალიფალ ალიფალ

ᲐᲜᲯᲐᲞᲐᲠᲘᲫᲔ (1835-1911)
1.ᲥᲝᲚᲝᲜᲔᲑᲘ
2.ᲥᲝᲜᲪᲔᲠᲜᲘ ᲮᲔᲜᲘᲡᲐ
ᲛᲘᲮᲔᲚᲝᲕᲜᲘᲡ ᲒᲘᲠᲩᲘᲡᲯᲘᲡ ᲡᲘᲜᲯᲘᲠᲘᲗᲘᲗᲘ ᲮᲔ.
ᲐᲜᲯᲐᲞᲐᲠᲘᲫᲔᲡ ᲛᲘᲮᲔᲚᲝᲕᲜᲘᲡ ᲒᲘᲠᲩᲘᲡᲯᲘᲡ
Ⲗ. ᲚᲝᲠᲔᲜᲪᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ
ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲮᲔᲚᲝᲕᲜᲘᲡ ᲒᲘᲠᲩᲘᲡᲯᲘᲡ
ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲛᲘᲮᲔᲚᲝᲕᲜᲘᲡ ᲒᲘᲠᲩᲘᲡᲯᲘᲡ
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲐᲠᲥᲘᲕᲘᲡ ᲤᲝᲜᲓᲘ №2
ᲗᲔᲡᲐᲛᲝᲬᲛᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲐᲠᲥᲘᲕᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲘᲡ. 2002 Წ.


ოსმან-აღა მსახურაძე
+ (1984-?)
აიშე მჟავანაძე
ა შ უ ნ ა
ქათამაძე
ისმაილი
1862-1964
1. ქარცივაძე
2. შარაშიძე
3. ჯაბნიძე
ა ი შ ე
მურად მჟავანაძე
უ მ ი ა ნ ი
ქარცივაძე
ზ ე ი ქ ი რ ი
ბუჯინიძე
1860
ი ნ ჯ ი ა
ფატუმე შარაშიძე
კ ა ც ა ნ ა
გარდაიცვალა 15 წ
გ ო გ ო -
აბულაძე
ჯივანა 1894-?
1. შუშანა ტარიელაძე
2. ხეიჭის კილაძე
ჯ ა ფ ე რ ი
ტარიელაძე
თ უ თ ი ა
ალიაოსმან ჭალალიძე
ხ ე ვ ი ე
გიგი კეკურაძე
ყ ი მ ე თ ი
მემედ ტაკიძე
თ ე ნ ზ ი ლ ე
სულიკო ქათამაძე
ა ლ ი
ხაჯერ ბილქვაძე
ვ ა რ დ ო
ვალიკო ციცაძე
მურმანი
მაგული ხარაბაძე
თემური
ნანი ხახუტაიშვილი
მუხა 1896-1982
1. ათაბაგი ფატუმე
2. შარაბიძე ჰავა
ფ ა დ ი მ ე
ხასანი ქათამაძე
თ უ ნ თ უ ლ ი
ახმედ გოგრაჯაძე
ფირდოსი
ღიზეთ ჭალალიძე
შახმურადი
გალიმა მაკარეკო
ზ ა ფ ვ ნ ა
სულთან ქათამაძე
ზურაბი
რიტა
მარინა
სერგეი
მამია
მანანა ქათამაძე
ფატი სურმანიძე
ნარგიზი
რეზო ჯინჭარაძე
ნ უ ნ უ
დანიელ გუნდაძე
1914
სულეიმანი
სურიე ბერიძე
გულნხაი
მეფლუდ ქათამაძე
ემხილე
მეფლუდ ბეჟანიძე
მუსამედი
გილმეზი მიქელაძე
გურამი
მანანა დიასამიძე
მალზახი
თიფულ ბერიძე
რ ე ზ ო
ეთერ ქათამაძე
ვ ა რ დ ო
ავთო მგელაძე
ხუსეინი
ფატუმე კილაძე
ა ხ ი ე
ჯემალ ინაიშვილი
ფ ე დ ო ხ ი
გენადი ღონიაძე
მ ა ვ ი ლ ე
რეზო ბოლქვაძე
შ ა ლ ვ ა
ეთერი ქათამაძე
მ ა ლ ხ ა ზ ი
მზია ქათამაძე
გ ე ნ ა დ ი
ლენა
ე ლ დ ა რ ი
ნ ა ნ ი
სერგო გუნთაიშვილი
მამუდი
შუშანა ქათამაძე
ნ ა ზ ი
მალხაზი ზოიძე
გულიკო
ოთარ ქარცივაძე
მაყვალა
ვაჟა იმნაძე
ჯემალი
ზინა მამალაძე
ტარიელი
მზია ჭალალიძე
ოსმანი 1912-1978
აიშე თაფდგირიძე
ჯემალი
ტიმოფეევა
კოლია
ნ ა ნ ა
ჯ. ჯაფარიძე
ეთერი
ოთარი ჭალალიძე
რ ი ზ ა
თელიკო
ზ ი ნ ი
ქენია არძენაძე
გენადი
მურმანი
მარინა
ზ. ჭალალიძე
ც ი უ რ ი
ჯემალ იაკობაძე
თამაზი
ლენა ირემაძე
ნ ო ნ ა
დავითაძე
ნ ა ზ ი
ქათამაძე
ნ ი ნ ო
ბერიძე
გურამი
მზეჯინარ ქათამაძე
გონა
მაია ,ოობალაძე
მსახურაძეთა გენეალოგიური ხე
ოსმან-აღა მსახურაძის შტო. ს. ვარჯანაული
შეადგინა ჯემალ მსახურაძემ. 2002 წ.

ბეგანიძეთა ვენეალოგიური ხეების - ქიბეგლეთი
ზეადგინეს ჯვთანდთ და
გთა ბეგანიძეგმა. 2012 წ.
ალი
ანიფე
ოსმანი
ალიანე ნანეფაშვილი
სულეიმანი
ფეფიეზე ოთმანაძე
ბეგ. ხეების 4
ახმედი
ბეგ. ხეების 3
ახმედი
ოსმანი
ქალაქ ბანეფაშვილი
ბეგ. ხეების 1
ახმედი
ბეგ. ხეების 5
ალი
ახმედი
ბეგ. ხეების 7
ოსმანი
ბეგ. ხეების 2
ახმედი ალი
ახმედ ბეგი
ხესეფი
მეგმეგი
ალი
ახმედი
ბეგ. ხეების 7
სულეიმანი
ოსმანი
ბეგ. ხეების 2
ალიანი
ალიანე ბეგეფიძეთ
ბეგ. ხეების 12
ალი
ახმედ
ბეგ. ხეების 9
ალიანი
ბეგ. ხეების 6
ალიანი
ბეგ. ხეების 11
ალიანი
ბეგ. ხეების 10
ალიანი
ალიანე ბეგეფიძეთ
ბეგ. ხეების 13
ალიანი
ალიანე ბეგეფიძეთ
ბეგ. ხეების 4
ალიანი
ალიანე ბეგეფიძეთ
ბეგ. ხეების 3
ალიანი
ალიანე ბეგეფიძეთ
ბეგ. ხეების 1
ალიანი
ალიანე ბეგეფიძეთ
ბეგ. ხეების 5
ალიანი
ალიანე ბეგეფიძეთ
ბეგ. ხეების 7
ალიანი
ალიანე ბეგეფიძეთ
ბეგ. ხეების 2
ალიანი
ალიანე ბეგეფიძეთ
ბეგ. ხეების 12
ალიანი
ალიანე ბეგეფიძეთ
ბეგ. ხეების 13
ალიანი
ალიანე ბეგეფიძეთ
ბეგ. ხეების 9
ალიანი
ალიანე ბეგეფიძეთ
ბეგ. ხეების 6
ალიანი
ალიანე ბეგეფიძეთ
ბეგ. ხეების 11
ალიანი
ალიანე ბეგეფიძეთ

ქობულეთელ ბეჟანიძეთა გენეალოგია
სქემა 1
საძების შტო
ხუსეინი
მეფედა
სულეიმანი
იოგმ დუმბაძე
ხუსეინი
იოგმ ნიოლიდელი
ირიფი
ხოშნეთ ბეჟიძე
ალი
სულთან მეფრეთიძე
ხულუხი
იოგმ ეოვეზეძე
ხუნდეი
ქმინე ქათამაძე
ოსმანი
ფლმანი
გაგრძელება
ფოტო 1
გაგრძელება
ფოტო 2
გაგრძელება
ფოტო 3
გაგრძელება
ფოტო 4

ბოსტნეული
ითმენ ნიოლაიფელი
ბოსტანი
ბაღჩაზე გოგმანიძე
ასოლანი
ბაღლიკი ბაბალაძე
ბერეგი
ნაზი ჯაბანაძეს წაგლეიფეს
ნიანი
ბაბია ბსხალაძეს
ბუჩაში
ნაზი ბაინგანიძეს
ბალიანი
ბაბია ბაბალაძეს
ბალიანი
ბაბია ბაბალაძეს
ბალიანი
ბაბია ბაბალა

ანიოვი
ხიოშნელი ბერიძე
ბერეკაშვილი
ბერეკაშვილი
ბერეკაშვილი

ალი
სულთან მეგობრობის
ბეგი
ბეგი ალიანგაზის
ემინე
მეგობარ ინიშნული
ანმე
ახმედ ბაბენანიშნული
ანმა
ბოლოს მახასიათებელ
ალი
ალიანგაზე
ანმე შეიტანეს
ქალაქი
ბრალი ქალაქისა
ალიანგაზე
ანმა
ჯეფილ ბეგის
ანმა ცოლმა
ალიანგაზეს
ალიანგაზეს
ანმა
ალიანგაზეს
ანმა ცოლმა
ალიანგაზეს
ალიანგაზეს
ანმა
ალიანგაზეს
ალიანგაზეს
ალიანგაზეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეჯგუფებს ავთანდილ და
მის ბეგანიეებმა. 2012 წ.
სეკენდერი
ეძინე ქალაქში
ითე
სულიმანი ჯაფარიძე
მეშეფი
მჭიდლ მიუტეტის
შეძენი
ნუნე ინაიშვილი
ეთენი
შეძენი კინაშვილი
რეზი
მერი ხარაზი
ლიზა
ჯიმშერ მესხიძე
რიმანი
ნაჯი კინაშვილი
ბაგული
ავთო ალიფლიანი
ბეგული
ოლიკა ბერიშვილი
ბეგლა
მზია ჭანკვეთილი
ანჩიალი
რეზი
ეთიოპი
ფოლოგი
ნიკა
ილია
ითანი
ბეგ
ნაბეგლია ბერიხანაია
ნიკა
ხაბა
ინაკლი
მარიამი
ითან ოფიბერიძე
მეფანი
ხელეა
ითე ბაგიძე
ბაგლა
ჯუმბერ ჭკონია
ეთერი
ოლეგი მეფრელიძე
ხელიკი
ლია ჭკონია
თემური
ქეთინი ბერიკელიძე
რეზი
თეა ბეგახელია
ეკენე
ალექსანდრე
სულიმანი
ანიე
ალიან ულელიშვილი
თემური
თეთვალი
რეკიე
ითანი
ნანაკელი ალითენი
სოფელი
ფეიზა 4



სქემა 2
გადმა სამების შტო

შეადგინეს ავთანდილ და
გია ბეჟანიძეებმა. 2012 წ.

ხეხეფინი
ითშე ოიმანაძეს
ისპრიელი
ქალბატონ ნინოსაგან
ქალიდი
ხეფინ მარანაძე
ბასანი
ხეფინ ანანიძე
ხანტაჯა
ასლან ეთიოპეთაძე
ოლიანი
ოთმან ეთიოპეთაძე
ჯვარელი
ნინოს ფაცაციაძე
ბერიკა
ბეჟან ბალიაძე
ბერიკა
ბეჟან ბალიაძე
ბერიკა
ბეჟან ბალი

ოსმანი
ელვენ ნანეიშვილი
ოსმანი
ზემსენ მოწყობილი
ავიმ
შაქრან გელაიძე
ჰენქერი
სულ: ელვენ-ოსმანიშვილი
თონბილე
ოსმან ყაჯრიაძე
ოსმანი
ბოლოს ბოლოშიც
ოსმანი
ბოლოს ბოლოშიც
ოსმანი
ბოლოს ბოლოშიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეადგინეს ავთანდილ და
გია ბეჟანიძეებმა. 2012 წ.



სქემა 5
ქ.ქობულეთის შტო



სქემა 6
ბობოყვათის შტო

შეადგინეს ავთანდილ და
გია ბეჟანიძეებმა. 2012 წ.



სქემა 7

ქ.ქობულეთის შტო

შეადგინეს ავთანდილ და
გია ბეჟანიძეებმა. 2012 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სქემა 8
ევროკავშირის შტატი

შეადგენენ ავტორები და
გია ბაკურიძეები. 2012 წ.



სქემა 9
გვარა

შეადგინეს ავთანდილ და
გია ბეჟანიძეებმა. 2012 წ.

ფორმა 9/1: ფაინას შტო
ᲙᲐᲠᲘᲜᲐ
ᲮᲣᲡᲣᲠᲘᲜᲐ ᲘᲠᲘᲜᲐ ᲒᲣᲠᲒᲔᲜᲘᲫᲔ
ᲮᲝᲠᲘᲪᲘᲐ ᲯᲣᲑᲐᲜᲘᲫᲔ
ᲠᲘᲒᲘᲐᲜᲘ ᲔᲠᲔᲚᲘ ᲒᲐᲜᲘᲫᲔ
ᲚᲐᲒᲐᲠᲐ ᲝᲚᲘᲐ ᲓᲐᲛᲬᲛᲔᲑᲘᲫᲔ
ᲛᲔᲠᲘ ᲨᲠᲘᲜᲘᲚᲝᲑᲘᲫᲔ
ᲛᲔᲠᲘᲜᲐ ᲜᲐᲖᲘ ᲓᲘᲜᲒᲐᲖᲘᲫᲔ
ᲛᲔᲠᲘᲜᲐ ᲛᲐᲚᲮᲐᲖᲘ ᲯᲝᲜᲗᲐᲜᲘᲫᲔ
ᲛᲐᲘᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲐᲖᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲬᲛᲔᲑᲘᲡ
ᲮᲐᲝᲠᲬᲔ
ᲛᲔᲠᲘᲜᲐᲖᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲬᲛᲔᲑᲘᲡ
ᲬᲐᲜᲘᲜᲐ ᲛᲐᲚᲮᲐᲖᲘ ᲯᲝᲜᲗᲐᲜᲘᲫᲔ
ᲮᲝᲡᲘᲢᲘᲜᲐ ᲘᲠᲘᲜᲐ ᲓᲐᲛᲬᲛᲔᲑᲘᲫᲔ
ᲠᲘᲒᲘᲐᲜᲘ ᲔᲠᲔᲚᲘ ᲒᲐᲜᲘᲫᲔ
ᲛᲔᲠᲘᲜᲐᲖᲘ ᲬᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲬᲛᲔᲑᲘᲡ
ᲛᲔᲠᲘᲜᲐᲖᲘ ᲜᲐᲖᲘ ᲓᲘᲜᲒᲐᲖᲘᲫᲔ
ᲛᲔᲠᲘᲜᲐᲖᲘ ᲛᲐᲚᲮᲐᲖᲘ ᲯᲝᲜᲗᲐᲜᲘᲫᲔ
ᲬᲐᲜᲘᲜᲐ ᲛᲐᲚᲮᲐᲖᲘ ᲯᲝᲜᲗᲐᲜᲘᲫᲔ
ᲛᲐᲘᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲐᲖᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲬᲛᲔᲑᲘᲡ
ᲮᲐᲝᲠᲬᲔ
ᲛᲔᲠᲘᲜᲐᲖᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲬᲛᲔᲑᲘᲡ



სკენდერ ბეჟანიძე
1875-1938

შეადგინეს ავთანდილ და
გია ბეჟანიძეებმა. 2012 წ.



სერდელ ბეჟანიძე
1890-1984



ალი ბეჟანიძე
1879-1976

შეადგინეს ავთანდილ და
გია ბეჟანიძეებმა. 2012 წ.



სქემა 10
ხუცუბნის შტო

შეადგინეს ავთანდილ და
გია ბეჟანიძეებმა. 2012 წ.



სქემა 11
ზენითის შტო

შეადგინეს ავთანდილ და
გია ბეჟანიძეებმა. 2012 წ.



სქემა 12

სოფ.ქობულეთის შტო

შეადგინეს ავთანდილ და
გია ბეჟანიძეებმა. 2012 წ.



სქემა 13
სოფ.ქობულეთის შტო

შეადგინეს ავთანდილ და
გია ბეჟანიძეებმა. 2012 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბეჟანიძეთა ზენდიდის ციხე-სიმაგრეში შესასვლელი გზა

ასწლოვანი მუხა-მრავალი ამბის მომსწრე

ციხე შიგნიდან და გარედან ახალი ნარგავებით შემოუჯარავთ

ბეჟანიძეთა ამჟამინდელი საცხოვრებული სახლი

ქვის ძელი-სალოცავი



ქვის თაღი-ეკლესიის საკარაუდო შესასვლელი

ჭურის ნაშთები

ხორბლის, ბრინჯის, ღომის საცეხველი (ჩამური)

მამა-პაპის აშენებული 30 მეტრიანი ჭა

ბოლოთქმა

წიგნი ბეჟანიძეთა გვარის და ზენდიდის საგვარეულო ციხე-სიმაგრის ისტორიით დავიწყეთ და ამითვე ვამთავრებთ. ბოლოთქმა ზოგჯერ მთელი წიგნის მოკლე შინაარსსაც მოიცავს, ამისათვის გადავწყვიტეთ მოგვენახულებინა ზენდიდელი ბეჟანიძეები, ერთხელ კიდევ შეგვევლო თვალი ამ დიდებული სოფლისა და მისი მშვენების, ზენდიდის ციხე-სიმაგრისათვის.

დაინტერესებულ პირთა ჯგუფი ავთანდილ, თენგიზ, გია ბეჟანიძეების, მიხეილ მახარაძისა და ამ სტრიქონების ავტორის შემადგენლობით, 27 აპრილს ზენდიდს ეწვია. აქ ასულს ძალაუნებურად გაგახსენდება ვახუშტის სიტყვები: საქართველოში „არა არიან ბორცუნი და მაღალნი გორანი, რომელსა ზედა არა იყოს შენნი ეკლესიანი, წმიდისა გიორგისანი“-ო. დიახ, აქ სოფლის ცენტრში, თვალწარმტაც შემაღლებაზე ჯერ კიდევ მე-8-10 საუკუნეებში სალოცავი აუშენებიათ, მე-16 საუკუნემდე გაისმოდა ეკლესიის ზარები, მაგრამ შემდეგ ტაძარი მომხდურებმა შემუსრეს და ზარებიც დაადუმეს. საბედნიეროდ იგი აქ მოსულმა თავადმა ბეჟანიძემ აღადგინა, კარ-მიდამოს ირგვლივ დიდი გალავანი შემოავლო, კლდეების კუთხეთა შორის რამდენიმე თავდაცვითი გოდოლი ჩააშენა და საბოლოოდ გამოვიდა დიდებული ციხე-სიმაგრე, რომელსაც საგვარეულო სალოცავიც გააჩნდა. დროთა ქარტეხილებმა იავარჰყო ერთიც და მეორეც. ახლა ჩვენ მხოლოდ მათი ნაშთებიღა დაგვხვდა, მაგრამ ისინიც ძალუმად ღადადებენ წარსულის ყველა აღმასვლასა და დაცემაზე.

ზენდიდის სიძველეებზე ჩვენი თანამგზავრის, გია ბეჟანიძის ხელით გადაღებული ფოტოები უკვე იხილეთ.

ზღვის დონიდან 410 მეტრ სიმაღლეზე მდებარე ციხე-კოშკებსა და ეკლესიაში ერთად-ერთი გზით შედიოდნენ. ახლაც არის შემორჩენილი ქვის სქელი კედლები, რომელთა შორის სოფლის აღმართით გზა ადიოდა. ახლა ეს გზა ბალახითაა დაფარული, მაგრამ საკმარისია იგი გაწმინდოთ და ნახოთ საგანგებოდ შერჩეული ქვებით მოფენილი სავალი... ქვებს დღესაც აჩნია ნალების

ნაკაწრები, უცქერ ისტორიის ამ დანაშრევს და ყურებში გესმის წინაპართა ცხენის ფლოქვების თქარა-თქური.

ეზოში შესვლისთანავე თვალს იტაცებს უზარმაზარი მუხის ხე, ალბათ ამ ზომისა და ასაკის მუხა იშვიათად გინახავთ. აქ იგი სასწაულად გადაურჩა მსახვრალ ხელს, ახლა კი საიმედო პატრონი ჰყავს. ციხის კედლების შიგნით და გარეთაც ბეჟანიძეები სახლობენ. თენგიზ ბეჟანიძე ძველ მცენარეებსაც უვლის და ამ ადგილებისათვის ტრადიციული ახალი ხეხილიც გაუშენებია.

თენგიზს და მის სახლიკაცებს ერთ-ერთი ყველაზე ძველი სახლი აურჩევიათ საცხოვრებლად, მაგრამ თვით ეს შენობა საინტერესო ძეგლია. აქ მარტო ამის სანახავადაც ღირს ამოსვლა.

აბიბინებული ეზო-მიდამოს შუაგულში დიდი, გრძელი ქვის ლორფინი დევს.

– ეს სალოცავია – გვიხსნის თენგიზი. მისი მდებარეობა სიგრძე-სიგანით ზუსტად შეესაბამება კომპასის მაჩვენებლებს. ჩვენ არ ვიცით, რომელი აღმსარებლობის მორწმუნენი ლოცულობდნენ ამ მადლიან ლოდზე, თუმცა ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, ღმერთი ერთია, ქვა კი თავის წმინდა მოვალეობას საუკუნეების მანძილზე ასრულებდა და ახლაც თავისთან იწვევს ამის მსურველებს.

ერთგან საგანგებოდ გამოთლილი ქვის თაღი საიმედო კედლებს ეყრდნობა და მათთან ერთად კარიბჭის შთაბეჭდილებას ქმნის. ალბათ ეს თუ იყო ეკლესიაში შესასვლელი. ახლა ამის დადასტურება ძნელია, რადგანაც თაღს იქეთ თითქმის აღარაფერი დარჩენილა.

ეზო საყოფაცხოვრებო დანიშნულების საგნებითაა მოფენილი. ჭურები წესისამებრ ღრმად ყოფილა ჩამიწებული. მისი თავი ადრე უძებნიათ, ამიტომ აქ ორმო წარმოქმნილა, რომელიც ახლა ფოთლებითაა დაფარული. პატარა გოგონამ ცოცხი და ბარი გამოგვიტანა, ავთო-სტუმარმა ადგილი ფოთლებისაგან გაათავისუფლა, შემდეგ ბარიც მოიშველია და გამოჩნდა უზარმაზარი ჭურის თავი, რომელსაც მისი მძებნელები გაუფრთხილებლად მოპყრობიან და დაუზიანებიათ, თუმცა მის სიძველესა და მოცულობაზე ქვევრის დარჩენილი კედლებიც ღაღადებენ. კარგად თუ დავძებნით, ამ არე-

მარეში ალბათ კიდევ მრავალ ჭურს, შესაძლოა მარანსაც აღმოვაჩენთ, რაც ამ მიდამოებში ოდითგანვე ვაზის კულტურის არსებობაზე მეტყველებს. შორს წასვლა არ გვჭირდება. აქ მცხოვრებმა ჩვენმა მასპინძელმა ავთანდილ (ახმედ) ბეჟანიძემ ისეთი ნალოლიავები, მოვლილ-გახარებული და საგაზაფხულოდ აფეთქებული ვენახი მაჩვენა, სიხარულს ვერ ვმალავდი.

– ღვინოს ცოტა ხნის შემდეგ გავუღებთ გემოსო, – მითხრა ავთო-მასპინძელმა.

ეზოში შესვლისთანავე თვალში გხვდება ორი საცეხველი (ჩვენში ჩამურსაც ეძახიან), უზარმაზარი სანაყის მსგავსი მრგვალი ქვა, რომელსაც ღომის, ბრინჯისა და ხორბლის საცეხვავად იყენებდნენ. ერთი ჩამური ეზოს ბოლოშია, რომელიც გადაადგილებულს ჰგავს, ხოლო მეორე – შუაგულში. აქვე პატარა ნაგებობის კედლებიც ჩანს. ალბათ აქვე სამზარეულო და პურის საცხობიც მდებარეობდა. ერთ ოჯახში ორი ჩამური იშვიათია, აქ კი შემთხვევით არაა.

ეტყობა ცხოვრება დუღდა, მრავალ ადამიანს იფარავდა აქაურობა, ამიტომ ერთი ჩამური არ კმაროდა. ასეთ საცეხველს მხოლოდ იქ ვხვდებით, სადაც ფართოდ იყო გავრცელებული მარცვლეულის, განსაკუთრებით ხორბლის კულტურა. ხანდაზმულებს ახლაც ახსოვთ ზენდიდის დაფერდებებზე, როგორ კარგ მოსავალს იძლეოდა პურის ყანები.

ზენდიდის ციხე და ეკლესია ისეთ შემაღლებაზე მდებარეობს, აქ იმდროინდელი ტექნიკური შესაძლებლობებით არხით, გნებავთ თიხის მილებით წყლის მოყვანა შეუძლებელი იყო. ამიტომ ჩვენს ძველებს ტრადიციული ჭა მოუწყვიათ. მისი სიღრმე 30 მეტრს აღემატება და, როგორც ავთო-მასპინძელი მოგვითხრობს, საჭიროების შემთხვევაში მისი გაწმენდა ყველას არ შეეძლო. ამას მხოლოდ საგანგებოდ შერჩეული, გამძლე და გაბედული ვაჟკაცები აკეთებდნენ. მათაც ამ დროს რამდენჯერმე დროებით ზედაპირზე ამოიყვანდნენ, ან შეცვლიდნენ, რადგანაც სიცივე და უჰაერობა ძნელი გასაძლებია. ჭიდან წყლის ამოღება მხოლოდ ოწინარით შეიძლება. მიხეილ მახარაძემ ეს საქმე არავის დაანება.

– ამდენ თავადს ერთი აზნაური გახლავართ და მიმსახურეთ, რითაც შემეძლებაო. ოწინარი დაატრიალა და სავსე ვედრო წინ დაგვიდგა. ჭის ანკარა წყლის ტემპერატურა რვა გრადუსზე ნაკლებია. სასიამოვნო დასალევია და რაც მთავარია ჭაში მისი დონე მაშინაც არ კლებულობს, როცა მოკლე დროში ათეულობით ვედროს ამოზიდავენ.

* * *

ავთო-მასპინძელი ციხე-სიმაგრის გალავნიდან გასვლას გვთავაზობს, მივდივართ გასასვლელისაკენ, რომელიც ზემოთ აღწერილი შემოსასვლელი კარების საპირისპირო მხარეს მდებარეობს და მას მხოლოდ ციხის ბინადრები იყენებდნენ. აქედან სოფლის ლამაზი შევაკება და კოხტა სახლები მოჩანს. ძველი წესის თანახმად ალბათ აქ მდებარეობდა ზენდიდის ციხის რაბათი, რომელიც ციხეში მყოფთ ამარაგებდა სურსათით და საჭირო საგნებით.

ციხე-სიმაგრის ეზოდან გასვლისთანავე ქვის გალავანს მივადექით. აქაა ჩემი სახლიო, გვეუბნება ავთო. არასასიამოვნო გრძნობამ გამიელვა. ვიფიქრე, ნუთუ ამოდენა ზღუდე ავთანდილ ბეჟანიძემ ციხის კედლების ნანგრევებით ააგო – მეთქი. მაგრამ ეს აზრი გალავანზე კიდევ უფრო მიახლოებისთანავე გაიფანტა. ბეჟანიძეთა ღირსეული გვარის მემკვიდრეს ერთი ქვის ნატეხიც კი არ გამოუყენებია კარ-მიდამოს შემოსაზღუდად. ყველა ქვა ფერით და მოცულობით განსხვავდება ციხის ნაშთების მასალისაგან. კედლის ასაშენებლად ავთოს სხვა ფერის, მოყვითალო ქვები შემოუზიდავს და მშვენიერი გალავანიც აუშენებია. ჩვენ უკვე თანამედროვე ორსართულიანი სახლის სასტუმროში შემოვუსხედით სუფრას. ჭამასმის კარგად მცოდნე ავთო-სტუმარმა თამადობა იკისრა, პირველ რიგში ღვინო დააჭაშნიკა და ჩვენც აგვიყოლია. მასპინძლის ხელით დაწურულმა ცოლიკაურმა სიამოვნება განგვაცდევინა.

ოჯახის დიასახლისი მოწყალების და, ასმათ დევაძე 60-ანი წლებიდან ჩემი მოსწავლე აღმოჩნდა. ბოლო დრომდე რაიონულ საავადმყოფოში უმუშავნია, ახლა კი საოჯახო საქმეებითა და შვილიშვილებზე ზრუნვითაა დაკავებული.

თამადამ პირველ ტრადიციულ სიტყვაში ოსტატურად ჩართო ოჯახის წინაპრების სადღეგრძელო, მას მასპინძელი წამოეშველა და ჩვენთვის ნათელი გახდა ვისი გორისაც იყო იგი ...

ავთომ გადმოცემით იცის, რომ ოჯახის ამ შტოს მამამთავრად ალი-ბეგ ბეჟანიძე ითვლებოდა.. მას სამი ვაჟი: ქიბარი, სეფერი და სულეიმანი ჰყოლია. სეფერ-ბეგი მთელს ქვემო აჭარაში ერთ-ერთი ყველაზე მდიდარ პიროვნებად ითვლებოდა. უძრავი ქონების, სახლებისა და მიწების შეძენის გარდა მეცხოველეობას მისდევდა. მის საკუთრებაში 2 000-ზე მეტ ცხვარს და მსხვილფეხა პირუტყვს ითვლიდნენ. ფერმას დაქირავებული მუშახელი უვლიდა.

სეფერ-ბეგი ქველმოქმედებითაც გამოირჩეოდა. ქედის მაზრაში წამოწყებულ ყველა მშენებლობაში (გზები, ხიდები, სამლოცველოები) ფულადი წილი ოქროთი შეჰქონდა, ამიტომ მოსახლეობა სეფერ-ბეგს დიდად ემადლიერებოდა.

სეფერ-ბეგს ნათესაური და მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა აჭარის მმართველ ხიმშიაშვილების გვართან. იგი დიდ სელიმ-ფაშასაც მოესწრო, მასთან იმსახურა კიდეც და საჩუქრად მიიღო წარწერიანი დამბაჩა. სამწუხაროდ, ეს საჩუქარი, სხვა ძვირფას რელიკვიებთან ერთად, 1937 წელს სეფერ-ბეგის შვილის, მურთაზის დაპატიმრების დროს წაიღეს და ყველაფერი დაიკარგა.

სეფერ მუსტაფის ძე ბეჟანიძე

ოსმან მუსტაფის ძე ბეჟანიძე

მემედ მუსტაფის ძე ბეჟანიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სეფერ-ბეგ ბეჟანიძეს მხოლოდ ორი შვილი: მურთაზი და ხატიჯე ჰყავდა, მურთაზი კი საბედნიეროდ მრავალშვილიანი აღმოჩნდა. მას 9 შვილი: 5 ქალი და 4 ვაჟი შეეძინა: სეფერი, ფადიმე, მემედი, ოსმანი, ხუსეინი, აიშე, ნიგარი, გუგული და ზექიე.

მურთაზ-ბეგი 1887 წელს დაბადებულა სოფელ ზენდიდში. ოჯახური განათლების მიღების შემდეგ დაუმთავრებია უმაღლესი საფინანსო სასწავლებელი პეტერბურგში. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროს შევიდა სახელმწიფო სამსახურში, ერთ-ერთი პირველი გაერთიანდა სასოფლო-სამეურნეო არტელში, მონაწილეობდა აჭარისწყლის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაში და ფინანსისტის საპასუხისმგებლო დავალებას ასრულებდა.

მურთაზ ბეჟანიძის ბიოგრაფიიდან ვიცით მხოლოდ, რომ ის 1937 წელს დააპატიმრეს, სამეულის გადაწყვეტილებით სიკვდილი მიუსაჯეს და იმავე წელს ბათუმში დახვრიტეს. დაპატიმრების დღეს აწჰეს-ის მუშა-მოსამსახურეთა სია და მათზე გასაცემი ფული მურთაზ-ბეგს უფროსი ქალიშვილის, ფადიმესათვის დაუტოვებია.

მამის პროფესია აირჩია მურთაზის უფროსმა ვაჟმა სეფერმა (1924-2008). მან ბათუმის საფინანსო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ კოლმეურნეობის მოლარე-მოანგარიშედ დაიწყო მუშაობა, მაგრამ მალე (1948 წ.) დააპატიმრეს ბრალდების წაყენების გარეშე. მიზეზი გასაგებია – „ხალხის მტრის“ შვილი, რომელიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მოსახლეობაში, ხელისუფლებას საშიშ პიროვნებად მიაჩნდა. პოლიტიკურ პატიმრობას სეფერმა 1953 წელს დააღწია თავი და შემდეგ მთელი სიცოცხლე თავისი პროფესიით იმსახურა ქედის რაიონის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატში, კოლმეურნეობაში, ხელვაჩაურის საგზაო განყოფილებაში, ბათუმის მე-5 სამშენებლო ტრესტში, ბოლოს შპს „გეორგია“-ში.

ჩვენი მასპინძელი ავთანდილი სეფერ ბეჟანიძის ვაჟია. იგი თავის ძმასთან ამირანთან და დასთან მზიასთან ერთად ღირსეულად განაგრძობს ბეჟანიძეთა გვარის ტრადიციებს.*

---

* მათი ნამრავლი იხ. გენეალოგიურ სქემებში.

ნუგზარ ბეჟანიძე, სანიე დევაძე



კარადა ქიბარის ძე
ბეჟანიძე
(1894-1981)

აიშე ახმედის ასული
გვარიშვილი
(1912-2010)

ავთანდილ ბეჟანიძე, ასმათ დევაძე

ლუიზა ავთანდილის ასული ბეჟანიძე

ელგუჯა ავთანდილის ძე ბეჟანიძე

ამირან სეფერის ძე
ბეჟანიძე

ავთანდილ სეფერის ძე
ბეჟანიძე



ალექსანდრე სულეიმანის ძე
ბეჟანიძე

ირაკლი ბეჟანიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წყაროები და ლიტერატურა

1. **ვახუშტი**. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. 4.თბილისი. 1973, გვ. 710.

2. იქვე, გვ. 711.

3. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.4, თბ., 1973. გვ. 104.

4. იქვე, გვ. 107.

5. **ვახუშტი**. დასახ. წ. გვ. 714.

6. ხარიტონ ახვლედიანი. სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. ბათუმი, 1959. გვ. 23; შამშე მეგრელიძე, აჭარის გათავისუფლება თურქთა ბატონობისაგან. ბათ; 1956. გვ. 8.

7. ევლია ჩელები. მოგზაურობის წიგნი, ნაკვ. I, თბ., 1971, გვ. 23.

8. აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრები. თარგმნეს და გამოსაცემად მოამზადეს **ზაზა შაშიკაძემ** და **მირიან მახარაძემ.** თბ. 2011. გვ. 90.

9. **ბიჭიკო დიასამიძე**. ერთი ოსმალური წყაროს შესახებ. გაზ. „აჭარა," №17, 29 იანვარი, 2004 წ. გვ. 6.

10. აჭარის ლივის... გვ. 18.

11. ჩილდირის ეიალეთის ჯაბა-დავთარი. თარგმანი ცისანა აბულაძის, გამოკვლევა **მიხეილ სვანიძისა**. თბ., 1972. გვ. 59.

12. გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთარი. წ. II, გამოკვლევა და თარგმანი **სერგი ჯიქიასი**. თბ., 1941. გვ. 452.

13. **ავთანდილ ავალიანი**. მიწისმფლობელობის ფორმები აჭარაში. ბათ., 1960. გვ. 58-60.

14. ჩილდირის . . . გვ. 199.

15. **ირაკლი ბარამიძე**, საადგილმამულო ურთერთობათა ისტორიიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. ბათ., 1999. გვ. 13-21.

16. ჩილდირის . . . იქვე.

17. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია (ქსე). საქართველოს სსრ. თბ., 1981. გვ. 326.

18. გაზ. „დროება,“ №131, 1880.
19. გურჯისტანის . . . იქვე.
20. ჩილდირის . . . გვ. 80.
21. ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თბ., 1978, გვ. 170.
22. **შოთა ლომსაძე**. სამცხე-ჯავახეთი. თბ., 1975, გვ. 225.
23. **ი. ბარამიძე**. საადგილმამულო. . . გვ. 15.
24. იქვე, გვ. 16-18.
25. **დიმიტრი ბაქრაძე**, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში. თარგმანი არჩილ ტოტოჩავასი. თბ., 1987, გვ. 48.
26. **თედო სახოკია**. მოგზაურობანი. ბათ., 1950, გვ. 244.
27. ქსე, ტ. 4, თბ., 1979.
28. **იური სიხარულიძე**. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა. წ. I, ბათ., 1958, გვ. 55, 56.
29. **ზაქარია ჭიჭინაძე**. ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრება. ტფ., 1916, გვ. 15.
30. **ზაქარია ჭიჭინაძე**. ისტორია ოსმალეთის ყოფილ მუსლიმან ქართველთ საქართველოსი. ბათ., 1911. გვ. 52-55.
31. **ხარიტონ ახვლედიანი** (კირისილოღლი). ნარკვევი აჭარის ისტორიიდან. ბათ., 1944. გვ. 143.
32. ჩილდირის . . . გვ. 34.
33. კრებული, III, ბათუმი. 2002, გვ. 146-158.
34. ქართული სამართლის ძეგლები.ტ. III. თბილისი 1970 წ. გვ. 243.
35. **ზ. ჭიჭინაძე.** ქართველ . . . გვ. 15.
36. იქვე.
37. **ვახუშტი**. აღწერა . . . გვ. 719.
38. **ზ. ჭიჭინაძე**. ისტორია . . . გვ. 52-55.
39. იქვე.
40. საქართველოს ისტორიის. . . ტ. გვ. 304-311.
41. ისკენდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ. თბ., 1969
42. **ზ. ჭიჭინაძე**. ქართველ . . . გვ. 16.
43. გურჯისტანის . . . გვ. 452.
44. **დ. ბაქრაძე**. არქეოლოგიური . . . გვ. 75-80.
45. **ბერი ეგნატაშვილი**. ახალი ქართლის ცხოვრება, ქართლის ცხოვრება ტ. II. თბ., 1959, ქართული მწერლობა. ტ. 6. თბ. 1989.
46. ქართლის ცხოვრება. ტ. II. 1959, გვ. 412, 413.

47. იქვე, ტ. 4. გვ. 436.

48. **იოსებ სააკაძე**. დიდმოურავიანი. ქართული პოეზია. ტ. 5. თბ. 1976. გვ. 85.

49. იქვე. გვ. 40.

50. ქ. ცხ. ტ. 4, გვ. 34.

51. **სულხან-საბა ორბელიანი**. ლექსიკონი ქართული. წ. I. თბილისი.1991. გვ. 313.

52. **დავით ჩუბინაშვილი**. ქართულ-რუსული ლექსიკონი. თბილისი. 1984. გვ. 570.

53. კორნელი კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის – კოლექცია, საბ. №132.

54. ჩაწერილია 1965 წელს, სოფელ ძენწმანში, ხელნაწერი ჩვენთან ინახება (ავტ).

55. ხელნაწერი ჩვენთან ინახება (ავტ.).

56. ხელნაწერი ჩვენთან ინახება (ავტ.).

57. **А. С. Френкель**. Очерки Чурук-Су и Батума. Тиф., 1879, с.14,15.

58. **ჟან მურიე**. ბათუმი და ჭოროხის აუზი. თბ., 1962, გვ. 8, 28.

59. **დ. ბაქრაძე**. არქეოლოგიური. . . გვ. 27, 28.

60. **შოთა ლომსაძე.** ახალციხური ქრონიკები. თბ., 1979. გვ. 182.

61. იქვე, გვ. 200.

62. იქვე, გვ. 204, 205.

63. იქვე, გვ. 214.

64. **ხასან ლორთქიფანიძე**. ხელნაწერი. გვ. 4 რუს. ენაზე, ინახება ჩვენთან (ავტ.).

65. Акты Кавказской археографической комиссии. **Адольфа Берже**. Т. 5, с. 228.

66. **ზ. ჭიჭინაძე**. მუსლიმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში. ტფ., 1913. გვ. 293.

67. **აბელ სურგულაძე**. სელიმ ხიმშიაშვილი. ბათ., 1986. გვ. 83.

68. **В. А. Потто**. Кавказская война. т. IV. Севастополь. 1994. С. 113, 123.

69. **ხარიტონ ახვლედიანი**. ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. ბათუმი. 1978. გვ. 116.

70. Шамиль-ставленник султанской Турции и Английских колонизаторов. Сост. Ш. **Цагареишвили**. Тбилиси. 1953. С. 272-274.

71. **დიმიტრი ყიფიანის** არქივი. შეადგინა შალვა გოზალიშვილმა. თბილისი. 1951. გვ. 6, 25.

72. **ზ. ჭიჭინაძე**. ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრება. თბილისი. 1916. გვ. 29; В. а. Потто... с. 245, 246.

73. **თ. სახოკია**. მოგზაურობანი . . . გვ. 243.
74. **დ. ბაქრაძე**. არქეოლოგიური . . . გვ. 50.
75. **ზ. ჭიჭინაძე**. მუსლიმან ქართველობა . . . გვ. 121.
76. იქვე, გვ. 134, 135.
77. **თ. სახოკია**, მოგზაურობანი. . . გვ. 167, 243, 244.
78. **რამაზ სურმანიძე.** სურმანიძეები. ბათ., 2001., გვ. 189.
79. ხელნაწერთა ასლები ჩვენთან ინახება (ავტ.).
80. **ხ. ახვლედიანი**. სახალხო-განმანთავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან. ბათუმი. 1956. გვ. 201.
81. **სერგო ყუფარაძე.** 1905 წლის ბარიკადები ბათუმში. ბათ., 1925, გვ. 94, 95.
82. Газ. "Батумские вести" №296, 18 ноября, 1910.
83. აჭარის სახ. მუზეუმის ხელნაწერთა ფ. №23203X1ა; 1201X1 და №23209, 1201X3.
84. გაზ. „ერთობა", №175, 5 აგვისტო, 1920, გვ. 3.
85. **დავით კლდიაშვილი.** ჩემი ცხოვრების გზაზე, თბ., 1961. გვ. 87, 88.
86. **ზურაბ ავალიშვილი**. საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში. თბ., 1990, გვ. 85.
87. გაზ. „ერთობა", №262, 3 დეკემბერი, 1918, გვ. 3.
88. **თეიმურაზ კომახიძე**. დუდი ხანუმი და ძე მისი შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი. ბათ. 2002, გვ. 515.
89. Всеобщии адрес-ежегодник Батума. Батум. 1902. С. 90., 93, 96, 101, 104, 110.
90. ქუთაისის სახ. არქივიდან მიღებული ასლი ჩვენთან ინახება.
91. **აბდულ მიქელაძე**. წერილები აჭარიდან. შეადგინა და გამოიკვლია რამაზ სურმანიძემ. თბ. 1990, გვ. 54, 81, 82.
92. გაზ. „ივერია", №15, 22 იანვარი, 1893.
93. **ზ. ჭიჭინაძე**. მუსლიმან ქართველობა. . . გვ. 121, 122.
94. **დ. ბაქრაძე**, არქეოლოგიური . . . გვ. 18, 27, 48.
95. **ზ. ჭიჭინაძე**. მუსლიმან ქართველობა . . . გვ. 26.
96. იქვე, გვ. 27.
97. გაზ. „ერთობა", №166, 25 ივლისი, 1920 წ. გვ. 2.
98. **ზ. ჭიჭინაძე**. მუსლიმან ქართველობა. . . გვ. 113.
99. **ზ. ჭიჭინაძე**. ქართველ . . . გვ. 78.
100. **ა. მიქელაძე,** წერილები. . . გვ. 42.

101. **სერგი გერსამია**. მემედ აბაშიძე, ბათ., 1960, გვ. 67.

102. **ერმილე მესხია**,სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორი-იდან. ბათ. 1997. გვ. 17, 98.

103. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №162, 10 ივლისი 2005 წ.

104. შუშანა ფუტკარაძე. სტამბოლის ქართული სავანე. თბილისი. 2012. გვ.15, 19, 37, 38.

105. ხელნაწერი ჩვენთან ინახება (ავტ.).

106. **გურამ შარაძე.** მემედ აბაშიძე. ბათ. 1995. გვ. 104.

107. საქ. ცსა. ფ. 13, ან. 27, ს. 5413, ფურ. 15.

108. **ზურაბ ბატიაშვილი**. ქართველები ოსმალური პერიოდოს ტრაპიზონში. თბ. 2008. გვ. 75.

109. **გურამ შარაძე.** დასახ. წ. გვ. 106.

110. **ოსიკო გვარიშვილი**. სისხლიანი გრიგალის ექო. თბ. 2001. გვ. 18, 19, 108.

111. გაზ. „სრულიად არასაიდუმლოდ“, №20, 1997. ვ. 17, №8, 1999, გვ. 10, №12, გვ. 14.

112. გაზ. „ფუხარა,“ №40. 1926.

113. **მერი გოცირიძე**. ქალთა კლუბი აჭარაში. ჟ. „ლიტ.აჭარა,“ №2, 1966. გვ. 84, 85.

114. საქ. კპ. აჭარის საოლქო კომიტეტის არქივი. ფ. 1, აღ. 1, ს. 842. ფურ. 7.

115. **Клара Цеткин**. На освобожденном Кавказе. Москва. 1935. С. 126.

116. აჭარის ცსა, ფ.რ-4. აღ. 1. 74ა ფურ. 8, მერი გოცირიძე. აჭარის ქალები – ახალი ცხოვრების მშენებლები. ბათუმი. 1971. გვ. 89. გაზ. „საბჭოთა აჭარისტანი,“ 6 იანვარი. 1935 წ. გვ. 2.

117. აჭარის ცსა, ს. 656. გვ. 42.

118. **ემენ დავითაძე**. გაზეთი „ფუხარა.“ ბათუმი. 1975. გვ. 99-103.

119. ცნობის ასლი ჩვენთან ინახება (ავტ.).

120. წერილების ასლები ჩვენთან ინახება (ავტ.).

121. მოწმობის ასლი ჩვენთან ინახება (ავტ.).

122. მუსტაფ ბეჟანიძის ნეკროლოგი. გაზ. „აჭარა,“ №7, 15 იანვარი, 1997. ვ. 4.

123. **შაქრო ქარცივაძე.** ჰიპოკრატეს ფიცის ერთგული. ჟ. „ექო,“ №1, 2000. ვ. 31.

124. ურატ ასაპ. სმანლი რც ლერი. I სტამბულ. 2010.

125. **მურატ კასაპი**. დას. წ. გვ. 135.

126. **შ. ლომსაძე**, ახალციხური ქრონიკები. თბ. 1979. გვ. 182, 212.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

127. **მურატ კასაპი**. დას. წ. გვ. 382.

128. იქვე, გვ. 338.

129. იქვე. გვ.

130. იქვე, გვ. 330, 335.

131. იქვე, გვ. 414.

132. ქველი ჩხატარაშვილი. გურიის სამთავროს ურთიერთობა რუსეთთან. თბ. 1985. გვ. 17, 18.

133. **შოთა ლომსაძე**. ახალციხური ქრონიკები. . . გვ. 97, 214.

134. **A. Френкель**. Очерки… გვ. 115.

135. აჭარის სახ. მუზ. ხელნ. №8. ცნობები, შეკრებილი იუსუფ ალის ძე აბაშიძის მიერ. 1946 წ.

136. Батумское побережье Русские Тропики. сб.статей под. ред. **С.А.Анисимова**. Батум. 1911. с.

137. **ხ. ახვლედიანი**, ნარკვევი. . . გვ. 94,101.

138. **სერგო ყუფარაძე**. 1905 წლის ბარიკადები ბათუმში. ბათუმი. 1925. გვ. 21.

139. **Н. Марр**. Из поездки в Турецкий Лазистан. С. –П. 1910. с. 554.

140. **თ. კომახიძე**. დუდი-ხანუმ ბეჟანიძე და ძე მისი შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი. ბათუმი. 2002. გვ. 525.

141. იქვე, გვ. 455.

142. უ. პ. (უმიკაშვილი პეტრე) ხუსეინ-ბეგ ბეჟანოღლი (ნეკროლოგი). გაზ. „დროება," №60, 20 მარტი, 1883.

143. **В. А. Потто**, Кавказская война. Ставропол. 1994. с. 457.

144. იქვე. გვ. 460.

145. **Лука Исарлов**. Письма о Грузии. Тиф. 1899. с. 741,

146. საქ. ცსა. ფ. II, ს. 558, ფურ. 16-18.

147. **ა. მგელაძე**. ფელეტონი. აჭარა. გაზ. „ივერია," №205. 1899 წ. 24 სექტემბერი.

148. მურატ კასაპი. დასახ. წ. გვ. 339.

149. **სერგეი მესხი**. წერილები აჭარაზე. შეადგინა რამაზ სურმანიძემ. ბათ. 2001. გვ. 179.

150. კავკასიის მთავარმართებლის კანცელარიის საბ. №1064, 11/IX 1903 წ. საქმე № 401.

151. **А. Френкель**. Очерки . . . с. 92, 93.

152. **ს. მესხი**. წერილები . . . გვ. 30.

153. **А. Френкель**. Очерки . . . с. 32.

154. გაზ. „დროება," № 115, 6 ივნისი, 1881.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

155. იქვე. №270, 24 დეკემბერი, 1882.

156. ანთოლოგია. ემენ დავითაძის რედაქციით. გამოსცა მამია ხარაზმა. ბათ. 1993. გვ. 25.

157. იქვე. გვ. 29.

158. **ზ. ჭიჭინაძე**. ქართველი მაჰმადიანი . . . გვ. 16.

159. **თ. კომახიძე**. აჭარის მოამაგენი. გვ. 67.

160. უ. პ. (უმიკაშვილი პეტრე). ხუსეინ-ბეგ ბეჟანოღლი. ჩაქვის მებატონე (ნეკროლოგი) გაზ. „დროება," №60, 20 მარტი, 1883.

161. გაზ. „დროება" №106, 1875 წ.

162. ნიკო ნიკოლაძის არქივის კატალოგი. ნაწ. I. თბ. 1954. გვ. 5.

163. იქვე, საბ. 13-364.

164. იქვე, საბ. 13-366.

165. იქვე, საბ. 13-365.

166. გაზ. „დროება," №101, 1875.

167. იქვე, №120.

168. იქვე, №114.

169. გაზ. დროება," №114, 8 ოქტომბერი, 1875 წ.

170. **რამაზ სურმანიძე**. დაუვიწყარი სახეები. ბათ. 1969. გვ. 9-12.

171. **აბელ სურგულაძე, რამაზ სურმანიძე**, შუქი ნათლისა. ბათ. 1990. გვ. 17.

172. **ს. მესხი**. წერილები . . . გვ. 126.

173. ხალხური სიტყვიერება, ტ. I, თბ., 1971, გვ. 302, 303.

174. **მ. კასაპი.** დასახ. წ. გვ. 162.

175. ტელეინტერვიუ. ფირი ინახება აჭარის ტელესტუდიაში. ავტორი თეონა არჩვაძე.

176. ხელნაწერი გადმოგვცა ოსიკო გვარიშვილმა და ჩვენთან ინახება (ავტ.)

177. **რ. სურმანიძე**. სურმანიძეები . . . გვ. 46-52.

178. გაზ. "დროება", №114 (იხ. ლიტ. №156).

179. საქ. ჩსა. 13, აღწ. 21, ს. 934, ფურ. 129.

180. ბოლშევიკური ორგანიზაციები და რევოლუციური მოძრაობა საქართველოში. თბ. 1974, გვ. 322.

181. **ოთარ გოგოლიშვილი**. ანტისაბჭოთა მოძრაობა აჭარაში, 1921-1929 წლები. ბათ. 2000, გვ. 36.

182. აჭარის ცსა ფ.რ-76, აღწ. I, ს.I, ფურ. 6.

183. იქვე, რ-883, აღწ. 3, ს. 7, ფურ. 2,4,8.

184. იქვე რ-750, აღწ. I, ს. 19, ფურ. 105.

185. იქვე,ფურ. 131.
186. იქვე. ს. 26, ფურ. 36
187. გაზ. “სრულიად არასაიდუმლოდ”, №20, 1997, გვ. 17, №21, გვ. 8, №12. 1999, გვ. 14.
188. მარადული ხსოვნის წიგნი, ბათ. 1995.
189. **ხ. ახვლედიანი.** ნარკვევი . . . გვ. 28, 29.
190. ფუხარას სიტყვა,შედგენილი ხასან კომახიძის მიერ. ბათომი. 1928. გვ. 42-46.
191. **ზ. ჭიჭინაძე**, ქართველ მაჰმადიანი . . . გვ. 24.
192. გაზ. ”დროება” №63, 25 მარტი 1882 წ.
193. გაზ. “ივერია”,№156 25 ივლისი 1891 წ.
194. **ო. გოგოლიშვილი**. აჭარა 1914 წ. ჟ. ”ლიტ.აჭარა” №4, 2002 წ. გვ.77,78.
195. აჭარის ცსა, ფ. 4, აღწ. 1, საქ. 756, ფურ. 56.
196. **ოთარ გოგოლიშვილი**. გერმანელ და ქართველ მასწავლებელთა საქმეები. ჟ. ”ლიტერატურული აჭარა”, №6, 2002, გვ. 96-98.
197. გაზ. “საბჭოთა აჭარისტანი”, №1, 1 იანვარი, 1935 წ.
198. ხელნაწერი ჩვენთან ინახება (ავტ).
199. **ერმილე მესხია**. სამხრეთ-დასავლეთ. . . გვ. 27
200. ანგარიშები აჭარისტანის საბჭოების მესამე ყრილობას. ბათ. 1923. გვ. 27, 36, 37.
201. **ეგარსლან ლომაძე**. ხუსეინ ბეჯანიძე. ბათ. 2000, გვ. 58, 59.
202. იქვე, გვ. 44, 45.
203. **გრიგოლ ბუხნიკაშვილი.** ბათუმის თეატრი. თბ., 1979, გვ. 86-97.
204. **ამირან გურგენიძე**. ბრძოლისა და შრომის ვეტერანები. ბათ.1973, გვ. 85-90.
205. ხელნაწერი ინახება ოჯახში (ავტ.)
206. **ჯემალ ქათამაძე**. ღიმილი და ფიქრები დედისა. ბათ. 1990.
207. გაზ. „ბათუმელები“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარჩევი

ზენდიდის ციხისა და მისი მფლობელი ბეჟანიძეების გვარის ისტორიისათვის 3

ზენდიდის ციხე 7
ბეჟანიძეთა გვარის ადგილი საქართველოს ისტორიაში 30

ა) ზენდიდელი ბეჟანიძეები 32

მუთი-ბეგ ბეჟანიძე 41
დურსუნ ბეჟანიძე 51
ახმედ-ბეგ ბეჟანიძე 57
აბდულ-ბეგი 63
ხუსეინ-ბეგი 66
სულეიმან-ბეგი 68
ანა-ელისაბედ ბეჟანიძე 75
დევრიშ-ბეგი 78
მურთაზ-აღა ბეჟანიძე 83
ლამიე ბეჟანიძე 85
ნადია ბეჟანიძე 87
ხასან-ბეგი 89
ღალიბ-ბეგ ბეჟანიძე 92
ავნი ბეჟანიძე 96
მუსტაფ ბეჟანიძე 100
შუქრი და თენგიზ ბეჟანიძეები 101
რამიზ-ბეგი 108
ბესიკ ბეჟანიძე 112
რეზო ბეჟანიძე 114

ბ) ბეჟანიძეები ოდმალეთში 115

ალი-ფაშა ბეჟანიძე 116
აბდულაჰ აგაჰ-ბეი (ბეჟანიძე) 118
ხასან-ბეგ თულუმბაზადე (ბეჟანიძე) 119
მურად-ჰამდი-ბეგი (ბეჟანიძე) 121

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აბდულ-ჰამიდ-ბეგ ბეჟანიძე 123
შევქეთ-ბეგი (ბეჟანიძე) 124
ბეჟანიძეთა გენეალოგია (თურქეთი) 125

ბ) ჩაქველი ბეჟანიძეები 126

თევფიყ-ბეგ ბეჟანიძე 133
დუდი-ხანუმ ბეჟანიძე 135
ხუსეინ ბეგი 153
ხუსეინ ბეჟანიძე და აკაკი წერეთელი 168
ხასან-ბეგ ბეჟანიძე 177
შაესტერ ბეჟანიძე 180
შევქეთ-ბეგ ბეჟანიძე და ასული მისი ფიქრიე 190

ბ) ჭვანელი ბეჟანიძეები და მსახურაძეები 194

ძალმომრეობის მცხვერპლნი 202
სულეიმან ბეჟანიძე 211
ბეჟანიძეები მეორე მსოფლიო ომში 214

ე) ქობულეთელი ბეჟანიძეები 216

უსუფ ბეჟიოღლი-ბეჟანიძე 218
უსუფ ბეჟიოღლის ამბავი 219
ასლან ბეჟანოღლის ამბავი 221
მუხამედ ბეჟანიძე 223
იუსუფ ბეჟანიძე 226
ისკენდერ ბეჟანიძე 229
რიზა ბეჟანიძე 232
ალქსანდრე (ახმედ) ბეჟანიძე 235
ხუსეინ ბეჟანიძე 238
ავთანდილ (კუკური) ბეჟანიძე 242
აიშე ბეჟანიძე 244
სულეიმან ბეჟანიძე 246
თემერ ბეჟანიძე 246
მირიან ბეჟანიძე 248
მურად ბეჟანიძე 250

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დავით ბეჟანიძე 251
ნიაზ ბეჟანიძე 253
ბესარიონ (სულეიმან) ბეჟანიძე 254
ახმედ ბეჟანიძე 256
სულეიმან ბეჟანიძე 256
ხასან ბეჟანიძე 258
თეოფილე ბეჟანიძე 261
ჯემალ ბეჟანიძე 264
სერგო (ხუსეინ) ბეჟანიძე 265
ნაზი ბეჟანიძე 267
ასლან ბეჟანიძე 268
ვახტანგ ბეჟანიძე 271
თინა ბეჟანიძე 273
მიხეილ ბეჟანიძე 274
იოსებ ბეჟანიძე 276
ავთანდილ ბეჟანიძე 277
მერი ბეჟანიძე 282
ქეთო ბეჟანიძე 283
თამაზ ბეჟანიძე 284
ნუგზარ ბეჟანიძე 286
მერაბ ბეჟანიძე 288
ანზორ ბეჟანიძე 289
ზურაბ ბეჟანიძე 290
ირინე ბეჟანიძე 291
ახმედ ბეჟანიძე (ბეჟიოგლი) 293
ზურაბ ბეჟანიძე 294
გია ბეჟანიძე 296
სულიკო ბეჟანიძე 298
ლევან (ნუკრი) ბეჟანიძე 300

ბეჟანიძეთა გვარის გენეალოგია 303

ბოლოთქმა 348

წყაროები და ლიტერატურა 357

ოპერატორი **ნანი გორგაძე**
დამკაბადონებელი **ანაიდა ავეტისიანი**
კორექტორი **მარინა გოგუაძე**

ფოტოკოლექცია და რეპროდუქციები
ზურაბ სურმანიძისა